

R316 Lyle 315-18n



ԲՅԵ, ԽՈՂԱՅԻՇՎԻ

Յոյժն, Ժմբ.,  
ՏԿԸՐԱՎՄԱՆ ԵՐԿՐՈՒՅՆ,  
ԺՎՐԵԿԻՑ,  
ԲՅԵՆ ԽՈՂԱՅԻՇՎԻ

---

სარედაქციო საბჭო:

გივი ჯახუა  
მურად ჭოლოკავა  
კახა კობერიძე  
თეა უვანია  
ნინო ტაბატაძე-ქავთარაძე  
ლია ბეჭანიშვილი  
გიგა ვეფხვაძე  
ამირან ჯანჯლავა

რედაქტორი

მარინე ცხვედიაშვილი

მსატვარი

ჯემალ კუსალაშვილი

სარედაქციო პოლიგი:

თინათინ სიყმაშვილი  
ლია მარტაშვილი  
ალმარ ლომიძე  
ლალი მჭედლიძე

ტექნიკური რედაქტორი:

ირაკლი კორძახია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მარი ცუცქირიძე  
თეა ასანაშვილი

---

## რედაქტორისგან:

განახლებული ჩვენი ქალაქი ერთი ჭარმაგი კაცის ხნოვანებისაა მხოლოდ, მაგრამ ამ ვერაგ და უსახურ საუკუნეს, რომელიც ჯერ ჭაბუკობის ასაკიდანაც არ გამოსულა, თითქოს შაჰიდის ქამარივით შემოურტყამს კაცთა მოდგმის ყველა უკეთურება და ფეხებთან როდის აგვიფეთქდება, არავინ უწყის.

„სამყარო თუკი გაიბზარება, პოეტის გულზე გაივლის ეს ბზარი“, – უბრძანებია დიდ ჰაინეს, მაგრამ, როცა შუბლგახვრეტილ ერის მამას, ტყეში მყვირალ ხარ-ირემივით ფეხებთან თუ წამოგიქცევენ, მაშინ მიწას რაღა ემართება ნეტავ? განა ყველა ბზარი და იარა იკემსება სინდისის ძაფით?!

სამწუხაროდ, მეორდება ისტორიები. ალბათ, ჩემს თანამე-დროვეს ამიტომ თუ აღმოხდა ეს სიტყვები:

„მუდამ სიკეთეს ვუვლიდი,  
თუმცა არა ვარ მინდია,  
აჯანყებული გული კი  
ცხენის ბაგაზე მიბია“-ო.

მეგობრებო, თქვენ თუ მოგისმენიათ სარკოფაგიდან გა-უნილი ცრემლის მუსიკა? ეს პოეტი ტირის, ან ცივგომბორ-თან გაბანრული ღამის ვნებანი? საბაზალეთო თავზარეთით თუ შეშფოთებულხართ ოდესმე? იქნებ, მათხოვრის ქოლგით მოჩრდილული ქოხებიდან ერთჯერ მაინც მიგინვდენიათ ხმა „თინას ლეკურით“ მოღლილ, თითებგადაყვლეფილი თა-ნამემამულებისათვის ლუკმა პურის შოვნის საფასურად სხვის კარზე, უცხოეთში უსიხარულოდ რომ ბერდებიან.

„მოდით შიინ!, – ღაღადებს ჩვენი მწყემსმთავარი.

„მოდით შიინ!, – ვიმეორებთ ჩვენც, მწერლები.

თითქოს წერას აუტანიაო ვირუსშეყრილი დედამიწა. 21-ე საუკუნეში პერსეის უჩინმაჩინის ქუდს ხომ ვერ ვინატრებთ ეშმაკთა სადევნელად. სიყვარულშია მხოლოდ ჩვენი გადარ-ჩენის დიდი საიდუმლო.

ჰოდა, სიყვარულით, განცდებით, თანაგრძნობით, მართა-ლია ტკივილიანი, მაგრამ იმედითა და სიკეთით სავსე წიგნი

---

გვინდა მოგართვათ, ჩვენო ძვირფასო თანამოქალაქეებო, შენს ქუჩებში ნაფიქრი, შენს ჭადრებქვეშ ნაოცნებარი, შენს ფანჯრებში დილის პირველი სხივის მადლივით შემოტყორცნილი – ალალი და უშედავათო.

გმადლობთ, რომ არსებობთ და ამ უუამო უამში თქვენ თქვენებურად, ჩვენ ჩვენებურად ვამაგრებთ სამშობლოს გადარჩენისა და წინსვლის იდეას.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ამ საერთო შეჭირვებისას ქალაქ რუსთავის მერიას, საკრებულოს, ცენტრალურ ბიბლიოთეკას და მთელ შემოქმედებით კოლექტივს, რომლებმაც უზრუნველყველების ამ წიგნის გამოცემა.

### **მარინე ცხველიაშვილი**

საქართველოს მწერალთა კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტი.

დავით აღმაშენებლის სახელობის ოქროს მედალოსანი.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გოგლა ლეონიძის, ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი.



მუხრან ტექსტები

## საქართველოში

ქარს მშობლიური მოაქვს სიმღერა –  
ხმა არაგვის და სიო შატილის.

საქართველოში ჰანგად იღვრება,  
რაც კი მღერის და  
ისიც, რაც ტირის.

მიაყურადე ატმების კისკისს  
და ალუბლების კვირტების ტკაცანს.  
შეხედე ვენახს, ამ ქართულ სინდისს,  
ქართული ჭირის  
და ლხინის გამტანს!

ქარი ჭალაში ულაყს დაექებს,  
შეიგრძენ მისი სურვილი წინსვლის  
და იოცნებე შორეულ გზებზე,  
სოფლის ბოლოში უსმინე წისქვილს.

შეჩერდი, ერთხელ ისმინე მთების

გაუგონარი ხმები, ბუბუნი,

ისმინე ტყეთა საოცრებები,

უსმინე, როგორ სუნთქავს უკუნი!

საოცარია აქ ყველაფერი,

ბედი სვიანის, ბედი მარტვილის.

საქართველოში ერთი ხმით მღერის,  
რაც კი მღერის და,  
ისიც, რაც ტირის.

## კარილი ჩემი გარემოები ჰქოვილი

14 აპრილი – ჩემი ვაჟიშვილის – ირაკლის დაღუპვის დღე

აპა, ეს აპრილიც მიდამოს მოედო  
ალუბლის ფიფქებად და ქარგავს სანახებს.  
სიოსთან ჩურჩულით რომ მიეთმოეთობს,  
მპირდება, სასწაულს ისევ რომ მანახებს...

სულს ვეღარ ვიბრუნებ... თითქოსდა იები  
კარგავენ სილურჯეს, ყინვებით დაზაფრულს...  
და ისევ ბედისწერის შავი ფერები  
მიკლავენ ლიმილს და მართმევენ გაზაფხულს.

ოჳ, ისევ ნაცნობი ეს შავი ნაღველი  
და შავი ფიქრების შეშლილი თვალები.  
რიოში აპრილის სიყალბის მნახველი,  
მოვდივარ გამტყდარი და მოვიწვალები,

რათა შევიგრძნო უმანკო აპრილი,  
რომელიც მოარღვევს სიკვდილის სამანეს,  
მაგრამ უენო და თვალებდათხრილი,  
ლაციცით ვეხები შენს მდუმარ სამარეს...

დღეს მიწა ზეიმობს, ცა კი დაზაფრულა,  
დიდი ომის ნობათს თურმე მიზანდება.  
შენი გაზაფხული, კვდება გაზაფხულად,  
ჩემი აპრილი კი ისევ იზამთრება.

## ფიქრი ლავაზ სიკვდილზე

ვფიქრობ...

და მინდა მოვკვდე ლამაზად,  
აპრილის ბაღში მქონდეს სამარე,  
ნისლი სამოსად ვთხოვო ალაზანს,  
ყორღანი ცვარმა მომიკამაროს.

მე მიფიქრია ბევრჯერ ამაზე,  
სიკვდილსაც ახლდეს ის სილამაზე,  
რაც სიცოცხლეს და

სიყვარულს მოსავს,  
რაც ახლავს ქეცხნად იდუმალ მოსვლას,  
რაც ლამაზია სიყვარულივით,  
რაც სპეტაკია წმინდა გულივით,  
რაც უმანკოა,

ფრია და ნაზი,  
სიცოცხლესავით იყოს ლამაზი...  
როცა სიკვდილი გვიბრძანებს –  
“წამო” ვიღაცამ წართქვას:

“შეჩერდი, წამო  
მშვენიერი ხარ!”  
კუბოში როცა  
განისვენებ და სიმშვიდე გმოსავს,  
იტყვის მავანი:

“სიცოცხლესავით  
(ნათელი არის, ალბათ, დღესავით)  
ამ კაცს სოფელიც ლამაზი ქონდა,  
სიკვდილიც ასე ლამაზი ჰქონდა...”  
მაშინ გავაღწევ უსიერ წყვდიადს,  
ნათელს შევერთვი უცნაურს,

დიადს

და ეტყვის ჩუმად ვიღაცა იქ მყოფს,  
რომ ეს სიკვდილიც ლამაზი იყო.  
რომ ასე მსურდა, თუნდაც ანაზდად  
მოვმკვდარიყავი, ოღონდ ლამაზად.  
რომ დაემღერა ვინმეს – “ერიჲა,  
სიკვდილო, თურმე მშვენიერი ხარ!”

## გეღისწერაში გუსტალო

### ხალხურ მოტივებზე

ვაი დედასა, სიკვდილო,  
გზაზე მულიდად მიყელე,  
ეგ დასაბინდი სოფელი  
ნაადრევ გადამიპელე.

დღეო, დაბნელდი, ისედაც  
ჩემთვის უკუნი ღამე ხარ,  
კიდევ რა უნდა მაწიო,  
მუხას, ორგზისად ნამეხარს.

სული ფლასებმა ჩანისლა,  
მომსწრემ ათასი ავისა,  
მაგრამ სულ სხვა რამ ყოფილა  
გაყრა შვილის და მამისა.

ამ სოფელს იმათ რა ნახეს,  
ან სულმა ჩემმა რა ნახა?  
მათი სამზეო მინდორი  
სიკვდილმა გადიბალახა.

საგაზაფხულო წვიმებო,  
ცრემლად რად უნდა მაწვიმო?  
უჟამოდ რად ჩააბნელე  
მზე იგი – მათი საწილო?

## ՀԱՅՈՅԻ ՀԱՐՍԵԼԱՑ –

### ՄՎՈԼՈՇՎՈԼԵՑ

Ծլես կվլազ ժուկից մասարեց  
հիմո շուլտետրա մերպելեցն,  
տոմբ հիմս ծագոթ դա პատարեց,  
վեցազ, ելուծան վելուցն.

Ամ եմատա Շեպալա ար սալուժտ  
արպ քափարեցն դա արպ դուցեցն.  
յս եմաա, մե ռոմ մապոպելեցն,  
յս եմաա, մե ռոմ մագուցեցն...

Թիւս վելուցն, մըոնզարնի  
Շեմոմջջարս տեմիջ լոմոլոտ,  
մոգուս դա մոայզ եարեցա,  
մոգուս դարդոտ դա գուցոլոտ.

Եղագարնու արպ կո վելուցն  
ասետ ծլես, ասետ ցանտօացն,  
Շեշետ, մատո միջ մա՛նյէցն,  
հիմո միջեց մատօտ անտօա.

Ծլես կվլազ ժուկիցոտ մասարեց  
հիմո շուլտետրա մերպելեցն,  
տոմբ հիմս ծագոթ դա պատարեց,  
վեցազ, ելուծան վելուցն.

## დარღვეულები

ჩემთვის ამოდის მზე სხვა ძახილით,  
ჩრდილი ჩამოწვა სარკმლიდან ახლოს,  
აღარც მარტია, აღარც აპრილი,  
ქარი და ყინვა ჩემს სულში სახლობს.

დე, ამ ჭრილობებს ნუ მომიშუშებ,  
დე, გულში მყავდეს ტკივილის დედა,  
ოღონდ დამპირდი პატარა ნუგეშს,  
ოღონდ დამპირდი პატარა ნეტას...

ნუ მაწყევლინებ გაჩენის წუთებს,  
გამიცისკროვნე სიბნელის ფარდა,  
წაიღე იგი, რაც გულს აწუხებს –  
წაიღე ყველა, ტკივილის გარდა.

და მაინც, ყოველ ცისმარე დილით  
მზე სიცოცხლეს და სიხარულს უხმობს,  
ვაზის ცრემლებით მივყები ბილიკს  
ატირებული, ჩუმი და უხმო!

დაფარულ ნაღველს სამყაროისას  
ნუხილი, მწუხრი და სევდა ერწყმის,  
ვიდრე ცრემლების მტევანს მოისხამს,  
მიმაქვს ტკივილი მოჭრილი ლერწის.

## კაცი – ქართული! სიზყვა – ქართული!

„ლილეოს“ ისევ მღერის ენგური  
და „ოდოიას“ – ძველი ფაზისი.  
ამ სიმღერებში ახლაც მეგულვის  
ქართული სული, ვით ოაზისი.  
“ჩაკრული” – დიდი სევდა კახეთის,  
“მგზავრული” –

გზა და სივრცე რიონის...

ესაა ჩენი გადასახედი,  
ჩვენი სამსხვერპლო და ამბიონი,  
ჩვენი რაობა – “მუმლი მუხასა”,  
ჩვენი “წინწყარო”, ჩვენი “სულივო”...  
უფალო, ყოფნას ნუ დამიხავსებ,  
უფალო, ჩვენი ბრძოლა სულ იყოს –  
“მრავალუამიერ” ხმალშემართული –  
ჰანგი – ქართული!

სიტყვა – ქართული!

## ქართი სხივი ვარ...

საქართველოა ჩემი ოცნება  
და მას ეკუთვნის სულიც, სხეულიც.  
სამშობლოს მთები დილის მზით რომ  
დაიკოცნება,  
ერთი სხივი ვარ მეც,  
იმ მთაზე გადამსხვრეული.

---

## პრესენტაცია

ეს სიზმარია ცისფერ ნათებით,  
ბროლის ციმციმით რომ ჩარჩა ხსოვნას.  
შორი ბავშვობის თეთრი ლანდები  
ახლაც მომყვება წმინდანთა სომნად.  
ცხელი დღეები, დეკემბრის სუსტი,  
ბორანი წყალზე ნავმოტივტივე  
და მოლიკლივე ბინულა სუსტის  
ჩემს ხსოვნაში რომ დარჩა იგივე  
და დღესაც მახსოვს ყრმობის ამბავი,  
ლურჯ ოცნებათა ზღვაში ნაშობი,  
დღეები – გულის ცრემლით ნაბანი,  
დღეები –

ჩვენი დიდი ბავშვობის...  
და რომ გვეგონა, სადღაც გაფრინდა,  
ერთმანეთს თითქოს დროში დავშორდით,  
გამოვექცით გმირებს ზღაპრიდან,  
სანახებს,

სადაც ჩვენ ვთამაშობდით  
და ის სამყარო ნასათუთები,  
ვაიგივებდით რასაც წარსულთან,  
რომ გვეშინოდა არდაბრუნებით,  
თურმე არასდროს არსად წასულა...  
დღეს ისევ აქ ვარ,

ყრმობის სიზმართან  
სანახებსა და სასიერეთში.  
რას ვიზამ, მე თუ ჩამომიზამთრდა,  
ხომ გაზაფხულობს დღეს იმერეთში...  
და ყველა სუსტიც გაიშოლტება  
ამ გაზაფხულთა შვიდფერი ხიდით  
და რომ გგონია, რაღაც გვშორდება,  
თურმე ის “რაღაც” არსად არ მიდის.  
არც მე წავსულვარ... ისევ აქა ვარ,  
მაშინაც, ჩემო, შორსა ვარ როცა.  
ვერა, უცხო ხმა ვერ გადაფარავს  
ადგილის დედის ძახილს და ლოცვას.



## მარინე რტვალიძე

### აქლა მაჩის

ვემშვიდობები ხსოვნის დილეგსაც,  
დღეებს, თალზით რომ იმოსებიან,  
და ახლა მაინც როგორ მიღექსავთ  
ცას, იასამნის გისოსებიანს.

თითქოს ეს გული სულ სხვას ჩაუდგეს,  
თან რომ მომკივის უცხო ბანიდან,  
ვერ დაგანახეთ ჩემი საუნჯე  
ამ საპყრობილის ჭუჭრუტანიდან.

თავქვე მიგორავს ბედის ბორბალი,  
ცურ ჩინებით და ეპოლეტებით,  
თუმც, არღავანას ხეზე მბორგავი,  
იუდას სულით მეპოეტებით.

ვით საზედაშე ღვინის ხელადა,  
უწმინდესია ჭურჭელიც ლექსის  
და ვისაც ვერცხლი ფერხთით ელაგა,  
ვიცი, ხელთათმანს პირველი მესვრის.

მაგრამ ლექსს გული უნდა უჩვენო,  
გული – ფიც-ვერცხლით სავსე საბადო,  
იქნებ გათენდეს ხვალე უჩვენოდ,  
მან კი თავიდან უნდა დაგვბადოს.

ახლა მარტია, სითბოს ვაქუჩებ,  
სულ ში იები მიცოცხლდებიან,  
ღვთის გულისათვის, ნულარ მაჩუქებთ  
ცას, იასამნის გისოსებიანს.

\* \* \*

აპრილმაც კარი გაიჯახუნა,  
წვიმად ვიქეც და ცრემლად გდიოდი,  
გულზე მესვენე, როგორც გლახუნას –  
ცად მიმავალი მეფე გიორგი.

მე შენ გიცნობდი დაბადებამდე,  
მე შენ მიყვარდი დედის საშოდან,  
ამაღლებიდან – ამაღლებამდე,  
მაშინაც, როცა ყველა გამშორდა.

შენ გერქვა მუდამ აზრის საწყისი,  
სიტყვა, რომელიც დამცდა პირველად,  
სამშობლო, როგორც ოქროს საწმისი –  
უამიდან უამში გადაკივლება.

სან ხიდისთავთან ვკრავდი პირობას  
და მექცეოდა თავზე ცარგვალი,  
სან ჩემს საქციელს ერქვა გმირობა,  
სანაც მიწაში პირქვე დამფალი.

სეფედარბაზი სეფექალებით,  
ალბათ ზეცასთან უფრო ახლოა,  
თუ ეგ დამფრთხალი ნუკრის თვალები  
ჩემი სინდისის სამოსახლოა.

არ გეტყვი, რომ ვარ უფრო ერთგული  
და ჩემს გარშემო თრთიან მუზები,  
ბორილასავით ეჟვანშებმული  
მოვალ და კართან აგეტუზები.

ვარ უყვავილო მინდვრის ბალახი,  
სან ლექსს მიმანდეს, ხანაც ფერტილოს,  
მოვსულვარ სხვათა გადანალახი,  
ნაფეხურები რომ არ გეტკინოს.

## სისხლის გაგია

სიყრმის მეგობარს, სისხლისმიერ  
დასა და კლასელს – ქეთევან ნატროშვილს

სადღაც მიღმეთში სძინავთ ღვარცოფებს,  
ძველ სახლს დარაჯობს დედის სურათი,  
და ეს მინდვრებიც აღარ ანცობენ  
ჩითის კაბების ჭრელაჭრულათი.

ბალლობააყრილს და მაინც ქომაგს,  
შენს ერთგულ მზერას ისე მივენდე,  
ბოჩოლას წყლიან თვალებით მომაქვს  
ჩვენი ჩავლილი წლების სინედლე.

თუმცა, ამბობენ, გახურულ კარზე  
მეორედ აღარ აკაკუნებენ,  
მაგრამ შენს სახლში, გულიც რომ არა,  
ფეხები თვითონ დაგაბრუნებენ.

და ჰა, მოვედი, უნდა აქ ვიყო,  
მოვჭირვეულდი, როგორც “ურმული”,  
ოლონდ წარსული უნდა გამიყო,  
შენს თბილ უბეში შემოყუჟული.

დაღლილი გულის სისხლს რომ მაძლევდი,  
როცა ჩემს კართან თვლემდა წყვდიადი,  
ნეტავ თუ გრძნობდი, რომ ამ ძარღვებში  
ბავშვობასავით შემოწრიალდი.

ნასესხებ დღეებს, ჩემზე მგლოვიართ,  
ათასი მტერი, ვიცი, დევნიდა,  
ერთხელაც, როგორც შეშლილ როიალს,  
გამაპრძანებენ დიდი სცენიდან.

მანამდე ვალებს ვიხდი ლექსებად,  
ვით გულის ცეცხლით ნაწრობ მონეტებს,  
ვის სასწაული როგორ ევსება,  
ცხოვრება თვითონ გაატოლმეტებს.

მეც ხსოვნის ჯაჭვში ვინმე ჩამაქსოვს,  
ვითომ განცდილი, უხმო გალობით,  
მაგრამ ჩემს ბეჭებს მწარედ რად ახსოვს  
ძნელად სათრევი ტვირთი ქალობის?!

- შენც წუთისოფლის ფუჭი განცდა ხარ,
- თითქოს ჩამდახის ვიღაც შემდეგი.
- მე თქვენს ამქარში ვარ და არცა ვარ  
და ამ ბაქანზეც წამით შევდექი.

როცა ნასხვისი ყრმობაც მტკივდება,  
გულზე ვიკიდებ ნალრძობ ხელივით,  
აქ დიდობანა რომ მომწყინდება,  
იქ, ვით წალკოტში, ისე შევივლი.

მაშინაც, სანამ დასტურს გიცხადებს,  
გული, რომელიც ასე გენდობა,  
მაკლიხარ, როგორც სიზმარს სიცხადე  
და უთვისტომოს – კაცის შენდობა.

დღეს თუ შენს სულში ლამე მეთევა  
იმედების და თეთრი ამინდის,  
მე ამაყი ვარ, ჩემო ქეთევან,  
ძარღვში რომ შენი სითბო დამიდის.

და ჰა, მამლებმაც ზეცა შესისხლეს,  
მომიგვირილებს სავალს კესანე,  
მადლობა, რომ არ შემოგესხვისე  
და მიერთგულე ბოლო კვნესამდე.

მაგრამ ერთხელაც, ადრე დილიდან  
თუ ვერ წამაწყდი სადმე შემთხვევით,  
მე გავიპარე გაკვეთილიდან...  
ალბათ, ოდესმე ისევ შევხვდებით.

## კორილა

მულეტა – ფრიალებს წითელი ნაჭერი,  
არ შეცდეთ, ეგ ჩემი დამფრთხალი სულია,  
თუ გინდათ, ბაფთიან შუპებით დამჭერით,  
თუ გინდათ, მომკალით სულ დედაწულიან.

ბედი რომ თქვენს კართან ლექსებად მომყრიდა,  
სულ მუდამ ნამქერს და გრიგალებს მადრიდით,  
და თითქოს მოგვდევდა წყეული კორიდა,  
ნესტოებდაბერილ ქუჩებით მადრიდის.

მატადორს სხეულზე დაუდის ალმური,  
“მატადორ, მოკალი”, ღირსების საქმეა!  
ნაყროვნობს მაძლართა ვწება და გლამური,  
დამშეულ ღატაკთა “სავანეც” აქვეა.

და თქვლეფენ სიხარულს საერთო გობიდან,  
ხარს ადგას გვირგვინი შხამიან იელის,  
– მერე რა, ბატონო, ეს არის კორიდა,  
ორს შორის ყოველთვის მარცხდება ძლიერი.

მეც სისხლის მინდორზე მრავალგზის მაწვიმდა,  
დიდების მანტიიებს სულგრძელად გითმობდით,  
ხან მკლავდით ერთბაშად, ხან ნაწილ-ნაწილად,  
მერე კი პეპელას ნაზ ფრთებით მიგქონდით.

და ასე გაზიდულს საკუთარ თავიდან,  
ვიღაცა შემკრებავს ნაგვემი ფერდებით,  
თუ გინდათ, ხელმყოთ და მაწამოთ თავიდან,  
მე მაინც თქვენს სულში მშვიდობით ვთენდები.

შლეგი ხარ, კორიდავ, სალვადორ დალივით,  
ხმალი თუ კისერი, – ჰა, რაღას ყოყმანობ,  
თან მოგდევ კვალდაკვალ უძრავი წყალივით,  
მინდა, რომ სისხლი და ცოდვები მოგბანო.



ზეს განკუთვნილი

## უკანასკნელი სიტყვა

სიკვდილის წინ ნიცშეს უთქვამს:  
— მაინც მაჯობე, ნაზარეველო!

ქარი მწვერვალთა კალთებზე როკავს,  
მიმწუხრს ცრემლები ცით დადენია,  
მე ღმერთი მოვკალ, ჰო! ღმერთი მოვკალ,  
ძე კი შემდეგი ციტადელია.  
არწივი მთაზე განა გნომია,  
თავად ისურვა მოსვლა აქ ნებით.  
ზოგი ჩვენგანი უკვე ლომია,  
უმეტესობა მაინც — აქლემი.  
ჯოგს, თუნდაც მოვკვდე, ვერას ასწავლი,  
მეც კი აღგიქვი, როგორც მეტოქე,  
შენით იხსნება კარი აღსავლის,  
ჩემნაირები ქმნიან ეპოქებს.

კაცუნა ხშირად თრთის და კანკალებს  
შეუცნობ რწმენით, სულის ხურვებით.  
ველარ მოუშლის ზეკაცს ნაკვალევს  
რიგითი ხალხის ნაფეხურები.  
მეც ჩემი დრო მაქებს მოსვლის და წასვლის,  
ზოგჯერ ცრემლებად ჩანან მტევნებიც.  
წუთისოფელის გამოვცლი სასმისს,  
გვერდით ბავშვივით აგედევნები.  
სხეულიდანაც გამოვა ღონე,  
ღვთის საუფლოშიც ლაზარე მრევლობს?  
და ბოლოს სუნთქვას ამოვაყოლებ —  
“მაინც მაჯობე, ნაზარეველო”!

\*\*\*

ისევ ხომ ცერად იმზირებით  
აივნიდან ანდა ერდოდან,  
მე თქვენი ღმერთიც მითვალთვალებს,  
ჩემი მენდობა.  
მე და ჩემს უფალს  
ასეთი გვაქვს ურთიერთობა  
სიყვარულია ჩემს ტაძარში,  
სიმშვიდეა და იდილია.  
თქვენი ტაძრები კარლიაა,  
ექვსის მერე დაკეტილია.  
მე თქვენი ღმერთი განმიკითხავს,  
ჩემი მპატიობს.  
თქვენი ღმერთისთვის ცოდვილი ვარ,  
უსიმპათიო.  
ღვიძლი შვილიც კი,  
ამ ქვეყნისთვის გადამთიელობს.  
ჩემი კი არა,  
თქვენი მიხდის სამაგიეროს.  
ჩემი უფალი კარგად მიცნობს,  
თქვენი მიწყობს ხოლმე გამოცდებს.  
რა საჭიროა გამოცდები?..  
ლამის გავვოცდე,  
ასეთი ყოფა, თუ მენდობით,  
იმ შავ არაგვს ჰეგავს...  
მე თქვენი ღმერთი მომაკვდინებს,  
ჩემი არა ჰელავს.

\*\*\*

ამიჯანყდა ჩემი სული,  
ამიჯანყდა ჩემი გონიც,  
თხემით, ტერფით მე ვარ სრული,  
ტომით გურჯი, ბიჯოდ მდგომი,  
გულში ღვთისმშობელი მიზის,  
ვარ მიდება სამი თითის...  
გადავიტან ყოველ კრიზისს,  
გული ძერს და მაჯა მითოთის,  
ქალაქის ვარ! აი, იმ მთის!..  
ხრიოკ მთაზე ჯვარი რომ არს,  
თვალზე მძიმე ცრემლი მიკრთის,  
თავი პოეტივით მომაქვს...  
მე მივტირი ქართვლის ილბალს,  
არა ჩემს ჯიბეს და სტომაქს!  
ეს შეკითხვა მექცა ჯვარცმად  
(მეფის ტახტზე ავა ჯაყო)?!..  
ძლიერ მინდა, მკითხველიც რომ  
ამ ლექსივით ავაჯანყო!

\*\*\*

ამქვეყნად ფუჭად არ დავალ,  
მეც ვემიჯნები ქვისმტეხებს,  
ცხოვრება თვალის ფოკუსში  
ალბეჭდილია ფირზე.  
მცირე ნავიდან გადავა,  
წყალზე გაივლის ქრისტე.  
მე ბეწვის ხიდზე გავდივარ  
და სამართებლის პირზე.  
ლელვის ხეც უმალ ხმებოდა...  
მეფე ხარ? ჯვარცმულს ჰკითხეს  
და მასთან ერთად კვდებოდა  
ყველა მართალი იმ დღეს.  
თუმც, სანამ ეს მოხდებოდა,  
იყო შობა და ბავშვობა

ლარიბ ოჯახში დურგლის.  
 მხოლოდშობილი უფლის  
 უჩინი ხელიც უვლის.  
 გამომდინარე კარმიდან,  
 ეშმა მფარველობს ქვისმტებს,  
 ცხოვრება მთვარის ფოკუსში  
 ასახულია ფირზე.  
 წუთისოფლიდან გავიდა,  
 ედემში დადის ქრისტე.  
 მე ბეწვის ხიდზე გავდივარ  
 და სამართებლის პირზე.

\*\*\*

ამდენი ლოცვა და ვედრება სად იკარგება?  
 გულს გვიზიანებს საუკუნო ჭმუნვა, წუხილი,  
 ზეცაზე ელვა ასპიტივით გაიკლაკნება  
 და თავს გვატყდება ჟამთა ბრუნვის ჭექა-ქუხილი.  
 ვეზიარებით და კანდელად თითქოს სულს ვანთებთ,  
 საღვთოს დავკლავთ და ლოტივით კი გამოვთვრებით,  
 მამონას ხალხნო! წმინდანები მივასურათეთ,  
 ხელის ჭუჭყს დედა მივახატეთ თავგამოდებით.  
 გონი აგვემლვრა, როგორც უწინ მრავალთ და მრავალთ,  
 თავზე გვენგრევა ზნეობა და უკვე, ტაძრებიც,  
 ეკლესიაში სუფთა ზმანებით წირვაზეც დავალთ,  
 მერე ერთურთის ცოლებთან და ქმრებთან დავძვრებით.  
 გაიხედავ და მარშით დადის ერიც და ბერიც,  
 ხელის ანევა გვაკლია და ავე! მაქსიმუს...  
 გალობაცა გვაქს, ქრისტეს რჯულიც და ყველაფერი,  
 თუმცა კი ცოდვა მაინც აღნევს თავის მაქსიმუმს.  
 სწორად მიმიხვდით,  
 უამრავნი აქ მყრალ წუმპეს განა ამჩნევენ...  
 ამ ქვეყანას, ნაცვლად უფლის, ან ხელისუფლის,  
 მხატვრები და პოეტები გადაარჩენენ.

## აერთქმალსიზყვასასრეპრივი

რაღაც უფრო მეტი მინდა...  
მეტი ცა და მიწა მეტი,  
ათორმეტთა მოციქულთან  
რაბი! რაბი მეცამეტე.  
რაღაც უფრო მეტი მინდა,  
ვიდრე დიპლიპიტო სუფრის.  
მაღლით დამანათლა ზენამ,  
ხატად მომავლინა უფლის.  
მინდა, უფრო მეტი ვიყო,  
ვიდრე კოლორიტი უბნის,  
დღენიადაგ ვინაც მუდამ  
მამულს ტაძარივით უვლის.  
რაღაც უფრო საკრალური მინდა,  
ვიდრე თარაშ ემხვარს,  
ღვინოდ ჩავიღვარო ჯამში  
და მიჯნურთა ბაგემ შემსვას.  
ახლა შავი თმების ძეწნას  
დავიწყების ქარი ლეწავს...  
ცხადში უფრო მეტი მინდა,  
ვისაც მოქანდაკე ძერწავს.  
ხორცი საზღვარს გადავიდა,  
ცოდვა ყანად აბიბინდა.  
სული ამაღლებული და  
მზერა დაწმენდილი მინდა!



გამა 31363-მე

## ჩვენი იურიკო

მინდა, გაგიტაცო ჩვენთან, იმერეთში,  
ფეხით მოგატარო მთელი მთა და მდელო.  
მინდა, დაინახო მისი მშვენება და  
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.  
მინდა, ხელაობით ჩაჰუვე ჩხერიმელას.  
გზები ცხენისწყლამდე ფეხით გადასერო,  
ზურგზე დაწოლილი რიონს დაუყვე და  
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.  
მინდა, გუთნისდედას უკან აედევნო,  
კვალში ჩაუდევე და მინას მოეფერო.  
მინდა, ჩაისუნთქო მისი სურნელი და  
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.  
ხელით მოეფერო უნდა ცოლიკოურს,  
ციცქას ახალშენი ფეხზე დააყენო,  
ხარდანი შეუდგა ბებერ ტალავერს და  
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.  
მინდა, საწნახელში ფეხით ჩახვიდე და  
ოქროს მოსავალი მაჭრად ააჩქეფო,  
იგრძნო, როგორია ნიგვზით ფელამუში,  
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.

მინდა, ჭურისთავზე ერთად ვიქეიფოთ,  
ჭინჭილით დავლიოთ ყველა სადლეგრძელო,  
სტუმარ-მასპინძელი გულით დავლოცოთ და  
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.  
მინდა, შემოვძახოთ „მრავალუამიერი”,  
ანდა, იმერული „ნანა” დავამღეროთ,  
თბილი ჰანგები რომ ზეცას შეუერთდეს,  
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.  
მინდა, გლეხის ოდას ღვთისად მიუხვიდე,  
იქნებ, აკვანთანაც თეთრად გაათენო.  
მინდა, გენი იგრძნო ნაღდი ქართული და  
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.  
იქნებ, კიდობანი ერთად მოგვეძებნა,  
მერე ლურჯაცხენი მაღლობს გავაჭენოთ.  
მინდა, გამოიცნო ფიქრი იაზონის,  
მიხვდე, რომ აქ უცემს გული საქართველოს.  
მინდა, გელათი რომ ფეხით მოილოცო,  
იქნებ, უბისადან ფრესკაც გადაწერო,  
მღვიმევს დაიჩოქო, კაცხზე ამაღლდე და  
თქვა: „შენ გენაცვალე, ჩემო საქართველო!“

## კალება ღილებორჩე

— გემუდარები, გამიშვი, ნენა!  
 ჯერ უწვერული ითხოვდა ვაჟი.  
 — შენი თავიც რომ წამართვას ზენამ?  
 დედის გულიც კი გამხდარა კაჟი.  
 მაგრამ ტირილით, საომრად მტერთან  
 მოპქონდა გორდა — ნაქონი მამის  
 და ჩუმად დებდა, ლოცვანთან ერთად  
 აბგაში საგზლად პურსა და მარილს.  
 მჭედელი სწრაფად აქრობდა ღუმელს,  
 მთიბავი ჩქარა ზვინავდა ზვინებს,  
 პირველს იწერდნენ ტაძარში მწუხრზე,  
 დამით მძინარეს კოცნიდნენ შვილებს.  
 ულაყს კაზმავდა ნაომარს ზოგი,  
 სხვა კი ასხამდა შავ ღვინოს ტიკში,  
 ტიროდა სატრფო, წაწალი, ცოლი,  
 იკრიბებოდა დიდგორზე ჯიში!  
 თვალუწვდენელი ლაშქარის მტვერი  
 ჯერაც სწვდებოდა თონეთს და მანგლისს,  
 გაუმაძლარი სისხლის სმით მტერი  
 ელოდებოდა იმ დამით აისს.  
 ელოდებოდნენ ქართველნიც დილას,  
 გამწარებულნი სელჩუკთა ტანჯვით,  
 გაგრილებულნი ხეკორძის პირას,  
 ხელდაკოშრილნი უზომო გარჯით.  
 ელოდებოდა განთიადს მეფეც,  
 წელზე ხალიბთა ნაჭედი ხმალით,  
 სინანულშიაც უფლის წინ სეფე,  
 მიწის და ხალხის წინაშე ვალით!  
 უკვე გავიდა ცხრაასი წელი,  
 აქ კი დავითი ისევე დიდობს!  
 აბჯრად ნაქსოვი ვენახის წნელით  
 შემოსდგომიდა ქართველი დიდგორს...  
 შიომღვიმეში კიოდა ზარი  
 და ქარს მოპქონდა ბერების ლოცვა.

წმინდა გიორგი თეთრ ცხენზე ჯვარით  
იდგა, ქართველნი დაიძრნენ, როცა...  
გადადო თავი ორასმა ვაჟმა  
და შეიპარა მტრის ჯარის გულში,  
არ სჭირდებოდათ მათ დიდი აზმა,  
გზების ჩახერგვა არ ედოთ სულში!  
უწვერულ ყმაწვილს სხვა ბევრი მიჰყვა.  
მათ სადიდებლად ცაში უღერს ჩანგი.  
ქართველის გვერდით ყივჩალი იდგა,  
ქართველის გვერდით იბრძოდა ფრანგი,  
იბრძოდა მედგრად, ომობდა რიხით,  
მეფისწული თუ ჭალარა ბერი.  
დაუნამავი ურჯულოს სისხლით  
არ დარჩენილა ახლოში სერი!  
ქეიბურებმა დახიეს ზეცა,  
მუზარადები შუბებმა გლიჯეს!  
კოლხური ცული არღვევდა ბექთარს  
და თავგანწირვა სცდებოდა მიჯნებს!  
მტრის ყველა შიშერს დაემტვრა ვადა  
და დაილენა სულ ყველა ფარი!  
ასობით ქვეყნის მაოხრებელი,  
თავლაფდასხმული გარბოდა ჯარი,  
ეს ბრძოლა ქვეყნის დიდებად დარჩა,  
თუმცა კი ბევრი გავიდა წელი.  
აქვე უარყო ოსმალოს ფარჩა,  
ცხირეთს ამაღლდა თევდორე მღვდელი.  
ისევ აგვისტოს ბიჭები მედგრად  
სამშობლოს სისხლით რომ წმენდდნენ სინდისს  
აქ, უსახელო გმირებთან ერთად,  
შიშველი ხმლები გლოვობენ შინდისს.  
კვლავ გაიზრდება ათასი მართვე,  
არ დაივიწყებს ქართველი დიდგორს!  
„დიდგორზე დიდი გული აქვს ქართველს!“ –  
დიდგორზე ყველა ქართველი დიდობს!



## მარია ჩენიოუკვეტა

### ჩემთვის რომ ეთქვათ

რა თქმა უნდა, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ,  
მათ შორის მეც იმ საოცარი ზღაპრის ნაწილი ვარ,  
„ბავშვობა“ რომ ჰქვია,  
თავისი დევებით და ფერიებით,  
ურჩხულებით და პრინცესებით,  
„შემოგევლოს ბებო“-თი და  
„შემოგევლოს ბაპიკოთი“-თი...  
მეგონა, მთელი ეს ლამაზი სამყარო ჩემთვის იყო შექმნილი,  
რომ უზრუნველი და ფერადი თავგადასავლებით სავსე ცხოვრება  
წინ მელოდებოდა და  
ამის გაფიქრებაზე  
ბედნიერებისგან სუნთქვა მეკვროდა.  
გამზადებული ბედნიერების გარანტია  
თავბრუს მახვევდა და სტიმულს მაძლევდა...  
ჩემთვის მაშინ რომ ეთქვათ,  
ეს ყველაფერი ილუზია და  
ბავშვობასთან ერთად მთავრდებაო,  
ვერაფრით ვერ დავიჯერებდი,  
დავიჯერებდი კი არა,  
ამის მთქმელი ადამიანი  
უცხოპლანეტელი მეგონებოდა ან  
უდიდესი ოხუნჯი მატყუარა  
და ალბათ გავებუტებოდი.

---

ჩემთვის რომ ეთქვათ,  
ცხოვრება დიდი ომების,  
უამრავი ბრძოლის,  
უფრო მეტად წაგების,  
ვიდრე ამას დავიჯერებდი...  
რომ ცხოვრების გზაზე უამრავი ადამიანი შეგხვდება  
თავისი ჭრელა-ჭრულა აზრებით,  
განზრახვებით, მისწრაფებებით,  
ოცნებებით და სურვილებით,  
რომ ძალიან გაგიჭირდება  
მათი ერთი ხელის მოსმით ამოცნობა,  
ზოგიც ისე გადაგივლის და გაგთელავს,  
აზრზე მოსვლასაც რომ ვერ მოასწრებ და  
ამ ღალატისგან დაიტანჯებიო.  
ჩემთვის რომ ეთქვათ,  
სულ თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანები შემოგხვდებიან,  
ვინც ულალატოა, გულწრფელი და  
ყოველთვის თანაგიგრძნობს, –  
ამასაც ვერ დავიჯერებდი,  
ჩემთვის რომ ეთქვათ, რომ პირველ რიგში  
შენ თავს უნდა მოუგო ყველა ბრძოლა,  
ყველაზე რთული ეს გზაა ბედნიერების მოსაპოვებლად,  
რომ სიკეთის პირველი ნაბიჯი ყოველთვის შენ უნდა გადადგა,  
შენ უნდა მიუტევო, შენ უნდა ითხოვო შენდობა,  
შენ უნდა თანაუგრძნო,  
შენ უნდა უერთგულო პირველმა,  
რომ სული გამოიწრთო,  
გული გაიკეთილშობილო,  
მტრებიც კი მოკეთედ ეცადო აქციო,  
(თუმცა ეს შეიძლება ბოლომდე ყოველთვის ვერ მოახერხო,  
მაგრამ მაინც უნდა ეცადო, შენი გაიტანო).  
ღმერთო, ეს ყველაფერი რომ ჩემთვის ეთქვათ,  
ვიცი, არ დავიჯერებდი,  
მაგრამ მაინც გავაგრძელებდი გზას,  
არც იარაღს ავიღებდი და არც ფარ-ხმალს

და ასე შიშველი ხელებით ვივლიდი წინ  
 უშიშრად და გულდაჯერებულად,  
 არ ვიცი, რატომ,  
 მაგრამ სწორედ ამას გავაკეთებდი,  
 ალბათ იმისთვის,  
 რომ ჩემი რწმენის ხე  
 გაზრდილიყო და გაფურჩქნულიყო,  
 მოესხა ბედნიერების ნაყოფი და  
 ჩემი ზრდასრული ცხოვრების ყოველი დღე  
 ეს ნაყოფი დამეგემოვნებინა.  
 ყველაფერი ეს ჩემთვის რომ ეთქვათ...

## შე

შენ ხარ ჩემი უკიდეგანო უდაბნოს ოაზისი,  
 ჩემს ამღვრეულ-აქაფებულ ზღვაში გადმოგდებული მაშველი რგოლი,  
 ჩემი ცეცხლმოდებული ტაძრის საშველად  
 გადმოშვებული ზეციური თქეში  
 და უპურო შიმშილის სამფლობელოს მოვლენილი ციური მანანა.  
 სიყვარული შენი ჩურჩულია,  
 ნაცრისფერ გარინდებაში რომ მომეპარება და ჩამძახის: „მიყვარხარ!”  
 სიყვარული შენი ხელებია,  
 გულამოსკვნილი ჩახუტებიდან ყოველ ჯერზე რომ ხელს მიშვებს  
 და უსასრულოდ ბნელ ღამეში  
 თვალახვეული ხელის ცეცებით სიარულისთვის მიმეტებს,  
 რომ ფრჩხილებით შალი კლდეები ჩამოვფხაჭნო,  
 ეკალ-ბარდებში ფორთხვით გავიხლართო და დავიკაწრო,  
 უსულგულო ცოფიანი ნაგაზების სისხლიანი ნაკბენები  
 ენით ვიღოვო და ვიწამლო, რომ მერე ისევ  
 გარიურაჟზე ჩემი ღონემიხდილი ნათელი ბილიკები ვიპოვო  
 და ბედნიერებისგან სუნთქვა შემეკრას,  
 შემდეგ კი ჩურჩულით ვიყვირო:  
 „სამყაროვ, მაინც რა მშვენიერი ხარ!”  
 სიყვარული მოულოდნელი ძახილის ექოა: „მიყვარხარ!”  
 სადაც არ უნდა ვიყო, ყურში რომ ჩამესმის  
 და ზარების რეკვას გამოდევნებულებს

სხვადასხვა ბოლოდან ერთმანეთისკენ  
 თავგამოდებული სირბილით  
 ნაცნობ გზას გვაპოვნინებს, ჩაგვარბენინებს  
 და ჩემსკენ გამოწვდილ ხელებს  
 ჩემ თავს ჩაგახუტებს...  
 სიყვარული შენი ჩურჩულია: „მიყვარხარ!”

## როდესაც მიუვეგი აღმართის

როდესაც რაღაც გაწუხებს – აღარ გეშვება,  
 როდესაც ძალიან დიდხანს ემზადები  
 და იღებ სკალპელს,  
 უმტკივნეულოდ იფატრავ სულს,  
 უფრო ზუსტად, მის გარსს,  
 მერე სათუთად ეხები შიგთავსს, ელოლიავები,  
 სულს უბერავ და ყოყმანობ,  
 ამოილო და მზეს აჩვენო  
 თუ ისევ თავის ჩვეულ სამფლობელოში დატოვო,  
 უთავბოლო ბრძოლებთან, ქარის წისქვილებთან,  
 უსასრულო ოცნებებთან, დაულაგებელ,  
 მაგრამ გრანდიოზულ გეგმებთან ერთად,  
 სადაც ბოლოს ყოველთვის სიკეთე იმარჯვებს  
 და მიუხედავად ყველაფრისა, გჯერა,  
 რომ სამყარო სავსეა კეთილი ადამიანებით,  
 რომლებიც აუცილებლად მოგძებნიან,  
 იმიტომ, რომ შენც მათი პოვნის  
 დაუკეტელი მოლოდინი გაქვს,  
 იმდენად ბევრნი იქნებით ერთად, რომ  
 გლობალური დათბობა და სხვა ამდაგვარი  
 კი არ დამარცხდება –  
 გაიმარჯვებს დედამიწელთა გულებში...  
 უსისხლო ოპერაცია დასრულდა,  
 გულს დაგადუგი გაუდის,  
 მკაფიოდ გესმის შვებით ამოსუნთქვის ხმა,  
 და შემდეგ ოპერაციამდე ტაატით მიუყვები  
 აღმართს, რომელსაც ღმერთმა დაბადებიდან  
 შენი სახელი დაარქვა.

## დრო

დრო კიბეა ზოგისათვის,  
ზოგისთვის კი – დინება,  
ვისთვის – დგას და ვისთვის კიდევ –  
ჩქეფად მოედინება.

ვის დღედალამ ჭაპანს უწევს,  
არ შორდება ნაღველი,  
ვისთვის ლხინის სუფრებს შლის და  
დაატარებს დალხენილს.

ზოგს ეშმასთან ამეგობრებს,  
ამეგობრებს ლუციფერს,  
გადაღებულ დარდიმანდის  
ქუდს ახურავს უტიფრებს.  
სინდისს ზომავს უხილავი  
ღამლამობით არშინით,  
ხან მოკლეა უსაშველოდ  
ჯოხი უჩინმაჩინის.

ხან მათხრაზე უგრძესია,  
ტკივილისგან კვნესიან,  
ვის საერთოდ არ მოერგო,  
ვეღარ იხსნის მესია.

დრო და უამის მარათონის  
უსასრულო ღრჭიალი  
ვაი, რომ სულ ერთეულებს  
ესმით, ოხერტიალი!  
გველეშაპი გადმომდგარა  
ნთქავს დღეებს და საათებს,  
აბა, როგორ მოერევი  
ამგვარ ჯურის ჯალათებს.

აბა, როგორ გამოსტაცებ  
წუთებს, წამებს მალულად,  
ტაშს უკრავენ უგუნურნი,  
გაუმართავთ მარულა.

დრო კიბეა ზოგისათვის,  
ზოგისთვის კი – დინება,  
ვისთვის – დგას და ვისთვის კიდევ –  
ჩქეფად მოედინება.

## ...ღა სცივათ ლექსეგს

ლექსები ჩემი სულის ფრინველებია  
და სცივათ ლექსებს ჩემი ფანჯრის წინ გაყინულ მავთულებზე  
და იბუზებიან,  
კიდევ ერთ, გაუსაძლის ზამთარს ეგებებიან ჩემთან ერთად,  
შიათ და სწყურიათ კაცთა ნაშრომი

ბარაქით გადავსებული არემარე,  
ვეღარ უღურტულებენ სიხარულით,  
ერთ დროს მათი მოამაგენი  
გაუმთბარ და სევდით დამძიმებულ სხეულებს  
ძლივს დაათრევენ უღიმდამო ქუჩებში,  
ჩიტების დარდი სადღა აქვთ,

ახლობელ-ნათესავების ჭირ-ვარამსაც კი ვეღარ ითავსებენ.  
და სტკივათ ლექსებს უგუნურება, ლალატი და მტრობა,  
და სტკივათ ლექსებს,

რომ კაცნი თავად არიან თავიანთი უბედური ყოფის სათავე,  
და ეშინიათ, თუ დროზე გონის არ მოეგებიან,  
ვამპირების ბინძურ სადგომად გადაიქცევა ეს დედამიწა,  
ჩემი ლექსები უხმოდ და უცრემლოდ ტირიან.

მხოლოდ გულის მოსაოხებლად,  
ვის შეუძლია მათი მოსმენა,  
ბრმა-ყრუებითაა სავსე ქვეყანა,  
უთავბოლო კივილ-წივილითა და  
თვალებში ნაცრის შეყრით  
დააყრუეს და დააბრმავეს ადამიანებმა ერთმანეთი,  
ახლა კი არა, ძველი საგანძურებიც ოხრად დარჩება  
ვის? – კაცმა არ იცის...

და მარადიული მტვრის წასაყრელადაა ყოველივე განწირული...  
და მაინც,  
ლექსები ჩემი სულის ფრინველებია:  
ბეღურები და მოლალურები, არწივები და ორბ-შევარდნები...  
ნაირფერებს და ნაირბუნებოვნებს  
სათითაოდ გამოვათბობ გულის უბეში,  
გაზაფხულს მოვუყვან და  
შევაფრენ ლალებს სულ სხვადასხვა სიმაღლეებზე.

## არაღ, ცხოვრობ

როგორ გინდა ასე იცხოვრო?

ნახევარ სიხარულით, ნახევარ ბედნიერებით, ნახევარ დარდით,  
ნახევარ ნაღველით, ნახევარ... ნახევარ... ნახევარ...

რა არის ეს მდგომარეობა ჩემთვის, ერთი

კონკრეტული ადამიანისთვის?

რა უნდა გააკეთო შენ, ერთმა კონკრეტულმა ოცდამეერთე  
საუკუნის ადამიანმა და, თუნდაც, ერთმა სახელმწიფომ  
შენი საქმე უნდა აკეთო და ამაზე არ იფიქრო?

ისე აკეთო შენი საქმე, ვითომ არაფერი ხდებოდეს?

როგორია ისეთ სახლში იცხოვრო,

რომელსაც მორღვეული აქვს შემოსასვლელი კარი და  
ვერც ვერაფრით ახერხებ

ეს კარი ჩამოკიდო

ან თუნდაც გაამაგრო...

შენ ცხოვრობ შენთვის ამ სახლში,

შრომობ, წვალობ, აშენებ, ალამაზებ,

ოცნების კოშკებს აგებ და

ყოველთვის თან გდევს იმის შეგრძნება,

რომ აი, ახლა ან სულაც ღამე,

როცა გძინავს, დაუკითხავად შემოიჭრება ვიღაც,

აგანიოვებს მოულოდნელად,

ან ოჯახის წევრს გაგტაცებს,

ან თუ მოეპრიანა,

შენს სახლში თვითონ გაბატონდება და

შენ ყმად თუ დაგიყენა,

მადლობა უნდა თქვა...

შეიძლება თვალიც არ დაახამხამოს,

ისე გაგსრისოს, როგორც ერთი უსუსური მწერი...

გამუდმებით დამყვება ყველგან ეს ფიქრი,

რასაც არ უნდა ვაკეთებდე,

ყველგან იჭრება,

მღრღნის შიგნიდან და მანადგურებს,

უსუსურობის შეგრძნება მანადგურებს,

ამამ ბრძოლის სურვილი მანადგურებს...

მე კი არა და ნახევარი მსოფლიო რომ დადგეს იმ კართან დარაჯად

მაინც დაუცველი ხარ, მაინც გამუდმებით ჩაგესმის „იქითა” მხრიდან

უხილავი და უხმო უტიფარი ხარხარის ხშა.

შეიძლება ბოლომდე გახარებდეს რაღაც,  
ბოლომდე იყო ბედნიერი,  
როდესაც ეს ასე გაწუხებს?  
როდესაც ეს გარდაუვალი რეალობაა?  
როდესაც ეს მდგომარეობა ყველა ჭირზე უარესია?  
ამიტომაც არ მიკვირს ჩემს გარშემო ჩაფერფლილი  
სხივით მომზირალი თვალების სევდა...  
და მაინც დროდადრო,  
როცა ძალიან, ძალიან დავიზაფრები,  
უცებ გულში, სადღაც სილრმეში  
შეიფრთხიალებს რაღაც იმედისფერი და თავს მახსენებს...  
როგორ გინდა ასე იცხოვრო?  
ნახევარ სიხარულით, ნახევარ დარდით,  
ნახევარ... ნახევარ.... ნახევარ...  
არადა ცხოვრობ, სხვა რა გზა გაქვს?

## კაშარა ღეღამინა

დანანაობენ, დაფარფატებენ  
ფიცქები მშვიდი,  
მაგრამ სიმშვიდემ  
გულისგული არ დამიამა.  
რა პატარაა დედამიწა –  
როგორი დიდი,  
რომ უკვდავება მოიპოვოს ადამიანმა.

## რევისორი

ეს რეჟისორი პოეტია,  
ის კი – მხატვარი,  
ის რეჟისორი მეზღაპრეა,  
აი ის კი – ფილოსოფოსი,  
ის რეჟისორი გენიოსია,  
ის – იდიოტი.  
როგორი იქნება ეს რეჟისორი  
ელოდება მას მთელი დასი.



## უმარესი მამაკანიშვილი

\*\*\*

“ერთხელ შობილი  
ორჯერ არ კვდება”...  
და გულიც მხოლოდ  
ჩერდება ერთხელ,  
ავი სიზმარიც  
ერთხელ ახდება,  
ერთხელ მოწყდება  
ბერმუხა ფესვებს...

ერთ წასვლას ჰქვია  
არდაბრუნება,  
ვინ დარჩენილა  
სამზეოს ჭერქვეშ?  
ცისკარი ერთხელ  
გადაბრუნდება,  
ერთხელ გეცლება  
სამყარო ფეხქვეშ.

მოსვლა რად ღირდა,  
რა იყო წასვლა,  
ვინ დაიბევა  
სამოთხე კაცთა?  
რად ღირდა  
ოქროს კვარცხლბეკზე ასვლა,  
თუ მონა იყავ  
ცრუთა და ფარსთა...

„ერთხელ შობილი  
ორჯერ არ კვდება“...  
ორი სიცოცხლეც  
ცოტაა იქნებ,  
რომ გამოიცნო  
რა გელოდება,  
რა ცოდვა-მადლის  
საპალნეს ირჩევ.

## კოლექტი ლავა

მთვარეს რომ ღრუბლად გველეშაპი შემოეხვევა,  
ლოცვად დაფეხბა თეთრთმიანი მთვარის ქურუმი,  
ღამეს მგლისფერი გულისპირი ჩამოეხევა,  
ანაზდეულად შეირჩევა მთვარის კულული...

და წამიერად მიძინებულ მთის მდინარეში  
ოქროსთმიანი წყარიშდიდა ჩამოშლილ დალალს,  
მოაჯადოებს მონადირეს გრძნეულ ღამეში,  
მთვარეულივით აატარებს ტყესა და ჭალას.

რომ მთვარის შუქზე,  
მთვარის შემკრთალ სხივთა ციალში,  
წყალზე დამხობილ მაცდურ ქალღმერთს  
შეავლოს თვალი,  
რომ იყოს მისი გულის სწორი ღამის წყვდიადში  
და მარადიულ სიყვარულით უყვარდეს ალი...

## ჩემი ცავი ანუ ჟანერე...

ერთხელ მითხარი, შორს არისო  
ცა, უსასრულოდ თვალუწვდენელი,  
მაგრამ მას შემდეგ,  
რაც შენ გახდი ცის ბინადარი,  
აღარ გიჯერებ...

ჩემიდან ცამდე ანუ შენამდე  
რჩება ხელი გაუწვდენელი...  
და როცა შენს ხელს ჩემი ხელი ჩაეჭიდება,  
ვიცი, ერთბაშად ფერს დაკარგავს  
ზღაპრის სიჭრელე.

ჩემიდან ცამდე ანუ შენამდე,  
არის მხოლოდ ერთი ნაბიჯი,  
ერთი ნაბიჯი სიბნელიდან  
ანდა ხიდიდან...  
და როცა წამში გაქვავდება ათასი ფიქრი,  
ჩურჩულით გეტყვი,  
რომ არც ისე შორს ხარ მიწიდან!

\*\*\*

დიდი ხანია, აღარ ვაწერ ლექსებს თარიღებს  
და თეთრ თაბახებს ქარებს ვატან დასალიერში,  
აღარ მანაღვლებს ეს მტარვალი დრო სად წაიღებს,  
სად გადამალავს – სარდაფსა თუ ბნელ ვოლიერში.

აღარ მანაღვლებს, ვინ დალენავს ქარის წისქვიღებს,  
საკუთარ თავთან, ვით ცარიელ სახლში ვბრუნდები,  
ვეღარ ვერევი საკუთარი სულის სიმძიმეს  
და შემოდგომის ფოთოლივით უხმოდ ვხუნდები...

მიიზლაზნება დრო უდაბნოს ქარავანივით  
და დასიცხული ბაგეებით გოდებს სამყარო,  
მთელი ცხოვრება გაფრენილი ერთი წამივით,  
ბოლო სტრიქონის დასრულებას მინდა ვაკმარო.

სული, დაღლილი ათასგვარი მისტერიებით,  
იავარქმნილი ბაბილონის კედლებს აწყდება...  
ჩვეული სენის ქრონიკული ისტერიებით,  
კაცობრიობა ებრძვის ღმერთს და ისევ მარცხდება.

დაე, დასრულდეს სამყაროსთან ჩემი ჭიდილიც,  
დაე, დაეშვას მეწამული ზესკუნელის ფარდა,  
და ისეთივე დიდებული იყოს სიკვდილიც,  
ვით უკვდავების ღვთაებრივი წუთების განცდა!

\*\*\*

თითქოს დახუჭა მთვარემ თვალები,  
მზერა მოსწყვიტა წვიმის ბორიალს,  
გემბანზე ღმერთივით გაკრული აფრები  
სველ მკერდზე იკრავენ თოლიას.

თავი ჩამოიხრჩო სინათლემ ღამეში,  
ქარის და ტალღების ზრიალში,  
თოლიას თვალებში  
მიმქრალი სიცოცხლე  
ინთქმება უკუნეთ წყვდიადში...

## თოვს...

თოვს და სითეთრით შემოსილ ხეებს  
ჩამოაღვენთა სამყარომ დარღდი,  
თოვს და ამ თოვლქვეშ დამალულ ფერებს  
აქა-იქ მკრთალი მოუჩანს ლანდი.

დღეები, როგორც მარცვალი – მტევნებს,  
სწყდება კალენდარს უხილავ ხელით.  
ფიფქების ფერფლით დაბურულ ტევრებს  
ნელ-ნელა ფარავს ჟამთასვლის მტვერი...

და ხეებს, როგორც გაძარცვულ მხევლებს,  
შემოხვევს ჭირხლი გათოშილ მკლავებს,  
მთვარე სხივების უგზავნის მხლებლებს  
და პირველ თოვლზე ტოვებს ნაკვალევს...

## ცოდნა გარიამ...

ეს სულის ტალახი, ნაგვემი  
ფიქრები –  
ამ მრუმე ლამიან,  
მოდი და წარმხოცე, ვით ცუდი სიზმრები,  
წმინდაო მარიამ!

ყოვლის წამლეკავი წვიმები, წვიმები...  
დღეებიც წვიმებით მთვრალია...  
გრძელი პროცესია უსახო იჭვების,  
სული რომ უეცრივ არია...

არსაით იმედი, არსაით ნუგეში,  
სამყარო ცივი და ავია...  
მიხსენი და შენს თბილ უბეში  
მამყოფე, წმინდაო მარიამ!



ცაცა კუსტიკა

## ხარ ჩემი სისხლის მიმოქმედა

მე ისე მიყვარს ჩემი მიწა,  
ეს სული მისთვის ილოცება,  
სამშობლო ჩემი სიცოცხლეა  
და ჩემი სისხლის მიმოქცევა.

აქ მინდვრად პურის ყანებია,  
ვაზი – სათუთად გასასხლავი,  
სისხლით ნაპოხი, მამა-პაპის  
ქართული მიწა, მკერდნახნავი.

ციხე-კოშკები უძველესი,  
საუკუნეთა ფურცლებია,  
აქ ჩვენი სიწმინდეებია,  
სამშობლო ქვეყნად უცვლელია.

აქ შენთან ჩემი ფესვებია,  
აქ სიძნელესაც მოვერევი,  
ღმერთო! მადლობა სამშობლოსთვის,  
რომ ჩემს მიწაზე მოვბერდები.

## გადლობა გუზას

დიდი ხანია, ოქროსფერი  
თეთრმა შეცვალა...  
შემოდგომაა, წვიმა მოდის  
თეთრი ზოლებით,  
შევეხიზნები სიზმრის კარავს  
და მოგონებებს –  
ტანს რომ მეკვრიან ცხელი  
სუნთქვით და გაზმორებით.  
მადლობა მუზას ოცნებების  
განსაგნებისთვის,  
ახლა ჩემს სხეულს ვიცი, ლექსი  
მოემჭევნება,  
ის ერთადერთი მეგულება თავშესაფარი და  
არასოდეს არავისთვის არ მემეტება...

## თეთრი ჩუჯათას

ლექსო! შენს გვერდით ვარ ბედნიერი,  
შენთან აღარ ვგრძობ მოწყენას, დალლას,  
ჩემს სხეულს ისე აწყდები მუდამ,  
როგორც ლელვის დროს ნაპირებს ტალღა.

ეს შენ ხარ ჩემი თეთრი მწვერვალი,  
სისხლი – ძარღვში რომ გაედინება,  
გულის კედლიდან ჩამონაჟური,  
როგორც ლოცვები და პატივება.

არ მშინებია მძიმე დღეების,  
თუმც ტრიალებდა ბედი უკულმა,  
ეს შენ ხარ ჩემი სიცოცხლის ძალა,  
ჩემი ცხოვრების თეთრი ჩუქურთმა.

## ცავალ...

სადღაც, შორიდან, ამორძალთა  
მესმის ყიუინა და  
ვხედავ, მათი ცხენთა რემა  
როგორ მოგელავს,  
შენი ბაგიდან თბილად წვეთავს  
„გოლუაფირო“  
და შენი „ნანა“ ენგურივით  
როგორ მოლელავს.  
მოსახილველად წავალ ახლა  
წინაპრის კვალთა,  
თავს რომ მახსენებს ჩემი გენის  
სისხლის დასტურად,  
გულში ენგურად და ალაზნად  
გაედინები და  
მკერდში მიჩქეფ ოჯალეშად,  
ალადასტურად.  
შენ შორ წარსულში ილანდები და  
არ მასვენებ,  
კვალო წინაპრის, არსად წყდები...  
ხმაურობ ჩემში,  
მადლობა უფალს! რომ  
მომყვები აუმღვრეველი,  
სისხლიდან სისხლში,  
გენიდან გენში.

## ცეკლის ვეუგონები

მზე ისე ნათობს, საოცარი  
დილა გათენდა,  
წითელ კაბაზე მზის სხივების  
ღილებს ვიკერებ,  
მე უდარდელი ქალის ნილაბს  
მოვირგებ ახლა,  
გავრითმავ ლექსებს და  
ფურცლებზე ჩამოვიმღერებ.  
თუნდაც ერთი დღე უდარდელად  
უნდა ვიცხოვორ,  
რაც ცუდი იყო დავივიწყებ და  
სულ უარვყოფ...  
იმ წუხელ ნანას ცუდ სიზმარსაც  
არ დავიჯერებ,  
ნავალ, წყლის პირას ჩამოვჯდები და  
წყალს ვუამბობ...

## ცეკლი აერვევი

ვინ ნახა ჩემი მლაშე ცრემლები,  
რომ ვიცლებოდი ზოგჯერ სისხლიდან,  
არავინ ჩანდა, მარტო ვიყავი,  
ვგრძნობდი, უფალი მაინც მიხსნიდა.  
შენ ბედი გერქვა და უკან მდევდი,  
თან მოგყვებოდნენ ბნელი ჩრდილები,  
ჩემი დათრგუნვა გინდოდა მუდამ,  
მაგრამ ვერასდროს მიმორჩილებდი,  
სულ ზიმზიმებდა წითლად უდაბნო,  
და მაცვდებოდა ტანზე სამოსი,  
ერთხელაც უფალს წრფელად ვევედრე  
და ცხელ ქვიშიდან წყალი ამოვსვი...

## ლექსალ ვაკცინა

მადლობა უფალს, მტრობის ლაბირინთს  
სიკეთის გზით თუ გამოვაღწიე,  
ვაფერადებდი პირქუშ დღეებს და  
დარდიც და წყენაც ლექსად ვაქციე.  
ო! ასე ვძლიე ათას გასაჭირს,  
ვეფერე ცას და ვეფერე ხმელეთს,  
როცა მიჭირდა, მზე დამნათოდა  
და ვგრძნობდი უფლის უთბილეს ხელებს.  
არაფერს ვნანობ, რაც ქარებს გაჰყვა,  
წუთისოფელში რაცვი დავკარგე...  
სულ ასო-ასო ვკენკე რითმები  
და მზესთან ახლოს ცას მივაქარგე.  
მე და დღეები ერთმანეთს ვზვერავთ,  
თუმცა, ცხოვრება გამრთულებია,  
ბნელ გზებზე სხივი რომ მიმაცილებს,  
ჩემი ლექსების მადლიერი ვარ.

## ლეიქსენე!

ვუძღვნი ყველა იმ ადამიანს,  
ვინც საზღვრებს იქით იმყოფება  
და სამშობლო ენატრება

ო! უფალო! გევედრები, წინაპართა  
ადათ-წესი, რწმენა აღარ დამავიწყო.  
მიწის გულში იმედად რომ მეგულება,  
ქართულ ფესვებს არასოდეს არ მომწყვიტო.  
მიგეჯაჭვე, შენი მიწა მათილისმებს.  
სადაც ფეხი ავიდგი და გავიმაგრე,  
მეც ხომ შენი ფესვის ამონაყარი ვარ,  
შენს თბილ მკერდზე როგორც ღილი, მიმამაგრე.

სამშობლოა, სადაც ვცხოვრობთ, ვიძადებით,  
ჩვენი ბრძენი წინაპარი სადაც იშვა,  
თუ გზას ავცდი, გხევენები, მომაბრუნე,  
სხვაგან ბედის საძიებლად არ გამიშვა.  
თუ ოდესმე გული მწარედ მეტკინება,  
ჩემს მიწაზე თავშესაფარს ვერსად ვპოვებ,  
არ გამიშვა, ამატკი ჩემი ფესვი,  
შთამაგონე, სხვა სამშობლოს ვერსად ჰპოვებ!...  
უშენობის სევდას ვეღარ გადავიტან,  
უშენობით კარგად არსად არ ვიქწები,  
დამიძახე! გთხოვ, დედის ხმით დამიძახე  
თუ ოდესმე ამერია ნაბიჯები!

## როგორ გავძლევდი

მე გავუძელი წლების სიმძიმეს,  
იმედის ძაფით ნაქსოვ მოლოდინს,  
თორემ, ამდენ ხანს როგორ გავძლებდი,  
ლექსო, იმედად რომ არ მყოლოდი!

სანამ სტრიქონთა ლიანდაგს მივდევ,  
ისევ მათროლებს ჩუმი ზმანება,  
სანამ ლექსებად დავიწურები,  
სიცოცხლე ფსკერზე დაექანება.

სამყაროს უხმოდ ვეჩურჩულები,  
ისევ ვისიზმრებ ბავშვობის სიზმარს,  
ლექსის მდინარის ჩერებს მივყვები,  
ღვთისგან ბოძებულს და ნათილისმარს...

მადლობელი ვარ, უფალო, შენი,  
რომ ბავშვობიდან მუზა მეწვია,  
სამყაროს – ასე ფერადს, იდუმალს,  
სულში ლექსად რომ შემოეღწია.

ალილუია, ვჩურჩულებ გულში,  
რომ პოეზიის ნამი მესხურა,  
ლექსები ზურგის ქარებად ქროდნენ,  
ცხოვრების ზღვა რომ გადამეცურა.

## პოეზი

როდესაც მარტო ვარ დარდებთან  
და თავი მგონია ეული,  
ვით ტალღა, მოსკდება რითმები,  
ლექსით მეტბორება სხეული.

გული ამევსება სათქმელით  
და კრძალვით მუზას თავს დავუხრი,  
ლექსებად მოვარდნილ ღვარცოფებს  
გულის პირს გულამდე ჩავუხსნი.

მუზასთან ცაშიაც ვნავარდობ,  
თუმც ბევრჯერ მიწაზე დავეშვი,  
მაოცებს უცნობი სამყარო –  
ფურცლების თეთრ ველზე თარეში.

პოეტი უძირო ზღვაა და  
სიმები – ჩონგურზე მიბმული,  
რითმები – პატარა ბალები,  
ბალები, დედის მკერდს მიკრული.

ლექსები პოეტის სულია,  
მელნისფერ ვენებში ნაბადი,  
სხვა სათხოვარი რაღა მაქვს,  
თუ ლექსთა წვიმაში გავბანდი...



მარა საზამძე

## სიცაჟის სიმუშინა

...და ერთ დღეს ისე განათდა ღამე  
და ცეცხლისფრად ზიმზიმებდა ზეცის თავანი,  
არ მაცილებდი მზერას გამჭოლს, თანაც სევდიანს,  
ნაბახუსევი ნისლი კრთოდა შუბლის ღარებში.

დააბნიე და აოცნებე ნაგვემი სული,  
ასკინ კილათი მივუყვებოდით ნაწვიმარ გამზირს,  
ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ ლამპიონები  
და თაიგული დაცვარული თეთრ პეონების.

მე გაგაბრუე კუზიანი, გონჯი წარსულით,  
და შენ კი – ჟღალი ალიონით შემომენირე,  
და გემო შენი მლაშე ტუჩების  
წყურვილს თანდათან სულ მიმძაფრებდა.

და იყო წამი თავდავიწყების...  
და იყო წამი არდავიწყების...  
და სამწუხაროდ,  
ესეც მხოლოდ წარსულში იყო!

## ვერ გააატივებ!

გაზაფხული თუ უშენოდ მოვა,  
გულში ჩავიკრავ ლურჯთვალა იებს...  
ახლა იწყება ტყემლების თოვა  
და ამ დღეს დუმილს ვერ გაპატიებ!  
სულის ჭრილობა თავს შემახსენებს,  
განსაკუთრებულს ვიცხებ მალამოს,  
სასომიხდილიც მოვიკრებ ღონეს,  
ჯავრი ღიმილით უნდა დავმალო,  
უნდა გავექცე, მეყოფა ძალა,  
ფიქრებს ნაბიჯი ავუწყო მინდა,  
იმედს თუ ჭიგოც გამოეცალა  
და სიყვარულიც თუკი დამუნჯდა.  
წვიმად წამოვალ აპრილის თვეში,  
ვაცრემლიანებ ჩქერზე ტირიფებს,  
ობოლ კიპარისს გავყვები ცოლად,  
როცა სიყვარულს გამოვიტირებ.

## ქოშნის სერვებს დავწენავ

მთებზე ნისლი ჩამოწვა და  
ღრუბლის რაშებს ვკაზმავ,  
სული უნდა მოგიწვიმო,  
გვალვამ რომ არ დაგწვას.  
ალიონზე ძილს დაგიფრთხობ,  
ჩამოგიშლი ნაწნავს...  
და მოთენთილ ლამპიონზე  
კოცნის სხივებს დავწენავ.

## ახლა ისევ გექენ

ახლა ისევ გექებ,  
ახლა გულიც შფოთავს  
და ზაფხული ძენებს  
ოქროსფერად მოწნავს.  
მეც ავცელქდი ისევ,  
სიზმარეთში გინვევ,  
სიო ლექსებს მისევს  
და ამბორი შენი  
მოჭრილ მკლავზე მიწევს.  
მინდა შეგეშველო,  
მინდა აგამღერო,  
ცრემლი აგიცელო,  
კიდეც აგაღელვო,  
მერე... რაღა გვიჭირს  
ერთად თუ დავიწვით...  
ბედისწერამ ჩვენზე  
ყველაფერი იცის.

## გაზაფხულს ვერ გადავიშეჩეთ

საფეთქლებს გიმშვენებს ჭალარა,  
სიწითლეს მალავენ ღანვები,  
უთქმელმა სიზმარმა დამღალა,  
გულის ფსკერს ღამეულს ჩავწვდები.

ჯანღია ფიქრის და ოცნების,  
ნამლეკავს გრძნობების ამალა,  
სანატრელს შორეულს მოგწვდები,  
სიყვარულს ბავშვივით არ ვმალავ.

გაკოცებ გაბუტულ ტუჩებში,  
ერთმანეთს კვლავ დავაიმედებთ,  
ამ ხანძარს ვერ გადავურჩებით,  
გაზაფხულს ვერ გადავიმტერებთ.

## გავატივთ, ხევები!

ბოლო ზარზე, სამების ტყეში,  
ხეებზე ჩვენი სახელები ამოვჭერით

ნეტავ რატომ დადუმდა  
ბერი შიოს სამება,  
ანდა რად მოიწყინეს  
თეთრმა იასამნებმა?  
ზეცა ლურჯად ციალებს,  
დაინთება კოცონი  
და ჩვენს ინიციალებს  
ქარი ვნებით მოკოცნის.  
მაშინ ვერც კი ვხვდებოდით,  
სისასტიკის ნაკვალევს,  
ხის გულ-მკერდზე უღმერთოდ  
ვჭრიდით ჩვენსავ ვარსკვლავებს,  
ახლა მათი სიჩუმე  
სივრცეებსაც აკვირვებს,  
გაზაფხულა ნიავი  
ხვევნა-კოცნით აპირებს  
მოუშუმოს ჭრილობა,  
ახალ ჩოხას დაპირდეს...

## სიკვარეულის გამხელა

შენთვის ჩამოვხსენ ზეციდან  
ძილმორეული მთვარე,  
ფერხთ დაგიფინე ვარსკვლავნი,  
გაგიცისკროვნე არე.

ფრთამოტეხილი დღეები  
ცხელ გულზე დავითვალე,  
ლამეს ფირალად დავეცი,  
მუზებს მოვტაცე თალე.

შორიდან გულს დაგიტყვევებ  
დახანჯლულს, ნაიარევს...  
ჩემსკენ დაგრჩება თვალები  
ახლოს თუ ჩაიარე.

ნისლებს მოვწველი მთებიდან  
და დაგარწყულებ ბეჩავს,  
საჯიხვეებზე გაგიშლი  
ბედის ნაქვრივალ ლეჩაქს.



## განა სუკაძე

\*\*\*

სოფელს მთვარისკენ გაუწვდია სველი თათები  
და უკვე ქარმაც სექტემბერი წელში მოტეხა...  
ხვალ დილით ისევ ქალაქისკენ მივემართები,  
შენ... ვერ მოდიხარ.

თანდათან ცაში იზრდებიან ღრუბლის ჭუპრები,  
შემოდგომა კი დაყრდნობია სოფლის ხარიხებს.  
მე კვლავ ქარიან ამინდებზე გესაუბრები.  
შენ ხმას არ იღებ...

## სამი გეთევზე

იყო ბავშვობა, ცხენი გვყავდა, წაბლა ფაშატი,  
 ტანად მაღალი... შუბლზე ჰქონდა მოთეთრო ლაქა  
 და შორიდანვე ანათებდა თავის ყაშხათი...  
 და როცა ნაცნობს დალანდავდა, იწყებდა ფრუტუნს.  
 მამაჩემი კი გაახვევდა ქაღალდში თუთუნს,  
 მზის ამოსვლამდე აიღებდა კეხსა და ლაგამს,  
 ცხენს შეკაზმავდა...  
 და მივდიოდით სათევზაოდ, წესია როგორც,  
 მე, მამაჩემი და ჩემი ძმა ალაზანზე,  
 შვიდი წლის ვიყავი, მაგრამ განზე  
 მე არ დავდექი  
 და დავიჭირე ჩემი წილი – პირველი ლოქო.

ხმელი ანკესით ვთეზაობდით გაღმა-გამოლმა,  
 სატყუარაზე მდინარესაც გაეხსნა მადა  
 და გადაყლაპა წედლი ჭია – ვებრძოდი ნადავლს...  
 ხოლო ბამბუკზე დაჭიმული დამძიმდა ძუა,  
 როგორც მძიმდება მოგონება ბავშვობის წლებზე,  
 მე დავიჭირე ჩემი წილი... და საღამოხანს  
 ჩვენ გავიყავით მჭადი, ყველი და ხმელი ყუა  
 და ნაკვერჩხალზე უმარილოდ შემწვარი თევზი.

ღამით ურემზე წამოვწექით, გვერდით კი გვენთო  
 დიდი კოცონი ნედლი შეშის უსმენდა შიშინს,  
 ყურდაცქვეტილი ჩვენი წაბლა, დამფრთხალი ერთობ...  
 და შიშით გვიახლოვდებოდა უცნობი ჯიშის  
 კივილი ტყიდან... ყეფა ტყიდან... ყმუილი ტყიდან...  
 ძმას ჩავეჭიდე, ის კი მამას... მამა – ურმიდან  
 დაბლა ჩავიდა, დაიძახა (იმ შიშად ღირდა):  
 –ე –ჰე –ჰე –იიი!.... და ტყეს ექომ გადაურბინა.

ხოლო უცხო ხმა მისამარდა, იქვე, ბუჩქებთან  
 და ფეხაკრებით გაიპარა მდინარეც მდორე,  
 გვიან ღამით კი, როცა წაბლას შარდი მოჩქეფდა,  
 მთას აზღუდიდან გამოუჩნდა გავსილი მთვარე,

მერე კი ცხენი მშვიდად მოდგა ურმის ჭალებთან,  
გათენდა... და ჩვენც გამოვბრუნდით ლამენათევზე  
და მახსოვს, გზაზე როგორ დინჯად მიჭრიალებდა,  
ერთი ურმით და ერთი ამბით – სამი მეთევზე...

## ლეგენდა

– რაო, მეფე ერეკლეო?  
არა, ეგ ტყუილია. მე ქლიავი თავზე  
გადმოვაყარე სპარსელს, თათარს...  
**იაკობ გოგებაშვილი**

მახსოვს, ყვებოდა პაპაჩემი – მთვარის მლესავი,  
როგორი ქუდი დაეჭურა უნდა ჩემიანს...  
ახლა კი ვხვდები, მატიანეს სანიშნესავით  
ვიწრო ორლობე ჩაკეცილი რად ჩარჩენია  
გულში... ვფიქრობ და ვიცი, ჩემში ჯავრი არა ზის,  
რადგან ვარდები, მჯერა, მუდამ არც მას ეფინა,  
ამის გამოა, იღბალმა რომ იმ ერთ შარაზე,  
სპარსული ქუდი რკოსავით რომ გააგდებინა...  
ღმერთო! მეორედ, ალბათ, მაშინ დაპატარავდა  
კახი, სირცხვილით რომ აეწვა მკაცრი პირ-სახე.  
გაქცეულ გოგოს გაეკიდნენ სახლის კარამდე,  
ბოლოს პირჯვარიც ქართულადვე გადაისახა;  
წარსულს ვმუჭავ და ამ კადრებსაც ასე ვატარებ,  
ვებლაუჭები ღრმა ფესვებს და მჯერა, დღითიდლე,  
რომ ორლობეში ვინმე სპარსი, ანდაც თათარი,  
სანამ მეორედ გაბედავს და ჩამოივლიდეს,  
მანამ მრავალგზის გამოივლის ბედის სიავე,  
ან უფრო ხშირად დაირწევა მუხის აკვანი...  
და პაპაჩემიც მთელს ბავშვობას გაუნიავებს  
ამბავს, რომელმაც დააღონა მეფეთაგანი,  
ამბავს, რომელმაც გულის ფსკერზე ბედი მოკონა.  
ვხვდები, წარსულში აიბლანდა ჩემი სამყარო.  
კაცი არა ჩანს – გაიაროს, თორემ გოგონა  
აქ ისევ იცდის, ქლიავი რომ გადმოაყაროს...

## ურთლებები პეპეგით

ქალაქში ფანჯრები მიხურეს,  
ქარმა კი ამინდი ჩატეხა...  
მეც ბნელი თვალებით გიყურებ  
კიბეზე თუ როგორ ჩადიხარ.

ნაცნობი ქარები ბერავენ  
და ვფიქრობ ცხოვრების დრამაზე,  
რომ ჩემგან, ძვირფასო, ვერავინ  
ვერ წავა შენსავით ლამაზად.

მერე ცა მიწამდე ეშვება  
და მზერას მიჰყვება ქალაქი.  
ქუჩას კი ფოთლები პეშვებით  
მოაქვს და კარებთან ალაგებს.

\*\*\*

ნახე, უკვე მოჩანს, ჩვენი ბილიკები, ბეშგილ,  
ძველი სიზმრები კი თითქოს გაკვანძულან მთებიდან.  
გახსოვს ბავშვობაში, მთებზე ღამდებოდა... ქვეშ კი  
იდგა სოფელი და ერთგულ ნაგაზივით ყეფდა.

ჩვენი გზებია და თვალი გავუსწოროთ მომხდარს,  
მოდი, ჩვენებურად, წარსულს გადავხვიოთ ხელი;  
თორემ, ძნელი არი, იდგე თავდახრილი ქოხთან,  
როცა ბრუნდები და იცი, აღარავინ გელის..



რეაქცია კულტურული განვითარების

## გული ღა გვირე

დროს ვერ ვეწევი,  
გამაოგნებელ სისწრაფით მსრბოლავს,  
დრო ისე მიჰერის,  
ჩემს ბავშვობას და ყმაწვილობას  
სულ არა ზოგავს.  
დროს ვერ ვეწევი,  
ალბათ, ამიტომ ვერც სიბერეს ვგრძნობ,  
გული არ მომდევს  
და ხანდახან ტვინსაც ვერა ვცნობ;  
ორივე ერთად ბავშვივით ანცობს –  
დასცინის სხეულს,  
დარღვეულ ფორმებს, ნაოჭებს, თმის ფერს...  
გული და ტვინი  
ვერ ჰგუობენ, რა ვქნა, სიბერეს...

## მეტი არაფერი მიღება

ეს დღეებიც ძველ ხურჯინში ჩავალაგე  
და საპალნედ გადავკიდე წარსულს,  
ცხოვრება კი ვერაფრით ვერ დავალაგე,  
წამით შვება ვერ მივეცი ჩემ სულს.  
წყენა თუკი ვინმესგან შემხვედრია,  
კვლავ ძველ სკივრში მივუჩინე ბინა,  
მადლი უფალს, თუ შევძელი დადუმება...  
მე სხვა მეტი არაფერი მინდა...  
თუ ერთხელაც მარტო დავრჩი მაცხოვართან,  
სულ ყველაფერს მოვუყვები ნეტარს,  
მე არაფერს დავანახებ მუქ ფერებში,  
რადგან თვითონ უკეთესად ხედავს.

## ...ჩრდელიც არ ჩანს

მიწისფერ ქარებს და ზამთრის ფერებს  
თუ გადავურჩი,  
მოვა ზაფხული...  
და გაზაფხულით ნაფერებ მიწას  
მიუალერსებს  
მზე არნახული...  
ზამთრისფერ დღეებს, დაცლილ გულებს და  
გაცრეცილ ფრაზებს  
თუ გადავურჩი...  
მაგრამ მგონია, ეს გაზაფხულიც  
უჩემოდ მიჰერის,  
ჩემი ქვეყნის ლაჟვარდებიდან  
მზე სხივთ არ მაყრის...  
აქ ისე ცივა...  
ცარიელ ქუჩას  
და შორს რკინიგზას  
ვხედავ მხოლოდ დიდი სარკმლიდან  
და ვეძებ გზას შინ დაბრუნების,  
რომელიც არ ჩანს.

\*\*\*

ანკი ვინ იცის, მწარე გამოცდას  
კვლავ მერამდენედ ჩაგიტარებს  
ურცხვი ცხოვრება.  
მზად უნდა იყო გაფრენისათვის,  
თუკი მიწაზე არ გეცხოვრება!

### ვიღებ ქარები...

ვიდრე ქარები წამლეკავენ უდაბნოს ქვიშას,  
ამ გზას მოვყვები ნელა-ნელა შინისკენ მავალს,  
გულის წყლულები მიშუშდება, სხვა არა მიშავს,  
აღარ ვემდური აღარც ჩემს თავს და აღარც მავანს.

მხოლოდ ფერება და ალერსი მინდა მე შენთან,  
რისხვას ნურასდროს გამოიჩენ ჩემს მიმართ, გვედრი,  
ოცნების კოშკი შენთან ერთად მსურდა მეშენა,  
თუმც დრომ წაიღო გაორება ჩვენი, არ გყვედრი.

გადმოვიქროლეთ გრძელი ხიდი პატარძეულის,  
შენკენ მომაფრენს „მიკრობუსი“, ვიცი, მომელი,  
სიჭარმაგეს არ გვიხალისებს ჩვენი ძე-ნული,  
სიბერეს მაინც თუ შეგვივსებს ნეტავ, რომელი?!

ახლა ჩვენ ორნი შევრჩით სოფელს, როგორც მშობლები,  
(იამაყებენ, რომ ენახათ ჩვენი აქ ყოფნა),  
ახლა სიბერეს გავატარებთ, როგორც ობლები,  
არცერთი სიტყვა წარსულზე და ყოფნა-არყოფნა.  
ვიდრე ქარები წალეკავენ უდაბნოს ქვიშას...

## მერლოზ გან იში, გააპ ჩენო!

დავბადებულვარ წვიმიან თვეში,  
შემოდგომურა დამყვა ბუნებაც,  
მე კი მერჩია ყვავილთა თქეშში,  
მაგრამ უფალმა ასე ინება.

ჩამოიშალა ნისლის ჭაღარა  
და თურმე სევდის ცრემლად ცრიდა,

რაც გაზაფხულზე ვერ ჩამოღვარა,  
სულ შემოდგომით თურმე ატირდა.  
და მუზაც ტირის მთელი ცხოვრება,  
დარდად და ცრემლად რომ დაილია,  
ამ ცხოვრებაში მინდა ცხონება,  
ბედნიერება და იდილია.

თორემ გაფრინდა თვალს და ხელს შუა  
დრო, თანაც განა ისე პატარა?!  
ჩემი ცხოვრება ღმერთის ხელშია,  
ხან წყვილად, ხანაც კენტად მატარა.

ღობეზე ამხტარ ბრონეულივით,  
მიწაც ნატკენ მუხლებს მაჩვენებს.  
ეს ჩემი აკვანია დარწეული,  
იქ, ჩემი წარსული ისვენებს.

რამდენჯერ მკვდარი, ანდა მოკლული,  
ისევ თავიდან ვიწყებ ცხოვრებას,  
აღმართი ჩემგან ცრემლით მორწყული  
თუ მაპატიებს ამ გაორებას,

დავახარისხებ წარსულ ოცნებებს –  
ახდენილებს და აუხდენელებს,  
აუხდენელით კვლავ ვიოცნებებ  
და შესაფერისს მივცემ სახელებს.

ამაჩანჩქერე ისევ ლექსებად,  
შემომაძარცვე სულზე სამოსი,  
არ დამიკარგავს პოეტს ღირსება,  
თუმც გულში მუდამ მქონდა ქაოსი.

მეყო, სამსალას გავუგე გემო,  
ახლა ცუდისთვის კარი ჩავრაზე,  
მხოლოდ შენ იცი, მამაო ჩემო,  
რა ჩასახე და ჩემს სულში რა ზის.

შვილიშვილებით სავსე მაქეს კალთა  
და შემოდგომით ვითვლი წინილებს,  
ხმამაღლა ვლოცავ ღმერთის სამართალს,  
ტკბილ-მწარეს ასე რომ მინაწილებს.  
მხოლოდ შენ იცი, მამაო ჩემო –  
რაც ჩემი არის, თუ რატომ ვჩემობ!

## გაცემას პოეზი

მისაყვედურე, რატომ არ წერო...  
წერას რაც უნდა, პოეტმა იცის,  
მუზას, როგორც ბავშვს, მომიტანს წერო  
და მეტყვის, ახლა მოეშვი ღლიცინს...

განწყობა ძლიერ გამისხეულდა,  
ფრაზებს მოა კლდა სურნელი სულის,  
ლექსი მოსვლამდე გადახეულა,  
გზად დასცემია სული ავსული...

ამ ღამით, ვხედავ, ვძლიე განწყობას,  
ამიფათურდა სულში სიტყვები,  
დავნებდი მშვიდად ამ ლექსის წყობას  
და მეგობარო, ხედავ, მივყვები...

ზამთრის სითეთრე და გაზაფხულის  
სივარდისფერე ისევ მაოცებს,  
ავი განწყობა რბის დაზაფრული,  
ვითვლი ფიფქთა და ყვავილთ ნაკოცნებს.



## მართი ლექს

გასაუბრება, სოხუმი და ჩინეთის ჩინ და უსრულებელ ცალიერება

ეძღვნება, შერვაშიძე – ჩაჩიბას სახ. სამხატვრო სასწავლებლის  
დირექტორის – ვიტალი ლაკირბას და ზორა შარმატს.

თქვენთან შეხვედრას, ისე მოველი  
და თუ სამყარომ თავად ინება,  
იმ ნატურმორტში – ლაქა ყვითელი,  
უნდა ვაქციო მანდარინებად;

და პეიზაჟში, იმ საზღვრის ზოლებს  
გადავაკეთებ, პორტის თვალებად  
და ზედ ტალღების ლურჯ ჯირაზოლებს  
დავსვამ, წამწამთა ნორჩ სულთანებად.

იმ ჩანახატში, მრუმე ამინდებს  
აქ გავანათებ, ამ ასოებით  
და შავი ჭურვის გრძელ პირამიდებს  
დავტეხავ, კალმის პიკასოებით.

მაგრამ რა ვუთხრა იმ მოდელს – ვოვას,  
ჩემს ნახატში რომ იჯდა ნებივრად,  
საპოზიოროდ რომ ვეღარ მოვა,  
იმ ომის გამო, დარჩა ხეიბრად.

Թուսո პորդրեցո սաելուս ցարդեքմա  
զեր օկտնես, տუրմե տավշապոծուլո  
ացգուա, ტպանուս լուսարդեքմա  
համույցանուց նանո პրոցուլու;

Թուսո սատալուս տետր սերվանքունան  
գաճառապանուլա, մուղու լուս ցոնու,  
թուսո ցուգարուս մասու ծանքունան  
գաճառապանուլա, մուրեցու մուգոնու.

Թաս մերե, ցոյնչուտ առ մենցերեծա,  
յս հիմնու, մեսագրուս ճալունաս յագրուս,  
թուագունատ ցանքրեծա, ցուշուսն վերեծու,  
զեր զելուրսեծա, զան ցոցուս մունդուրս!

Ճա პուշուադ նամուուրա,  
րապ մեսագրուս նուխմա առ ճամացալա,  
մե մենագրեծա կը լու սոմլուրա,  
„քա՛մու ծոյծսարա“ ճա „մաքմացարա!“

Թամլուրետ - „ուցա, ուժեա, ծաքիարա!“  
մե հիւենմա մուրուամ, զեր մումուրուցա,  
թամլուրետ, տորեմ մուղ ահագարաս  
ցաճմուուսագրազ մուրդու, սուրունցադ!

Ճորո ամ սույզարուլս զերագուրուտ ճագլացս,  
սալունազեծուս նուտուս մուրոնսմաս,  
հիյմու մուլիւրուտ առ մուսպուտ, սագլացս,  
ահիւյյետ, զոնմե ացեանու ցուրոնսմանս!

## ლაქუ - ლექსისად გადათარგმნელი

ლამე თარგმნილია - ჯადო ავიხსენი,  
მასზე არაფერი იქნება, არც ვწერო და  
იქნება, მოვიშორო წერის ავი სენი,  
იქნება ჩამოვიდე, მთვარის კენწეროდან.

ბედთან თამაშია ლექსის დაბადება,  
მაგრამ დავამარცხე ლამე, მზის კარტებით,  
მისი ჩამოკვნეტა, მე არ დამბრალდება,  
ლექსებს ვაკორტნინე, ბასრი ნისკარტებით.

მე ლექსს ავუშენე ღრუბლის მიზგითები,  
ხატად დავუკიდე ოცნების ტრიადა,  
ფრესკად მივუწერე ცრემლის იზიდები,  
მათი ოკეანის ტალღა დატრიალდა;

ისე გადარეცხა რითმის ნაპირები,  
იყო პოეზიის „ზარზმის“ გლოვის ზარი,  
მე რომ მეგობართან კრუიზს ვაპირებდი,  
თურმე, ის ყოფილა — ძველი ბალთაზარი!

მალე გამჟღავნდება ყველა სივერაგე,  
ვერვინ გაექცევა მართალ წუთისოფელს,  
მალე დაბრუნდება ყველა ბუმერანგი,  
ყველა გადაკოცნის თავის მეფისტოფელი!

თავის სიბოროტეს, ვერვინ იუარებს,  
უკვე დაღმარზეა მთელი ის ფერხული,  
მალე გადაშლიან ცოდვის მემუარებს,  
გადაიზომება, ყველა ნაფეხური.

წერას, ეს სამყარო, ყველას არ ავალებს,  
ზოგს რომ ცხვარში უშვებს, ზოგსაც — სერვანტესში,  
მე მან განმარიდა მიწის კარნავალებს,  
რადგან გამომფინა ზეცის სერვანტებში.

ფუჭად ამ ბუნებამ ვის რა დაურიგა?  
 სხვა რომ თავს იკლავდა, სწავლა – განათლებით,  
 მე ამ სულ უბრალო კალმის „ბრაუნინგმა,“  
 დროში მასროლინა, სიტყვის კამათლები.

ჩემთვის ამ სამყაროს, სული მიუბია  
 ისეთი ხალასი, დრო ვერ გაახუნებს,  
 ჩემში პოეზია სულის ტრიუმფია,  
 კალმით, უკვდავების კარს რომ უბრახუნებს.

\* \* \*

ვიხატავდი ცის ამფორას, მზის მირონით სავსე დოქებს,  
 მიმტვრევდნენ და მილენავდნენ, იმ დოქსა და იმ ამფორას,  
 ჩემში, ლექსის გალილეო მაინც ვეღარ დააჩოქს,  
 ვერ გახადეს, პოეზის პლანეტების ანაფორა.

უკვე გზები გავიკვლიე ლაბირინთში, ამ უკუნის,  
 სტრიქონებშიც ამოვხსენი ყველა შიფრი, ამ ფაილთა,  
 დედამიწას დავაჯახე პოეზია, საუკუნის,  
 ბებერ დოგმებს ვუღალატე, რომანტიკის რაფაელთან!

უკვე ისიც გაიშიფრა, ამოიხსნა ის კოდები,  
 რა ზღაპრებზეც მაწერინა, წრფელი ცრემლის იმ მელანმა,  
 ჩემში, ისე იღიმოდნენ პოეზიის ჯოკონდები,  
 ვნების ხატთან დააჩოქა, თავად მუზის ტამერლანმა!

ის ევა ვარ, ადამისთვის თვით სიცოცხლე რომ გარისკა  
 (შევუმოწმე, სიყვარულის ერთგულება, ყველა ტესტზე),  
 მე მან გულზე დამახალა, თვით ლალატის ბალავრის ქვა,  
 მაგრამ ის ქვაც ავიტანე პოეზიის ევერესტზე!

ახლა ლექსის დიდლოჟამდე ეს სტრიქონი თუ ავიდა,  
 იმიტომ, რომ არ უვლია მედროვის და მონის გზებით,  
 ალიონი ამოიჭრა მისი ლამის პერანგიდან,  
 ღილის ლურჯი სკვნილებით და ბალთის თეთრი მონაზვნებით.



ნიკა გურიელი

## სიცოცხლე ღირს

აპრილს ვაცილებ, იასამნის ხესთან დავუცდი...

არ მემეტება, იგი მიყვარს ყველაზე ძლიერ,  
ცხელი ვნებების ასაკს მჯერა, უკვე გამოვცდი,  
მაგრამ ლექსებში შემონახულ გრძნობებს ვერ ვძლიე.

სულის სიღრმეში კვლავ ვაცელებ ბაფთიან გოგოს,  
დახვეული თმა მხრებზე დაყრილ ტალღებს რომ ჰგავდა,  
არავინ უწყის წარსულის ხმა ჩამესმის როგორ,  
ლალი მუზის და არეული სტრიქონის გარდა.

გაზაფხულია, მთელი თავის დიდებულებით,  
აქ, ჩემს ეზოში ჩიტმა ბუდე აიგო კიდეც,  
ოპტიმისტი ვარ, შეუცვლელი ზნით და ბუნებით,  
იმედი რომ არ გამეყინოს, მზეზე გავკიდე.

კარის სახელურს იჭვნეულად შევცქერი მალვით,  
კაჩხაზე ნაზად დალივლივებს სამოსის პლისე,  
მაღალი ყელი დავიმშვენე ყვითელი ქარვით,  
სახეზე თეთრი უმარილი წამს წავიგლისე.

ტანზე მოვირგე სიმარტოვე, გავედი გარეთ,  
ღრუბელს ავხედე, წვიმის სუნი ყნოსვას გაუჯდა,  
ქოლგა გავმალე და ლაბადა შემოვიფარე,  
იდგა სიჩუმე, ეს სამყარო თითქოს დამუნჯდა.

ქუჩაში ცამდე აშოლტილან კიბარისები,  
თვისსავე მტკვერში მოგანგლულან ხეები ფიჭვის...  
აქა-იქ თითქოს გაიელვებს თვალის ისრები,  
სხვა ნაკვთი არვის აღარ უჩანს და ცნობა მიჭირს.

ასე ეულად მოვიარე ბალი და სკვერი,  
დავბრუნდი სახლში ტუჩზე ღიმით, შევჩერდი ზღურბლთან...  
ბევრი ვიფიქრე და ბოლოს კი ეს დავასკვენი, —  
სიცოცხლე ღირს და ოცნებებსაც არ შევიზღუდავ.

## II ე ვიზერვარო

სანამ მაისი გუდა-ნაბადს ნელა აიკრეფს,  
გაზაფხულსაც თან წაიყოლებს ჭრელ-ჭრულა ბოხჩით,  
შეყვარებულებს მიმოაბნევს ცისფერ საფირებს,  
გრძნობებს კი ყველას დაგვირიგებს ჯადოსნურ ხონჩით.

ნახანძრალ გულებს შემოავლებს ნაზად მარმაშებს,  
ნაგროვებ სევდას შეისრუტავს, თითქოს არც იყო,  
მერე მოირგებს ფიქრით ნაქსოვ ფერად გამაშებს,  
თვალით მანიშნებს — მე წავედი, არ დაშივიწყო.

ჰოდა, ძვირფასნო! სიყვარული სულ ვამაისოთ,  
ნულარ გადავდებთ ხვალისათვის, სითბო დღეს გავცეთ,  
ეგებ პასუხიც ვერ მივიღოთ, მაინც გავრისკოთ,  
ისე ვიცხოვროთ, რომ ჯოჯოხეთს როგორმე ავცდეთ.

## ეკანეკელ ზოთოლება

როგორ არ მემეტება, გამშორდეს იდილია,  
შემოდგომის ფოთლები მწყინს ჩემგან რომ მიდიან,  
ფარფატებენ ჰაერში, მისამართი შეშლიათ,  
სანამ დაბრუნდებიან, მე დარდები შემშლიან.

შარიშური მაფხიზლებს, ვაცილებ, ვერ ველევი,  
ქარებს, მათგან მონაბერს, ვიცი ვერ მოვერევი,  
ერთი სახეს მფენია, ასლი მრჩება სახსოვრად,  
მე კი გავუფრთხილდები, მან თუ დამიმახსოვრა.

ნოტებს სევდიანს დავწერ უკანასკნელ ფოთოლზე,  
სანამ მიმატოვებდეს, სანამ სულში მოთოვდეს,  
მეც ერთი ნაბიჯი მაქვს დარჩენილი ზამთრამდე,  
შენ, ჩემო შემოდგომავ, როგორ არ მსურს დამთავრდე.

ისე მიჭირს ვიხილო ფოთლების აგონია,  
მათთან ერთად მოვკვდები, მართლა ასე მგონია,  
თუ არვინ უპატრონა, მარტო მივეაჯები,  
მათვე გაშლილ ფარდაგზე ჭირისუფლად დავჯდები.

მე რექვიემს დავუკრავ, ცა ცრემლად დაიღვრება,  
შიშველი ხე, მწუხარი წელში გადაიხსნება.  
ბუნებაა ასეთი, მეც გადავსხვაფერდები,  
წლები მემატება და მათსავით დავბერდები.  
თვალში სხივი თუ ჩაქრა, თუკი გამოვიცვლები,  
შემოდგომის ფოთლებთან ერთად გარდავიცვლები..

## აპარატ ვიცლი

ეს შემოდგომაც გამეპარა, დრო რა სწრაფია,  
გაშიშვლებულა ჩემი ფიქრიც ამ ხეებივით,  
ფოთლებზე დავწერ სათითაოდ ეპიტაფიას,  
ქარში გავფანტავ წუთისოფლის ნახევებივით.

ისევ მაშინებს ძველებურად ზამთრის სითეთრე,  
ფანჯრის მინებზე მოხატული სევდის ბწკარები,  
შეციებული მუზა ღამით ისე იფეთქებს,  
რომ მაიძულებს, ლექსი ვწერო ასე წვალებით.

რადგან უმზეოდ სტრიქონებიც შებოჭილია,  
გზას ვერ იკვლევენ, ნაცრდებიან უმისამართოდ,  
ყინვა სარკმელში ყაჩაღივით შემოჭრილია,  
ამ ახალშობილ ლექსი მომიკლავს უიარაღოდ.

თუმც მე ვერ მომკლავს თვით სიკვდილი, წლებს მოვერევი,  
არ მსურს სიბერემ დამამარცხოს, ვიქცე უმწეოდ,  
როგორ დავძლიო სიძულვილის შავი მორევი,  
ვფიქრობ, სამყაროს ეს რეცეპტი გამოვუწერო.

თუ გავაცოცხლებ ჩემში ფერად ახალგაზრდობას,  
დავიბადები გაზაფხულზე ვენერას ხიბლით,  
კვლავ სიყვარულებს შევაგროვებ სულის საზრდოდ და  
ამურის ვწებით გაუღენთილი ამაყად ვივლი.

## არ გვეგების


ბორგავს სამყარო, უამი გვიდგას გამოსაცდელი,  
უნდა გავუძლოთ, არ გვეგების გადაშენება.  
ბევრი ჰქონია ისტორიას ღრმა განსაცდელი,  
მეც მოვესწარი ნუთუ ამგვარს, თუ მეჩვენება.

ასე მგონია ზმანებაა, ოლონდ ხანგრძლივი,  
ფერი დაკარგა შემოდგომამ, ცამ მოიწყინა,  
რა ცოტა არის სიკვდილამდე თურმე მანძილი,  
რა ბედნიერად გვიცხოვრია, ღმერთმა გვიწყინა.

ამ წვიმიან დღეს მახსენდება ძველი ამბები,  
ლალი, გულთბილი შეხვედრები, განცდა ორმხრივი,  
ხან კამათი და ხანაც კიდევ დითირამბები,  
სახლში რომ მთვარე მაცილებდა წელში მოხრილი.

ზამთრის ცივ დღეებს ისე ვუფრთხი, ვით ბარტყი ჩიტის,  
მუზა შევმოსე უთბილესი რითმების ქურქით,  
მე მირჩევნია მეცვას კაბა ჭრელ-ჭრულა ჩითის,  
არდროს მხიბლავდა ღრუბლები და ფერები მუქი.

უიმედობას შევებრძოლოთ, ცუდი სენია,  
ეგებ ინებოს განგებამ და გადაგვარჩინოს,  
ნუთუ გაქრება ცნობიერში ის, რაც ჩვენია,  
ვერავინ შეძლებს, რომ სიყვარულს გადაგვაჩვიოს.



## მასან ჯანჯურავა

### ჭილაძის მოზივეგილან

„...და დღე, რომელიც უშენოდ მოვა,  
მხოლოდ გარედან იქნება მშვიდი“.

უშენო დღეთა იკვრება წრედი  
და ეს დღეც ისევ უშენოდ მოდის,  
მე შეიძლება ჩიტებზე ვწერდე,  
მაგრამ შენ მაინც მიმიხვდე მოტივს.  
წვიმებით მკლავებს ცა უსვამს წერტილს.  
მთავრდება ფრთები, შორია ცამდე  
და თუმცა ღმერთზე რა ცხადად ვწერდი,  
მე მხოლოდ შენი თვალების მწამდა.  
ხდებოდა ისეც, კარებთან წერტის  
ჰქონიათ კაცებს კამათი ვრცელი  
და როცა უცნობ ქალებზე ვწერდი  
ფიქრები შენზე – ეს ბასრი ცელი –  
კისერზე მედო. ჰაერი ხმელი  
ფოთლების მსგავსად იწევდა ქვევით,  
იჭერდა სული საკუთარ ხელით  
უშენო სხეულს და ცეცხლის ქვები –  
ფიქრები ჩემი – აჩენდნენ ხანძარს,  
სდიოდათ კვამლი ხან ქვების, ხან ხის  
და შენით, როგორც თბილისის ანძით,  
კვლავ მოხიბლული რჩებოდა ხალხი.  
ასეა ახლაც, გრძელდება წრედი,  
მიათრევს სხეულს ფიქრები ცამდე,  
მე შეიძლება ჩიტებზე ვწერდე  
და მხოლოდ შენი თვალების მწამდეს.

\*\*\*

დროდადრო ქალაქი სულ უფრო ლაკონურ  
ქუჩებით იწყება ფინჯანი ყავიდან,  
ღრუბლები – წვიმების მოთეთრო ფლაკონი,  
ფიფქები – თებერვლის ნაცნობი ყაიდა –  
ხლართავენ განწყობას ათასგვარ მანერით,  
სიმძაფრეს უზავებს ამინდის კეცები  
და შენი თვალები – სამყაროს ბანერი,  
ხან უფრო – პროგნოზი კაცის ან კაცების –  
იხდენენ ქალაქის ახლანდელ ვერსიას,  
შელებილ გამზირებს, ქუჩებს და მიკროებს,  
ხვდები, რომ სიცოცხლე ცის იქით ლექსია,  
რომელშიც ეტევა ათასი მიკრობი,  
ან უფრო ვირუსი, ჩეირი და ყაისნალს  
ადრიან პოეტებს დროიდან უხსოვარ  
და ხშირად, თავი რომ მიწისგან დაიხსნან,  
ქალაქებს ლექსების გამზირებს უქსოვენ  
და მერე სხეულებს ასფალტებს ესვრიან,  
ზოგჯერ კი გზადაზგა ქვაფენილს იკრობენ  
და შენ კი ქალაქის ახლანდელ ვერსიას,  
შეფერილ გამზირებს, ქუჩებს და მიკროებს  
ინახავ თვალების მსუბუქი ფლაკონით,  
უზავებ მწერლების შერჩეულ ყაიდას,  
რადგანაც ქალაქი სულ უფრო ლაკონურ  
ხალხით და ქუჩებით იწყება ყავიდან.  
ვშიშობ, რომ სამყარო, უბრალოდ, შედედდეს,  
შეხორცდეს ღრუბლების მოთეთრო ფლიგელი,  
ან მთელი ცხოვრების მარტივი შედეგი  
დასრულდეს ფერადი მადლობის სიგელით.  
და რადგან გინდა, რომ სამყარო დაიხსნა,  
შემორჩეს შენს ქალაქს ცის თხელი ბანერი,  
მსუბუქი თითების შენც იღებ ყაისნალს  
და ხლართავ სამყაროს ათასგვარ მანერით.

\*\*\*

თვალების ცაზე ჩანს ია...  
სხეულზე – ნესტი და უანგი.  
სიკვდილი უფრო შანსია,  
სიცოცხლე უფრო – ხაფანგი!

\*\*\*

კარიდან გავალ, მაგრამ იმ კარებს  
უშენობა რომ დაიზეპირა,  
ვერ ვპატიობ და ვეღარ ვიკარებ  
გადამრავლებულს თითქოს ექვს პირად,  
ექვს სახელურად, და შენ, სამოველ...  
“უსამოსელოდ” ვფიცავ, არ ვივლი,  
სულში კი ღმერთი ისე ამოვა,  
შენს ბაგებზე, როგორც ყვავილებს  
(ანუ იმ დღეებს, ანუ იმ კარებს),  
უშენოდაც რომ მზეზე თბებიან,  
დააქვთ სურნელი, სხვა რომ იკარებს,  
უცხო სიტყვები, ხმა და თმებია...  
და იქ, ღრუბლებში, სადაც კარები,  
კარგავენ აზრს და ყველა ლოგიკას,  
გაჩუმდი მაინც, სხვას ნუ იკადრებ:  
უშენოდაც რომ კაცი მოგიკლავს...

## ჩემს უვილს – ნიას

მინამ ქარიდან ცის მინაქარი  
შემოგინახა წლების ალიბით  
და შენი სული ვის მიაკარო,  
უკვე დრო არის, ჩამოყალიბდე,  
მზე ჩავა მალე... მე ჩავიმალე  
ყველა შესაძლო ფიქრის კუთხეში.  
გადაფარავენ მზეს ჩალით მალე,  
შემოგიჩნდება ფიქრი უხეშად  
და იმ ომების, ლამპიონების...  
სარკის თვალები, შიშის მუხლები  
მოგადგებიან ამბიონებთან...  
თითები, როგორც ჩრდილი მუხების,  
შეგიფარებენ, სანამ ცა იმზერს  
თითზე გათხოვებს, გადაიწერე  
და სანამ სულში რამეს ჩაიწერ,  
ის ორი თითიც, გარდა იმ ცერის,  
ერთად შეკარი, მეხს მოერევი...  
ცა, ცის ცერები, ცის მინაქარი...  
და, ჩემო მოკლე მეხსიერებავ,  
გახსოვდეს, სული ვის მიაკარო...



## ბაზის გაქცევა...

გრძნობა, რომელიც დაიბადა ჩვილი ბავშვივით,  
ვგძნობდი, რა იყო ღმერთის ძალა ადამის შექმნით,  
ამ ამბის შემდეგ ველარაფრით ველარ დავმშვიდდი,  
დღემდე დამჩემდა ტკივილები, მაშინ რომ ვერ ვთქვი.

ვერ მოგისწარი, ჩემო შვილო, ბედმა დამცა და  
ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით ვატოლებთ ხელებს,  
ნეტა თუ მგავდი, რომ მენახე, არც კი დამცალდა,  
ვიცი, დღეც, ლამეც შენი სისხლი ამომახველებს.

მამი, თუ გრძნობდი შეციებულს ვინ გაორთქლებდა?  
(ნეტა ხის აკვანს, ჩემს გამოთლილს, ახლა ვინ არწევს?!)  
ალბათ, მოჰვავდი შემოდგომით წითელ ფოთლებს და  
ვაი, რომ მართლა ფოთლებივით დაგანაკუნეს.

შიშზე მეტია ტკივილები ბასრი სინათლის,  
ეხეთქებოდი ვიწრო კედლებს ხელების ქნევით,  
რამდენ „შენბედას,, გაუყევი, შვილო, ვინ დათვლის?  
სისხლი გდიოდა, წმინდა სისხლი ზევით და ქვევით.

ოთხი კედელი, უსინათლო, როგორც საკანი.  
ჩუმი კივილი აზანზარებს გაბერილ მუცელს.  
სიკვდილმისჯილი ემბრიონი ისევ ჩაკალი,  
როგორც ნალველი ჩავაკალი გაცრეცილ ფურცელს...

## შენი საგელო

მთელი ცხოვრება ეძებ შენს თავს ათას რამეში,  
ათას გამვლელში ეძებ შენს თავს და შენს საბედოს,  
ქუჩას გალეშილს აწვიმს და შენ რჩები ლამე შინ,  
ჯერაც არ იცი, სად იპოვნო შენი საბედო.

ცდილობ, დაიწყო ყველაფერი თუნდაც ხელახლა,  
მაგრამ არ იცი, რა გამოვა და გსურს განრისხდე,  
რადგან მცდელობა მერამდენედ ისე შეგახმა,  
როგორც ოქტომბერს უნაყოფოდ მდგარი ალვის ხე.

ძველი წიგნების გადმოღებას იწყენ თაროდან,  
ეძებ პერსონაჟს შესანიღბად, თუნდაც დროებით.  
თუნდაც ცოტა ხნით ეს ტკივილი გაიქარვო და  
სუიციდისგან შეპყრობილი თოკზეც მოები.

აღარ გაშინებს აღარც ღმერთი, არც უღმერთობა,  
მაგრამ ვერ ბედავ სიკვდილს, რადგან შენ – შენ არა ხარ,  
ჩუქნი სიცოცხლეს შენთვის უცნობ ვინმეს და ერთობ  
გტანჯავს განცდები – თუ ამ ფაქტში რა დაგანახა.

ქაჩავ სიგარეტს და რგოლებში აძვრენ იდეებს,  
ისევ საკუთარ (თუკი ჰქვია ამას საკუთარ)  
თავთან კამათობ და ყოველ წელს ასეთს იბედებ,  
გჯერა, რომ შენს თავს (ამ წელს მაინც)  
“შენ თავს” დაურთავ.

მთელი ცხოვრება ეძებ შენს თავს ათას რამეში,  
მაშინ, როდესაც აღარ გინდა რამე გაბედო.  
ყოფას გალეშილს დალლილობით ტოვებ და მაშინ  
სვდები, რომ მხოლოდ სიკვდილია შენი საბედო.

## თარიღები

გრძნობის რა იციან ნეტავ თარიღებმა,  
თვალებს უწვიამია, (წვიმით ტრასაც სველი...)  
ჩემი სამყაროს კარს ჩუმად გაგიღებ და  
ვფიქრობ, არ გექნება სხვა გზით წასასვლელი...  
(ჩემგან წასასვლელი...)

როგორ მენატრეპა ზღვა და სხვა მუსიკა,  
ჩვენი მოლოდინის დაკვრა ფირფიტებით.  
ერთხელ იმყოფინო იქნებ ნამუსი და  
შევხვდეთ მზის ჩასვლისას, თორემ ვიფიტები.  
(სულ მთლად ვიფიტები)

ღამით შენზე ფიქრი სტუმრად მომივიდა,  
ალბათ წამებით, ან სულაც საათობით,  
იქნებ აღარცა მაქვს ამის მოტივი და  
შევცდი, რომ მეგონა გულთან გამათბობდი.  
(სუნთქვით გამათბობდი)

ჩემთან აღარა ხარ თითქოს მგრძნობიარე,  
ალბათ სხვა შეგხვდება ყოველ ღამით ვინჩე,  
მე კი დედამიწა შენთვის მოვიარე,  
იმის იმედით, რომ ერთხელ გამიღიმებ.  
(ჩემთვის გაიღიმებ...)

ისევ უსაშველოდ გარბის თარიღები,  
როგორ აღარ მინდა წამის გამეტებაც,  
მალე ავიმღვრევი...  
მალე დავიღვრები...  
– თვალში ეს ღრუბლები აღარ დამეტევა.  
(სადღა დაეტევა?!...)

ბრუნავს მოგონება ძველი ფირფიტებით,  
თითქოს ჩამკეტეს და კარიც არ იღება,  
არა, არ ვიღლები, თუმცა ვიფიტები,  
რადგან პაემანი მოკლეს თარიღებმა.  
(–აღარ თარიღდება...)

\*\*\*

აბუზული ვარ, როგორც ნიბლია,  
ხელში ბიბლია, ხანაც ხატები  
მიჭირავს და მე რაღაც იღბლიან  
ფიქრებში ვცურავ... გაიფანტება  
ყველა იმედი, რადგან მატება  
აქვს მხოლოდ ცოდვებს, ღმერთის ნაქურდალს  
ჯვარცმის მომენტში...  
...და ღვინო მოვსვი  
აქ უნდა დავთვრე, დავთვრე აქ უნდა,  
აღარც ღმერთია და აღარც მოსე,  
ჩემი მისია, თუკი მესვრიან,  
ამის გულისთვის სიკვდილიც მიღირს.  
ნესტია ჩემი თვალების მიღმა.  
ჩემი რწმენა და ჩემი მესია  
— მე შენ მიყვარხარ — საკმარისია!!!  
სხვებს თუ უკმევენ, მათვე უკვირდეთ  
მცირე წიგნების დიდი სარჩევი.  
ვინდა გამიგებს, შენ თუ უკვე ვერ  
იგებ ჩემსას და სხვა გზა არჩიე.

## ლეჭი

გთხოვ, რომ მომიტევო, ვეღარ მოვითმინე,  
დღესაც ვერ გავბედე, ლედი, შენი ნახვა,  
შენი ჩრდილი გავხდი, აგერ ორი თვეა,  
გზისფერ გვირილებში წერილს შეგინახავ!

ლამე იდუმალი, ლამე სევდიანი,  
ქუჩამ აირეკლა, თითქოს შენი ლანდი,  
ლედი, დამიჯერე, ჩვენი ბედი არის,  
ის, რომ დაგინახე და რომ შემიყვარდი.

ფრთები შეიფარეს, ვფიქრობ, მაგ ლილებმა,  
ვიცი, ფრენა გიყვარს, ყოველ ლამით, ლედი,  
იქნებ მისახსოვრო ერთი გალიმება,  
თორემ ცოცხლებს შორის აღარ ჩავითვლები.


დროა გაგიმხილო მცირე საიდუმლო,  
როცა ბრუნდებოდი ლამით სახლის გზაზე,  
ჩრდილად ადევნებულს სხვაგან საით მევლო?!  
უკან მოგყვებოდი და არ გამიბრაზდე.

წვიმა მატულობდა, როგორც გულის ძგერა,  
ქუჩა სარკე იყო ლედი, ალბათ იმ დღეს,  
ქოლგით მოსვლა ვცადე, თუმცა გაიძვერა  
ფიქრმა არ მომიშვა – მალე გადაილებს.

მგზავრის მომინებით იდგა გაზაფხული,  
დილა წითლდებოდა, როგორც ქალი მორცხვი.  
ფრთხილად მოსვლა მქონდა ისევ განზრახული...  
მაგრამ მორიდებამ ახლაც დამამარცხა.

ხშირად ჩავუვლიდი შენსკენ შესახვევს და  
კართან გვირილების კონა დამიდია.  
მხოლოდ მიზეზს ვეძებ შენთან შესახვედრად,  
თორემ რა აზრი აქვს, თუ რა ამინდია.

ლამე ახლოვდება, ლამე სევდიანი,  
ქუჩამ აირეკლა, თითქოს, შენი ლანდი.  
ლედი, დამიჯერე ჩვენი ბედი არის,  
ის, რომ დაგინახე და რომ შემიყვარდი.



## გულაბ სუმბილი

### კასეანი

გათოვდა, ზეცისგან უკეთესს ნუ ელი,  
სიცივის ლექსები, თამბაქო, არაყი,  
არა ლირს ზამთართან სხვაგვარი დუელი,  
ამაზე ნაკლები სიკვდილი არა ლირს,  
იხევა ღრუბლების ცისფერი მუნდირი,  
დახუჭე თვალები – ცრემლების კარავი.  
ეშვება ბურუსი და ნემსის ქურდივით  
იპარავს სივრცეში გაწოლილ ქარავანს.  
გაწყალდა დაცემის ტკივილით ხმელეთი,  
ვიღაცას სიგიჟის სიზმრები აღვიძებს.  
და ასე ჩაივლის რამდენი ტერენტი,  
და ასე ჩაივლის რამდენი ტაბიძე,  
გაუცვდა სურნელი ტიტების საკმეველს,  
მხარდამხარ იბრძვიან მეფე და პაიკი,  
ნეტავი სიკვდილი რა ძნელი საქმეა,  
უბრალოდ, პოეტის სახელი დაირქვი.  
უბრალოდ იგრძენი დეკემბრის ვენდეტა.  
დღეების გაფრენა, ან იქნებ პირიქით...  
უბრალოდ მომყევი, უბრალოდ მენდე და...  
გამოვჭრათ ზეცისკენ ფიფქების ბილიკი,  
დანარჩენს, მერწმუნე, იგივე ფასი აქვს,  
რამდენიც რწმენაზე მოგონილ არაკებს,  
ეპოქა, უთუოდ, თამაშობს პასეანსს  
და გულის დასტაში პოეტებს ალაგებს.

## თაფლისფერთვალებავ

თაფლისფერთვალებავ, ო, წეტავ, რად გეშინია მარცხის!

როგორც ნაპოვნი მონეტა

არც ჩემი ხარ და არც სხვის.

თმათა თამამი სონეტი და სიფაქიზე მარწყვის

(მე დავიბადე პოეტად და სტრიქონები მაწვიმს)...

თაფლისფერთვალებავ, ო, წეტავ, არ გეშინოდეს მარცხის!

სული ბახთა და მონეთა

და სურნელება ცაცხვის...

როგორც ნაპოვნი მონეტა, არც ჩემი ხარ და არც სხვის.

## რომეს სერვნეს

თოვდა...

მიწა სველია...

ვერ დებს.

სადღაც შორიდან მოისმის ვერდი.

ვითვლით ცხოვრების უბრალო გვერდებს

და დაგვიკარგა მთავარი გვერდი...

თოვაა. ვერ დებს. მიწაა სველი.

მოისმის ვერდი სადღაც შორიდან,

გოგონა... ქუჩა... სატანჯველს ელის,

შენ კი არჩევანს ეძებ ორიდან...

თოვაა... მიწა სველია... ვერ დებს.

სადღაც შორიდან მოისმის ვერდი...

ჩამოეძინათ სულ წამით ღმერთებს

და მაშინ შენში იპოვე ღმერთი.

\*\*\*

თავისუფლება, გავცქერი ზეცას –  
წვიმის სუფლიორს,  
მინდორს გარს უვლის რემა ცხენების.  
ებრძვიან წყურვილს თავისუფლების,  
ებრძვიან, მაგრამ ვერ ამარცხებენ!  
რაღაც დიდებულ სევდის შემცველი  
ხიბლი აქვთ მთაში დაჭრილ არწივებს.  
ორი ტყვიიდან, თუკი შევძელი,  
ერთ-ერთს მტერს მაინც გავუნაწილებ.  
იმით მებრძოლოს, თუ მამაცია,  
მრწამსს დავუხვედრებ, ღმერთო, შენებურს.  
ტაძრის აგება თუ არ მაცადეს,  
როგორ დავანგრევ სხვის აშენებულს?!  
უსამართლობის ავბედით რეფრენს,  
მწამს, ფანტაზია არ მოაკლდება,  
შეცდომას უშვებს ყოველთვის მეფე  
და მის მაგივრად პაიკი კვდება.  
პირამიდები, პირამიდები,  
არ არის ღვაწლი ფარაონების,  
ის საოცრება და ის დიდება ძვლებია,  
ძვლები მხოლოდ მონების.  
გავცქერი ზეცას – წვიმის სუფლიორს,  
მინდორს გარს უვლის რემა ცხენების,  
ებრძვიან წყურვილს თავისუფლების,  
ებრძვიან, მაგრამ ვერ ამარცხებენ!

## მორიგი ლექსი №-ს

მთელი სამყარო თითქოს ზეცის ამბიონია,  
 მთვარე გაცურდა, როგორც ნება-ნებად ურემი.  
 სდუმან გზის პირას თავდახრილი ლამპიონები –  
 მდინარის კიდეს ჩამომდგარი მებადურები  
 და ოვაზებივით მაგ თვალების მზერას იჭერენ.  
 მზე რას გახდება, თუ გრძნობები დამუნჯდებიან,  
 თუკი ხეებმაც მოიხურეს ქარის საბანი.  
 მთების ჩრდილები შენს კალთებთან ჩამოჯდებიან  
 და პოეზია ახლა უფრო არის საბაბი  
 მოსვლის შენამდე, უშენობის, გადაგვარების,  
 გადაგორდება ეს დღეები აბორგებულ სტიქიასავით,  
 შეიკვრება ფიქრთა კამარა.  
 მე, ვით ქალაქის ძველისძველი აბორიგენი,  
 დავხეტიალობ ერთადერთი ლექსის ამარა  
 და საკუთარი უიღბლობის კვალდაკვალ გეძებ.  
 დღეს კვლავ გრძნობებმა უსაშველოდ გული მოფარეს  
 და მერამდენედ (ვალი მადევს ნალდად იმ კაცის),  
 ნაცნობ გამყიდველს, მიხაკების შეკვრა მოვპარე,  
 თუმც, ვერ ნახავდი მის თვალებში ბრაზს და სიმკაცრეს,  
 რადგან იცოდა, ყვავილები შენთან მომქონდა.



## ლონის აღმდეგი

### ექ – გვასეი

მე ვეტრფი მესხეთს,  
ხერთვისს, ვარძიას,  
თმოგვის ციხეს და  
ქვაბებს ვანისას.  
მე ვეტრფი რუსთავს,  
ოთას, ასპინძას,  
ხიზაბავრას და  
საროს საფიცარს!  
ვეტრფი საფარას,  
ზარზმას, ხვილიშას,  
ჩიხორიშა და  
ვარანტის ველებს,  
ქუნცას, აწყვიტას,  
თოკსა და ვარგავს,  
წვერის წყაროს და  
ჩემს აბასთუმანს.  
ვეტრფი ობოლეთს  
და ნოქალაქევს,  
წუნდის ტბასა და  
დედოფლისწყაროს.

მესხეთს უძველესს  
და უნეტარესს.  
მე ვეფერები უდეს და არალს,  
ჩემს ახალციხეს,  
მინაძეს, რაბათს,  
მთელ საქართველოს  
ბაღსა და ვენახს  
ქართველი კაცის  
გამჯე მარჯვენას.  
მეამაყება, რომ მქვია  
მესხი –  
აქ დავიბადე,  
ავიდგი ფეხი,  
აქ შემასწავლეს  
ქართული ენა  
და სიყვარული  
მშობლიურ ქვეყნის!

\*\*\*

არ მიძებნია ოქრო და ვერცხლი  
და არც სიმღდიდრე მიგროვებია,  
ჩემი ცხოვრების ძვირფასი განძი  
საქართველო და ქართველებია.

\*\*\*

წლები მირბიან  
ძალიან სწრაფად,  
მიაქვთ ბავშვობა –  
მოდის სიბერე,  
მოგონებებში  
ისევ ბავშვი ხარ  
მოუსვენარი და მეოცნებე.

\*\*\*

წლებმა გაირბინეს, როგორც წუთებმა,  
ჩვენც შევიცვალეთ, თანაც რარიგად,  
ვის ბედნიერი ერგო ცხოვრება,  
ვინ კიდევ ბედმა განზე გარიყა...  
მაგრამ წარსული დარჩა კვლავ ჩვენთან  
იმ ლამაზ დღეთა მოსაგონებლად.

## დაგრენილი ქართველები!

საქართველოზე ვარ უზომოდ შეყვარებული,  
არ მიძებნია სხვაგან არსად თავშესაფარი,  
თუმცა მციოდა, კიდეც მშიოდა,  
მაინც სამშობლოს ბედი მტკიოდა.  
„უცხოობაში რაა სიამე”  
თუ ჩემი ქვეყნის ყოველ გოჯ მიწას  
არ ვემთხვიე და არ ვეზიარე,  
თუ მისი წყაროს წყალი არ შევსვი,  
დაჭრილი გული არ გავიმთელე,  
თუკი ქუჩაში დავარდნილ მოხუცს,  
არ მივეშველე და არ ვუწამლე...  
მაშინ ვინა ხარ, მითხარ, ქართველო,  
შენ უცხო ქვეყნის მონავ ეულო,  
სხვის ჯანმრთელობას სდარაჯობ, უვლი,  
როცა შენს სისხლ-ხორცს  
დღეს ასე უჭირს...  
დაბრუნდით ყველა, დებო და ძმებო,  
ერთად მივხედოთ ჩვენს საქართველოს,  
გადავარჩინოთ ქართველი ერი  
და ავაყვავოთ მამული ჩვენი!



## მართაშვილი

### ავტორურისტი

ასე მგონია, თითქოს ომში ვარ,  
სადღაც მივრბივარ მეც სხვებთან ერთად,  
საკუთარ ტანის ვსუნთქავ ოხშივარს,  
ვნატრობ შეხვედრას უჩინარ მტერთან...

უცებ სინათლით ამეცსო თვალი,  
გვერდით მომდევდა მტერი წყეული,  
და საომარი ყიჟინით მთვრალი,  
თრთოდა ჩემივე გვამადქცეული.

ამხედრდა სული ომში ნაგეში,  
შევები, ხელზე დავადე ხუნდი...  
და შევალენე მუშტი სარკეში  
და როგორც იქნა, გავთავისუფლდი...

რაა სიზმარი, ან რაა ცხადი?  
აწმყოც, წარსულიც ერთმანეთს მოჰვავს,  
ადამის დროდან ყველა კაცს ვგავდი  
და ყველა კაცის გამომყვა ცოდვა.

სად იწყება და სადა აქვს ზღვარი  
საკუთარ თავის გვემას და ღალატს?  
ვარ დაკარგული მე – ქრისტეს ცხვარი,  
ჩამორჩენილი საკუთარ ფარას...

## .. და გოლო კითხევა

მივდივარ, როგორც მიდიან სხვები...  
და რაღაც განცდა მომელის ახლის...  
და რწმენა ლვთისა, მომავალ წლების,  
სიცოცხლით მავსებს ცხოვრებით დაღლილს.

უნდა გავუყვე უცნობ ბილიკებს,  
ვერიდო მახეს, ვერაგ ხაფანგებს,  
ეჭვი, რომელიც სულ მაქილიკებს,  
მღრღნის და ჩემს სხეულს თითქოს განაგებს.

და სული ყელში ამომდის ბურთად,  
თავისუფლება მოდის მარადი,  
სიცოცხლე, მხოლოდ სიცოცხლე უნდა,  
რომელიც ქრისტეს ხელში გადადის.

აღსრულდა! სულმა ბევრი იომა,  
სხეულის ეჭვი დასცა, დათრგუნა,  
გამოიარა კაცობრიობა  
და მიწიერი გაანადგურა.

და ბოლო კითხვა წინაშე უფლის,  
დაბადებულხარ თურმე რისთვისაც –  
თუ განიცადე ის სიტკბო უღლის,  
ან სიმსუბუქე უფლის ტვირთისა?

## იქნება შენ გახსოვს...

ბინდმა აავსო ზაფხულის დღე და...  
დაისიც ლია ჭრილობას მოჰყავს.  
სადღაც შეინძრა მთვლემარე სევდა  
და სანთლის ალზე დაიწყო როკვა.

ბრმად მოვუყვები მაცდურ სტრიქონებს  
და კარზე მომდგარ სიბერეს ვხედავ,  
შენს თვალებს უკვე ვეღარ ვიგონებ...  
ჩემი თვალები თუ გახსოვს ნეტავ.

თითქოს დრო გაცვდა და ის მანძილი,  
ნლებს რომ გვაშორებს ახალგაზრდობის,  
ახლა შეცვლილა უფრო ხანგრძლივი  
გრძნობით შენდობის, გრძნობით დანდობის.

ხვალე უკეთესს ველი ამინდს და  
მარჩიელობაც თითქოსდა მართობს.  
მე უკვე შენი ხმაც დამავიწყდა...  
ჩემი ხმა ნეტავ თუ კიდევ გახსოვს.

და სანამ ეჭვი ზღვად აგორდება,  
ახლავე გეტყვი ცოდვას გამხელილს:  
შენი სახელი არ მაგონდება...  
იქნებ შენ გახსოვს ჩემი სახელი?...

\*\*\*

ჩემს თვალთა მზერას  
შენ ვეღარ გაუგებ,  
ძვირფასო, უკვე  
დავკარგე რადგან...  
მე შენს სიყვარულს  
სევდის ძეგლს ავუგებ  
და სინანულის  
ქუჩაზე დავდგამ...



სასა მხრიდა

## კალთაში იგეღი მივაძინე

კალთაში იმედი მივაძინე,  
მაინც რა ჯიუტად მენატრები!  
შენზე ფიქრს ვერაფრით ვინაპირებ,  
გადავაფერადე ტერასები....  
ლექსი თეთრ ჩარჩოში მოვამწყვდიე,  
ბგერებად დაშლილი დამიბრუნდა,  
ვიწვალე, უკან მივაცილე,  
რითმა სტრიქონებში ამიბუნტდა  
და ისევ ჯიუტად მენატრები,  
სურვილებს მივაწყობ ზეფირებად,  
ქსოვილს, ამოქარგულს კესანებით,  
დავტოვებ სიყვარულს შეპირებად...  
უკვე ველარაფრით გედავები,  
არც გესმის, შენამდე მანძილია,  
ნუ დამღლი სხვა ქალთან შედარებით,  
რაც იყო, პირველი აპრილია!

## ჩემი ცვილა

ჩემი წვიმა მოვა შენთან,  
 “გარეთ არ დამტოვო!” – გეტყვის,  
 მე მჭირს პიკანტური სევდა,  
 მხოლოდ უშენობას ვებრძვი...  
 აღარ ვიღრუბლები მეტად,  
 ხვლიკისფერ ბალახებს ვძებნი,  
 ასე უჩვენოდ და ჩვენთან  
 ასე ცალ-ცალკე და გვერდით...  
 წვიმის სურნელია მთებთან,  
 სველი ზაფხულივით ვკრთები,  
 ნუთუ შემეშალა ახლაც,  
 და რომ დაგაწვიმდი, შევცდი?!

## სიკვდილა ჩამოიარა

„გაღმა სოფელში ასკილი ჰყვავის”  
 გაღმა სოფელში ასკილი ჰყვავის,  
 შენი ოცნება ამ ღამით კვდება,  
 აქ, შორიახლო სიკვდილი დადის,  
 ხვალ არ გაგათბობს ძახილი – დე-და!  
 მოჩითულ კაბას აკვდება სევდა,  
 ასკილის ყვავილს უნდოდა შენთან...  
 იქნება ადრეა ჯერ წასვლა ღმერთთან?  
 ნუ მიაკაწრავ ნატვრას კედელთან!  
 ასოთა შორის ეტკინათ წამებს,  
 სიცოცხლის აზრი მიაქვს ნიაღვარს,  
 ამ სიკვდილმისჯილ, მტრედგულა ქალებს,  
 ყვავილისხელა ცოდვა მიაქვთ თან...  
 გაღმა სოფელში ასკილი ჰყვავის,  
 კლდეს ზედ დააკვდა ფიქრი ტიალად,  
 თავსაფრის ნასკვსაც ცრემლი აქვს ბავშვის,  
 აქაც სიკვდილმა ჩამოიარა...

## გამა გაგრიელს

თეთრი ღრუბლების ფრთხილი ალერსით,  
დედამიწიდან უკვე გავედი,  
თქვენს გალაქტიკას გავცდი, წავედი,  
ღუნდულა მტრედის ნებას დავყვები...  
ბროლის ნაწვიმარს მივამსგავსე ცისკრის კარედი,  
დამიხვდა ბერი ფიქრიანი, სპეტაკი წვერით,  
შემოდის ჩემში და იმღვრევა ფიქრების წვეთი,  
მამავ გაბრიელ, სულ გეძებდი, ნიმფებთან შეგხვდი...  
მე ვინ ვარ ნეტა, ამ კეკლუცი ლექსების იქით?  
და ვის სჭირდება წყლის სურებში ნაგროვი სევდა?!  
მოვასწრო იქნებ, სიყვარული და არა შიში!  
კურთხევა შენი გამაყოლე საჩემოდ, ერთთან!

## ზოგი ისევ ღვერთს ირჩევს, ზოგიც კიდევ - გარებას

ზოგი ისევ ღმერთს ირჩევს,  
ზოგიც კიდევ – ბარაბას,  
დავილალე, მომზინდა  
სულის დავიდარაბა!  
სულში რწმენას ვინც გვიბნევს,  
უკვე მისიც არა სწამთ,  
განსაცდელი მოვიდა,  
გზამ იშორა ტაძართან,  
მიწა დარდობს მიწიერს,  
ალარ ვიცი, სადა ვარ?!

ეჰ, მამლებმაც იყივლეს,  
პეტრე! ნეტავ სადა ხარ?!

ვისაც ლუკმას გაუყოფ,  
მტრად გიხდება ნეტავ, რად?!

აბა, სხვას რა გავუგო,  
ქრისტეს ადრის ავაზაკს?!

მოვიწინე, შემოვრჩი  
ქვალორლიან ბილიკებს,  
ღმერთო, ჩემშიც შემოდი,  
სხვა ელოდოს გვირგვინებს!

\*\*\*

შენი სულის პარალელზე ვდგავარ,  
ვერტიკალობს ყველგან შენი ფიქრი,  
უკვე ვიცი, ჰორიზონტზე გავალ  
და იქ ვნახავ, ვინც ნამდვილად მიცდის...  
მე ვარ სპორტულ მარათონში, მართლაც,  
ვიღაც ცდილობს, რომ გადავცდე ბილიკს,  
ნუ მეწევით, ნუ მეწევით დაბლა!  
არის ჩემში გამარჯვების ნიჭი!

\*\*\*

სახსოვრად გამომყვა სიზმრიდან ალერსად,  
ტოტებში გაჩრილი საჩემო სხივები...  
სურვილი დამწიფდა ქარვისფერ მტევნებად,  
ფოთლებმაც გაძედეს ნიავთან ფლირტები...  
სილალეს ატეხაცს მდინარე ტალღებად,  
მოჰყვება ბადეებს სულ ოქროს თევზები,  
ქალალდის თვითმფრინავს ატანენ ამბებად.  
ბავშვები – ოცნებებს, დააფრთხეს მტრედებიც...  
ჩალაგდნენ ფეხები ჯადოსნურ ქოშებში  
და უკვე სულ შენთან და ახლოს ვიქნები...

არ მომწონს ცხოვრების ციფრები კოდებში,  
მე ახლა ვფერადობ, როცა თქვენ ბინდდებით...  
სული ამიმღერდა ყვავილთა ორკესტრში,  
დაბრალდეს ქარა ქალს თამამი ფიქრები!  
სიყვარულს არ ჰყიდის არც ოქროს ზოდებში,  
არც ძვირფას, უცნაურ, სამკერდე ბროშებში!  
ბრონეულისფრად შეფაკლდა ლოყები,  
რა მოხდა, ვიქნები ბოლოდან პირველი,  
დავდგები სცენაზე, აავსეთ ლოჟები,  
ნახეთ, რა მსუბუქად გავფანტო ნისლები!



## სამზარეულო

### ქამთა სრგოლები

დარღი მოაწყდა სულის ჯებირებს,  
სულს მიწიოკებს დრო ნაწვიმები...  
გაუხარელი გულის შემყურე,  
განწირულ სხეულს ვესამძიმრები.  
კადრივით ვახვევ გარდაცვლილ დღეებს,  
მეცივნისლება ფიქრი სულელი.  
უღვთოთ მპარავენ გულიდან მზეებს,  
სული მელევა განუკურნელი...  
ქარი და წვიმა მიწენავს ნერვებს,  
ტანში სიცივე შემისხეულდა.  
კენტი იმედი შემომრჩა მერმე  
და ის იმედიც დამისნეულდა.  
სხვებზე ვდარდობ და თავს ვერ ვარგივარ...  
და უღონობით უფრო ვხელდები.  
მინდა გავიქცე წუთისოფლიდან,  
გზად მეღობება აისბერგები,  
ვზომავ და ვწონი ფიქრს და ნაბიჯებს,  
ვიცი, ცხოვრების განრიგს მომთხოვენ...  
ამაზე ფიქრი უფრო მაგიუბებს.  
ნივთები ჩვენზე დიდხანს ცოცხლობენ.

ვგრძნობ მთელ სხეულში უცნაურ რყევას...

და მანადგურებს დაუძლურება.

ვეპოტინები შორეულ მწვერვალს,

თითქოს და მიწა ფეხქვეშ მეცლება.

ლოდივით მაწვეს სიმძიმე მხრებზე,

თვალები კარგავს მზესხივოსნებას.

ვინძლო უარი თქვას განაწესზე...

წინ ვინ აღუდგა ღმერთების ნებას.

უამთა სრბოლაში წამწამებს დაღლილს,

მეზიდებიან მზისკენ ნისლები.

ცის წიაღიდან მოსული მგზავრი,

კვლავ ზეცის წიაღს შევეხიზნები.



## ნინო კოსტავა

### კერძოდენი

ეს მერამდენე გაზაფხული წამომწევია,  
რამდენი რამის, ხეტიალის გავხდი მოწამე,  
დამთბარა მარტი, გარინდულა მზეზე მზეწვია,  
რამდენი რამე შეუცვლია წუთებს და წამებს.

როგორ ჩავტიო სტრიქონებში ღელვა და განცდა,  
რით ვანუგეშო ალიონზე ცვრიანი ვარდი,  
რომ სული უკვე გარიურაჟზე ორბიტას გასცდა  
და ერთმანეთში არეულა ლხენა და დარდი.

ეს მერამდენედ შევციცინებ გაკვირტულ წუშებს,  
მაცილებს დღემდე ვარდისფერი მათი ღიმილი,  
ქარი არ მინდობს, სულერთია ვისთან იმრუშებს,  
ლამით მიმოზებს ეფერება თითები თლილი.

სინაზე მხოლოდ შერჩენიათ მინდვრის ყვავილებს,  
ჩემთვის ლექსია სულის საზრდო, თავშესაფარი  
და ქარიშხალი ჭადრებს გარეთ ისევ აკივლებს,  
მესაიდუმლედ მრჩება მხოლოდ ჩემი უფალი!

მინდა, სამყარომ დღეს ჩაიცვას ფარჩა ცისფერი  
და ჩემს გარშემო არაფერი არ იყოს ყალბი,  
დაბრუნდეს ბავშვი, იმ პატარა გულით რომ მღერის,  
ბავშვი, რომელიც გვირილებთან ქსანისკენ გარბის!

## დრო იყო...

დღრო იყო, როცა ვფრინავდი ზეცად,  
შენს სიახლოვეს ეძებდა სული,  
მე იისფერი სამოსი მეცვა  
და იისფერი იყო წარსული.

დღრო იყო, როცა მახსოვდი ისევ,  
მელანდებოდი წვიმაში, ქარში  
და სიყვარული ღელავდა ზღვისებრ,  
ვერ ვიოკებდი ფიქრებს ცად აშლილს.

დღრო იყო, როცა ვითვლიდი ვარდებს,  
ყაყაჩოების ცეცხლში ვიწვოდი,  
ვბორიალობდი ქათქათა თოვლში  
და ვეჩვეოდი უაზროდ ლოდინს.

დღრო იყო, როცა ვფრინავდი ზეცად,  
შენს სიახლოვეს ეძებდა სული,  
მე იისფერი სამოსი მეცვა  
და იისფერი იყო წარსული...



თქმა  
ტექსტი

### სიზმარ ვნახე... .

სიყვარულის თევზი ვნახე,  
ქვირითს ყრიდა ტაძრის კართან,  
უამი იდგა აზრზე მოსვლის,  
ფესვდაჩებილ ხეებს რწყავდა...  
ერთგულებას ქადაგებდა,  
დავა ჰქონდა ქონდრის კაცთან,  
დედამინას ალაგებდა,  
ზეცის ქოხში გადასახლდა!  
გულთმისანი თევზი ვნახე,  
– აგისურლებ, – მითხრა, რასაც!  
– ერი უნდა გამოლიანდეს,  
ამოვხაპავ პეშვით ზღვასაც!  
სიზმარ იყო, ცხადში ვნახე...  
ქვირითს ჰყიდა მინდორ-ყანას...  
ანგელოზი მიწას რწყავდნენ,  
მრევლი მკიდა ოქროს თავთავს!  
გზად განფენილი მხსნელი სიკეთე,  
რადგან არასდროს არ დამთავრდება...  
შენ შეგიძლია იყო ღვთის მონა,  
გაგაჩნდეს იგი, რაც დაფასდება,  
რადგან სიკეთეს შობდა უფალი,  
არ ხდება მისი გადაფასება!  
შენ შეგიძლია ალაპყრო ხელი,  
სანამ არ არის ძალზე გვიანი,  
უფალს შესთხოვო, გადაარჩინოს  
შენში რომ ცხოვრობს ადამიანი...

შენ შეგიძლია იყო პირველი,  
მაგრამ სთქვა, რომ ხარ თუნდაც ბოლოდან,  
რადგან ვიწც იყო, სიცოცხლით ზიდა,  
ჩვენი ცოდვა და ჩვენი გოლგოთა!...

\*\*\*

სიკვდილო, მოხეტიალევ,  
ვერშეცნობილო ჯერაც,  
რამდენ ყლორტს ჩეხავ, ამწარებ,  
რამდენ შვილსა და დედას?!  
დრო და მანძილი არ იცი,  
მომხვდურო, რას არ ბედავ,  
ხმელ ბალახივით ნათიბი,  
შვილებს დაეძებს დედა,  
შენით დგას დღენი სიმწუხრის,  
გულს აცლი მზეს და ზეცას,  
სიკვდილო, შეუცნობელო,  
რად არ უკვდები დედას?!

\*\*\*

ჩემი მუზის თეთრო ყლორტო,  
შემოდგომის ნამის წყაროვ,  
იქნებ ისეც შემიკედლო,  
დამაპურო, შემიფერო,  
მომაწოდე სიტყვის პური,  
ღვინო მასვი საბარძიმო,  
დამავიწყე წყენა, შულლი,  
სული რომ არ დავამძიმო,  
მადლი მასვი კალმის პეშვით,  
მხოლოდ სიკეთეზე ვწერო,  
ყოველ დილას კეთილ მაცნედ  
მომევლინოს თეთრი წერო,  
მომიკითხოს, მოვიკითხო,  
გული საგზლად გავატანო,  
სიტყვა, უფლის მადლნაავით,  
მტერ-მოყვარე გავახარო...



სა მხადველო-მსუბუქობი

## ერელი შარმავას

იმ ავბედობით (თუ ავკაცობით)  
იმ გახსენებით გული იმსხვრევა,  
ტირის ქართველი... ასე ძლიერი  
იმ ერთმა წამმა როგორ გიმსხვერპლა.  
მაგ ნატკენ მკერდზე მსურს მოგეფერო,  
რომ მოგირჩინო გული ნატყვიარს  
როგორ დატოვე კვალი ისეთი  
მამულს წმინდა ჯვრად კვლავ რომ ატყვია.  
უამთასრბოლებმა თუ ისტორიამ,  
ჭეშმარიტება უნდა უწყოდეს,  
თუ ქალაქებმა ყველაზე ლამაზ  
ქუჩებს შარტავა რატომ უწოდეს.  
ივერთ მიწისთვის თავდადებულო,  
ერთი კი არა, გმირი – ათი ხარ!  
შენ გახსენება არა გჭირდება,  
ქართველის გულში სანთლად ანთიხარ!

---

## სიზვარი

ეს რა ყოფილა სიზმარი  
გაოცებისგან ვმღერი,  
გალაკტიონი მეტრფოდა  
მე კი ვიყავი მერი.  
როცა სიმღერა გადიქცა  
ერთ ყოვლისშემძლე არიად,  
მოულოდნელად ვიქეცი  
გმირ, ლამაზ, წყნეთელ მაიად.  
ხან მონასტერში თეთრ კაბით  
მესხდნენ გვერდით და წინ დანი,  
რომ უცებ ვიქეც დედოფლად  
ვით ქეთევანი წმინდანი.  
ერთი კი ძლივს მახსენდება,  
თან არცოუ ნაკლებ მთავარი,  
სახეზე ვიქეც უეცრად  
ვაშლოვანელი თამარი.  
მოკლედ ზომიერ ვიგემე  
მაღალ კვარცხლბეკის ნექტარი,  
ხან თინათინი ვიყავი,  
ხან ტარიელის – ნესტანი.  
ვინ არ ვიყავი სიზმარში,  
ცხადად რომ მახსოვს მთავარი,  
ტახტზე რომ აველ უეცრად,  
ვიყავი მეფე თამარი.  
მამკობდა თავზე გვირგვინი,  
ხელში კი კვერთხი მეკავა,  
სულ დავიბრუნე მიწები  
ძველად ჩემს გენს რომ ეკავა.  
ცხენზე ჯიქურად ვიჯექი  
და არა ჩემებრ ქალ-მწირად,  
გვერდს მედგნენ ქართლის გმირები  
თავი მამულს ვინც შესწირა.  
როდესაც გამომეღვიძა,  
ნირწამხდრობისგან გავთავდი,  
გაქრა მიწებიც, მანდატიც,  
საქართველოს რომ ვმართავდი.



13 სუსტისას

### მოვიწყენ, ვისი...

ფერი იცვალა ცხელმა ზაფხულმა  
და გადარეულ ქარებს მოველი,  
მე უშენობით მოვიწყენ, ვიცი,  
გაუფერულდა ირგვლივ ყოველი.

ვიცოდი, ერთხელ რომ წახვიდოდი,  
მეც ტკივილებთან ჩუმად დავზავდი.  
ვგრძნობდი ყოველთვის, დავშორდებოდით,  
ლალატით კარებს ჩამირაზავდი...

მერე გაწვიმდა... ძალიან დიდხანს  
მე თავზე ჭერი აღარ მეხურა,  
გალღვა ყინული, გულში რომ მედო,  
ცრემლად ლოყაზე ჩამომეწურა...

## დედა

დედა, მე მიჭირს შენზე წერა,  
გრძნობის გამხელა,  
რით გამოვხატო, რაც უნდა მეთქვა  
თბილი სიტყვებით,  
წლები წავიდნენ, არაფერი შეცვლილა  
ჩვენთვის  
და დამიჯერე ახლა უფრო მეტად  
მჭირდები.

სანამ შენ მყავხარ, მე არაფერს  
შევუშინდები,  
იმედის სხივი თან დამყვება –  
ასე თავნება,  
– მიყვარხარ დედა! – ასჯერ მინდა  
ყოველდღე გითხრა,  
უბრალოდ, მიჭირს შენთან  
ამის გამომჟღავნება!

## ლერზი სიზმარი

რაა ბავშვობა, ყმაწვილქალობა?  
ის სიხარული, გულში რომ ვტევდი,  
როგორ მეგონა, სითბოში გაზრდილს  
ცხოვრებავ, ასე გამიმეტებდი...

სად დამეკარგნენ ზღაპრის გმირები,  
ოქროს ქოში რომ მოჰქონდათ ჩემთან?  
დღეს სად აბია ზღაპრული ნავი,  
რომ გადმოვყავდი ყოველთვის შენთან?

მსურს, გამეორდეს ლურჯი სიზმარი,  
რომ მასიზმრებდა ცისფერ ქლამიდებს,  
და ნატვრისთვალი იმ ნაპირამდე,  
ასე რომ ვნტარობ, ხიდს რომ გამიდებს.

## კველა წახის ღათარიღება...

დღე უსაშველოდ გაიწელა, რატომლაც  
გუშინ  
და წარსულ დღეთა კვლავ მომინდა  
დათარიღება,  
ხომ შეიძლება ყველაფერი წაშალოს  
გონქა,  
არის რაღაცა, რაც არასდროს  
დაგავიწყდება.  
ცხოვრება მიდის და ახალი იწყება  
დღენი,  
იმ მოგონების გარეშე კი,  
არ შეგიძლია,  
იქნებ სხვა, უფრო ლამაზი მზე  
ამობარჩხალდეს,  
მაგრამ ისინი წარსულ დღეებს  
ვერ შეგიცვლიან...  
წინ გზებია და უამრავი კარი  
ცხოვრების,  
ოღონდ ის კარი შენი გულის  
აღარ იქნება,  
მერე შენ დაწერ იმ საოცარ დღეებზე  
ლექსებს,  
შენი წარსულის ყველა წამის დათარიღებას...



## 15 ქვეყნის კანკელი

\*\*\*

ეჰ, მგონი ისევ დავაგვიანე,  
შენთან შეხვედრა წაიღო ქარმა...  
ჰაერში ფიქრი გავანიავე,  
გულის სილრმიდან ვიმღერე მთვრალმა...

მაისის დღეებს ითვლიდა ბინდი  
და ალიონზე ივნისი ხტოდა...  
უწყლობით ისე კვდებოდა შინდი...  
მეჩვენებოდა, ზაფხული თრთოდა.

მინდოდა, ისე ეკივლა ბაგეს,  
რომ მოსულიყო წვიმაც კივილით...  
მომბანდა დარდით შეთითხნილ სახეს,  
წარსულის ლაქა ცრემლის ტკივილით...

მე მგონი, ისევ დავაგვიანე.  
შენთან შეხვედრა წამართვა ქარმა...  
გზაარეულმა დავაგვიანე  
და ოცნებებში გიმღერე მთვრალმა...

\*\*\*

მარშებითა და ზარ-ზეიმით ვერ შეჰქმნით ახალს,  
„სისხლის გადასხმა” არ უშველის მოშლილ სამყაროს...  
დარბაზში ტაშით რომ აცილებთ გადაღლილ ჯამბაზს,  
ფარისევლური ღიმილით კლავთ ცისფერ საღამოს...  
მრუდე ხელს ისევ მოუნდება გამოლაშქრება,  
შეუცნობელი მელოდია შეარხევს სიმებს...  
და მოფარფატე სისპეტაკე წამებში ქრება,  
იხრწნება სული, მომავალიც არ ტოვებს იმედს...

გოდების ტალღა გადაევლო ჩვილსაც მოლხენით,  
წუთისოფელი ამღვრეულა, გამხდარა ბაცი...  
დღეს ადამიანს შეუძლია იცხოვროს ენით,  
დაუნდობელი ცხოვრებისგან შეწუხდა კაცი...

მარშებითა და ზარ-ზეიმით ვერ შეჰქმნით ახალს...



## ომარ კომიტე

### ერთხელ პირის...


ოღონდ შენ მენახე მოხუცი და,  
თუნდაც მოვეკალი ტყვიას...  
შენთან სიახლოვის სურვილს,  
სხვა რა, სიყვარული ჰქვია!  
როგორ მინდა შენთან, აღსარება  
გითხრა, ყველაფერი გითხრა,  
ამოვილო დიდი გულის დარდი,  
კარგი, დამშვიდდიო მითხრა!  
იქნებ სიზმრად მაინც დამენახო,  
თავზე ნაზად გადამისვა ხელი,  
თორემ, სადაცაა, გასკდა გული,  
გელი, მოუთმენლად გელი!  
სიცილის და ღიმილების უკან,  
იმალება დიდზე დიდი დარდი...  
მაგრამ ერთ დროს ხომ ვიყავით ერთად,  
შენ გიყვარდი, მეც როგორ მიყვარდი!  
მინდა, სიხარული მინდა,  
მინდა სიყვარული მწველი,  
მაგრამ უკვე მივხვდი, სიყვარული  
ერთხელ მოდის ალალი და წრფელი!

## გვირჩევა

სიმართლე გითხრა, შენი ფურცლები  
არასდროს იყო კითხვები ჩემი...  
ზუსტად ვიცოდი, ვისაც ვუყვარდი,  
არ სჭირდებოდა გვირილის ტესტი...

## ესებრბა

ლამე გამეღვიძა, ალარ დამეძინა,  
ფიქრებმა შემჭამეს ისევ.  
ისიც გამახსენდა,  
ესეც გამახსენდა,  
ერთად გამახსენდა მყისვე.  
უკვე ალარ მინდა ალარც ეპითეტი,  
ალარც ქათინაური და ქება,  
ყველაფერი წინააო, მესმის შეძახილი,  
წინ კი არაფერი ხდება!



## ՀԱՅՈՑ (Խօս) Լեսակի

### ՊԵՊԻՆ ՀՅՈՒԱՌԵԱԿԻ

Վագրպոծ, վճերդյեծ და մუხլშიც զուգըցեծი,  
Շորით մոպշորշ და հիմաდ մազարդյեծი,  
Երთուც გამიღიმე, ღიმიღი մահույի და...  
Մեր հիմზ օպոს თეთრი გვირուլյեծი.

Օսեզ Շորս გարბօხար, մოგდევ, զեր გենց զո,  
Սუլմտლաდ Շերպալլե, վեժաვ, გազարդյեծი –  
ჩյարա გამიღიმე, տორეթ დაჭკնեბօն  
Սუլմի սիմենտօն თետրո გვიրուլյեծი.

ჩյարա մոասնարი, ցըսմուս, մոասնարი,  
Տանամ նախզեდი და սუլմտლად մովուլյեզո,  
Երտեղ გამიღიმე, օսե զնեბօնաდ  
თմեბში რომ հացաննա თետրո ցարուլյեծი.

Տոտյոս մზյ ჩամոდიս ցიდაն ძորս, մոնաչյ,  
Շեն րომ օცոնი და Շեն րომ օღიმյեծი,  
Օսե լամաზի ხար და თան մոմեօծալյելი,  
Շենտան րաս մովլուս თետրո ցարուլյեծი.

აღარ მასვენებენ ახალი წყლულები და  
სულში შემოდიან ძველი ტკივილები.  
უფალო, რომ მოვავდები, ერთს გთხოვ ჩემს საფლავზე,  
უხვად მიმოფანტე თეთრი გვირილები.

მინდა რომ ავიჭრა ცაში მაღლა, ზემოთ,  
ციდან მიწას ვხედავ, დაბლა ვიმზირები,  
მინდა გადმოვყარო, თავზე დაგაყარო,  
ჩემო თვალის ჩინო, თეთრი გვირილები.

მინდა, მინდა გითხრა კვლავ სათქმელი ჩემი,  
ის ვარ, რაც ვიყავი და არ ვიყიდები,  
მე რომ მკითხო, გეტყვი, რაც რომ მე მახარებს,  
რა და ყვავილები, თეთრი გვირილები.

ზოგჯერ ძალლსაც ვგავარ, ისე ერთგული ვარ,  
ტუჩზე თათს ვისვამ და თანაც ვიღრინები,  
მინდა, ჩემი იყო, სხვისი არავისი,  
თმებში რომ ჩაგიწნა თეთრი გვირილები.

ვერ ხედავ? მთების იქეთ სოფლები მოჩანს,  
ძველი, დანგრეული, ხის წისქვილები,  
წისქვილი ვახსენე და წისქვილთან ბევრი ვნახე  
გუშინ, ჩემო კარგო, თეთრი გვირილები.

ეგერ რომ კაცი მოდის, კაცი ჯამპურა,  
მკერდზე დაბნეული ზიზილ-პიპილებით,  
ამ დღოს მე მინდორში ნიავს არ ვაკარებ,  
არ მსურს გამიცივდეს თეთრი გვირილები.

ვაიმე, ეგ ოხერი, კაცი ორდენების,  
ცერად მიყურებს და ავად იმზირება,  
მაგას ვარდი უყვარს, უყვარდეს, რა მოხდა,  
მე ვარდს მირჩევნია თეთრი გვირილები.

## მცირე...

შორით მიმზერ, თვალს მარიდებ მორცხვად,  
რომ გიყვარვარ, შენ არ მითხრა, ვიცი,  
კვლავ გნატრობ და ღამეებს ვტეხ თეთრად,  
უძილობაც სიყვარულმა იცის...

როგორც ადრე, ოცნებებში ცხოვრობ,  
შენ რომ ელი, ფიქრობ, მოვა პრინცი,  
უნაგირზე შეგისვამს და ჰერი...

გატაცებაც სიყვარულმა იცის.

მზეს დაფარავს ღრუბლები და უხმოდ  
ჩამოწვება შორს მთის იქეთ ნისლი,  
ზამთარშიც რომ თოვლში ყვავილს ეძებ  
სასწაულიც სიყვარულმა იცის...

და თუ გიყვარს უსაშველოდ, მართლაც,  
არ ივარგებს, რომ გასტეხო ფიცი,  
ვინც რომ გიყვარს, თუ გაბოდებს ღამით,  
ბოდვაც თავად სიყვარულმა იცის...

შენ ბერდები, სიყვარულიც ქრება,  
რა ხელი აქვს შენთან აბა, სიკვდილს,  
თუმცა იცი, არ მოვკვდები, რადგან

უკვდავებაც სიყვარულმა იცის...

გუშინ იყო, აგერ, გუშინ, ჩემო,  
საბუდარში კვერცხი ნახეს ციცრის,  
შემოდგომით ხეს ფოთლები სცვივა,  
ფოთოლცვენაც სიყვარულმა იცის...



## მუკუ ქოძნოძვრა

### ეს ვარ მხატვარი

რატომ მოვარდი ასე უეცრად,  
შემომინგრიე გულის კარები  
და სიყვარულმაც აღარ მაცადა,  
ისე ჩამოჰკრა გრძნობის ზარები.

მოვარდა თითქოს თქეშივით განცდა,  
არივ-დარია სხეულში ფიქრი,  
ეჭვებმა თითქოს დაჯაბნა ნდობა  
შენი დაკარგვის გამიჩნდა შიში.

ჩვენი გრძნობები ახერხებს ფრენას,  
ფრთები არა აქვს და მაინც ცდილობს,  
მე ვარ მხატვარი პალიტრით ხელში,  
ამ სიყვარულის დავხატავ ტილოს.

ტილოზე ორი შტრიხი დავხატე,  
რუხ ფონზე ორი სიცოცხლის ფეთქვა,  
მე შენთან ბევრი მქონდა საერთო,  
ნახატით მსურდა სათქმელი მეთქვა.

ვერ დავიჩემებ მუზას ნიჭიერს,  
არ ვარ გოგენი, არ ვარ პიკასო,  
რომ დამიშალონ შენამდე მოსვლა,  
ხმამალლა ვიტყვი: „რა ვქნა, მიყვარსო!“

## ორქილეა

სიზმრად გნახე მსუბუქ წისლში  
 მელნისფერი იებით,  
 კლდეზე ასვლას ლამობდი და  
 კრეფას ორქიდეების.  
 მაგრამ ვაი, სასწაული,  
 მოწყვეტისას ჭკნებოდა,  
 კლდის წვერიდან მის ძირამდე  
 სულ წამებში კვდებოდა.  
 ჩემთან მაინც მოაღწია  
 პანაწინა ყვავილმა,  
 ხელის გულზე დავისვი და  
 წამში გადაყვავილდა.  
 დღესაც ჰყვავის ორქიდეა  
 ჩემი ფანჯრის რაფაზე,  
 შეკითხვაზე, მიპასუხე —  
 გიყვარვარ თუ მაფასებ?

## არა გარგის არალ!

არ ვიცი ვის დავაბრალო  
 ან დავაბრალო რას?  
 მე გაძლევ უკანასკნელად  
 შენ არჩევანის შანსს.

არ ვიცი რას მივაწერო  
 ან დავეცითხო ვის?  
 რატომ უარობ, არ ვიცი,  
 ან გეშინია რის.

მე როცა შემოგთავაზე  
 დავემორჩილე გულს,  
 გარშემო ახლო მეგობრებს  
 შენს გამო ყველას შურს.

მეკითხებიან: — შენია?  
 როდის გაიცან? სად?  
 თუ ჩემი ცოლი არ გახდი  
 არა მარგია რად.

## ეს გაუაჩაროს ციცონელის ფეთქვას!

აღარ ვწერ ლექსებს, არ ვარ პოეტი,  
არ იფიქრონ – ვარ მიეთ-მოეთი.  
სად ვარ, არ ვიცი, გამოღმა-გაღმა  
ნუთუ დავდივარ უკუღმა-წაღმა.  
ზეცაში მინდა, მიწაზე ვსტუმრობ,  
მართალი ჰგონიათ, როდესაც ვხუმრობ.  
მიყვარს გართობა, ვიცი შაირი,  
ცოდვა არა მაქვს არანაირი.  
იყო დრო, როცა ძალიან მსურდი,  
დღეს ყველაფერი არის აბსურდი.  
ჩვენი ცხოვრება – მოჩვენებაა,  
აღარ ვიქნებით – მოსვენებაა.  
მაგრამ იცოდე, ცხოვრება გრძელდება,  
პლანეტის ბრუნვა არ შენელდება.  
ღამეს დღე შეცვლის, იქნება ხალისი,  
იფეთქებს ნუში, მოვა მაისი.  
ჩვენი სამყაროს მუდამ ბატონი,  
სიცოცხლე კვლავაც იქნება პატრონი.  
მაშ, გაუმარჯოს სიცოცხლის ფეთქვას,  
ყველას ჩვენ-ჩვენი საოქმელი გვეთქვას!



## სა ზურნაძეო

### მპინარე

ავაქაფე საპონი, ვიხვანჩალოთ, ელენე,  
ჩქარა, ჩქარა, დაიკო, წყალიც გადავანელე,  
შეუყეფა მურიამ, ნუ აღვიძებ, ბიძინა,  
ელენიკო ისევ წევს, ჯერ ვერ გამოიძინა.

მამლაყინწა, იცოდე, თუ დაგიდგა თვალიო,  
თუ იქნები ყოველდღე, ასე გამომთვრალიო,  
მურა არ გიმეგობრებს და არც ფისო წუნკიო,  
მე და პაპა რას გიზამთ, ეს შენც კარგად უწყიო.

### მარი

ნიავივით ანცო, თვალბრიალა მარი,  
ღიმი რომ გადაგდის, მოკაშვაშე მთვარის,  
შენი სიკეკლუცე, შემოგევლოს ბებო,  
სარკეში თვალს მიკრავს, მზესაც გადაედო.

## ნინა

დამიცადე, ნინა, ნუ გარბიხარ წინა,  
მე რა დაგიშავე, მაკამ გაწყენინა,  
— კარგად დავინახე, აქეზებდა ლალა,  
საბოსტნეში თხები რომ შემოელალა,  
გადაძოვეს ქინძი, ნიორი და კამა,  
დიდთხა ბოტიჩალამ ესეც არ იკმარა,  
გამითელა ია, ფურჯთვალება, ნაზი,  
ხედავ? ახლაც კუდით ყვავილედზე აზის.

## ფისო და ელენე

“დედა ენა” მოგიტანე,  
ელენიკო, ნახე,  
ოღონდ ფრთხილად გადაშალე,  
ფურცლებს კი ნუ დახევ,  
თორემ დედა გაგვიწყრება,  
ვინდა გვაჭმევს ფაფას,  
ვინ გვიყიდის დასახატად  
ფანქრებსა და დაფას?

\*\*\*

— გამარჯობა, სად მიძვრები,  
საყვარელო კვახო?  
— მაღლა ხეზე, გოჭუნია,  
ხელი რომ არ მახლო,  
ნაკბილარი შენი ისევ,  
რომ არ გამიახლო.

## ლელა ენა

მორჩა, ხმას აღარ ვცემ, თმაქოჩორა ზაზას,  
გუშინ წავიჩხუბეთ, ძლიერ გამაბრაზა,  
წიგნი დამახია, წიგნი სათაყვანო,  
მითხარ, ეს ფურცლები როგორ გადავყარო?!

## მუჯები

დედიკომ მომიტანა საღებავი ფუნჯები,  
თოჯინები დავხატე, სხედან, როგორც მუნჯები,  
ერთმაც კი არ შემაქო, ყოჩაღ, ჩვენო ნანაო,  
მთელი ჩემი ნაშრომი წყალში ჩამეყარაო.

## ზარეაში

ოჳ, როგორ მეძინება, იზმორება მინდია,  
ალბათ, ახლა ბიჭები სკოლისაკენ მიდიან.  
დღეს მე რომ არ წავიდე, საყვარელო დიდედა,  
რა მოხდება, სკოლაში სწავლა გადაიდება?

## ყოჩაღი ერა

გუშინ ლელეს ესტუმრა,  
თმაქოჩორა იაგო,  
იბანავა და მერე  
ტანსაცმელს ვერ მიაგნო.  
მურამ მიუცუნცულა  
შარვალი და ხალათი,  
დედიკოს გადაურჩა  
სახლში წკეპლის გალახვით.

## მირიანი

ბაღში მიდის მირიანი,  
ამინდია წვიმიანი,  
რა ჩაიცვას, არ იცის,  
დედა მისთვის “არ იცლის”,  
ძმა ჰყავს ციცქნა იასე,  
საფეხს უცვლის მეასედ.

## საყვედები

— გოგო, პურზე გამეგზავნე,  
შემოგევლე, ირინე,  
აგერ არის მაღაზია, უცებ გადაირბინე,  
მხოლოდ ფრთხილად, აქეთ-იქით  
არ დაიწყო ყურება,  
— ბებო, შენი დარიგებით ნუ მიფუჭებ გონებას,  
თუ არადა, აგერ არის გააგზავნე ილია,  
ბესიკიც თან გააყოლე, შუა გზაზე ივლიან.

## ეჭავი იდეაბი

მოდი, ერთად დავკრიფოთ, ჩემო ბატიტელაო,  
ჭუკებისთვის ბაღჩაში ქორფა მატიტელაო,  
იცი? შენც მოგიხდება, დაგაყენებს ჯანზეო,  
არც თვალი გაგექცევა ჭუკიების ჯამზეო,  
აბა, ჩქარა ბაღჩაში, საყვარელო ბატიკე,  
ნაჭრის პარკიც მზადა მაქვს,  
სულ ბოლომდე გატიკნე.

ა სკანდალი



## სერგეი ესენინი

\*\*\*

დაბადებიდან ყოველ სულიერს  
რაღაც ნიშანი მოსდევს მაღლიდან,  
თუ არ მომცემდნენ პოეტის იერს,  
გამოვდგებოდი ქურდად, თაღლითად...  
ტანდაბალი და თან გალეული,  
ბიჭებში მუდამ ყოჩი და გმირი,  
ნაჩეუბარი და ვერდაძლეული  
შინ ვბრუნდებოდი გატეხილ ცხვირით  
და დედას, დამფრთხალს ჩემს დანახვაზე,  
თან ვამშვიდებდი, თან სისხლს ვყლაპავდი,  
— რა მოხდა? — ფეხი წამოვკარ ქვაზე,  
შემიხორცდება ნაღდად ხვალამდი...  
ახლა კი, როცა დრო შეიცვალა  
და მდუმარება დაცხრა თანდათან,  
დაუდგრომელმა, მედგარმა ძალამ  
დღეს ჩემს ლექსებში გაინავარდა.  
ბაჯაღლო სიტყვა დადგა ულევად  
და ყოველ პწკარში ცხადად გაისმა  
უწინდებური გაბედულება  
მოუთოვავი ჩეუბისთავისა.

# რაკემანზე

კვლავ ძველებურად მხნე და ამაყი  
მთლად ახლებური ნაბიჯით დავალ  
და თუკი ადრე ცხვირს მინაყავდნენ,  
სულის ჭრილობებს დღეს ვეღარ ვმალავ  
და ახლა, როცა ჩემს დანახვაზე  
ბრბო, მოსეირე, ხორხოცდება  
მივუგებ, – ფეხი წამოვკარ ქვაზე,  
ეს ხვალ უკვალოდ შემიხორცდება...

## სერგეი პსენინი

\*\*\*

რა მოხდა, თუკი სულ სხვამ დაგლია,  
მე მაინც დამრჩა ქალი, რომლისაც  
დალალთა ბზინვა მინის კვამლია  
და თვალნი – დალლა შემოდგომისა,  
ო, შემოდგომის ასაკო, ახლა  
ზაფხულზე მეტად გაფასებ, ვგონებ,  
შენ უყენიხარ სიყრმეზე მაღლა  
წარმოსახვების და ფიქრის პოეტს.  
გული არასდროს იცრუებს ჩემი,  
და ვამბობ ტრაბახნარევ გრძნობებით  
და შეუვალი, ვით განაჩენი,  
რომ ხულიგნობას ვემშვიდობები!  
გავშორდე, დროა, სიგიჟეს ჩემსას  
და – სიმამაცის თავნება განცდას,  
დღეს სხვა სასმელი ამ გულმა შესვა –  
მაფხიზლებელი სისხლის და აზრთა.  
ვუსმენ სექტემბერს, როგორც სარკმელთან  
კაკუნს ტირიფის მეწამულ ტოტის,  
რომ მოვემზადო მის შესახვედრად,  
რომ მოსასვლელი არის და მოდის.

უკვე რაოდენს გული კარს უდებს,  
დაუძალებლად ვიტან რაოდენს,  
სულ სხვაგვარად ვჭვრეტ მე ჩემსას, რუსეთს,  
ჩემს ქოხებსა და სასაფლაოებს...  
მიდამოს მზერას ვარ მინდობილი,  
აქაც, იქაც და ყველგან! – ვხვდებოდი,  
რომ მხოლოდ ერთი, დაც და დობილიც,  
პოეტისათვის შენ გახდებოდი,  
რომ მხოლოდ შენთვის შემეძლო მღერა,  
მარად წინმავალს, გულთა ნდობაზე,  
მასზედ, რომ გზებზე ბინდია ჯერაც  
და ჩემგან წასულ ხულიგნობაზე...

### პლესანდრე გლოგი

\*\*\*

თუ გახსოვს მშფოთვარე ქალაქი,  
შორეთში – ბურუსი ლურჯი,  
გზა იყო ცრუ, როგორც არაკი,  
გზა იყო უტყვი და მუნჯი.

ჩვენ ვდუმდით, მთვარე კი აცურდა  
ბნელ შემოგარენის ზემოთ,  
სავალი მოჩანდა მაცდურად  
და ვეღარ დავბრუნდი, ჩემო.

დამარცხდა ის ჩვენი ტრფიალი,  
გზებმა გაიტყუეს ანდა,  
ჩემში კი შეირხა შრიალით  
ქალაქის ბურუსის ფარდა...

ხომ გახსოვს მოლურჯო ღამეში  
ქალაქი – განგაშით სავსე?...  
ჩვენ განსჯის და ფიქრის გარეშე  
გავსწიეთ იმ მაცდურ გზაზე...

## მარიამ ცვეტალავა

### მომზოს

მომზონს, რომ ჩემით არა ხართ ავად,  
მომზონს, რომ ავად არა ვარ თქვენით,  
რომ მიწის ბურთი დგას ფეხქვეშ მყარად  
და არც აპირებს ჩაცურდეს ქვევით...  
ამ თავნებობის მომზონს უფლება, —  
სიტყვით თამაშის რომ არ ვცნობთ ხერხებს,  
რომ გაწითლებაც არ მემუქრება,  
სახელოს თქვენსას თუკი შევეხე...  
მომზონს, ჩემს გვერდით რომ არღვევთ წესებს  
და არხეინად სხვას რომ ეხვევით,  
რომ ჯოჯოხეთშიც არ გამამწესებთ,  
თუკი ტუჩებით თქვენ არ გეხებით,  
თუ თქვენ, ძვირფასო, ძვირფას ჩემს სახელს  
არ სწყალობთ დღით თუ დამით სრულიად,  
და ტაძრის დუმილს რომ არ შეარჩევს  
ჩვენთვის ნამღერი ალილუა!..  
გულით, ხელითაც მადლობა — თქვენდა,  
რადგან გიყვარვართ, არც იცით, — ისე,!  
რომ ჩემს ღამეებს სიმშვიდეს ჰყენთ და  
რომ იშვიათად საღამოს მივსებთ,  
რომ მთვარის შუქზე ერთად არ დავალთ,  
რომ მზეც არ გვადგას ჩვენ სხივთა ფენით,  
რომ, ვაგლახ! — ჩემით არა ხართ ავად,  
რომ, ვაგლახ! — ავად არა ვარ თქვენით!...

## ანა ახშატოვა

\*\*\*

არ მოგვიწევს, ერთი ჭიქით დავლიოთ,  
არცა – წყალი, არცა – ლვინო ტკბილი,  
ვერც ამბორით დავიმშვენებთ ალიონს,  
ვერც საღამო მოგვეწევა თბილი.  
შენ მზით სუნთქვა, მე კი – მთვარით, თეთრით,  
მაგრამ ვცოცხლობთ სიყვარულით ერთით...

მე ერთგული კავალერი დამყვება,  
შენ კეკლუცი მეგობარი დაგდევს,  
რუს თვალებში, ვიცი, შიში დამხვდება  
და შენ ის ხარ, ვინც არ მილევს დარდებს.  
იშვიათად და მცირე ხნით ვხვდებით, –  
ჩევნ სიმშვიდეს ვუფრთხილდებით, – ვხვდებით...

შენი ხმა, ჩემს ლექსებში რომ მღერის,  
შენს ლექსებში ჩემი სუნთქვა დაქრის,  
არსებულად თურმე ცეცხლი, რომელიც  
არ მოხდება, – დავიწყებით გაქრეს.  
ახლა როგორ მენატრება, ჩემო,  
შენი მშრალი, ფიცხი ბაგის გემო...

# რაკემანის

იან კუპალა

## ც ეძვებ

ნუ ეძებ იღბალს უცხო მხარეში,  
და ნურც – შორეულ ველთა ხავერში.  
სადლაც, უსიერ ტევრის ხმაურში,  
ლურჯი ზღვის ზვირთის აურზაურში,  
ბედს ნუ დაეძებ უცხო მხარეში.

ბედნიერება მანდ სულ ახლოა,  
სად მშობლიური სამოსახლოა,  
სადაც აკვანში დედა გაწვენდა,  
“ძილისპირულით” სადაც გარწევდა,  
თუკი მოძებნი მანდვე, ახლოა...

უცხოთა შორის ძმობილს რად ეძებ?  
უცხოს და უნდოს უნდა გაექცე,  
დიდი ქალაქი დიდი დარდია,  
პანებთან ძმობა შენ არ გარგია,  
მათში მეგობრებს ტყუილად ეძებ.

შენ მათ იპოვი ახლოს ძალიან,  
სად შენი კერის ნაპერწკალია,  
სად შენი ყრმობა ნახირს მწყემსავდა,  
სადაც ბალახში ცელი კვესავდა.  
სწორედ იქ ნახავ – ახლოს ძალიან!

სხვაგან ნუ ეძებ სამშობლოს კარებს,  
ასდევნებიხარ, ძმობილო, ქარებს,  
ვრცელი ზღვები თუ უცხო ხმელეთი,  
დალხინება თუ ელეთ-მელეთი.  
შენ ვერ შეგიცვლის სამშობლოს კარებს!

შენ მას იპოვი შენს ფესვზე მდგარი,  
ვინ თავის მინდორს პოულობს ქარი,  
ეგ არჩევანი გულისთქმას ანდე,  
ეძებე სულშიც და ახლოს, მანდვე  
შენ გაგეხსნება სამშობლოს კარი!

## მურათჰან მუხანი

\*\*\*

ძვირფასო ჩემო, საყვარელო ჩემო ობოლო,  
თვეს თვე მიჰყვება, დრო კი დგას და აღარსად მიდის,  
დახშულა კარი, ეს დღეც უნდა გადავაგორო,  
გავცერ ქვეყანას – და ქვეყანაა დაბინდულ მინის...  
მიდის ცხოვრება, მიუყვება, თანაც არ იძვრის,  
შენ რომ გიყვარდა, ის სიმღერა ოთახში ისმის  
(ორის მაგივრად მე სიმღერის მოსმენაც მიმძიმს),  
შენ რომ გემოსა, ის სამოსი ტანზე მაცვია,  
შენ რომ ხედავდი, ის სიზმრები ძილმა მაწვია,  
სურნელი შენი შენს პერანგად მხრებზე მასხია,  
დღე ინავლება... კვლავ ფინჯანში ყავა ასხია...  
არ ვაღებ კარებს, ტელეფონის არ ვუსმენ ზარებს  
და უმომავლო მოგონებებს ვუთენებ ღამეს...  
ჩემო ობოლო, რა ალალი ღიმილით გვიცერ,  
რას არ დავთმობდი, ეგ ღიმილი კვლავ რომ მანახა...  
შენ ხომ არ იცი ამ ფოტოზე  
რომ აღარა ხარ...

## სიცურ სიცეზი

\*\*\*

სიყვარული ნება-ნება ვახვიე და აეხვია,  
მაგრამ შალის გორგალივით უცებ ჩრჩილი დაეხვია,  
ჩრჩილი ხელმოკლეობის და ეჭვების და არჩევანის  
(მე მგონია, სიკვდილშიც კი არჩევანი კარგი არის),  
არჩევანი ლექსისათვის მოცლისა და უქმად ყოფნის, –  
ვერც ლექსს დაწერ, ვერც – მანიფესტს,  
არჩევანი თუ არ გყოფნის...

ტრფობის ძაფი ნება-ნება ვახვიე და აეხვია...  
ეგებ მობრუნებულიყავ, – ეგ სიმშვიდე დაგერღვია?  
ეგებ ყველა სიძნელესთან უკან აღარ დაგვეხია?  
მე ნაოჭებს დავუსხლტები,  
შენ ჭალარა დაგეძლია...

# რასემანი

მობრუნდი და ჩვენს გარშემო ყველა ვარდი გალალდება  
და შვილების იჭვნეული შეკითხვები დამთავრდება,  
ვით ლარნაკში – ყვავილები, – ჩვენი ყოფაც აყვავდება...

ტრფობის ძაფი ავახვიე, დავახვიე,  
აბა, სცადე, – ეს გორგალი დაშალე და დაარღვიე,  
გააცალე ტკივილები, ტანჯვის მჩხვლეტი ბუსუსები  
და აქციე სუფთა ძაფად ყურადღების და ღირსების...  
გავიაროთ ათას ჭირში, გავიაროთ ათას ქარში,  
ყმაწვილების დახოცვაში,  
მეგობრების დაკარგვაში...  
და ამბორი მიძღვენ ერთი,  
სანამ მოვა უკუნეთი...

## ალექსანდრე პუშკინი

\*\*\*

მე თქვენ მიყვარდით... ტრფიალით იგი  
მთლად არ მიმქრალი სულში, ეგების,  
თუმცა, თქვენ ამის არ გქონდეთ ფიქრი, –  
მე თქვენს სიმშვიდეს არ შევეხები.  
უსასოოდ და სიტყვის უთქმელად  
მიყვარდით კრძალვით თუ იჭვით სავსეს,  
მიყვარდით ისე ნაზად, გულწრფელად,  
რომ ღმერთს ვთხოვ, სხვასაც უყვარდეთ ასე...

## ანა ქარისალეი

ჩემს თვალწინ იდგა შენი მშვენება! –  
იმ წამის ხსოვნა მარად ჩემია,  
გჭვრეტდი, ვით შორად გამკრთალ ჩვენებას,  
ვით სილამაზის უქრობ გენიას...  
ქანცის გამწყვეტი ნაღველიც მერგო,  
– ამაოების შფოთით წამებაც,  
და მდევდა დიდხანს ნაზი ხმის ექო,  
და მდევდა ნატიფ ნაკვთთა ზმანება...  
გამოხდნენ წლები... ძალუმ ქარიშხალს  
გადაურეკავს ჩემი ნატვრები,  
მე მიმავიწყდა შენი ნაზი ხმა  
და ზეციური შენი ნაკვთები...  
და ვით დილეგში, უმზეოდ, უხმოდ,  
დღეები ერთურთს ებმოდნენ მხოლოდ, –  
უშთაგონებოდ, უცრემლოდ, უღვთოდ,  
უსიყვარულოდ და უსიცოცხლოდ...  
და ჰა! – დაბრუნდა შენი მშვენება! –  
სულს ჯერ სიფხიზლე შემორჩენია!  
და გჭვრეტ, ვით შორად გამკრთალ ჩვენებას,  
ვით სილამაზის უჭკნობ გენიას!  
კვლავ ნეტარებით აძგერდა გული,  
ერთად შეირხა და აღდგა მკვდრეთით:  
სიცოცხლე, ცრემლიც და სიყვარულიც,  
ზეშთაგონებაც და – თვითონ ღმერთიც!...

# რაკემანტი

## ანა ახშაფოვა

\*\*\*

შენ ხარ მარად უცნობი და იდუმალი,  
მე სულ უფრო თვინიერი ვხვდები,  
ტრფობა შენი – გოროზის და მიუვალის,  
ცხელი შანთით გამოცდაა, ვხვდები...

ამიკრძალე სიმღერა და გაღიმება,  
რა ხანია აღმიკვეთე ლოცვა,  
შენთან ვიყო, შენთან ვიყო, რა იქნება?! –  
არას ვწუხვარ, შენთანა ვარ, როცა...  
ცას და მიწას ჩემი თავი შეაჯვარე,  
აღარ ვმღერი, დგას სიჩუმე სრული,  
ჯოჯოხეთსაც, სამოთხესაც შენ წაჰვარე,  
თითქოს, ჩემი უბორკილო სული...

## ანა ახშაფოვა

\*\*\*

გათანგულმა შენი მზერის სიხარბით,  
მეც ვისწავლე მთანგველ მზერის გაბმა,  
მე ხომ ერთი ნეკნი ვიყავი, –  
როგორ უნდა არ მიყვარდე, აბა?

ვყოფილიყავ შენი ლალი დობილი, –  
ოდით მაძევს ბედის განაჩენი,  
მე კი გავხდი უძღები და ორპირი  
და უტკბესი გავხდი მონა შენი...

მაგრამ როცა წყნარად მოვიკალათებ  
შენს თოვლივით მოქათქათე მკერდზე,  
გული შენი ზეიმობს და ანათებს,  
გული მზეობს, მამულს მითბობს ეს მზე...



## სარა შეკულტონიძე

### ა. პუპინი

\*\*\*

არა, არა, ვერ გავბედავ და ვერც შევძლებ, ვიცი,  
რომ გიუური სიყვარულის მღელვარებას ვენდო,  
ვუფრთხილდები ჩემს სიმშვიდეს მარად მკაცრი ფიცით  
და არ ვაძლევ გულს უფლებას, ტრფიალებით ენთოს...  
აღარ მინდა შევიყვარო, თუმც, რად არ მაქვს ნება,  
ჩავიძირო მეც წუთიერ ოცნებებში... როცა  
თვალწინ ასეთ უსპეტაკეს, ნაზ ქმნილებას ვხედავ,  
ვისაც ზეცა ამ მადლიან მშვენებისთვის ლოცავს!  
მხოლოდ წამით ჩამივლის და... მეკრძალება განა,  
რომ სევდიან ოცნებებში ავედევნო ჩრდილად?  
მსურს, თვალებით მივეფერო და ვუსურვო მარად,  
ბედნიერად გაუთენდეს მას ყოველი დილა!  
სულ მივცემდი მას ცხოვრების მთელ სიკეთეს ფერადს,  
სულს მხიარულს ნურასოდეს ნუ დაუდებს საზღვრებს.  
ისიც იყოს ბედნიერი, ვინც არჩია ყველას,  
ვინც მეუღლის, მას ოდესმე, ნაზს დაარქმევს სახელს!

ს. გოროვაცი

წერილი ფართიდან

მხოლოდ შენ ხარ ერთადერთი ფიქრი, ჩემო,  
მონატრების ათინათით გამთბარი,  
უსაშინლეს ბედისწერას ღამით ვჩემობ,  
შენ არ იგრძნო ოღონდ ცივი ზამთარი.  
სევდიან ცას კვლავ მოსწყდება წყვილი ცრემლი,  
წვიმის წვეთი აწკარუნდა ბალებში,  
ვაშლებმა კი ფანტელებით მორთეს ველი,  
სევდამ ცეცხლის გამახვია ბადეში...  
მან მოიცვა უსასრულო სივრცე თითქოს,  
აისიც კი მიინავლა ტალღებში,  
მან წამართვა ვარსკვლავების სხივთა სითბო  
და დამტოვა მიუსაფარ ღამეში...  
შიშის მომგვრელ ალისფერით გრგვინავს ზეცა,  
შენ კი ღიმით, შუქთაფენით მაცოცხლებ,  
სიზმარეულ ნეტარებას შენში ვხედავ,  
მწამს, ძვირფასო, გადარჩენას მაცნობებ!  
უნუგეშო წყვდიადიდან გინვდი ხელებს,  
შეშლილ ხელებს, უშენობა ნაგემი,  
ნეტავ, როდის ჩახუტებას შევძლებ შენსას,  
რომ შევერწყათ, ვით მუსიკის ჰანგები...


## ს. მსხვილი

\*\*\*

დამაგვიანდა, ან იქნება ადრეა ჯერაც,  
ვინ იცის, ნეტავ, რაზე ფიქრში გავლიე წლები,  
თითქოსდა უკვე ვემგვანები დონ უუანს ფერადს  
და ჭეშმარიტად ქარაფშუტა პოეტი ვხდები!  
რა დამემართა, რომ ვიცოდე ჩემს თავს რა მოხდა,  
ყოველდღიურად ვკოცნი მუხლებს სხვათა და სხვათა,  
ვერ ვურიგდები თუმც ღალატის მომწარო გრძნობას,  
და საკუთარი თავისადმი სიბრალულს ვკარგავ...  
მუდამ მეწადა, არ გამევლო არასდროს გულში,  
ნაზი, უბრალო გრძნობებისა მცირედი ჩქამიც,  
რას ვეძებ ნეტა, ცრუ ქალების ცარიელ სულში,  
და ყალბ მზერაში რად გავლიე ცხოვრების შარმი...  
ჰე, შემაკავე, სიძულვილო, სულ თან რომ მახლავ,  
შენით ყოველთვის ვირჩეოდი მე სხვათა შორის,  
სულში უცეცხლოდ დუღლილია გრძნობების ახლა  
და იასამის შრიალია, ცისფერი, მგონი...  
დაისის ფერთა ლიცლიცია გაცრეცილ სულში,  
თუმცა ნისლს იქით შემომესმა სიტყვები მწველი,  
თავისუფლებას სდევს სასჯელის მახვილი გულში,  
დონ უუან, უნდა გამოწვევა მიიღო ჩემი!  
და გამოწვევას მეც მივიღებ უჩვეულ რიდით,  
მაინც კი ირგვლივ არაფერი შეიცვლის სახეს,  
მაისის ვარდებს ქარიშხალი წამართმევს, ვიცი,  
რადგან სიყვარულს შეუფერებს ვუწოდებ სახელს...  
ეს დამემართა, აი, თურმე ჩემს თავს რა მოხდა...  
და ამიტომაც ვკოცნი მუხლებს სხვათა და სხვათა,  
ვერ შევურიგდე, რათა ისევ ღალატის გრძნობას,  
ფიქრით, რომ შორით მოღიმილე სიხარულს ვკარგავ...

შოთა

მუხლები კრისტიან  
გულება



## გვარ ჭახაძე

### ესპ მსხამევისა

ჭალარა პროფესორმა მოვარდისფრო ნაიარევებით დალი-ანდაგებულ მკერდზე დიდრონი სათვალე პროშექტორივით დამანათა.

— კარგად შეხორცდა, — მაჯა გამისინჯა, — მოტორიც ჩინებულად ამუშავდა, ყოჩალ! — ისე შემაქო, თითქოს ყველაფერი ჩემი წყალობა ყოფილიყოს. ბებრულ თითებს გულთან ფრთხილად მიკაცუნებს, — ანი მაინც გაუფრთხილდი და... ბიძიკო, ყმაწვილ კაცს გულის კუნთები არ გივარგა. უნდა ივარჯიშო. სუფთა ჰერზე ბევრი იარე, სირბილიც მოგიხდება.

ოჯახის მთელი შემადგენლობა სასონარკვეთილი ისე დამჩერებია, როგორც საიქიოდან ახალდაბრუნებულს, თან დასტაქრის ყოველ სიტყვას დამშეული ბელურებივით კენკავენ.

ჰოდა, როგორც კი მოვიკეთე, სიარული შევძელი, ჩემებმა ამიქშიეს, ადრიან დილით ნამომაგდებენ და ჰერი!

თავიდან სიზარმაცე მძლევდა. დილის ძილი ტკბილია. ეს წინააღმდეგობა წარმატებით დავძლიე. ცისკრის ვარსკვლავიც რომ შემომიჩნდა? ფანჯრიდან შემოიჭრება, ისეთი ლამაზია, მოწყვეტა მოგინდება. თავიდან იყო ძნელი, თორემ მერე თვითონ გამიტაცა. სიცოცხლის მეოცე გაზაფხულზე პირველად შევიგრძენი განთიადის სიდიადე.

იმ დილით ალიონმა ბივრითის ცას მოზრდილი ნაჭერი რომ ჩამოაცალა, მე იაღლუჯის ფერდობს აკრულ ბილიკს მივთელავდი. მერე უჩუმრად სხვებიც შემომეპარნენ, მხრებში შემიდგნენ და მალლა-მალლა ამიტაცეს. გეგონება, ფრენის გაკვეთილებს მიტარებენ.

აბა რა ვიცოდი, თუ ეს ჯადოსნური ალიონი დიდ ხიფათს გადა-  
მყრიდა?!

ის იყო, პირველსავე ბორცვთან შევისვენე, რომ ათასი ჯურის,  
ფერისა და სურნელის ყვავილებმა ზღაპრების სამყარო გადამი-  
შალეს.

თითო-ოროლა მათგანი კი ვიცანი: ცეცხლივით ბრიალა ყაყა-  
ჩიობი, თეთრფრთება და ყვითელგულა გვირილები, წვრილი  
მარცვლებით თავშემოკრული, ქათიბდაწინწკლული თავშ-  
ავა... სხვები კი იმდენი იყო, სხვადასხვა გვარის, მორთუ-  
ლობის, კოპწიები, ლამაზები, რომ მათი სახელები კი არა, არ-  
სებობის შესახებ წარმოდგენა არც კი მქონდა.

დავკრეფ, ბებოს, დედილოს, ჩემს პატარა დაიკოს გავახარებ-  
მეთქი და მივადექი. ყვავილებმა ისე გამიტაცა, წელში რომ  
გავიმართე, ვეებერთელა მზე ჰორიზონტზე არშიად გავლე-  
ბულ შავ ღრუბლებს ნაწიბურზე ცეცხლს უკიდებდა.

ლექციაზე დაგვიანების შიშმა ელემელეთი დამმართა.  
თავდალმართზე ისე დავეშვი, ნაოპერაციევი გული არც კი  
გამხსენებია. დაბლა, მთავარ მაგისტრალთან, გაჭერებულ მან-  
ქანას კინალამ ზედ შევასკდი. სკვერში დაჭრილი ნადირივით  
რომ შევვარდი, ვიღაცამ ცივად იკივლა, ვაი, დედა, როგორ  
შემაშინეო.

ახლა კი ვიკადრე შეჩერება. შემოვტრიალდი. ლოყებბუთ-  
ხუზა, სახეავარდისფერებულ ქალიშვილს შიშისაგან გული  
ხელით ეჭირა.

— მაპატიეთ, — ძლივს ვსუნთქავდი. მერე, დანაშაული რომ  
გამომესყიდა, თაიგული მოკრძალებით გავუწოდე.

— ვაი, რა ლამაზია, — ქალიშვილს ერთბაშად ავიწყდება  
წელანდელი შიში, ძვირფასთვლიანი ოქროს ბეჭდებით გაწყობი-  
ლი თითებით თაიგულს ფრთხილად მართმევს.

— ჩხა, ჩხა, ჩხა... — სადენებშემოგლეჯილ ელექტრობოძზე  
შემოსკუპებულ ჩხიკვს საჭორაო გაუჩნდა.

— თეა, შეხე, მთვარე როგორ გალეულა! — ამჯერად მეორე შეშ-  
ინებულ-გაბუტული აღმოვაჩინე. იგი ვეებერთელა ნაძვის ჩეროში  
თავისთვის ნარნარობს, არარსებული მუსიკის ჰანგებსა და აერ-  
ობიკის რიტმებს აყოლილს, წაბლისფერი გაშლილი თმები მხრე-  
ბზე ეტალონება. მომხიბვლელი სწორი ნაკვთები მაჯადოებს. რაკი

ერთი მიმიჯაჭვა, მზერას ვერ ვაცილებ. მალე მივხვდი, დოკულაპი-ასავით ხახადაბჩენილი რომ მივაშტერდი. შემრცხვა და მთვარ-ეს დავუწყე ძებნა. ერთიანად გალეულს, მზის სხივებში ტაფაზე დაგდებული კალმახივით რომ სხმარტალებს და ცეცხლის ალში ლღვება, ძლივს ვპოულობ.

— ბილ, ბილ! — ეტყობა, თეა რომ ჰქვია, ის ქალიშვილი ისევ გა-ვანაწყენე, რაკი ტუჩებმობუსხული ვიღაცას საშველად უხმობს.

— რაო, კლინტონიც თქვენთანაა? — ვცდილობ ხუმრობით შე-მოვირიგო. ამ დროს ბუჩქებიდან კავკასიურმა ნაგაზმა ბომ-ბორა თავი გამოყო და ვხვდები, არც მთლად სალალობოდ მაქვს საქმე.

— ქართულ ქოფაკს უცხოური სახელი საიდან?! — ერთბაშად დასერიოზულებული ვცდილობ გარკვევას. ძალლი კი დინ-ჯად მოიწევს, უფერულ თვალებს მიბრიალებს, პირს ფართოდ აღებს, ალისფერ ენას სიგრძეზე გადმოფენს და ქათქათა კბილებ-ის (ალბათ ყოველ დილა-სალამოს თუ უხეხავენ) სიბასრის დემონ-სტრირებას ახდენს.

— როგორ, ვერ ხვდები?! მამაჩემი ქართულ-ამერიკული ფირმის პრეზიდენტია! — თავს იწონებს თეა, თან ნაგაზს ამუნათებს.

— ო, რა დოკულაპია ვარ, — ქალიშვილის ხორბლისფერ კის-ერზე ოქროს ძენკვს, მოლიავებულ ბკერდზე ასევე ძვირფა-სი თვლებით გაწყობილ ჯვარს თვალს ვერ ვაცილებ. დილით ჰაიპარად ვინც ასეთ სამკაულებს დაატარებს, მისი სასახლე რომ ოქროზე დგას, ამას რა დიდი თავისმტკრევა სჭირდება? მე უკვე ნაგაზს ვეპირფერები, — ალბათ ინგლისურიც ეცოდინება?

— ორდენებიც აქვს, — ქალიშვილი ძალლს აძაგრულ, ნაცრის-ფერ ბალანზე ხელს უსვამს, — ხომ, ბილ?

— უეჭველია, ღირსების ორდენიც ექნება... ყოჩაღ, ბილ! ჩვენი ხელმწიფე გულუხვია. — ამჯერად დიდი მონდომებით შევაქე ბილი. მერე მახსენდება, რომ ლექციაზე ვაგვიანებ. რაკი თეასთან და ბილთან მშვიდობა დავამყარე, არხეინად ვემშვიდობები, მერე იმ მეორესთან ახლოს ჩავლისას ხმადაბლა ვამბობ:

— თქვენ ხვალ მოგიტანთ, უფრო ლამაზს, განსაკუთრებულს...

— ნუ შენუხდებით, — წამით წარბებს არკალავს. მერე ნუშის თვალებს ისე მომანათებს, მეორე ცისკარი მესხნება ამ დილით.

იმ დღეს ლექტორების საუბარი ქარის ბუბუნივით ჩამესმოდა, რვეულის ფურცელზე კი ნუშისთვალება ჯეირანს ვხატავდი.

საკმაოდ მემარჯვება ყალმის მოსმა, სკოლაში გამოფენებშიაც ვმონაწილეობდი... ამაოდ — ამჯერად ვერას გავხდი.

\* \* \*

მომდევნო დილა უუმური, ნისლით დამძიმებული, ცრიატი დამიხვდა. სადაცაა გაწვიმდება. ალბათ ისინი აღარ გამოვლენ. იმედი გადამეწურა. შინ შებრუნება აღარც მიფიქრია. ფერდობს ჯერ ნელა შევუყევი, ვუფრთხილდები ჩემს „მოტორს“... ის უფრო-დაუფრო იმედიანად ფეთქავს, საწვავად სუფთა, კამკამა ჰაერით შეჯერებულ სისხლს უხვად ლებულობს.

იაღლუჯზე ნისლიც შემოიცრიცა, სადაცაა ინათებს. ვარსკვ-ლავებით დაცხრილული თუჯის ცის კაბადონს ალიონი ნაპირებს აფშენიდა.

— ფრ, ფრ, ფრრრ... წკრ, წკრრრ... — ერთი კი შემაშინა მაღლა აჭრილმა ტოროლამ.

— დაგასწარი, გზა ნახე, ტყუილა ბაქიბუქობ, — მივაყოლე გულ-მოცემულმა.

— ფრრრ! — ამჯერად მამალი შეენთო ზეცას. თვალი მივადევ-ნე. ხატულა ფრთებმა სხივებში ოქროსფრად გაიელვა. ზევით, სულ მაღლა, სანადიროდ გამოსული არწივი დაყაშყაშებდა. მერცხლებმა რეაქტიული თვითმფრინავებივით გადამიფრი-ნეს. ეტყობა, ფრინველთა მეფე ფეხებზე ჰკიდიათ.

არწივი მოულოდნელად ცას მოწყდა, ფრთებმოწურული დაბლა ქვასავით დაეშვა, სულ რაღაც წუთით გაუჩინარდა. მერე, ხელახლა მაღლა რომ აიქრა, მის კლანჭებში უშველებე-ლი გიურზა იკლაკნებოდა. ქვენარმავალი თავს მაღლა სწევდა, უნდოდა ფეხებში სწვდომოდა და დაეგესლა. არწივი კი, ფრთების მძლავრი ტყლაშუნით, ზევით მიიწევდა. ბოლოს მსხვერპლი გაუშვა და ...

ასე სცოდნია, უხსენებელს ცის კიდიდან დაბლა რომ დაა-ნარცხებს, ხერხემალს გადაუმსხვრევს, მერე მიუბრუნდება დელიკტესს.

— ჯიგარი ხარ, ფრინველთა მბრძანებელო, მაგრა კი მოუტეხე... მაგ წყეულმა ამასწინათ შიში მაჭამა... ძალიან კი მომრავლდნენ უხსენებლის ჯილაგისანი...

ბექობზე, აქლემის კუზად რომ დასკუპულა, ლაღად შევიმა-რთე. მერე ქალაქს გადავხედე. მაღლივი სართულები შედედებულ

ნისლში ლაღად რონინობენ, კვამლგამქრალი მილები სევდის-მომგვრელად გარინდულან... ბურუსი მაჯლაჯუნასავით აწევს აქაურობას, ადამიანებს სუნთქვას უხშობს, მაგრამ რაკი ზემოდან მზის ნათელი დაპფენია, იმედი მომეცა. პაპაჩემის ნაშენ-ნალოლიავები სალოცავი კვლავ აღსდგება, გაცისკროვნდება. ამასობაში მზე ამოიბურთა, სხივები ფერდობს გულუხვად შეაფრქვია, ყაყაჩოთა მდელოს ცეცხლი წაუკიდა. მერე გვირილებმაც მოითრთვილიანეს, ათასი ფერი ცვარ-ნამში აციმციმდა. მეც მივდექი და ნუშისთვალას საკადრისი თაიგული შევუკონე. უკან ჩამოსვლისას ქალიშვილებს შორიდან მივესალმე. თეას გვერდი ავუარე და იმ მეორეს თაიგული მივაწოდე.

— ოჰო, თქვენ არ ხუმრობთ, ეს მართლაც საოცრებაა... — მის ხმაში ბროლის ზარებმა გაიწკრიალა.

— ჩემი? მე... — თეამ შეკვივლა, მერე უცებ ზურგი მაქცია, ტუჩები მობუსხა, — ბილ, სად ხარ, ბილ?

— დიდი გამოუსწორებელი ბედოვლათი ვარ, — უმალ ვალიარე, — ხვალ ორივეს მოვუტან, ბილ, დედას გეფიცები...

ბუჩქებიდან გამომძვრალმა ქოფაკმა ისევ ავად შემომხედა.

— კეთილი, ბილ, დღეს ვაპატიოთ! — როგორც იქნა, თეამ შემიწყალა.

ძაღლმა ორჭოფულად აიხედა. მერე ალბათ იფიქრა, ქალების ხუშტურის აყოლა არ მეკადრება, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ მამრები ვართო და დაწყებული საქმის დასასრულებლად შებრუნდა.

ამჯერად ერთად წამოვედით. უბნელები ვყოფილვართ. ხათო მქვიაო, იმ მეორემ.

— მე ხატიას დაგიძახებ.

— ვითომ რადაო? — ო, როგორ უხდება წარბების ამშვილდვა. თვალებიდანაც ნაპერწკლები სცვივა თითქოს.

ხეივანთან პირველი თეა ჩამოგვცილდა. იქვე, ქუჩის გადაღმა უცხოვრია. ბილმა ამრეზით შემომხედა.

— მამაშენი ჭკვიანი კაცი ყოფილა, ამისთანა ქოფაკები მგლებისგან მთელ ფარას იცავენ, ბილს შენი დარაჯობა არ გაუჭირდება-მეთქი.

— კაი, რა! — გაინაზა თეა.

მე და ხატია ერთმანეთს ქვემოთ, ხეივნის შუაგულთან დავცილდით. მარტონი კი დავრჩით, მაგრამ რა? თითქოს ენა გადამეყლაპოს.

\* \* \*

— ახალი მთვარე... შეხედე, რა ლამაზია! — რა მაგიური ძალა აქვს ხათოს ხმას, მთელ სხეულში ურუანტელად დამივლის ხოლმე.

— მთვარე?! აბა სადაა, აგერ, გუშინ თუ გუშინწინ ამომავალი მზის სხივებში არ ჩაიღვენთა?

წინა დილით, თეა რომ ჩამოგვცილდა და გზა მარტო განვაგრძეთ, როგორც იქნა, საუბარი გავუბი. რაკი ერთი ავიწყვიტე, რა გამაჩერებდა. მერე ადვილად დავაჯერე, რომ სუფთა ჰაერზე გასეირნება ბევრად სასარგებლოა, რომ შებინდებას თავისი ხიბლი აქვს, ახლადგამოღვიძებული ვარსკვლავები სიყვარულის იდუმალ მუხტებს აფრქვევენ და თუ მთვარეც გამოჩნდა, ზღაპრებით ივსება სამყარო. ამ დროს ანგელოზებს ამური სასეირნოდ გამოჰყავთ. ის მოზიდული მშვილდით დაიარება და ჯერ არ გაჩენილა სულიერი, მისი ისრისთვის მკერდი არ მიეღერებინოს. ოღონდ აჩრდილებს უნდა უფრთხილდე. მათ ზურგს უკან ზოგჯერ ჭინკები იმაღლებიან. სამაგიეროდ, ციცინათელები აკვესებენ ცეცხლს და მთვარის ქიმზე ჩამომჯდარი ორფეოსიც ჯადოსნური ჰანგებით უგალობს შეყვარებულთ.

და ხათომაც დამიჯერა...

— მთვარეს შეევედრე, რამე სთხოვე, სურვილებს აგისრულებს... — აიჩემა ხათომ. თითქოს მაძალებს კიდეც. მისი ბაგეები ისე თრთიან, როგორც ლოცვის წარმოთქმისას. მეც ვარსკვლავებით გაკვანჭილ ცას ვათვალიერებ. მერე სადღაც შორს, ამჯერად დასალიერში, ძლივს ვპოულობ ნამგალივით დაწვრილებულ, ოქროსფრად მოელვარე, შარავანდედით მოსილ მნათობს.

— მთვარეს რა უნდა ვთხოვო? ასეთი რამ პირველად მესმის.

— როგორ, არაფერი გაქვს სათხოვარი?! — შავი წარბები მაღლა რომ აირკალება, მეც უმალ გონება მინათდება.

— ო, როგორ არა, — უცებ აფორიაქდნენ ჩემს სულში შემოჭრილი ჭინკები. ისინი რომ არა, ვერ გავბედავდი, სათხოვარი მთვარესთან კი არა, შენთან მაქვს-მეთქი, თრთოლვაატანილმა ჩავიჩურჩულე. უცაბედად წინ გადავუდექ, ორივე ხელი მხრებზე მაგრად მოვხვიე, მკერდში ჩავიკარ და მისი ბაგეები მოვძებნე.

ეს იყო წამი ან... საუკუნეც. თავიდან მომეჩვენა, ხათოსთან ერთად ავფეთქდი და ჩვენი სხეულები ლაჟვარდოვან სივრცე-

ში განიბნა. ან იქნებ ზიარჭურჭელად ვიქეცით და ორი არ-სების სისხლი ერთმანეთში გადაიღვარა? არ მახსოვს, ვსუნთ-ქავდი თუ არა... ნუშის თვალებში მთელი სამყარო რომ იყო მომწყვდეული, მხოლოდ ამის ხილვა მოვასწარი.

ხათო გონს რომ მოეგო, უცებ ამიჯანყდა, მკერდზე ხელი მკრა და ჩიტივით გამიფრინდა. მე კი კარგახანს გაოგნებული, მონუსხული ვიდექ. როცა გამოვფხიზლდი, გვიანი იყო. არადა, ღმერთი, რჯული, სხვა ბაგეთა სიტკბოც მიგემნია, კი, დავწა-ფებივარ, მაგრამ ეს სულ სხვა იყო და მეც თავგანწირვით ვეკვეთე დამეს. დიდხანს ვიბორიალე ხეივანში. მისი სახლის წინ მესვეტ-ედაც გამთენიამდე ვეყუდე. ბოლოს გული იმ იმედით ვინუგეშე, ერთი კოცნის გამო შეყვარებულს რომ არ ჰყარგავენ.

მეორე დილითაც ისევ წყვილად ვკონავდი თაიგულებს. ჩემი მთა მწყალობდა, ველური სურნელებით გაჯერებულ ყვავი-ლებს არ იშურებდა ჩემთვის. ოღონდ ეგ იყო, რამდენადაც არ ვეცადე, თეასთვის განსხვავება არ მეგრძნობინებინა, ხათოს თაიგული ყოველთვის განსაკუთრებული, უკეთესი გამომდიოდა, რის გამოც ბილი ხშირად მინაწყენდებოდა.

\* \* \*

გაჩერებაზე ვწრიალებ.

ჩვენი გრძელცხვირა, კუზიანი ავტობუსი იგვიანებს.

ამჯერად ინსტიტუტში ალარ მაგვიანდება...

ერთადერთი, ყველაზე დიდი განძის, ტელევიზორის გაყიდ-ვაზე რომ მიდგა საქმე, ოჯახი აფორიაქდა.

ბიძა, რომელიც სხვებზე უკეთ მოერგო ახალ ცხოვრებას, სა-ბაზრო ეკონომიკას რომ ეძახიან, ბიჭს სამუშაოზე გავაჩალი-ჩებო და მეჯართეობას დამპირდა.

— სწავლა? ბავშვი ძლივს უმაღლესში ჩაირიცხა! — შეიცხადა დედამ.

— მაგ ყაჩაღებთან ჩემს შვილს რა უნდა? — კატეგორიული აღმოჩნდა მამა.

პურის ფულს ამ ერთხელ კიდევ შეგაშველებთ, მერე თქვენ იც-ითო, უფრო პრინციპული მაინც ბიძა გამოდგა.

— ჩვენი ოცდაოთხი ლარი თუ გვიშველის? — ორჭოფობს პაპა. მისი და ბებოს გაერთიანებული პენსია, რაღაც სასწაულით

გაგანია ზაფხულშიც უიმედოდ რომ იყინება, საქმეს მართლა ვერ შველის.

— მოვდივარ! — ავიტაცე ბიძიას წინადადება. ეს ჩემგან მართლაც გმირული გადაწყვეტილება იყო. ნაოპერაციელი გული-სა და პროფესორის მიერ დაწუნებული კუნთების პატრონს მეტი რა მოეთხოვებოდა.

ავტობუსი ჰორიზონტზეც არ ილანდება. დააგვიანებ და... ჩვენი პატრონი, რომელიც ჩემს უფროს კოლეგებსაც თვალით არ დაულანდავს, დიდი დესპოტი ვინმეა. ისაა ჩვენი კანონმდებელი, პროფესიონალიც... ამბობენ, თვით ხელმწიფეც ფეხებზე ჰკიდიაო.

იმედგადაწუნულმა მაღლა ავიხედე. მიმცხრალი ბორბალა მთვარე დამჩერებია.

რა მაღლე დაბერებულა მთვარე!

ის წმინდა გიორგი და მისი რაშიაო, ერთხელ პაპამ ჩვეული გულდაჯერებით დამანახა მთვარეზე გაბნეული ჩრდილები, გვე-ლებას ებრძვისო...

წმინდა გიორგი რით ვერ მოერია ამდენ ხანს იმ ურჩხულს და რად არ ჩამოდის ამდენი ყაჩალის, გარეწრის, ქვეყნის ამომგდების დასალაპარად, ჩემთვის გაუგებარია.

მთვარე ხათოსთან გადამაბარგებს. თუმცა ხათო უიმისოდაც ყოველთვის ჩემთანაა... ეს მეორე კვირაა, ვერ ვხვდები. შევხ-ვდე, ან როგორ... გამთენისას სამუშაოდ მივდივარ. მზე რომ ჩაესვენება, მხოლოდ მაშინ ჩამოდგება ჩვენი ავტობუსი. მა-ნამდე კი ვშლით, ვამსხვრევთ ძველ თუ ახალ დანადგარებს, აგრეგატებს, ძრავებს. კიდევ რას, ვინ იცის... მერე მე თვითონ ვარ დალენილი, დაქუცმაცებული და დანაწევრებული, ძვლე-ბი ძლივს მიმაქვს საწოლთან.

მზე თავისას უბერავს. ჯერ ცეცხლით გაარღვია ღამეული ცა, იქიდან ვარსკვლავები პირწმინდად გახვეტა, მერე თვითონაც ერთბაშად ამოგურგურდა...

ავტობუსი ისევ არ ჩანს. უკვე წევა მაღლა მიწევს. უცებ წინ ვერცხლისფერი უცხოური მანქანა საბურავების ჭრიალით ჩერდება. ალბათ რაღაც უნდა მკითხოს, ამქვეყნად მისამარ-თარეულს რა გამოლევს.

მქრქალი მინა ნელა იწევს დაბლა. ოქროსფერთმიანი პა-ტარა თავი იკვეთება. წყალი არ გაუვა, საჭესთან ქალიშვილია. კიდევ ცოტაც და შავი სათვალე შემომანათებს.

— კახა, გამარჯობა!

— თეა, შენ? — დაბნეული ვაცეცებ თვალებს. ისე კი, ბილის პატრონს ეს ვეშაპი რო ეყოლებოდა, კი უნდა მცოდნოდა.

— სად დაიკარგე?

როგორ არ მინდოდა აქ მასთან შეხვედრა. მოდი და ებაზრე, სად ვიკარგები, რას მივედ-მოვედები... ამისთანებს მაინც ვერ გააგებინებ.

— ვმუშაობ, — დაუეუილს გატეხილი ვარჩიე.

— ინსტიტუტი?!

— ბილი როგორ არის?

— აუუუ, — დაბალ ხმაზე გააბა ქოფაკმა, თან უკანა სავარძლი-დან გადმოიქაჩა. მოვნატრებივარ.

— დაჯექი.

— ვაგვიანებ. სადაცაა ავტობუსი... — საათს დავხედე, — ძალიან მკაცრი პატრონი გვყავს.

— კაი რა, — თეა მარჯვენა მხარეს იხრება, კარს აღებს.

— შორს, ქალაქებარეთ მივდივარ, დასაკარგავში. იქ ისეთი გზე-ბია... — წყალწალებული ხავსს ვეჭიდები.

— კაი რა... — თეა სათვალეებს იხსნის და მისი თვალები ბრძანებას აფრქვევენ.

ჯანდაბას, ცოტა მოშორებით გავაჩერებინებ. არ მინდა, ჩემი ჯოვანეთი ქვის სამტეხლო, კუპრის სახარში დაინახოს. მანქანას უკანიდან მოვუარე. სალონში წელმოწყვეტილი შევდივარ. ტყავისა და ხავერდის სავარძელში ფრთხილად ვალაგებ ჩემს დანაწევრებულ სხეულს. მერე კარს ვხურავ, თეა მინას მალლა სწევს. ერთბაშად გარე სამყაროს გამოვეყავით... ვერც კი გავიგე, როდის დაიძრა მანქანა. ციფერბლატისკენ ვაპარებ მზერას — ასოცი, ასორმოცი... ისარი საოცარი სისწრაფით მიინევს მალლა.

— ჩქარი სიარული გისწავლია, როდის მოასწარი? — გულში შიში მეპარება, მანქანა მიფრინავს, თითქოს გზაზე კისერმო-სატეხი ღრმულები და ორმოები არ იყოს.

— როგორ თუ მოვასწარი? ეს ხომ მესამეა, მამამ დაბადების დღეზე მაჩუქა! — თეა ცალ ხელს საჭიდან იღებს, ჩანთიდან მობილურს დააძრობს, ნომრებს კრეფს.

კაი ჩიტი კია ეს მობილური, ყველგან ჭიკჭიკებს. ოღონდ ესაა, ბლომად საკენკი სჭირდება და ჩემისთანების გამოფხე-კილ ჯიბებში არ იბუდებს.

— დედიკო, შენა... იცი რა? შეიძლება ამაღამ ვერ მოვიდე... — დედიკოს ხმა არ მესმის, — რა თქმა უნდა, ქუთაისში, მე და ჩემი მეგობარი!

— თეა, ხომ არ გაგიჟდი?! — ახლა ვამჩენევ, რომ სულ სხვა გზით მივდივართ, სავარძლიდან წამოვიქაჩე. ციფერბლატზე ისარი ასოთხმოცს უახლოვდება, — თეა, გეხვეწები, სამსახურიდან გამაგდებენ, ძლივს შევეწყვე. ხომ იცი, ოჯახი...

— კაი რა, რამდენს გიხდიან? — თეა მშვიდად, ნაზად მიღიმის.

რამდენს მიხდიან, პატრონს რა ვულირვარ? ერთ ჩემს კბი-ლა სტაჟიანს ვკითხე, ხელფასი რამდენი გაქვს-მეთქი. მხრები ცივად აიჩეჩა, აიღებ და ნახავო.

— ტამბური გამიხსენი, — პასუხი რომ არ გავეცი, თითქოს მიბრძანა თეამ და მის ბაგეზე კატის ცბიერი ლიმილიც გაკრთა.

ლილაკს თითო დავაჭირე. ტამბურის საკეტი გაიხსნა თუ არა, მწვანე დასტები, ლიმონს რომ ეძახიან, ლამის დაბლა გად-მოცვივდა.

— ბანკი ხომ არ გატეხე? — მართლა შევშინდი.

— კაი რა, სულელურ კითხვებს შეეშვი... მამიკოს მოვუტეხე.

— ობო, ესეც შენი მამიკო... მაგარი დეტექტივია, ყველაფერი გაგითვლია... — ბოლმა მეძალება.

— კაი რა? — ტუჩები მობუსხა და ციფერბლატზეც ისრები კატასტროფულად ავარდა.

— ცოტა ნელა, — შევეხვეწე. — ჯანდაბას, რაკი ასეა, — უცებ მომეჩვენა, თითქოს მხრებიდან ლოდები ჩამომცვივდა. ეს მწვანე ფერი როგორლაც მზერას მტაცებს, მაცდუნებს... მილ-იონერთა პრეზიდენტის სურათი იქედნურად მიღიმის, თითქოს მარიგებს, ღმერთი წყალობას ყველასთვის როდი იმეტებს, საქმე ნახეო. ისე, ჯართის მსხვრევის ნაცვლად ასე მსუბუქად რომ ვზივარ რბილ სავარძელში, მანქანა თავაწყვეტით რომ მიმაქროლებს, მსიამოვნებს კიდევაც. თეამ რადიომიმღები ჩართო. სალონი ჯადოსნური მუსიკის ხმებით ივსება. ძილი

რომ არ მომერიოს, არადა ძალიან მაკლია, სარკმლიდან ცას ვაჩერდები. მთვარე ისევ არ შემომეფეთა?! მიმცხრალი, ფერ-დაკარგული, ასე ჩქარა დაბერებული, კისრისტებით მოგვდევს და რაღაცას მომძახის, მაფრთხილებს, მევედრება, მაგრამ ამ კაკაფონიაში, მანქანის ძარაში რომაა გამომწყვდეული, რას გაიგონებ. დალლას თავისი გააქვს, დამტვრეულ-დალენილი სხეული ერთბაშად მიყუჩდება, სასიამოვნო განცდა მეუფლება. რულმა თვალებზე ფარდა ჩამომაფარა. მერე მე თვითონაც მთვარეზე აღმოვჩნდი... წმინდა გიორგის წინ მუხლებზე დავ-ეცი, შევღალადე: დიდო წმინდანო, ჩემს ხალხს ყველაზე მეტად შენ უყვარხარ, შენი სჯერა, ყოველი მეორე საყდარიც შენს სა-დიდებლად აუგია. ჰოდა, მოწყალეო, მოგვხედე, ეს ყაჩალები, ნაძირლები, ავაზაკები ჩამოგვაცილე. ამ ერთ გველებას რომ ჩაჯინებიხარ, ათასმა ურჩხულმა ქვეყანა წალეკა, მალე ღმერთთან მლოცველი კაცი არ დარჩება-მეთქი. თან დედა-მიწაზე გადმოვახედე.

— აუ, აუ, — ჩაიბუხუნა ბილმა და ერთბაშად ისევ მანქანის სალონში გამომამწყვდია.

გახელილ თვალებში კვლავ დასტები შემომრჩა.

— ბილ, შენ გამორჩეული ჯიშ-ჯილაგისა ხარ, ქუჩის მანწანებებს მაინც ჯობიხარ, იმ ყაჩალებს, დღეს ქვეყანა რომ ჩაი-ჯიბეს, სრა-სასახლეებში განებივრდნენ, გახელმწიფდნენ. ჰოდა, ჩემო ბილ, რაც არის, არის... დავრჩები შენთან!

თითქოს გაუხარდაო, ჩვენი პირველი და ერთადერთი მაყარი უკანა სავარძლიდან წინ გადმოიქაჩა, ჩემსა და თეას შორის, თუჯისაგან ჩამოსხმულივით, ამაყად გაიჭიმა და გზაშარას მიაჩერდა.

ნაღდად კარგი მანქანაა, რა მაგრა მიერეკება, ცა ქუდი და დედამიწა — ქალამანი... პირველ რიგში ტარებას ვისწავლი. ჰო, მართლა, ახლა მახსენდება — შინ უნდა დავრეკო, ჩემები გადაირევიან...

მთვარე კი, ასე აწყვეტილი რომ მოგვდევდა, საიდანლაც ამოქოჩრილ ლრუბელს ასკდება და სარკესავით იფშვნება.

საბრალო მთვარე, მარტოხელა მეოცნებე. ის არ ეყოფოდა, ასე თვალსა და ხელს შუა რომ დაბერდა?

## ქალი ჯუჯა ეპვის ჩიტოში

ქალმა, ქალაქის განაპირას დაგვალულ ნაძვს რომ შეჰვარებოდა, თვალი მომტაცა. მე კი არა, ჩემი აწყვეტილი მანქანაც გააგიუა. მეგონა, საბურავები არ შერჩა, წივილ-კივილით ადგილზე გაქვავდა.

აქ რა უნდა-მეთქი, ერთი გავიფიქრე და გონს მალევე მოვეგე. ახლა ხომ ნებისმიერი ასაკის მდედრი გზატკეცილებზე პატრულებივით არიან ჩამწკრივებულები, ეგ რაღად უნდა გამკვირვებოდა?! მანქანა ოდნავ უკან დავხიე, ნაძვს გავუსწორდი, კარი გამოვაღე და გავიტრუნე.

ამ გზაზე ლამის ყოველდღე დავდივარ. ეს ხე პირველად შევნიშნე. ალბათ, ამ გაყოლებაზე სხვაც ბევრი დაირგვებოდა. მერე, როგორც წესი, ქორფა ნაძვები უპატრონოდ მიაგდეს. მხოლოდ ამ ერთმა გაუძლო გვალვასა და გულგრილობას, სიცოცხლისათვის ახლაც იბრძვის. საცოდავად დალვლარჭნილს წინვებგაცვენილი ტოტები ცისკენ სამონტალოდ აუწვართია, მცირეოდენი ნამი რომ გამოსტყუოს ზეცას, ფესვები მიწას ნაურს ცინცლავენ... აი, ეს ლამაზმანი კი ისე შეჰვარებია ხის ჩეროს, თითქოს არც უნდა შეამჩნიონ და კიდევაც დაინახონ. მის ოდნავ მოგრძო, ფერმკრთალ პირისახეს წინვებში გაცრილი სხივები იდუმალი ფერებით ხატავენ და ჯადოს-ნურად მიმზიდველს ხდიან.

კარგახანს გახევებული იდგა, დაკოურილ ნაძვს მიყრდნობილი, არ განძრეულა. ალბათ არ ვევასე-მეთქი, გავიფიქრე. კარის მოხურვა დავაპირე, ჩანჩქერს ასხლეტილი კალმა-ხივით ჩეროს მოსწყდა და სალონში შემოიჭრა.

მანქანა ნელა დავძარი. წინა ღამის ნაბახუსევს გული ისე-დაც ძალუმად მიცემდა. ასეთ დროს სხეულში გვალვა ივანებს, გწყურია და წყურვილს ვერ იკლავ... ცოტა რომ წავიმანძილე, თვალი როგორც იქნა, მოვწყვიტე გლუვი მუხლისთავების სითეთრეს. უცებ გრუხუნი შემომესმა. შორს გავიხედე, დასავლეთი ერთიანად ჩაბურუსებულიყო. ერთბაშად ქარიც ამოშლიგინდა, ღრუბლები მგელშესეულ ფარასავით აქოჩირა, მიწიდან მტვერი ახვეტა, ხვინჭაც მიაყარა.

ქალი ხმას არ იღებდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეიშმუშნა, თავი მოაბრუნა. აწკეპილ წარბებს ქვემოთ შეფარულ წამნამ-

თა ტევრიდან ისეთი ნაპერწკლები მომაფრქვია, გეგონებოდა, რაც ცაზე ვარსკვლავებია, ამ ეშმაკის ფეხს სათავისოდ მოუხვეტიაო. გამიგონია, ასეთი წარბების მქონენი თითქოს პასიურები არიან, მაგრამ სიამოვნება უყვართ, დახვეწილი ინტუიციით და ემოციით, გარეგნული მომხიბვლელობით ატყვევებენო მამაკაცებს.

ეტყობა, დიდი გაცვეთილი ვინმეა. ვინ იცის, სად და რა ჯურის მამაკაცებთან იქნება ნათრევი. არ ვიცი, ამინდის მკვეთრმა ცვლამაც იმოქმედა თუ რა, იქნებ შიშმაც, რამე უბედურებას არ გადავეყარო-მეთქი.

ისე, ჯოჯოხეთურად ლამაზი კია-მეთქი, გავიფიქრე. არა-და, წინა ღამით, საძმაკაცოში, რა ქება-დიდება არ ვუძღვენით ქალებს, სადლეგრძელოებს ლოცვასავით ვაყოლებდით სადიდებელს: ქალი – დედა, ქალი – და, შვილი... თუ ვინმემ ქალზე ლექ-სი იცოდა, სათითაოდ ამბობდა. „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა...“ – ეს სტრიქონი ამეკვიატა ახლა. ვის ვის და ამ ქალს ნამდვილად დამშვენდებოდა-მეთქი. ახლა რომ მოდაშია, სილამაზის დედოფლადაც აკურთხებდნენ უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში... იმ სადლეგრძელოებში ეს ქალიც ხომ იყო, ეს კი... ბოლმა თანდათან წყალში ჩაგდებული ღრუბელივით სივდებოდა და მაგიუებდა.

– რამდენი ღირხარ, ქალო? – უნებლიერ ამოხეთქა ღვარძლ-მა და თვითონვე მეხამუშა ჩემი უხეშობა.

ჩემი ნადავლი ლამაზმანი სამარესავით დუმდა, გაუნძრევლად იჯდა, თითქოს სანთლისაგან ყოფილიყო ჩამოსხმული.

– არ იტყვი? იქნებ ვერ მოვრიგდეთ! – ნერვებმა საბოლოოდ მიღალატა. არადა, ტონის შერბილება კი მინდოდა, მაგრამ, საუბედუროდ, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ვმოქმედებდი. ეჭვი არაა, ამას ჩემი და ჩემი ძმაკაცების ლამაზ-ლამაზი სადლეგრძელოები მაკეთებინებს, ან იქნებ ნუნუა, რომელიც ჩემს ძარღვებში ისევ დათარეშობს, მაგრამ წყურვილს მიორმა-გებს და ძალლივით ვიღრინები.

პასუხად სლუკუნი შემომესმა. ხომ არ მეჩვენება-მეთქი, ცე-რად გავხედე. მას სახე ხელებში ჩაემალა, ყინვაში გაგდებულ კატასავით მოკუნტულიყო და უხმოდ ტიროდა.

— ძალად არ წამომიყვანიხარ, განა თვითონ არ ჩაჯექი? — უცებ გონს მოვეგე. ასე უხეშად ნამდვილად არ უნდა მოვქცე-ულიყავი. ქალი ქუჩაში დგას თუ მეფის ტახტრევანზე ნებივ-რობს, ის მაინც ღმერთის გაჩენილია-მეთქი, უცებ გავასამართ-ლე საკუთარი თავი.

— არა, ბატონო, თქვენ... თქვენ რა შუაში ხართ... — მთელი სხეულით ძაგძაგებდა, ლამის ხმამაღლა ტიროდა. ახლა უკვე სიტყვებსაც ველარ უყრიდა თავს, — საკუთარმა უბედურებამ გამომაგდო, ველარ გაუუძელი დამშეული პატარების საცო-დაობას... ქმარი საშოვარზე გადაიკარგა. ცოცხალია თუ არა, არც კი ვიცი... თუ რამ მებადა, ყველაფერი გავყიდე. მეზობელ-მა გოგომ მირჩია, შევეცოდე, დამარიგა, თვითონაც...

ქალმა სახიდან ხელები რომ მოიშორა, მისმა სახემ შემზარა. წელანდელი მისი სილამაზე საცხ-საღებავებს დაეთხაპნა, წამ-წამებიდან შავი ლაქები იღვენთებოდა.

გული შემიქანდა, მოულოდნელობისაგან შეძრწუნებული ახლა ჩავწევდი ჭეშმარიტებას. მეც ხომ ცოლ-შვილი მყავს, ოჯახი... ხომ შეიძლებოდა, სადღაც გადავხვეწილიყავი. რაღაც ბედად, საქმე უკეთ წამივიდა — იმ სხვა ათასებისგან განსხ-ვავებით, ოჯახს ვარჩენ... ვინ იცის, ხვალ რა მოხდება, ჩემი ცოლ-შვილიც რომ განსაცდელში აღმოჩენილიყო... ღმერთო მა-ლალო, საჭე ერთბაშად მოვლრიცე და მანქანა შემოვატრიიალე.

— ო, ნუ იზამთ, ბატონო, მე თქვენ... მე... — მაგრამ გული ამოუჯ-და, ბურთი ყელში გაეჩარა და აზლუქუნდა. თან ცდილობ-და, სახე მოენესრიგებინა... ისევ დაებრუნებინა ჩვეული იერი, — განა ეგეთი მახინჯი ვარ?!

ყურადღება არ მივაქციე, სიჩქარეს მოვუმატე. ქალაქში შე-მოსულმა მთავარი ქუჩიდან გადავუხვიე. არ მინდოდა უცხო მანქანიდან ჩამოსული ვინმეს დაენახა, ასეთ დროს ათასი თვა-ლი იმზირება. აწყვეტილი ჭორი საკბილოს ექებს. მომყუდრო-ებულში მანქანა გავაჩერე. მერე ჯიბეში საფულე მოვიძიე და თუ რამ მებადა, ერთიანად ამოვხვეტე.

— აჲა და ბავშვებს მიხედე, გზაზე დგომა შენი საქმე არ არის, — ფული ხელში ჩავუჩურთე, გადავიხარე და კარი გავუღე.

— რას ბრძანებთ, ბატონო, მე მათხოვარი არ ვარ, მე... — მისმა თვალებმა ისე გაკვესეს, თითქოს ავაზა ნახტომისათვის ემზადებოდა. შეურაცხყოფილ სახეზე ალმური ასდიოდა. მხრები ჩამოუცვივდა.

— შენ არც მეძავი ხარ! წადი, ბავშვებს მიხედე...

მანქანიდან წელმოწყვეტილი ჩავიდა, თავჩაღუნული, ერთიანად მოშლილი, მორღვეული წალასლასდა.

ცოტა რომ გაიარა, წამით შეყოვნდა, მერე მოტრიალდა. შემომხედა. ცრემლში ჩამხრჩვალ ვარსკვლავებს ელვარება დაკარგვოდა.

— ბატონო, ღმერთი სიკეთით გადაგიხდით ჩემი ოჯახის გადარჩენისათვის, მე... მე... — მაგრამ ამჯერადაც ვეღარაფერი თქვა და გატრიალდა, თანდათან ნაბიჯს აუჩქარა. ხომ ეგეთი განადგურებული იყო და მაინც, მოკლე შავ კაბაში გამოკვალთულმა შოლტა ტანმა თვალი ისევ წარმტაცა. მაღალი, გრძელი ფეხები გედივით მიაქროლებდნენ. ტანი ალვასავით მიირწეოდა. შემეშინდა, უცებ ქარაშოტი არ ამოვარდეს და წელში არ გადაამსხვრიოს-მეთქი. ძარღვებში სისხლმა ისევ იხუვდა, ეგ რა გავაკეთე, რა თავი გავიგიუე, ამისთანა ქალს ხელიდან აბა, ვინ ოხერი გაუშვებდა. ხომ არ გამოვეკიდო და დავიპრუნო-მეთქი, მაგრამ იქვე, შენობის კუთხესთან გაუჩინარდა.

მზემ თავისი გაიტანა, სტიქიას იქით შეუტია. წვიმით დასუნდლული ღრუბლები სხივებით დაცხრილა, დააბულულა და ქარს გაატანა.



## ონსაოზი ხემაუკუპა

### თეორი იასამნი

— ლიზა ძალოო... ლიზა ძალოო... — მეზობლის გოგო ღობეს გარედან მოსდგომოდა, თითის წვერებზე იწევდა, რომ როგორმე იასამნის ტოტს მისწვდომოდა.

— რა იყო, გოო... ვინმე ხო არ მოგდევს, რა ვქნა, — ღობის შიგნიდან გაეძრახა ახალგაზრდობამოთეული ქალი და მესერის დაფხავებულ ფიცრებს შუა გაიჭვრიტა. — რა შორიდან იძახი შენცა რა, შიგნით ვერ შემოხვედი? ამ ბოლო დროსა, რაღაცა, ძალიან კი აიკვირაძლე აქავრობა დაა...

— იიჲ, ავიკვირაძლე კი არაა! ერთი აემ იასამნის ტოტი მომიტეხე, ლიზა ძალოო... — გოგო თეთრად გადაპენტილ იასამნის ტოტს შესციცინებდა. თვითონაც თეთრ კაბაში გამოკვალთულიყო, კისერზეც თეთრი მანდილი უფრიალებდა.

— მოგიტეხოო... მემრე? ხე ცოდო არაა? ხო ეტკინება... ხესაც ხო ჰყავ დედა... ისიც ხო ცოდოა...

— ერთი პაწაწკინტელა კუნწულა რო მომიტეხო, რა იქნება! — არ ისვენებდა გოგო, ეხვეწებოდა, ყელსაც უწევდა. — მეც ცოდო არა ვარ? მომიტეხე, რაა!

— კარქი... კარქი... აბა, უარი როგო გითხრა, შენც ცოდო ხაარ, მა რაა... მოგიტეხამ მეცა... ჰოო... აბა, რომელი? როგო თქვიო?

— რომელი... რომელი დაა... აი, თეთრი იასამნისა...

— თეთრისაა? სხვა რო იყოს? ნამდვილი იასამნის ფერისა?

— არა, თეთრისა-მეთქი, ლიზა ძალოო... თეთრი იასამნისა...

თეთრი იასამნისაოო... იმ იასამნის ნერგი გვიან შემოდგომაზე სოსიამ მოიტანა საიდანლაც და ღობის ჩაყოლებაზე სხვა იასამ-

ნებს მიურგა. ნერგიც არ ეთქმოდა, ერთი პაწაწკინტელა, სული-სალევი წ კნელი იყო. არავის ეგონა, თუ იხარებდა, ან თუ იხარებ-და, რა ფერის ყვავილს გამოიტანდა, ვინ იცოდა. ეს, ალბათ, არც სოსიამ იცოდა ეგბა. ვერც იმის პირველყვავილობას შეესწრო. ჯარმა მოუწია... ლიზას ეს მეორე შვილიც წავიდა ომში. უფროსი ბიჭი, გორგა, როგორც კი გამოცხადდა, მტერი ვერაგულად დაგ-ვესხა თავსაო, დაძახებას არ დაელოდა, იმავე დღეს თვითონ მიაკ-ითხა, მოხალისედ წავიდა... სოსიაც, თვრამეტი წლისა შესრულდა თუ არა, ისიც ყველას გამოემშვიდობა და ჰაიდა, ფრონტისაკენ... წავიდნენ ლიზას ობლები, როგორც იმათი კბილა ბიჭები.... აბა, მა რას იზამდნენ, სოფელ-ქვეყანას ხო არ გამოაკლდებოდნენ. ჩვენ ჩვენ წილს ვიომებთ, მტერს გავრეკავთ, საიდანაც მოსულა, იქითვე ამოვაძუებინებთ კუდსა და დავბრუნდებოთო, დაიბარეს. აი, მორჩებიან ომსა და მოვლენ ისინიცა, იქ კი არ დარჩებიანო, მოვლენ და მამა თუ არა, მე ხო დავხვდები შინაო, თავს ინუგეშებ-და და იმედებდა ომში წასულების დედა და იმათ მოლოდინში გაჰყურებდა გზას...

ნერგმა იხარა, გამოიზამთრა, გაზაფხულზე გაიბუჩქა, დაიტო-ტა, კიდევაც გაიფოთლა და აყვავდა, თეთრად გადაიპენტა. ლიზა იასამანს დაჰჭოფინებდა, შვილსავით უვლიდა და ელოლიავებო-და. ჰოდა, ამანაც რალა მაინცდამაინც თეთრი იასამნის კუნწუ-ლა მოიგუნება, ვითომ რაო... გოგო პატარაობიდანვე სარძლოდ, სოსიას საცოლედ ჰყავდა შეთვალთვალებული და შეგულებული. ეს თვითონ და გოგოსა და ბიჭსაც რამდენჯერ წაატანა თვალი... ისე, იდგნენ თანატოლებისაგან განცალკევებულები, ლაპარა-კობდნენ და ლაპარაკობდნენ გვიან ლამემდე, მეტი არაფერი... მაგრამ დგომაცაა და დგომაც და იმათაც მეტი სალაპარაკო რა ჰქონდათ რო...

ეს მაშინ, ბიჭის ფრონტზე წასვლამდე... მემრე დღე არ გავი-დოდა, იმ გოგო-ბროგოს სოსიას ამბავი არ ეკითხნა. შვილის ჯარისაცულ, სამკუთხა ბარათს რო მოუტანდნენ, დედაზე წინ ის დაავლებდა ხელს, გახსნიდა და სიტყვა-სიტყვითა და პწკალ-პწკალ უკითხავდა, თავისას საიდუმლოდ მალავდა, თორემ!

ჰოდა, ეხლა, ცოტა არ იყოს, ეჭვმა გაკენწლა, სადედამთილოს თვალით შეხედა, ნეტავ სარაოდ გამოპრანძულა ეგრეო... ან სავი-სოდ უნდა ჩემი სოსიას დარგული იასამნის კუნწულაო... რაშია საქმეო...

გოგო კი იდგა და ამოჩემებული იასამნის ტოტს თვალს არ აც-ილებდა, თან ისე შეპლიმილებდა, რომ... ლიზაც, აბა, გულს ხო არ ატკენდა იმ იასამნის ყვავილივით აფეთქებულ გოგოს... ტოტი დასწია, ერთ კუნწულას შეელია, შეაცალა და ღობეზე ფრთხ-ილად გადააწოდა. იმანაც ყვავილი გამოართვა და შებრუნდა, ისე წავიდა, უკან აღარ მოუხედავს, აღარც ღობისკენ და აღარც სოსიას დარგულ იასამნის ბუჩქისაკენ...

ლიზა კარგა ხანს გაჰყურებდა მიმავალს... თავისი ადრე დაყ-ვავილებული ყმაწვილეალობა თუ გაახსენდა, ან ფიქრებით ფრონტზე მყოფ შვილებს მისწვდა...

ის დღე მიიღია. ღამეც ჩამოდგა. კიდევაც გადავიდა, სადაცაა, ირიჟრაჟებდა. ჯარისკაცების დედას რა დააძინებდა, იქნება და იმ დროს იმისი შვილები სად იყვნენ, ან როგორ იყვნენ... მაგრამ ის ომი მარტო გორგასა და სოსიასთვის ხო არ დაიწყო, ვინ იცის, რა დღეში იყვნენ სხვისი შვილებიცა... საბჭოს კაციც, ყოველ-დღე რო ჩამოივლიდა უბან-უბან და ხალხს ამხნევებდა, ომი მალე დამთავრდებაო, უკვე მტრის ტერიტორიაზე ვიბრძვითო, სად-აცაა, ბერლინსაც ავიდებთო, აქამდე როგო ვერ აიღეს და ომიც ვერ დაამთავრეს... ლიზას ბიჭებთან ერთად და იმათ მემრე წა-სულიც რამდენი დაბრუნდა, მართალია, ზოგი ცალხელა, ზოგი – ცალფეხა, ზოგიც – კონტუზიანი, მაგრამ ცოცხლები ხო მიუვიდ-ნენ თავიანთ დედას... იმისები კი არ ჩანდნენ.... მარტო იმათი სუ-რათების ყურება და სიზმარში ნახვა რა ბედენა იყო!

ირიჟრასავით. ლიზას, როგორც იყო, ჩასთვლიმა, მაგრამ ის რა ძილი იყო... ვითომ თავისი სახლის ეზოში იყოო... თეთრი იასამნის ყვავილები ჰაერში თოვლის ფიფქებივით ირეოდა, ისე ირეოდა, მარტო ეზო და ორლობე კი არა, იქით, მეზობლების სახლები და კარ-მიდამოც კორიანტელში გაეხვია. ეს იასამნის... თეთრი იასამნის... სოსიას ხელით დარგული იასამნის ყვავილები და თვითონ სოსია? ლიპლიკანა, მთლად დედიშობილა, აი, პატრა-ბიჭობისას ალაზანზე რო ჭყუმპალაობდა, ისეთი, მიწას ფეხს არ აკარებდა, ყვავილის ფანტელებს მაღლა-მაღლა, ჰაერში დასდევ-და და იჭერდა და ვერც იჭერდა...

დედას შეეცოდა შვილი, შეუწყრა, რა იყო, რას დასდევ ჰაერ-ში ემაგ იასამნის ყვავილებსა, ემანდ არ ჩამოვარდე, არაფერი დაიშავო და არ გამაუბედუროო... კი გაუწყრა, მაგრამ ბიჭს ვე-რაფერი გააგებინა, ის ისევ ჰაერში დაბორიალობდა და თეთრი იასამნის ყვავილებს დასდევდა...

სოსია ჰომი, მაგრამ თვითონაც ეზოში დარბოდა უთავტოლოდ, ხელებს იქნევდა, ცდილობდა, რგორმე მისწვდომოდა შვილს, მაგრამ ვერ სწვდებოდა...

ეგრე არ უნდაო, ლიზამ... რატო ჩემი ხმა არ გესმის, ბიჭო, შვილო, დაიკივლა... დაიკივლა და თავის კივილზე გამოელვიძა. აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და მიხვდა ყველაფერს: თვითონ ქვეშაგებზე იწვა ეგრე, ტანზეგაუხდელი და არც დედიშობილა სოსია დასდევდა ყვავილებს ჰაერში... ახალი საფიქრალი გაუჩნდა, ნეტავ ეს სიზმარი რას უნდა ნიშნავდესო... ან ის რა იყო, ჯარისკაცი გუშინდელ ბიჭუკელასავით ტიტლიკანა, უნიფრე და უიმაო რო დარბოდა და დასდევდა ჰაერში ყვავილებს, უსირცხვილოდაო, მაგასა, ალაზანზე ხო არ ეგონა თავიო... მაშინ ხო მივტყიპე კარქათა, ხო ავუჭრელე კანჭები წკეპლითაო... ერთი უყურეთ მაგ დედასასიკვდილესა მაგასა, როგო არ იშლის თავისასა, ქააო... მაგრამ იმ ყვავილებს რო დასდევდა ჰაერში, რა იყო, როგო ერთი ცალი ვერ დაიჭირა მაინცაო... ეს სოსია ბიჭი და იმისი ძმა, გორგა რაღას აკეთებს ამ დროსაო... ნეტავ მაცოდინა, ან ერთი სად არი, ან მეორე და როგო არიანო...

ძილგამკრთალსა და გაკეკელავებულს ხის ტოტების ლანალუნის ხმა მისწვდა. ლობის მხრიდან იყო. ქარი ამოვარდებოდა, ტიალი, სუ გააყრევინებს იასამნებს ყვავილებსაო... ან არადა, ვიღაც ამტვრევს ტოტებსაო... მაცალონ ერთი მაგათაო... ვაჩვენებ, როგო უნდა სოსიას დარგული იასამნის ხელის ხლებაო...

წამოიწია, მაგრამ წელი ვერ აიღო. თითქოს რაღაც დაეტაკა... ტკივილმა მთელ გულგვამში დაუარა, მემრე ჭიპს დაეძგერა, იქიდან ქვემოთ-ქვემოთ ჩაჰყვა და იქ იდგომლა. იქ კი რაღაც ხდებოდა. დროდადრო ტკივილი წელდებოდა, მერე ისევ მოუვლიდა, ისე კი არა, შეუტევდა... ლიზას ტკივილი როგორლაც ეცნაურა და კიდევაც ეუცნაურა. სწორედ ისეთი ტკივილი იყო, როგორც... არა, სხვა შვილებზე არა, არც ერთზე... არც უფროს ბიჭისა და გოგოზე... სოსიაზე რო მშობიარობდა, სწორედ იმისთანა... სოსიელა იყო, ვაით რო შობა, ლამის გადაჰყვა... ძლივს მოაბრუნეს სააქაოსკენ დედაცა და ახალშობილიც... ეხლაც... მაშინდელივით...

რა ვქნა, რა ამბავია ჩემ თავსაო, ლიზამ. მეზობლის ქალები მოინაკლისა, სად არიან, მოვიდნენ, იქნება რამე იცოდნენ და მომხედონო... ლიზას სხვისაგან რა ესწავლებოდა, მთელი უბნის ექიმბაშსა და ბებიაქალს. სამეზობლოში ყველა ქალი და რძალი

იმისი მომშობიარებული და მოლოგინებული იყო, გოგო-ბიჭებ-საც მისი ხელითა პქონდათ ჭიპი მოჭრილი... მაგრამ ძალიან რო გაუჭირდა, როგორც იყო, წამოფოფხდა, ფანჯარა გამოაღო და გასძახა, ვკვდები, მიშველეთ, ხალხი არა ხართო?!

ლიას უჭირსო და, მთელი უბნის საქალეთი იქ გაჩნდა. მისვ-ლით კი მივიღნენ, მაგრამ რა ექნათ... არა და ისეთი და იმნაირი ტკივილები საკუთარ თავზეც ხო გამოეცადათ, სხვისიც ენახათ... რა და როგორ და რანაირად... საიდან... მაგრამ ლიზასთან საიდან სადაო... ჰოდა, ერთმა თვალები დაიელმა და ისე გადახედა მეო-რეს, ვითომ... იმანაც, საამბოდა და საიმაოდ კი არა, ისე, თავისთ-ვის რაღაც ჩაიბუტუნა და ენას კბილი დააჭირა. მესამემ ხელი ქვედა კაბის ჯიბეში ჩაიყო, ვითომ ისე და ბარძაყზე ისეთი იჩქმი-ტა, ლამის იწივლა. რამდენიმე დედაქალი კუთხეში მიმდგარიყო, პირზე ხელმიფარებულები ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს...

— ეს რა დამართნია ამ საწყალსა ამასა, ქაა... ფინთათაა ამისი საქმეე... ამისი ქმრისა მგონია, ძვლებიც აღარაა საფლავში, იმისი გადაკოუხებული ქვრივი კიდენა... აქა... თურმე... ჩუმ-ჩუმელა-თა... საიდანა, ვისგანა, ჰაა? რაღა დროს მაგისი ეგეთებია...

— ამისი ბიჭები, ორივენი... ომი რო დამთავრდება და ჩამოვ-ლენ ისინიც ჯარიდანა, ნეტავ რა პირით უნდა ეჩვენოს იმათა... ან იმ გათხოვილ გოგოსა... ან...

— ღმერთო, შენ გვიშველე, ამას რას მოვესწარით... ამისგან ვინ იფირებდა რო...

— აბა, ქალო? შენ ეგა თქვი დაა...

ესენი რო ენას იქავლებდნენ, ერთმა ვერ მოითმინა და ქალებს დაუტატანა, რას უდგეხართ, მომეხმარეთ, ვერა ხედავთ, ქალი რა დღეშიაო? ხო არ უნდა გადაჲყვეს მშობიარობასა ეს უბედურ დღეზე გაჩენილი ესაო... მერე ჩვენ სად რა უნდა ვთქვაათო... იმ-ათაც ხმა გაკმინდეს, დაფაცურდნენ სახვალიო და სახვალიოსხ-ვალიო სალაპარაკოდა და სალაქლაქოდ სალერლელაშლილები...

ტკივილებისაგან გასავათებულ ლიზას იმათი ქირქილი და პუ-ტუნი ვინ იცის, არც გაუგონია, გაუგონია და, სად ეცალა შესა-ბზუკუნებლად, ქალი სიკვდილის პირას იყო, იქნება დილაც არ გათენებოდა... შვილების ჯარიდან დაბრუნებასაც ვერ მოსწრე-ბოდა. მაგრამ იმათ, იმ ქვადასადებებსა იმათა, კაბის კალთა რო წამოხადეს, კუდა ნიფხავი გააძრეს, ფეხები წამოუპლაკეს და ხელებსაც ისეთ ადგილზე უფათურებდნენ, თანაც, აბა, ლიზავო, მიდი, მიდიო, შენც მოგვეხმარე, შე ქალოო... ჩვენგან რა გესწავ-

ლება შენაო... გუშინდელი პატარძალი ხო არ ხაარო, დასძახოდნენ, ცოტა არ იყოს, იუცხოვა... იუცხოვა რომელია...

— აბა, აბა? რა ამბავია... რა ხდება... რა დღეში ხართ თქვენა... რას ფოთიალობთ, რა გესაქმებათ მანდა... ხელები იქითა... იქითა-მეტქი... რა დაქარქინიათ, რას ექებთ... სულთამხუთავებივით რო დამდგომიხართ თავზედა და დამჩხავით იმასავითა... რას ქოთქოთებთ... ეხლავე მოშორდით აქედანა, თქვე... — დაუცაცხანა და ისე წამოიფოფრა, თითქოს ეგ არი და, თუ არ იდროვებდნენ და თავისით არ გაილალებოდნენ იქიდან, ისიც ხელს დაავლებდა ჯოხსა და ყველას სათითაოდ დაიფრენდა...

იმან დაუცაცხანა და ეტყობოდა, არც დაუხვალიებდა. ისინიც შეშინებული ბეღურებივით დაფრთხენ, უკუდგნენ, კედელს აეკვრნენ დატუქსულები. ლიზა კი არ ცხრებოდა, ტახტზე წრიალებდა, აქეთ-იქით ედებოდა, რა იქნა ჩემი ჯოხი, სად გადაქავეთო...

იმათაც უნდა გაესწროთ... საქციელწამხდრებმა ჯერ აფორიაქებულსა და თავგზადაკარგულ ქალს გადახედეს, მერე ერთ-მანეთს და უსიტყვოდ გაიკრიფნენ... მიდიოდნენ, ფლოსტებს მიაფრატუნებდნენ და თავ-თავისითვის ტუტუნებდნენ, ეს რა ვნახეთო... არა, მაინც რა მოხდაო... რა მოეჩვენა ამ დედაკაცსაო... რო იგრიხებოდა ტკივილითა, ნეტავი რა სჭირდა იმისთანაო... სახლიდანაც რო გამოგვრეკაო... ვითომ თითონ არ დაგვიძახა, ვკვდები, მოდით, მიშველეთ რამეო...

იმათი ფეხის ხმა მიწყდა და ლიზა თითქოს დაშოშმინდასავით. ჩაგულისყურდა. თვითონაც უკვირდა და გაჰკვირვებოდა რაღაც-რაღაცები, ადრინდელიცა და ეხლანდელიც, სულაც, წელანდელი... ისე ხო აკლდა საფიქრალი და საჭმუნავი, ახლაც იმდენი დამხობოდა და დახვავებოდა თავზე, რომელ ერთს გამკლავებოდა მარტოქალი... რა დამემართაო, თავს ეკითხებოდა, მაგრამ პასუხს ვისგან და როგორ მიიღებდა და არც ელოდა. ჯარიდან შინმოსასვლელი შვილების მომლოდინესაც იმდენი საქმე-საკეთებელი ჰქონდა, რაღაცრულაცების ჩხრეკისა და ჩიჩქნისათვის სად ეცალა...

ის ტკივილიც... გაუნელებელი და გამთანგველი, ქვემოდან ახლა ზემ-ზემოთ, გულისაკენ დაძრულიყო... ჰო, ახლა ამ ტკივილისათვის უნდა გაეძლო... თვითონვე უნდა გაეძლო, როგორმე, სხვების მიუხმარებლად... როგორც აქამდე... მანამდე... ამ ტკივილით უნდა ევლო და ეშავდლევა...

ამასობაში კიდევაც გადარიურაჟდა. კიდევაც მოთენდა. უი ქაა, დამიდგეს თვალები, რას ვუგდივარ ლოგინში ამდენ ხანსა, მე სასიკვდილეო, თავს შეუძახა, წამოჯდა, წამოლანლალდა, ჯერ ბაჯბაჯით გაიარა, მემრე თანდათან გამართა ფეხი. ჯოხიც მონახა. ეზოში ჩავიდა და თვალი იქით, ლობისაკენ გაექცა. რაღაც არ ეთავისა და ეჩემა. რაღა რაღაც... იდგა თეთრი იასამანი ტოტებ-დალენილი, ჩამოყრილი ყვავილის ფურცლებსაც ბუჩქის ძირი დაეფიფქა და გადაფიფორებინა. ბუჩქის ძირიც და ლამის მთე-ლი ეზოც... ქალმა თვალები ააფოფინა, იქაურობა გულდასმით მოხილა. არც ვინმეს ნაფეხურები ჩანდა მიწაზე, არც ნაქარალი ეტყობოდა რამეს... მოეჩვენა, რომ ლობესთან თეთრი იასამანი კი არა, თავისი შვილი, სოსია ბიჭი იდგა ხელებ და მხრებდალენილი და დედას უქმობდა საშველად, როგორც ბალლობისას...

შვილო მოგიკვდეს და აღარა გყავდეს დედაბნედა ჩემი თავიო, აქვითქვითდა და აქულულდა ლიზა, იქნება როგო გიჭირს და გვერდით არა გყავ შენი დასამარხი და დასამინებელი დედაო... ვეღარ გაუძლო, იქვე ჩაიკეცა, თეთრი იასამნისა თუ სოსიასკენ ხელგან ვდილი. წამით სიკვდილი ინაჭრა საბრალომ, სვეგამ-წარებულმა, მაგრამ უმალ თავი გააქნია, არაო... აბა, რა დროს იმისი სიკვდილი იყო, შვილებს უნდა დალოდებოდა, ბიჭები ომი-დან რო დაბრუნდებოდნენ, დედა ხო უნდა დახვედროდა იმათა...

იმ დღიდან ცოტა ხანი გამოხდა, იასამნებმა დაიყვავილეს, თეთრი იასამანიც სულმთლად ჩამოიფურცლა. ზამბახებიც გადახ-უნდნენ და ჩამოჭკნენ.

ერთ დილას სკოლის ზარიც რაღაც სხვა ხმაზე აზრიალდა. აზრიალდა და გააპა, იზრიალა, აღარ გაჩერდა. რა ამბავია, რა ხდებაო, უბნელები გარეთ გამოცვივდნენ დიდიან-პატარიანად, შარაზე გამოეფინენ... საბჭოს კაცმაც ჩამოიარა... კი არ მოდიოდა, ფეხებდამძიმებული, როგორც ადრე, ბიჭბუჭასავით მოხტოდა, ომი დამთავრდა, ხალხო!

ის დღე იყო და, ისევ მომრავლდნენ უბანში შარვლიანები და ქუდიანები. შინ ბრუნდებოდნენ ომგადახდილი, ბრძოლაში დავა-ჟკაცებული ბიჭები, ზოგი ხეიბრები, დასახიჩრებულები, თითო-ოროლა საღსალამათებიც... ლიზას გორგაც ჩამოვიდა, დაჭრი-ლი... მაგრამ გამოკეთდა თუ არა, ისევ უკან გაბრუნდა, ომი კი დამთავრდა, მაგრამ ეხლა კიდევა ვარ იქ საჭიროო... წერილებ-საც იწერებოდა, დედი, მე კარგადა ვაარ, სოსიასი რა იცითო...

სოსია კი არ ჩანდა, არც თვითონ, არც იმისი წერილი და არც ამბავი რამე...

ბევრი არ ჩანდა...

დედები, ცოლები, შვილები, დედმამიშვილები დღეცისმარე ელოდნენ წასულებს და შინმოსასვლელებს, იმათ ლოდინში ათ-ენებდნენ და აღამებდნენ... ლიზასაც ნიადაგ ჭიშკრისაკენ ეჭირა თვალი და ყური, ძილშიც ფხიზლობდა, შვილებმა ემანდ მძინარეს არ მომისწრონო...

დღეები გადიოდა ლოდინში. ერთმანეთს გამოებნენ კვირები, თვეები...

ერთი დღეც იყო და, ჭიშკართან ვიღაც აიტუზა, გარედან. ლიზამ ვერც დაინახა და ვერც გაიგონა რამე, ისე, გულმა უგრძნო რაღაც და საჩეხიდან გაეხმაურა, რომელი ხარ მანდა, რას უდგეხარ, კარი ღიაა, შემოო... უნდოდა, ამდგარიყო, მოსულს შეჰგებებოდა, მაგრამ ფეხები არ დაემორჩილა, დაუდუნდასავით.

შემოო და, ისიც შემოვიდა. ვაი იმ შემოსვლას... ნაფრონტალი ჩანდა – მწვანე, ხელიკისფერ შარვალ-ხალათში ჩალაკლაკებული... ცალ ფეხს ძლივს მოათრევდა ყავარჯენზე ჩამოკიდებული, შარვლის ცალტოტაკეცილი.

ლიზას გულმა რეჩხი უყო. ესა, უამბოდ არ მოვიდოდა აქა, ნეტავ, ვინ არიო... თავს ძალა დაატანა, ადგა, მიეგება, საჩეხში შეუძლვა. სკამიც მიუჩინა და ხელიც შეაშველა, თვითონაც ახლოს მიუჯდა...

დუმილი მესამესავით ჩამოდგა იმათ შუა. ორივეს ეშინოდა სმის ამოლება, ერთს – რა უნდა მითხრასო, რა აქ ამ ნაჯარისკაცალს ჩემთვის სათქმელიო, მეორეს – როგორ ვუთხრაო...

ბოლოს, ისევ მოსულმა იდროვა, აკანკალებული ხელი გულჯიბეში ჩაიცურა, მამაკაცის მაჯის საათი ამოილო და გაფაციცებულ ქალს უხმოდ გაუწოდა. იმან დახედა საათს და იმავ წამს იცნო... ნეტამც არ დაეხედა, ან დაეხედა და ვერ ეცნო! სოსიას საათი იყო, სოსიასი... მილიონ საათში რო გამოარჩევდა. ერთხელ, სკოლაში, მოწაფეები რაღაცაში შეაჯიბრეს ერთმანეთს, დედამ რა იცოდა, რაში... ლიზას სოსიას უთხრეს, ყოჩალ, ყველას აჯობეო... მემრე ჯერ რაიონში წაიყვანეს გამარჯვებული ბიჭი, იქიდან კი თბილისში და აი, მაშინ, იქ დააჯილდოვეს ამ საათითა...

ხელი გაიწოდა, საათი კი არ გამოართვა, გამოსტაცა და გულში ისე ჩაიხუტა, იმ საათის პატრონს რო ჩაიკრავდა და ჩაიხუტებდა,

თუ იმისი ნახვა ელირსებოდა... ეხლა? ეხლა თითონ სად არიო... სად არი ჩემი შვილი, ჩემი სოსიაო... შენა... ესა... იმისი საათი საიდანა გააქო, ამოიხავლა სოსიას დედამ და ბასუხის მოლოდ-ინში თვალებად იქცა, ყურებზეც ხილაბანდი გადაიწია...

იმანაც, როგორც იყო, ამოიდგა ენა, აბლუუნდა... ესაო... ისაო... საიდანა და, სოსია და მე ერთად ვიბრძოდითო... სუ ერ-თად ვიყავითო... ერთ ღამეს საბრძოლო დავალებაზე გაგვაგზა-ვნესო... იქიდან რო ვბრუნდებოდით, ფრიცებმა შეგვამჩნიეს და სროლა აგვიტეხესო... სოსია დაიჭრაო... როგორც იყო, დავუძ-ვერით, გავალნიეთ სამშვიდობოსა და ჭრილობა შევუხვიეო... მემრე ექიმებს ჩავაბარეო... ეს საათიც მაშინ შეიხსნა და თავი-სი ხელით შემბაბა მაჯაზეო... წვალობდა მოამბე, სულს ძლივს ითქვამდა, ნაყვანუყვით ჰყვებოდა... შუბლს გამეტებით ისრესდა, სიტყვებს ეძებდა... ზოგ რამეს იხსენებდა და ვერც იხსენებდა, ეტყობოდა, რაღაცას მალავდა...

დასამალი კი ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა, არ დაემალნა და როგორ ეთქვა უბედური დედისათვის, რო იმისი შვილი ხელ-ში ჩააკვდა. სიკვდილის წინ კი საათი თავისი თანამებრძოლი-სათვის გადაეცა, მოესწრო დღედამოკლებულს, ეთქვა, დედაჩემს მიუტანეო... მაგრამ ჩემი ამბავი არ უთხრაო... უთხარი, შენი სოსია ბიჭი ცოცხალია, კარგადაა და მალე ჩამოვაო... ჰო, ეგრე უთხარი დედაჩემსაცა და ყველასაო...

იმასაც, ნუ გეშინიან, ბიჭო სოსიავო, გამაგრდი, კარგათ იქნე-ბიო, ყველაფერი კარგათ იქნებაო... ამ საათსაც შენ თვითონ მიუ-ტან დედაშენსაო, აი ნახავო, ჩაექახნა და ჩაეყვირა მომაკვდავი-სათვის, მაგრამ რაღა დროს...

— ჩემი შვილი, ჩემი სოსია დაჭრილია? მემრე? სად არი, ვინ უკლის, ან როგო არი... — ლიზა სკამიდან წამოიჭრა, თითქოს ეგ არი და, მიწას ფეხს დაპკრავდა, ისარივით გაფრინდებოდა, ცხრა მთას გადაევლებოდა, დაჭრილ შვილს მოძებნიდა, იპოვნიდა, უწამლებდა და მოარჩენდა...

— მემრე ისა, როო... — დაიბნა ამბის მომტანი. ბოლოს, შუბლი კარგა მაგრა რო მოისრისა და კიდევაც ჩამოიღადრა, რაღაც სათქმელს თითქოს უბოვნა სათავე, გამოაგო და ამონაყა: — ჰო... ეს საათი და... ჰოსიტალში რო ვნახე, რაღაცა ქაღალ-დებიც გადმომცა, გამომატანა თქვენთანა... წერილები იყო... ზოგი გამოუგზავნელი აქეთა... ზოგიც აქედან ვიღაცისგან მი-წერილი... რომელილაც გაუხსნელი იყო... ალბათ, ვერ მოასწრო

გახსნა და წაკითხვა... ყველაფერი შევინახე საგულდაგულოდა... მაგრამა... მალე მეც დავიჭერი მძიმედა, ცალი ფეხი დავკარგე... ძლივს გადავრჩი... იმის მემრე აღარაფრი ვიცი იმ წერილებისა... აღარც სოსიასი... ეს საათი კი როგორლაც შემომრჩა და ეგე... ისა, სოსია, იგეთი კერკეტა ბიჭი იყო, გამოკეთდებოდა, კარგათ იქნება და ჩამოვა კიდევაცა... მა რაა... შენ არ იდარდო, დედიი... – ამოთქვა, ამოყარა და ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლები რო გადაყლაპა, ცხვირზეც მოისვა სახელო და თვალები აცაპაცად მოავლო იქაურობას... ისე, ვითომ არაფერი...

მაგრამ დედის გულს რა გამოეპარებოდა. არც გამოეპარა...

ლიზა უსამართლობისაგან მოტეხილი, ცხოვრებას ცალად-შეჭიდებული ქალი იყო. ჯერ იყო და, იმისი წვრილშვილის მამა, ხარ-კამეჩი რო გყავა, რატო გყავო... შენა, კულაკი ხაარო, ხალხის მტერი ხაარო... საქონელი და საყოლელი ყველაფერი წაართვეს, ესეც არ აკმარეს, გადაასახლეს და გადაკარგეს... მერმე ადვილი იყო გაკულაკებულის ცოლობა და უსახსროდ დარჩენილი ოჯახის გაძლოლა, შვილების უმამოდ გაზრდა? ამ ყველაფერს გამკლავება და გაძლება არ უნდოდა? ეხლა კიდევ ფრონტელი შვილების ლოდინი... სულილა შერჩა და იმედი ბიჭების ომიდან დაბრუნებისა... მაგრამ არც თვალთ აკლდა და არც ჯამანაკები არევია. დასანახს ხედავდა, გასაგებს იგებდა... ამ ნაჯარისკაცალმა კი სულ აუბნია თავგზა. იმისი სოსია რო დაჭრილი იყო, ეს ხო გაიგო... დაჭრილი ექიმების ხელთ რო იყო, ესეც... მაგრამ ეს საათი... მისდღეში რო არ იცილებდა, რატო მოიხსნა და გამოატანა ამასაო... წერილებიცა... ჰქონილა თითონა, ხო არ დაამძიმებდაო... ან ის წერილიცა, ნეტავ რას იწერებოდა, რა უნდა ეთქვა დედისთვისაო... ეს ნაფრონტალიცა, რო იცრემლება და იცინგლება იმასავითა, რას იცრემლება და იცინგლება, ან რატო მარიდებს პირსა და თვალებსაო... რა ვქნა, რა ამბავია ჩემ თავსაო...

ეს იმაზე და, თვითონ ცხოვრებაში ბევრ სიმწარენან ვნევს, არც ცრემლი ჩამოვარდნია და არც თავში წაუშენია ხელები...

– როდის მოხდა ეგა, როდის დაიჭრა ჩემი შვილი... – მარტო ეს იკითხა პირგამეხებულმა, ისე იკითხა, ვითომ მანამდე ყველა კითხვაზე მიეღო პასუხი და ესღა დარჩენოდა უკითხავი და საკითხავი. თანაც, ისე იკითხა, თითქოს თავისი გაჩენილისა და გაზრდილის კი არა, ვინმე ცხრა უცხოს, გადამთიელის შვილის ამბავს კითხულობდა.

როდის და, ადრიან დილითა, გარიურაჟზეო, ეს რო უთხრა, თვე და რიცხვიც დაუსახელა კითხულმა, იმანაც ვითომ იგრე, სასხვათაშორისოდ, რაა...

ლიზა ამის გაგონებას ელოდა და რაკი გაიგო, ჩაყურისძირ-და, რალაც ინიშნა. გუშინდელივით გაახსენდა ის დღე, თვეცა და რიცხვიც და გარიურაჟიც. გაახსენდა, სოსია პაერში თეთრი იასამნის ყვავილებს რო დასდევდა დედიშობილა, იჭერდა და ვერც იჭერდა... ისიც, იმ უქარო გარიურაჟზე სოსიას ხელით დარგული იასამნის ტოტები ერთმანეთს რო ელეწებოდა კაცის მხარ-მკლავივითა... ან ის ტკივილები რა იყო, სოსიაზე მშობიარობის ტკივილებივით რო მოუარა ქალობამოთავებულს...

ფიქრებმა წაიღო და კარგა ხანს აყურყუმელავა შინმოსასვ-ლელისა თუ შინმოუსვლელის დედა, ვინ რას გაიგებდა... ვერც ლიზას გაეგო ვერაფერი. იდგა, ირწეოდა, ქანაობდასავით, ხელ-ებს უმწეოდ ასავსავებდა, დასაყრდნობს თუ ეძებდა რამეს... მერმე უცბად მოერღვა და იქვე, ქვის კიბის საფეხურს დაეღვენთა...

დიდხანს, დიდხანს დაჲყურებდა შვილის მაჯის საათს, ახლა იმისგან ელოდა ამბავს თავის პატრონზე... ისეთს კი არა... არა, კარგსა და დედის გულის გასახარებელს.

როდის-როდის, თავი რო აიღო, მოასწრო, დაინახა, სოსიას ამბისა და იმისი საათის მომტანს ჭიშკარში გაეღწია... ისე მიი-პარებოდა, ვითომ იმ მომგონ და დამწყებდანყევლილი ომის, სოსიას დაჭრისა და ყველა ამქვეყნიური უბედურების ცოდო-ბრალი იმას, ხეიბარს ედო კისერზედა... ვიღაცაც დასაჭერად მისდევდა და იმას იყო, რო გაურბოდა...

ეგა, რა ვქნა, ეგრე რატო მიიძურწებაო, ლიზამ, ან რო გარბის, რას გარბის, ვის გაურბისო... გზაზე გავიდა, გაეკიდა... კარგა მანძილზე სდია, მაგრამ ვერც დაეწია და ვერც ხმა მიაწვდინა... ისე, ვინმეს რო ეკითხნა, თვითონაც ვერ იტყოდა, რაზე მისდევ-და... ანდა, კიდევაც რო დასწეოდა, რა მერე... იმასაც იმაზე მეტი რაღა უნდა ეთქვა... რაც უნდოდა სათქმელად, ხო უთხრა...

დედაქალმა თვალი შორამდე მიაყოლა და როცა მოამბე მიეფარა, თვითონაც გამობრუნდა, შინ შეღანდალდა, სოსიას სანოლს ჩაპბლავლა, დაემხო და ღრმად შეისუნთქა შვილის სუნი, წლებით ხელუხლებ საბან-გობანსა და ბალიშს რო შერჩენოდა...



## სა მარწვევა

### დაღეაზენე

... გზა, უფრო სწორად, ბილიკი, კარგა გვარიან ფერდობზე ადიოდა. მაღლა, სულ თავში, გავაკებული იყო და კიდევ უფრო ზევითა მთიდან, აგვისტოს გვალვიან დღეებში, საღამოობით მაინც, ისეთი ონავარი და ხალისიანი ნიავქარი უბერავდა, აქ თანატოლებთან ყოფნა, თამაში და გართობა, ნამდვილი სამოთხე იყო. ზევით, ლამის ერთ დაღლა არპენაზე, მეორე სოფლის დასაწყისში, საუკუნეების წინ მადლიან წინაპართა ხელით აშენებული წმინდა გიორგის ეკლესიის ჯვრიანი გუმბათი გეოგრაფიულ უღამაზეს ლანდშაფტს ისე უხდებოდა, ბუნებრივად ამოზრდილი ეგონებოდა პირველად მნახველს. ჩემი სოფლის ირგვლივ შემოჯარულ, ოკრობოკროდ ჩარიგებულ მთებს შორის, ეს ვაკეადგილიანი მთა, ამ ეკლესიასთან ერთად, ყველაზე საყვარელი და ახლობელი იყო ჩვენთვის. სირბილ-სირბილით, ერთმანეთთან პირველობაზე გაჯიბრებით ავირბენდით ყოველ საღამოს მეზობლის გოგობიჭები ბუჩქნარისა და ათასგვარი ტყე-მინდვრის ყვავილების სურნელით გაჯერებულ, ასე, დაახლოებით ათასმეტრიან ფერდობს და პირველად ასულნი ხტუნვა-ხტუნვით დავცემდით ყიუინას, ისეთს, სოფელს რომ გაეგო.

აქედან ჩემი სამშობლოს მცირე ნაწილი, კონკრეტულად, ჩემი სამშობლოს სამშობლო ხელისგულივით მოჩანდა და მაშინვე, სიყმანვილის დღეებიდანვე ვიცოდით ყველამ, რომ ასეთი მშვენიერი და არნახული სილამაზე არსად და აღარასოდეს შეგვხდებოდა, და, რაც არ უნდა გვენახა, აღარაფრის ხილვა მოგვანიჭებდა

ასეთ ბედნიერებას და რომ სწორედ ეს დედა ადგილი იქნებოდა მთელი ცხოვრების მანძილზე სამყაროს უსასრულობაში ყველაზე ძვირფას ფრაგმენტად ამოტვიფრულ-დაწერილი ჩვენს ადამიანურ გულებზე.

...მერე, იმ სიყმანვილისა და ყმანვილქალობის მერე და მერე, ბევრ მთას, აღმართსა და ბილიკს შემახვედრა ექსკურსიებმა, ტურისტულმა მოგზაურობებმა, მთებზე წამომართული ქართული სინმინდეების ხილვისას განცდილმა, მაგრამ ჩემი ცივგომბორის მთა, იმ მთის სიმაღლის აღმაფრენით დაძლევა თანატოლებთან შეჯიბრით, იქედან ხელისგულივით, ფერადნახატებიანი წიგნივით გადაშლილი ჩემი სოფელი თავსა და ბოლოში მეზობელ სოფლებში გაჭრილი შარაგზებით და უბნის ორლობებით, ქართული კრამიტით დახურული ბანიანი და უბანი სახლებით, ძეგვით შემოღობილი ეზოებით, ამ ეზოებში მოფუსფუსე ჩემებურებით, ქიზიყური, ომახიანი, იუმორნარევი გადაძახილებით, ზოგჯერ სამეზობლო წილკითა და ქოთქოთით, თონიდან ამოყრილი დაბრანული კახური შოთების სურნელით, საღამობით მეცხვარებისა და მეძროხების დაქანცული შეძახილებით და, ყველაზე ძვირფასი, მთიდან წამოსული, სოფლის თავსა, შუაში და ბოლოში დღედაღამ მორაკრაკე ბუნებრივი წყაროებით, არა და არ მავიწყდება. კი არა, ეს ყველაფერი კადრებად ლაგდება, სიუჟეტებად იკვრება და ამ სიუჟეტთა პლასტებში მობორიალეს, თვალზე ცრემლისდენით მთხოვს, არა, გულ-გონებიდან მიბრძანებს – დაწერეო.

– რა-მეთქი, რა? ვერაფერს გამოვარჩევ, ან ვიღასთვის უნდა დავწერო, ჩემს გულზედაწერილი ვის რაში სჭირდება-მეთქი?

– არაო, უნდა დაწეროო, გულს ბოლმა მოაცილო და შენი ნათქვამით სხვა თუ არაფერი, იქნებ სხვის ბოლმა-დარდსაც შეეხიდო, ანუგეშოო...

– კონკრეტულად, რა-მეთქი?

– აი ისა, აი ისა... სულ აღმაფრენაზე და აღტაცებაზე რომ წერ, დაღმაფრენაც ხომ გინახავსო?

ჰმ, მნარედ მეღიმება გულში და ჩვეულებისამებრ, პროფესიის კვალობაზე, ქართული ზმინის ამ ვითომ უმცირეს ნაწილაკზე, ზმინისწინზე, ანუ პრევერბზე, ვფიქრობ... აღმა და დაღმა, რა დიდი მსგავსებაა და ერთდროულად რამხელა კონტრასტი, ანტონიმებია, რამსელა და შორიშორებით...

ჰოდა, მეც დავიწყებ ერთს, გულში წლობით გამონასკვულს და დღემდე მოსანანიებელს, მკითხველმა შემინდოს, თუ ლირსი ვარ შენდობის, თუ არადა, არც ისე ვთვლი თავს უცოდველ-უშეც-დომოდ. ამ ცოდვა-შეცდომებს კი, ასე ვიცი დღემდე, ეშმაკის ცდუნებით რომ ჩავდივართ მეტ-ნაკლებად ყველანი, ერთგვარად, ალბათ დადებითი მხარეც აქვს, უკეთ რომ შევიცნოთ საკუთარი თავი და უფლის უპირველესი მოძღვრებიდან, „შეიცან თავი შენი“-დან გამომდინარე, მივხვდეთ, ვისთან რა და რატომ შეგვე-შალა, მეორედ რომ აღარ შეგვეშალოს. თუმცა... აბა რა გენიო-სი მე ვარ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თვით პლატონმა პრძანა, მე ვიცი ის, რომ არაფერი ვიციო. ანუ, ლოგიკაა, მასაც ეშლებოდა რაღაც. მის მიერ ამ ზევით ნათევამის შემთხვევაში კი, გასაგე-ბია მსოფლიო გენიოსის თავმდაბლობა, ღვთიურ ჭეშმარიტებებს ნაზიარებს, ბევრისმნახველს, ალბათ პირველ რიგში სწორედ სა-კუთარი თავის ბოლომდე ვერშეცნობა ჰქონდა მხედველობაში და ის, რომ დიახაც, ერთი სიცოცხლე, რაც არ უნდა ხანგრძლივი იყოს იგი, საკუთარი თავის ბოლომდე შეცნობის ვერშემძლებე-ლია. და ეს იმიტომ, რომ საკუთარი თავის შეცნობა მხოლოდ და მხოლოდ სხვათა გვერდით ყოფნით და სხვათა შეცნობით ხდება უპირველესად, ეს კი ურთულესი პროცესია – ბევრის დათმენა და ბევრის გამოცდა რომ სჭირდება. იცის ეს უფალმა და პირველი მოძღვრებითაც სწორედ საკუთარი მე-ს შეცნობას გვირჩევს და გვავალდებულებს სხვათა უკეთ შესაცნობად. ჩვენ კი, სამწუხ-აროდ, მაინც მრავლად ვუშვებო შეცდომებს...

მოკლედ, ამბავი დავიწყო ის მირჩევნია და თითქმის ნამდვილი ამბის ნამდვილი ოხრობით გაგაგებინოთ სათქმელი, შევძლებ კი? ხომ მოვინანიებ მაინც...

ის წლებია, ყანვილობა რომ უკან ჩამოვიტოვეთ, სიცეტეებ-თან ერთად, უადგილო სიცილ-ხარხარზეც კონტროლი რომ და-ვუწესეთ საკუთარ თავებს, მთაზე ასვლასაც მოვუკელით სწავ-ლას ჩაბეჯითებულებმა და ვითომ კი არა, მართლა, ცოტა დავს-ერიოზულდით.

აგვისტოს მეორე ნახევარია, მზით და შრომით გადაქანცული დღეებით, მშვიდი საღამოებით და ხიდან ხეზე გადამფრენი, სი-გრილის მძებნელი ფრინველებით. ღამეც ფეხაკრეფით მოიპარე-ბა და ჩათვლემილ სოფელს ღრმა ძილში მალე წაიყვანს. მე, რო-გორც წესი, ჩვენი სახლის ღია აივანზე რკინის საწოლში ვწევარ,

ვუყურებ მთვარით გაბადრულ ირგვლივეთს, ცაზე უწესრიგოდ ჩამონინწ კლულ ვარსკვლავებს და იმხანად ძალიან შეყვარებული ასტროლოგიაზე, ცისიერ სამყაროს მთელი გულისყურით ვუთვალთვალებ, მოწყვეტილ ვარსკვლავებს ვითვლი და მათ ტრაექტორიას ვადევნებ თვალს. აღმა-დაღმა, ზოგი ზევითა და ზოგი ქვევით... ნეტავ რატომ წყდებიან ვარსკვლავები?.. ნუთუ ისინი განსაზღვრავენ მართლა ადამიანის, თითოეული მოკვდავის ბედს? მოკლედ, სამყარო შეცნობას ითხოვს, რა დროს ძილია...

ერთიც და, შუალამისას, ჯერ ჩვენს აღმართიან გზაზე მომავალი ავტომანქანის ხმა მომესმა, 2-3 წუთში კი, ჩვენი კარის მეზობლის ეზოში შემოჭრილმა ხმაურმა უნებურად წამომაგდოლოგინიდან.

მანქანიდან ჯერ ის, კატო ბებოს ულამაზესი, ჩვენი ასაკის მზია გადმოვიდა და მერე, საჭესთან მჯდომი მამამისი.

ბებია შენ შემოგევლოს ძახილით გამოენთო ეზოში, გულში ჩაიკრა შვილიშვილი და სახლში შეუძლვა.

— დედი, ამაღამვე უნდა გავბრუნდე, აი გოგო, გებარებოდეს, აგრილების მაგიერ, ქალაქში ძალიან დაცხა, ათ დღეში ჩამოვალ და წავიყვან. აი, ეს ბარგიც... საშური საქმე მაქვს... — მერე შვილს მიუბრუნდა და ძალიან თბილად, მშობლიური მზრუნველობით უთხრა, აპა შენ იცი, შვილო, ამ უბნის იქით ფეხს არ გაადგამ, ეგე, ჩვენი მეზობლები და შენ, დედაშენსაც ჩამოვიყვან მალე... — სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა, აივანზე ლამის გადმოკიდებულს, თვალი შემასწრო, ხელი ამინია, მომესალმა, როგორ ხართო, მოგვიკითხა და ამასო, ხელი მზიასკენ გაიშვირა, შენ გაბარებ, შენო, იმედიანად დამიბარა.

— ნურაფრის გეშინია, ტარიელ ბიძია, აქ არა ვართ? — ვანუ-გეშე მეც და წავიდა.

\*\*\*

ჩვენი ეზოს გოგო-ბიჭებიდან კი არა, რა ვქნა, გულწრფელად უნდა ვთქვა, მთელი სოფლის ახალგაზრდებიდან, სკოლის მოსწავლეებიდან, ყველა მიყვარდა, ერთის გამოკლებით და ყველას ვუყვარდი, ან კი, მაშინ, ვის ვინ ეჯავრებოდა? მე, უნდა ვთქვა, კი, მეჯავრებოდა და თან როგორ, სწორედ ჩემი მეზობელი, ჩემზე ერთი წლით უფროსი, უსაქმური და მოხულიგნო (სახელს

შევუცვლი და დავარქმევ ოთარს) ოთარი. პატარაობიდან სულ ამბიციები რომ აწუხებდა და თავის და-ძმისაგან ლამაზი გარეგნობითა და სიმაღლით გამორჩეულს, ყველაფრისმცოდნე ეგონა თავი, ცოტა ზევიდანაც გვიყურებდა... ამ ნიშან-თვისებების მიუხედავად, გოგონებს ყურადღების ცენტრში ჰყავდათ, ბიჭებ-საც ლიდერად მიაჩნდათ.

მე არასოდეს ვიხევდი უკან, აშკარად ვაგრძნობინებდი, მე-ჯავრები-მეთქი, თან, თანატოლების თანდასწრებით. უსიტყვოდ ჩაილიმებდა მწარედ და უტეხად მიმზერდა. სანაცვლოდ, ერთ მშვენიერ დღეს, სამაგიერო რომ მოეზღო, სკოლაში მიმავალს, ახალი პალტო რომ მაცვია და თავი ზომაზე მეტად მომწონს, შენობის მეორე სართულის აივნიდან კაი მოზრდილი ქილითა თუ ბოთლით წყალი ჩამომასხა თავზე. ეგრე არ უნდა-მეთქი, სამჯერ შემოვარბენინე მასაც და საკუთარ თავსაც სკოლის გვარიანი შენობის გარე წრე, მეოთხედ, რომ დავეწიე, მთელი ძალით ვკარი ხელი და ტალახიან გუბურაში მოვადენინე ზღართანი.

მეორედ, გოგონები მივდივართ ჩვენი სახლის აღმართზე და უეცრად, კენჭზე კარგა მოზრდილი ქვა მომხვდა თავში, გავიხედე და, ეს ვირგლა, მეზობლის ბალიდან, არც იმალება, ხარხარებს და აშკარად უხარია, ტკივილისაგან რომ ვიმანჭები.

იცინის...

ავენთე...

— კარგიო, — მამშვიდებენ გოგოები, — ნახევრად გიშია, ან იქნებ, შეეშალაო.

არ შევარჩენ-მეთქი, ვიქადნები.

მოკლედ, ვერ ვიტან და როგორ, ვფიქრობ, ბიჭი რომ ვიყო, ერთი მაგრად მივბეგვავდი-მეთქი...

ეს ორი შემთხვევა და სხვაც, მრავალი... ჰო, კიდევ გამახსენდა, ერთსაც ვიამბობ გართობის თავგადასავლებზე შეყვარებული მკითხველისათვის და შევჩერდები ისევ მკითხველის მოთმინების გათვალისწინებით, თორემ მე მოსაყოლსა და სალაპარაკოს რა დამილევს. ორკაციანი აუდიტორიაც მყოფნის, გუდას პირი რომ მოვხსნა, ამ შემთხვევაში, ორი ნამკითხველიც...

ზაფხულია, ალბათ, ისევ აგვისტო, 80 წლის ბებიაჩემს თავზე მწვანე, ქოლგას რომ ეძახიან, უშველებელი ფოთლით თავი ნაუკრავს და ტახტზე მიწოლილი მეძახის, მოდი, შვილო, ერთი წუთითო.

— რა იყო, ბები? რით ვუშველო შენს წნევას?

— ეგე, ორი ლიტრიანი ქილა, შიგ ხურდა ფულია, გადადი ეგრე მოკლეზე საშა ბებოსთან და წუხანდელი შედედებული მაწონი გამოართვი. შევჭამ, იქნებ მიშველოს...

— აკი ერთი წუთითო? — ვეხუმრები მე, — ამ სიცხეში იქ გადას-ვლას ოცი წუთიც არ ეყოფა.

— შენი სიმარჯვე რო ვიცი, სანამ ოცს დავითვლი, მოხვალ კიდეც, — მამხნევებს ჩემი ჭკვიანი ბებია და მივდივარ ხელში ნაჭ-ერი ხურდამოჩერიალე ქილებით. ჩავირბინე ჩვენი დაღმართი და ის წუთია, მეზობლიანთ მომცრო აღმართს უნდა შევუდგე, ეგერ არ ვხედავ, ჩემს შეჯავრებულ ლაზლანდარას უბნის ორ ბიჭთან ერთად? დიდი კაკლის ქვეშ, ქვით კაკალს ამტკრევს და პირში იყრის ნედლ ლებანს, თან რაღაცაზე ახარხარებს ორივეს. გულ-მა რეჩხი მიყო. არც დაუხანებია, მკიდა თვალი, წამოხტა ფეხზე, ჯიქურ იყურება ქილებისკენ და ბიჭებისკენ წამით მიბრუნებუ-ლი, სახეზე ერთი ხელის შემოკვრით ამბობს:

— აუ, რამხელა ჭიაა, გოგო, მაგ ქილაში, სად მიგყავს?

— ჭიაო? იცის, რომ ბავშვობიდან ფანატიურად მეშინია უმ-ცირესი ჭიალუებისაც კი.

წამით რომ არ ვფიქრდები, შორიახლოს ვისვრი ქილებს და შეშინებული გავრპივარ სახლისკენ ქვებზე მთელი ძალით დან-არცხებული, ყურსჩარჩენილი მინის მსხვრევისა და იმის უთავბო-ლო ხარხარის ხმით, ლამის სულშეგუბებული, ვიხედები უკან და ვხედავ, მუცელზე ხელებმოჭერილი იცინის, ბიჭები გაოცებით უყურებენ, ის კი ხმამაღლა ამბობს, ეგე, ხო ვეჯავრებიო...

აღრიალებული მივდივარ ბებიასთან და გულალი ტირილით ვუყვები ყველაფერს, ბებია მოთინებით მისმენს, დამჭვნარ „ქოლ-გას“ თავიდან იძრობს ერთბაშად და მეუბნება:

— შე არდასამინებელო, ქილაში ჭიებს რა უნდოდა, ხურდა არ ჩაგიყარე შიგ? ეგ არდასამინებელიც საიდან იგონებს ეგეთ რა-მეებს?

მოსალამოვდა, ჩვენი ეზოს ჭიშკარი იხსნება, შემოდის ღრეჭვით, ეძახის ბებიაჩემს, მუჭში ხურდას უყრის, თან ანიშნებს, რაღაც უნდა გითხრაო.

— მითხარი, — მკვახედ ეპასუხება ბებია.

— ჩემს შერცხვენას აქა-იქ თავი გაანებოს, მშიშარა, ჭიალუისა ეშინია...

- იცი, რას გეტყვი, შვილო, ამისმა მამამ არაფერი გაიგოს...
- იგეთი რა დავაშავე რო?..

\*\*\*

გათენებული არც არის გვარიანად, მივადექი კატო ბებოს ერთსართულიანი, ერთოთახიანი ბინის საჩეხს ზედ შესასვლელ დირესთან.

– მზიამაც გაიღვიძა, შვილო, დაიცა, დავუძახებ...

რა დაძახება უნდოდა, გამოვიდა ჩვენი მშვენიერი, ტან-ფეხჩა-მოსხმული, მზეთუნახავი გოგო და ჩავეხუტეთ ერთმანეთს.

– აუ, იცი როგორ მინდოდა თქვენთან, მომენატრეთ.

– წუხელვე გავიგე, შენ რომ მოხვედი და დაიჯერებ, არ მძინებია...  
რა უნდოდა ქვრივი კატო ბებოს მიძინებულ, მიჩუმათებულ სახლში. წავართვი მონატრებული შვილიშვილი და როგორც სხვა ზაფხულებში ვიცოდი, დილიდანვე ჩემთან გადავიყვანე. ჩემი მშობლები და და-ძმა ერთად ვმასპინძლობდით. თან ხაზგასმით ვეუბნებოდი, მაგრამ მართლა ვგრძნობდი პასუხისმგებლობას, უნდა გავფრთხილებოდი და, მორჩა. მეორე საღამოს მთაზე ას-ვლა ავიჩემეთ, თვითონაც ძალიან მოინდომა მზიამ, ბურთი წავი-ლოთ, გავერთობითო...

ინფორმაცია მთელ უბანს მოედო, ჯერ მზიას თბილისიდან ჩა-მოსვლის და მერე, მორიგი გასეირნების შესახებ. მოვგროვდით დიდ-პატარები, ჩვენი უბნელები და წასვლის წინ, კახელები რომ იტყვიან, ცხრა ჭირი მომჭამა კატო ბებომ, შვილო, შენ გენაცვა-ლოს ჩემი თავი, ეს უცხოდ არის და თვალი არ მოაშორო, ამ ერ-თადერთს შეჰყურებენ ჩემი შვილი და რძალი, თვალისჩინივით გაუფრთხილდით.

– თვალისჩინივით კი არა, ჩემს და-ძმასავით გავუფრთხილდე-ბი, ისინიც მოდიან და ნუ გეშინია-მეთქი.

გადაგვწერა პირჯვარი და წავედით.

მართლა ვიხალისეთ, ვითამაშეთ, ვიცინეთ, ვიხარხარეთ ჩამო-სული სტუმრის ყურადღებისა და სურვილების გათვალისწინე-ბით.

დღეს მთქნარება რომ აუტყდა და მობინდებულზე, ზედა მხრიდან წამოსული თეთრი ღრუბლებით ზანტად გაიზმორასავით, დროა, წავიდეთ-მეთქი, გამოვაცხადე თითქმის ყველას გასაგონად.

— დაიცა, რა გვეჩერება, ახლა დაუბერა ნიავწანწალმაო, — იმან, მე რომ მეჯავრებოდა.

— არა-მეთქი, მოვჭერი მოკლედ, ჩავავლე მზიას ხელი, ამოვიყენე გვერდში დიდ-ჰატარა და დავეშვით. არ გვაქვს ოცი მეტრი ფერდობზე ჩავლილი და, ხელმარცხნივ, ქვიანი ღრე-კლდესავით რომ არის და ძალზე ციცაბოა, მე აი აქედან, მოკლეზე ჩავალო, აიჩემა ჩვენმა სტუმარმა.

— აქედან ჩვენ არასოდეს გაგვიბედავს ჩასვლა, პაპა-ბებიიდან მოყოლებული, ამ ადგილს ეშმაკის ხევს უწოდებენ-მეთქი, ვეუბნები და გაოცებული ვუყურებ.

— შენ რა გგონია, — ვითომ პატრონად მთვლის და მე მომართავს, — თბილისელი რომ ვარ, მეშინია? სიმაღლეებზე სიარული მიჭირს? იქეთ, დედულეთში, გურიაში რომ მივდივარ, უარესიც მინახავსო...

უნებურად, წერასატანილივით ხელს მაშვებინებს, ელვის-უსწრაფესად ინაცვლებს იქეთ, ჩვენგან მოშორებით, ნიაღვრებისაგან ჩახრიოვებულ, ქვებით ჩაზვავებული, მოშიშვლებული კბოდისაკენ და პირდაპირ ხევის თავში მდგარი, თამამი ნაბიჯით თავქვე მიემართება.

გავქავავდით, ვუყურებთ, რა მოხდება. მე ისტერიულად ორივე ხელს თავზე ვიჭერ და უნდა ვიკივლო — მზიააა და, რას ვხედავ, ზედა დიდ ლოდზე შემდგარს როგორ ეცლება ფეხქვეშ კაი დიდი მომრგვალებული ლოდი და მთელი სისწრაფით, უკვე წაქცეული, მიექანება ქვევით მოხრიალე ქვიშა-ქვებთან ერთად.

პაერი აღარ მყოფნის, ენა მებმება, თვალებს ვხუჭავ, ვახელდა ა ჯერ კიდევ არდაღამებული ცის შუქზე, მთასა და ხევს შორის თითქოს აშკარად ვხედავ შავ ტანსაცმელში გამოწყობილ ეშმაკისებრ გამოსახულებას, თავზე რომ დაგვყურებს და ნიშნისმოგებით ხარხარებს. ამ ხევის მიღმა კი, აშკარად, შვებასავით, წმინდა გიორგის ეკლესიის თეთრი გუმბათი მოჩანს და გაუაზრებლად ვიწერ პირჯვარს, უფალო, დაგვეხმარე...

... წამიც და სულ ბოლოს ჩაგორებულს თუ ჩავარდნილს, ქვებიდაფარავს, ქვები კი არა, ნიაღვრებისაგან წლობით ნაგროვები

დიდ-პატარა ლოდები და ქვა-ლორლში ცოცხლად ჩამარხული, მკვდარიც ძნელად ამოსაყვანი გახდება.

საიდანლაც ყრუდ გვესმის – მიშველეეეთ...

და აი, ამ ყოფაში, საბედისწერო განსაცდელთან პირისპირ მდგართ, ჯერ გვეჩვენება და მერე გვესმის ძალიან ისტერიული, არაადამიანური ხმით:

– მე აქ არა ვარ? ნუ გეშინიაათ! – ნიააათ, ნიააათ, ხმას გა-მოსცემენ ირგვლივ აღმართული გაყურსული მთები. ეს ოთარია, თვალებს არ ვუჯერებთ, გიუივით იხდის პერანგს, ისვრის ჰაერში და მართლა გვეჩვენება თუ რა, ორივე გაშლილი ხელით კი არ ჩარბის, არაბუნებრივი ნახტომით დაღმა მიფრინავს მთის არწივივით. სუნთქვა გვეკვრის, რას მოგვიტანს მორიგი წამი... ეს მეორე წამიც და, ის ვაჟუაცურად სტაცებს ხელს წაქცეულ მზიას, რომლის მხოლოდ წითელ კაბას ვხედავთ, ჩაბლუჯავს ორივე ხელით, გვერდზე, ლოდებს მიღმა, შემაღლებული მიწის ზედაპირზე მოისვრის და მერე, ფეხზე მდგარი... ორივე ხელის აწევით გვანიშნებს, ნუ გეშინიათ, ცოცხალია, გადავრჩითო!

ჩვენ მთელი სისწრაფით ვეშვებით ფერდობის ბილიკიდან ქვევით და მთის ძირამდე ჩასულნი, მოკლეზე მიმავალი საცალ-ფეხო გზით ვუახლოვდებით საბედისწერო ხევის ძირში თავჩა-ქინდრულ, თავ-პირ და ხელ-ფეხდასისხლიანებულ, თმააბურდულ მზიას, გაოცებულნი ვანუგეშებთ, ის კი გვიყურებს, იტანჯება ტკივილებისაგან, ტირის და ამბობს: – თქვენი ბრალი არ არის, არ არის, ჩემი ბრალია, ჩემიიი... – მცირე სიჩუმის შემდეგ ისევ ტირილით ამბობს:

– ოთარმა გადამარჩინა, ის რომ არა, ხომ მოვკვდებოდი? მე-კითხებასავით თვალცრემლიანი და თვალს თვალში მიყრის. მეც მასთან ერთად ვტირი და მერე ძალიან თამამი მზერით გულზეხელებდაკრეფილ, თითქოს ერთბაშად დავაჟუაცებულ, შუბლშეკრულ, სადღაც ფიქრებში მოხეტიალე, ოდნავ ღიმილ-შეყინულ ოთართან მივდივარ, მხარზე თბილად ვადებ ხელს და ხმამაღლა ვეუბნები:

– აღარ მეჯავრები, არ ვიცოდი, თურმე დაღმაფრენაც შეგ-ძლებია, შენ მზიას სიცოცხლე გვაჩუქე...

ირგვლივყოფნი ცქმუტავენ და კმაყოფილნი გვიყურებენ.

მერე ზურგზე მოკიდებული ჩაგვყავს მზია უბანში და არა მისი ბებიის, არამედ ჩვენს სახლში, ყველანაირ დახმარებს ვუწევთ,

რომ მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ, სანამ კატო ბებო მოვა და ავიშვიშდება.

დამშვიდობებისას ოთარი კიდევ ერთხელ ბრუნდება ჩვენკენ და ამბობს: – აბა, ეს დაღმართი ხომ დავძლიერ, ხვალიდან ისევ ავირბინოთ აღმართი... ყოჩალააად!

\*\*\*

ღირდა ეს ამბავი სხვებისთვის მოსაყოლად? თქვენთვის არ ვიცი და მე, რამდენჯერაც თვალს შევავლებ ცივგომბორის მთებს და ჩემი სიყმაწვილის მწვერვალს, იმდენჯერ უნებურად მეცრემლება თვალები. ამ მთიდან ჩემი ულამაზესი სამშობლოს პაწაწინა სამშობლო, ჩემი მშობლიური სოფელი მოჩანს აქ გატარებული ტკბილ-მწარე დღეებით და ძალიან ცხადად, იმ ადამიანებით, ვინც ბევრჯერ დამაფიქრეს და დღესაც მაფიქრებენ ამაოებასა და მარადიულობაზე, სიკეთესა და სიძულვილზე, სიცოცხლის არსა და დროის სამ განზომილებაზე, სიყმაწვილესა და მის განუმეორებლობაზე, მთების სიმაღლეზეც, რა თქმა უნდა, იმ სიმაღლეზე, რაც კაცთა შესაცნობი, ან შეუცნობელია, რწმენით სავსე ადამიანთა მიზნებით და ამ მიზნების შესრულებით, თორემ თავისთავად მთათა სიმაღლე აბა, რა იქნებოდა?

აკი ვთქვი, ცხოვრებამ ბევრ მთას, ბილიკებსა და აღმართებს შემახვედრა-მეთქი, თვითმფრინავიდანაც უამრავი მთა დამინახავს.

მახსოვს, 1976 წელს, ტურისტული მოგზაურობისას, პრაღიდან 300 კმ-ის დაშორებით, კარლოვი ვარში წაგვიყვანეს. მსგავსი სილამაზე არსად მინახავს. ამ ზღაპრული, თოვლიანი მთების ხილვამ დამატყვევა, მაგრამ ყველა სხვა ტურისტის აღფრთოვანებისგან განსხვავებით, თვალი რომ შევავლე, უნებურად ცრემლები გადმომეკიდა. იმ წუთში ცის ლაუვარდოვან კაბადონზე, მაღალი მწვერვალები ზღაპრულად რომ ალამაზებდნენ და კისერგადაკიდებულნი ვუცქერდით, ჩემს დასანახად თითქოს გარკვევით დაიწერა: ო თ ა რ ი და ყურშიც აშკარად ჩამესმა მისი ისტერიულად ამოთქმული: მე აქ არა ვარ? ნუ გეშინიაათ!

ჰო, ადამიანი ყველაზე მაღალ მთაზე და მწვერვალზეც მაღალია, თუ მან იცის, სად, როგორ და რისთვის იფრინოს აღმა და დაღმა! იქნებ, უფრო გასაგებად ვთქვა: ადამიანის უფლისმიერი

სიმაღლე იმით იზომება, რომ თავისუფლად იფრინოს, ოღონდ, სიკეთისა და სხვათა ბედნიერებისათვის თავისუფლების ღრმა და პირველყოფილი გაცნობიერებით.

რისკი? გურამ რჩეულიშვილისა არ იყოს, ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში, მცირე მეტაფრაზით – სიცოცხლის მშვენიერებაც ერთმანეთისათვის თავგანწირვა-შია და არა უბრალოდ, სიცოცხლით ტკბობაში...

...და მაინც, რამ ჩაადგინა ოთარს ეს საგმირო საქციელი? შინაგანმა ინსტინქტმა და უნარმა? თავგანწირვის ნიჭმა? სხვისი გადარჩენის კეთილშობილმა სურვილმა? თავის გამოჩენის ცდამ? მზიას შებრალების განცდამ? ყველაფერი, ვგონებ, ერთ განზო-მილებაში იყრის თავს – არა, უფლის ძალამ, რაც ახალგაზრდის ბუნებრივ, თავისუფალ ქმედებაში გამოიხატა საკუთარ თავში შიშის თავითგანცდის დაძლევის უმასშტაბო სურვილით და სა-კუთარი თავის შესაძლებლობების მორიგი შეცნობის მიზნით... მოგვიანებით, მას, უკვე შერიგებულს, სხვებთან თანდასწრებით ვკითხე:

– ოთარ, არაფერი მოგვატყუილო, მართლა ფრინველივით რო-გორ ჩაფრინდი მაშინ?

– აბა, მომკვდარიყო? ვიღაცას ხო უნდა გადაერჩინა!..

– და შენც რომ დაღუპულიყავ?

– ამ დაღუპვას თავისი სახელი ერქმეოდა... აღარ გვინდა ლაპა-რაკი, მთავარია, რომ ეშმაკის ხევს ვაჯობე!

ჰოდა, ისევ სიტყვა დაღმაფრენა... რა იყო ნეტავ პირველად, სიტყვა დაღმაფრენა და მერე გაჩნდა აღმაფრენა, აღმასვლა, აღ-მოჩენა, აღტაცება თუ... ისე, დაღმართი რომ არ იყოს, აღმართიც ხომ არ იქნებოდა. რა ვიცი აბა, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ისაა, ახლა მაინც დავსვა კითხვა, რატომ მეჯავრებოდა ადამი-ანი, რომელსაც თურმე ნამდვილად ჰქონდა ჯანსაღი ამბიცია და რომ ის, თავისი შინაგანი ბუნებით, მართლაც გამორჩეული იყო თავისთავში ჩატეული ვაჟვაცური ბუნებით და მისი ჯან-საღი ამბიციაც თანატოლებში, ქვეცნობიერად, რაღაც გადაულ-ახავის გადალახვის რწმენით იწყებდა დაბადებას ჯერ კიდევ ყმაწვილკაცში, ჰოდა, უფლის ნებით, რწმენის გამოცდა საბედის-ნერო ჟამსა და ადგილას არა იმდენად გარემობის, რამდენა-დაც მისი შინაგანი მეს ძახილით და რისკის გაწევით მოხდა.

— დიახ, ის ჩვენს შორის ყველაზე ლამაზი, გონიერი, თამამი, რისკიანი, ამბიციური იყო... მე კი, რატომლაც, ათვალწუნებული მყავდა. აი, რატომ ვითხოვ შენდობას... მოვინანიე კი?

\*\*\*

მისი გადარჩენილი მზია ახლა ბედნიერი დედა და ბებიაა, სამი შვილითა და მრავალი შვილიშვილით გახარებული.

ოთარი? ამქვეყნიდან, სამწუხაროდ, ძალიან ადრე წავიდა და მრავალი წლის შემდეგაც ის ისევ მაფიქრებს სიტყვებზე და მათ ღრმა, პირველცნობიერ მნიშვნელობაზე: აღმაფრენა, აღტაცება, აღმასვლა, ხომ საუკეთესოა, არა? დაღმასვლა, დაღმაფრენა? არა მხოლოდ საუკეთესო, არამედ ამაღლებული და მშვენიერიც, ისეთი მშვენიერი, არასოდეს რომ არ გავიწყდება, ისე, კაცმა რომ თქვას, სიკვდილსგატოლებული თავგანწირვის რისკით დაღმა ფრენაც ხომ ფრენაა... ფრთიანი ადამიანები კი, სხვა თუ არაფერი, მარადისობაში რჩებიან.



## ჭავა კუთხეთა მუსიკი

### გენაზე ქადაგის აღსაჩენა

ალა ომამდე პეტერბურგში ცხოვრობდა. ბედის უკუღმართობის გამო, სამშობლოდან ხანგრძლივად გახიზნულს, დედის სიკვდილის შემდეგ გულმა კვლავ საკუთარ მიწა-წყალზე გამოუწია, რადგან ბინის საყიდელი ფული მოპარეს, იძულებული გახდა, მეგობრების დახმარებით სოლოლაკის ძველ უბანში ერთი ხელგაშლილი კაცისოდენა ოთახი ექირავებინა.

ალა ფათერავებს ისე იზიდავდა, როგორც კლდე-ქარს. მისი თეთრი მკერდი საალერსოდ იწვევდა თვალებმობრიალე მამრებს. მის გარშემო ტურებივით აკივლებული ჩემი გრძნობები კი გაჩენის დღეს იწყევლებოდნენ. ამ ჩრდილოელი ქალის ამოუცნობი, იდუმალი მზერა, თითქოს გადამჩეხველ დღეებს რომ მაგუებდა, მსურდა ჩემს ტილოზე დამეტყვევებინა, მაგრამ უძლური ვიყავ, როგორც მის სამყაროში შეუღწეველი და გზააბნეული მოგზაური.

ბევრ უცნაურობასთან ერთად ალას ერთი თვალშისაცემი თვისება პქონდა, მუდამ, სადაც უნდა წასულიყო, თავის განუყრელ ტყავის ჩემოდანს დაატარებდა. მეზობლები გაოგნებულები უყურებდნენ და ვერაფრით აეხსნათ მისი ასეთი საქციელი. იმდენი მოყურადე ჰყავდა ამ იდუმალებით მოცულ ჩემოდანს, რომ მითქმა-მოთქმისა და ჭორების საბაბს აძლევდა ყველას. უბნის ინსპექტორიც კი საეჭვოდ უყურებდა ამ უცნაური ქალის საქციელს თეთრი ვარდებითა და განუყრელი ჩემოდნით რომ მიუყვებოდა ხოლმე სოლოლაკის აღმართს.

სინამდვილეში, ავი თვალისა და მრუდე ხელისგან დაუცველი მისი უბადრუკი ოთახი, არასაიმედო სამყოფელი იყო ალასთვის ძვირფასი და საყვარელი ნივთების შესანახად. იმის შიშით, რომ ძველი, ნახევრადმორყეული კარი არავის შეემტვრია, იძულებული იყო ხელით ეტარებინა მთელი ავლადიდება, ამიტომ ეს მის-თვის, უბრალოდ, ჩემოდანი კი არა, ერთგვარი ხსოვნის სკივრიც იყო, სადაც სათუთად ეწყო მოგონებადქცეული მისი ისტორიის ფურცლები.

როცა ქალაქის ხმაურიანი ქუჩები და აჩქარებული მაჯისცემა არაქათს გამომაცლიდა, გული ყოველთვის სანაპიროსკენ მიმინევდა. ვინ იცის, ფიქრებში გართულს, რამდენჯერ დამთენებია აქ. სადღა იყო ბაბუაჩემისდროინდელი ძველი თბილისი თავისი მადათოვის კუნძულით, არღნებით, ფაეტონებით და მეტივეებით, ველარც დუდუკზე ნამდერ დილის საარს გაიგონებდით სადმე. ვიღას ახსოვდა პიადესტალიდან და სამრეკლოდან ჩამოხსნილი „დაპატიმრებული ძეგლები“ და დედოზარები!

უმაღ დარდები გადამეყრებოდა, როცა ვხედავდი, როგორ გა-მოატანინებდა მექისე აბო ჩაიხანიდან „სამოვარს“, თან ლოცვას კითხულობდა, მონაზონი ქალი კი მტრებებს საკენკს უყრიდა. ვინ იცის, რამდენჯერ ვყოფილვარ ამ სანაპიროზე რიჟრაჟის სტუ-მარი.

ერთხელაც, სანამ ალას ახლოს გავიცნობდი, ასეთი ამბის მომ-სწრე გავხდი, მშრალ ხიდთან, შუაგულ ქუჩაში სახეაწილებული და თმებგაჩერილი ალა თავის მეგობრებთან, ლილიტასთან და ბულოჩეასთან ერთად ძალით როგორ ჩასვეს გისოსებიან, „ჩორნი ვარონაში“ თავიათი საეჭვო ბარგით. ვიღაც ცხვირწანვეტებული, შუახნის მელოტი დახლიდარი თავგამოდებით ყვიროდა, ახია მაგათზე, ახიო. ჯერ ვერ მივხვდი რა ბრალს სდებდა ეს ყბალო-ნიერი კაცი წვრილი ნივთებით მოვაჭრე ქალებს. „ჩორნი ვარო-ნის“ გისოსებიანი ფანჯრიდან ალა თავგანწირვით ცდილობდა ხალხისთვის მიეწვდინა ხმა, რომ მტკვრის სანაპიროზე მისი ბიჭი უკრავდა და იქნებ მისთვის როგორმე შეეტყობინებინათ, რომ მისი დედა უდანაშაულოდ დააკავეს და მთაწმინდის მილიციის განყოფილებაში მიეკითხა მისთვის.

ჩემდა უნებურად, თუხთუხით მიმავალ მანქანასთან წამის უსწრაფესად აღმოვჩნდი და მომხდარით თავზარდაცემულ ქალს იმედიანი სიტყვა გავაყოლე, რომ მის შვილს უსათუოდ მოვძებ-ნიდი.

ამ ჯანდაბის გზაზე მიმავალ „რკინის რაშს“ თან მიჰყებოდა ქურთი მეტოვების სიმღერა და ონავარი ბავშვების სტცენა. სანა-ამ მანქანა თვალს მიეფარებოდა, მომხდარით გულმოოხებული მომჩივანი ისეთი გაბადრული სახით გაჰყურებდა გზას, თითქოს მტრის ბატალიონი დამარცხებინოს. ისეთი ელვისებური სისწრაფით ვითარდებოდა მოვლენები, რომ დღემდე არ ვიცი, რას ედავებოდნენ მაშინ ალას და მის მეგობრებს.

უცებ სანაპიროდან განწირული ხმა შემომესმა. მივტრიალდი და რას ვხედავ, შეჩინჩქოლებული ხალხი წყალს ჩაჰყურებს, მოდიდებული მტკვარი მღვრიე ტალღებს მოაგორებს და ჯებირის კედელზე გამოშვერილ არმატურაზე ჩაბდაუჭებულ, ათიოდე წლის ბიჭუნას საცაა თავისი ბინძური ხელებით დაეჯაჯგურება და უსასრულობაში შთანთქავს. ბავშვს ყვირილის თავიც კი აღარ აქვს. მთელი ძალით ჩასჭიდებია რკინას და დანებებას მაინც არ აპირებს. მის წითელ ვიოლინოს კი, ასე გატაცებით რომ უკრავდა ნახევარი საათის წინ წყალდამშრალ რიყის ქვებზე მდგომი, მდინარე ისე მოაცეკვებს, თითქოს შურს იძიებს და სიცოცხლეს დასცინისო.

ცოტა ხნის წინ, მდორე და უსიცოცხლო, ახლა ისე გავეშებულა, თითქოს ამ დუნიის ჯავრი და დარდუბალა ამ ერთ საწყალ ბიჭზე უნდა იყაროსო.

გადახტომას ვერავინ ბედავს, მხოლოდ სინანულის შეძახილები და სასოწარკვეთილი მუდარა ისმის ირგვლივ. ყველაფერი წამების საქმეა. თითქოს დამავიწყდა, ხეირიანად რომ ვერ ვცურავ, მაგრამ გარისკვად ლირს ამ ბავშვის სიცოცხლე. ფიქრის დროც აღარ არის, იქვე მეთევზის ნიჩაბს მოვკარი თვალი, ხელი დავტაცე და ვცდილობ ისეთი ხელსაყრელი ადგილი მოვძებნო, საიდანაც ადვილად მივწვდები მსხვერპლს.

— ყოჩალ, ყოჩალ, პატარავ! ცოტაც და... — ვამხნევებ თავგანწირვით მებრძოლ ბიჭუნას, ისიც თითქმის უშეცდომოდ ასრულებს ჩემს მითითებებს, მთელი ძალით ებლაუჭება ნიჩაბის ტარს და აი, მეც ვწვდები მხრებში, ერთი პირობა ლამის გადამძალა, მაგრამ უფლის შეწევნით, მგონი გადავრჩით.

დაბნეული ხალხი უცებ გამოფხიზლდა, ზოგი ტაშს უკრავს, ზოგიც გვამხნევებს. ბიჭს სახეზე ახლალა დავაკვირდი და გაოცებისაგან გავშეშდი, ეს ხომ ის არის, გამუდმებით ალას რომ დასდევს, ნოე, ჰო, ნოე. აი, ბედის ირონია. ბავშვი შეშინებული აცეცებს თვალებს და რაღაცას ეძებს, თითქოს მის გულში ვი-

ჯდე, ვამშვიდებ და პირობას ვაძლევ, რომ სახლში წავიყვან და ვიოლინოსაც ცუპოვი.

ის ის იყო, გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მომეყვანა, რომ ნოეს კრუნჩევები დაეწყო, ერთიანად აკანკალდა, პირიდან დუ-უსმაგვარი სითხე გადმოუვიდა და თვალები უკან წაუვიდა.

— სასწრაფო, სასწრაფო, — ვყვიროდი მე მთელი ხმით და თან ენაზე ვექაჩებოდი, რომ არ გადაეყლაპა. ბედად, ექიმები დროზე მოვიდნენ. პაციენტის ინტერესებიდან გამომდინარე, საავადმყო-ფოში ვარჩიეთ მისი გადაყვანა.

როცა გონს მოეგო, მხოლოდ ერთ ფრაზას იმეორებდა, მაინც ვიპოვი, მაინც ვიპოვიო.

როგორც აღმოჩნდა, ნოეს ვიოლინო ვერელი გულახმედას სულელურ პრინციპებს შეეწირა. მისი ყური ძალიან უხეში და მიუჩვეველი იყო კლასიკური მუსიკის აღქმნას. ამ ძალისმიერ კაცს, ქუჩური გარჩევები და ქურდული ცხოვრება უფრო იზიდა-ვდა და ყველა სხვას დედიკოს ბიჭს ეძახდა. ისე აღმერთებდა ბანქოს, რომ ჰალსტუხზეც, რომელსაც განუყრელად ატარებდა, კარტები ეხატა. ბრიოლინით გაპრიალებული თმა და შავი სათვალე, ჩეუბის დროს გამრუდებული ცხვირის ნაკლს რომ უმაღლავდა, ერთგვარ „ეგზოტიკურობას“ სძენდა.

იგი მშობლებისაგან გაზულუქებული შვილების ხარჯზე ცხოვ-რობდა. მისი გული რომ მოეგოთ, რას არ ეზიდებოდნენ მასთან: საზღვარგარეთულ ძვირფას სიგარებს, გამორჩეულ ვისკებს, მაჯის საათებს და ათასგვარ ნუგბარს. ალბათ, ღმერთის წყალო-ბა იყო, რომ ნარკოტიკი ჭირივით სძულდა და გაურბოდა.

გულახმედას მოწყალე გულიც ჰქონდა, მაგრამ ხშირად მისი სიკეთის ქმნადობის წადილი, მამამისის, ქურთი მეწალის კის-ერზე გადადიოდა: ქუჩაში ლანჩიმორლვეულ, ხელჯონიან მოხუცს თუ შენიშნავდა, ყველა მამის სახარაზოში მიჰყავდა, ამიტომაც უბნის გაჭირვებული მოხუცები და ხელმოცარული ობლები კარგ კაცად მოიხსენიებდნენ. ის კი არადა, ზოგიერთი მას ვერელ არ-სენასაც ეძახდა.

— ნუ წუნუნებ, მამი! — თავად შეუძახებდა ხოლმე გულახმედა შვილის გულმოწყალებისაგან შეღონებულ მამას, თან ანუგეშებ-და, „სამაგიეროდ სამოთხეში მოხვდებიო“.

— კიდევ კარგი სამოთხეს მისამართი არა აქვს, თორემ ნახევარ დუნიაზე მეტი ბილეთს აიღებდა, იქით დაიძვრებოდა და დედამი-ნის ლერძიც გაიღუნებოდა, — თავს გააქნევდა ხოლმე მამამისი,

თავისი ამქვეყნიური ჯოჯოხეთითაც რომ კმაყოფილი იყო და მოთმინებით იტანდა ამ ცხოვრების დარღუბალას.

ისე, მეც აღვიდგინე გულახმედა, მაგრამ ნოესი არ იყოს, ვერა-ფრით ვპატიობდი გაუგონარ საქციელს.

ის ლამე საავადმყოფოში გავატარეთ. რამოდენიმე საათის გან-მავლობაში ხან ჯამბაზად ვიქეცი, ხან ბრძენი ვიყავი, ხანაც ნოეს უფროსი ძმა და მეგობარი, ვცდილობდი, როგორმე შემემსუბუქე-ბინა მისთვის ის დიდი, დაუმსახურებელი ტკივილი.

ნოე ყველაფერთან ერთად დედაზე უფრო დარღობდა, ამი-ტომ, როგორც კი გაგვწერეს საავადმყოფოდან, სასწრაფოდ დავტოვეთ იქაურობა. სანამ ჭიშკართან მივიდოდით, შევნიშ-ნეთ, რომ ჩვენსკენ ერთი უცნაური გარეგნობის, ასე, ჩემი კბილა ახალგაზრდა კაცი მოემართებოდა. რომ მოგვიახლოვდა, თავი მდაბლად დაგვიკრა, მერე რაღაც, საგანგებოდ შეფუთული ნივ-თი გამოვიწოდა და გვითხრა: — გულახმედამ ბოდიში მოიხადა, თავად რომ ვერ გაახლათ ეს ვიოლინო, შემოგითვალათ, ვერელი ბიჭების საჩუქარია და დარწმუნებული ვარ, უარს არ იტყვითო.

გაოცებისაგან პირი დავაღე, მერე ინსტიქტურად ნოეს გა-დავხედე, ნერვიულობისაგან და მოულოდნელობისაგან გაოფ-ლილი ხელი გავითავისუფლე მისგან და უცნობ კაცს გავუწოდე, ვიოლინო რომ გამომერთმია...

\*\*\*

იმ წელს ასრულდა ჩემი დიდი ხნის ოცნება და სამხატვრო აკადემიაში ჩავირიცხე.

პრორექტორმა, ასე ორმოცდაათს გადაცილებულმა კაც-მა, როცა აუდიტორიაში შემიყვანა, ჩემს თანატოლებს მზიანი ზურგები არც დაუძრავთ. ეს ვინ ოხერიაო, ალბათ იფიქრეს, ვინ უნდა ვყოფილიყვავი? ერთი ცხოვრებაში ხელმოცარული, მწარე ბავშვობაგავლილი, სიყვარულში მოტყუებული კაცი...

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ნატურიდან უნდა გვეხატა, დეკან-მა მენატურებად ალა და ვერა შემოიყვანა, რომლებსაც ტანზე თხელი, გამჭვირვალე მოსასხამები ემოსათ, მათ სიცილითა და ტკარცალით შარშანდელი ქარები მომაგონეს. ისე შემომხედეს, თითქოს მიცნეს მალაკნების ბაზრისა და მშრალი ხიდის ბედეკი მენვრილმანე ნუმიზმატი.

ალამ ვერას თეჯირი ჩამოაფარა. ამ უკანასკნელმა დაიწყო გაშიშვლება. მე ცოტა ავნერვიულდი, ეს ქალი მეორედ უნდა ყოფილიყო ჩემი მენატურე, რადგან ის ერთხელ ჩემი სახლის მანსარდაზე უკვე მყავდა დახატული. სულში ჭინკები ამიკივლდა...

ჩემი პედაგოგი, სერგო, მენატურეს და ჩემს მიერ დახატულ პორტრეტს ადარებდა ერთმანეთს. — მღუპავ, ბიჭო, სად გამოვყო თავი, განა ეს ჩემი სტუდენტის ნახატს ჰეგავს?! — წმინდა ქართულით მითხრა მან, არადა, აქამდე მე ის რუსაპეტი მეგონა, რადგან ლექციებს მუდამ რუსულად გვიკითხავდა.

ჩემს წინ ორი მენატურე, ვერა და ალა იდგნენ. ისე, მათვის რომ გეცითხა, აკადემიაში პოზირებას კერძო მიწვევა ერჩიათ. ფულსაც მეტს შოულობრდნენ და სასმელსაც კარგად წრუპავდნენ.

თავიანთი თავები უფრო ლამაზები ეგონათ, ვიდრე ჩვენს მიერ შესრულებული მათი შიშველი ფიგურები. თითოეულს უფრო ინდივიდუალურად დახატვა ერჩია. როცა ერთხელ შევეკითხე, — ვერა პეტროვნა, სადაა თქვენი მეგობარი ბულოჩკა-მეთქი, ბუზ-ლუნით მიპასუხა:

— ბულოჩკაზე კარგები არ ვართ? თანაც ის აკადემიაში კარგა ხანს აღარ მოვა, რადგან ბავშვს აჩენს.

— რა ხდება? რა ყველა კონკურენტად თვლის თავს. ნუთუ ზამთარს არ უყვარს ზამთარი ან ტკბილ-მწარე ვერ უთავსებს ერთმანეთს. ისე კი კარგია, როცა ერთმანეთს კონკურენტებად აღიქვამთ.

ბულოჩკა ადგილობრივი რუსი იყო. ქართული კარგად იცოდა. მას დიდი წვლილი მიუძღვდა ალას პეტერბურგიდან ჩამოვანასა და თბილისში დაბრუნებაში. ისინი, სამივე ერთად დადიოდნენ აკადემიაში და პოზირებდნენ ახალგაზრდა მხატვრების წინ.

\*\*\*

ალამ იმ დღეს შეათბო კარტოფილის ღვეზელები, ჩაიც დაუსხა თავის ათიოდე წლის შვილს, შემდეგ თმებზე გადაუსვა ხელი, ალერსიანი ლიმილით ეამბორა პუტკუნა ლოყაზე და სუფრასთან მიიპატიჟა. ნოემ საუზმე სწრაფად მიირთვა, ცხიმიანი ტუჩები ხელსაწმენდით მოიწმინდა. ჩანთაში ნოტების რვეულები ჩაალაგა, ვიოლინოს ბუდე მხარზე გადაიკიდა, ჯარისკაცული მოძრაობით მკვირცხლად შემოტრიალდა, ძველ სარკესთან თმები შეისწორა და დედა-შვილი დილის მოდერნისტული წინსვლით კიბეზე დაეშვნენ.

მალე მივიღნენ სამხატვრო აკადემიასთან. კარისკაცმა გაიგო რა მათი ნაადრევი მისვლა, ბუზღუნით გაულო კარი და დამტკვრეული რუსულით უთხრა:

— ალა, გეთაყვა, ან ბავშვი არ გეცოდება ან საკუთარი თავი?! ასე ადრიანად რომ კრეფ შენს ბარგი-ბარხანას და დაატარებ, აქ სანამ გინახო ეგ ჩემოდანი? გასატეხი ნივთები მაინც დატოვე სახლში. მე შენი ნივთების გარდა, უამრავი რეკვიზიტი და ათასი ჯანდაბა მაქვს საპატრონო. შენი ჩემოდანიღა მაკლია სწორედ, თანაც მთელი საათით ადრე მოსვლა რაღაა, ღმერთმა შეგაჩვენოს, უცნაური გოგო ხარ! მიკვირს, როგორ გიძლებენ ეს ახალგაზრდა სტუდენტები, რომლებიც ყოველდღე გაშიშვლებულს გხედავენ.

— მე, ზახარიჩ, მიყვარს ჩემი საქმე, — მტკიცედ თქვა ალამ, — შენ რომ არ მეხმარებოდე, ყველაფერს დავკარგავდი ჩემი სახლის მოშლილი კარიდან. რა ვენა, ფულიც ვერ დავაგროვე იმდენი, ერთი რიგიანი ხის კარი მეყიდა.

ამ წელიწადს მეტი დასამახსოვრებელი ჩემთვის არაფერი მომხდარა. ყველაფერი ჩვეულებრივ მიმდინარეობდა. დრო სახრეგადარტყმული ხარივით მიიზღაზნებოდა. დამამახსოვრდა მხოლოდ შიშველი, სიცივისგან მობუზული ალა და წითელი ვიოლინო პატარა ბიჭის მოყინულ ხელებში. ასევე ზახარიჩის მობუზღუნე და მოღუშული სახე. იყო მცირე სიხარულები. მე 40 წელის ძალით ვუძლებდი აკადემიის მასწავლებლების შენიშვნებს. ამას ემატებოდა შავგვრემანი, თუში ქალის სიყვარული, ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულიყავი, მხატვარს ოჯახი უნდა შეექმნა, თუ არა.

ნოეს, ალას ბიჭუნას, დღითიდე ვატყობდი, თუ როგორ ეზიზლებოდა მხატვრები, მათ შორის მეც, მიუხედავად წასული ურთიერთობისა. ზამთრის შუადღე, მოგეხსენებათ, თბილია, როგორც ნაცარში შენახული ნაკვერჩხალი. თხელ პალტოში გახვეულ ბიჭს, ვიდრე დედამისის სეანსს დაამთავრებდა, ჩვეულებად გადაპქცეოდა დედის მოლოდინი, კბილებით ფრჩხილებს იკვნეტდა. ის, თითქოს, ჩვენს სულებში აფათურებდა ხელებს. მე, მისი ცოდვით, არა და არ გამომდიოდა ნახატი, ხშირად შესვენებისას ლექსებს ვწერდი, ალა კი სიგარეტს აბოლებდა. ამის უფლებას მას ჩვენი პედაგოგი, დიმიტრი აძლევდა.

ალა მენატურე იყო და ყოველთვის ცინიზმით უყურებდა ჩემს ნახატებს. მახსოვს, ერთხელ ნატურმორტიდან, საიდანაც ვხატავ-

დი, პომიდორი აიღო და ჩემს სურათზე სალეჭი რეზინივით მიაჭყლიტა, თან კისკისებდა და იმ ლამაზ, კატისებრ, ცისფერ თვალებს აუჯუჯუნებდა. ასე მეგონა, თითქოს ჩემი სულის გასაღები მას ეპყრა. რატომლაც მან სხვებისგან გამომარჩია, თითქოს მიმიხვდაო გულის ნადებს. სტუდენტები ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომელი უფრო ლამაზად დახატავდა მას.

ვატყობდი, ალას არ მოსწონდა ჩემს მიერ დახატული მისი განკაცებული სხეული, ამიტომ იყო უკმაყოფილო. სეანსი დიდხანს გაგრძელდა. მეც გამიჩნდა საფიქრალი. აღარ ვიცოდი, რა უნდა მექნა. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე იყო: მუცლის პრესი, მენჯი, ხერხემალი. მოჭუტული თვალით ერთხელ კიდევ გავზომე მენატურე ქალის თავი, რომელიც რვაჯერ ჩაეტია მთელს სხეულში. დავრმუნდი, რომ კლასიკური პროპორცია დაცული მქონდა. ვერაფრით მივხვდი რა ხდებოდა, ჩემი აღქმით, ალა თავისი შვილითა და განუყრელი ჩემოდნით, რომელსაც ის სულ მუდამ თან ატარებდა და რისთვისაც მას ხუმრობით ალა-ჩემოდანა შეარქვეს, თავისი ჩაუკეტავი კარით ნამდვილ ტკივილის ქალად ქცეულიყო, რომელიც საკუთარი სიშიშვლით ნაშოვნი ფულით კვებავდა მომავალ „მოცარტს“, შვილს, რომელსაც უმძიმდა დედის მენატურეობა, რცხვენოდა, როცა დედა უცხო მამაკაცებთან შიშვლდებოდა. დედა ხვდებოდა შვილის უკმაყოფილების მიზ-ეზს, მისი შვილი ხომ მომავალში კაცი იქნება. მეც მივხვდი, რომ ალას განკაცებული ფიგურის დახატვის მიზეზი სწორედ ეს იყო.

ერთხელ, ჩემი ნაცოდვილარი იმდენად დავინუნე, რომ მთელი კვირა აღარაფერი დამიხატავს, მარტო აღას მოდელზე ვფიქრობდი, ბოლოს, ფითხის ერთი ჩამოსმით, გადავწყვიტე მისი განადგურება. ალამ ეს მაშინვე შენიშნა და ხელში მწვდა, — მე ასეთი არასოდეს არავის დავუხატივარ. ერთი თხოვნა მაქვს მხოლოდ, ხელი მოაწერე და მაჩუქე. მე მას მთელი სიცოცხლე შევინახავ! — მაშინ გადავწყვიტე სწორედ ალას შიშველი ფიგურის სხვა ვარიანტი შემექმნა.

პედაგოგი მიმიხვდა, ჩემი უგუნებობა ჩემი მარცხით რომ იყო გამოწვეული. როცა დიმიტრი ბრაზდებოდა, სტუდენტებს გვარით მოგვმართავდა ხოლმე. ახლაც, სათვალე მოიხსნა, დააორთქლა და ქაღალდის ხელსახლცით დაიწყო მისი გაწმენდა. მერე თვალი თვალში გამიყარა. ვიგრძენი, თითქოს ნემსების მთელი წყება შემასო, ხარის რქებით გამფატრა ისე, როგორც ეს კორიდაზე ხდება ხოლმე და დარიგების კილოთი დამამშვიდა, —

გულს რატომ იტეხ? თუ შენი ნახატი შემოქმედებითი ნიჭით და-  
ჯილდოებულ ერთ კაცს მაინც მოსწონს, ეს უკვე მიღწევაა და სა-  
დარდებელიც არაფერი გაქვსო...

\*\*\*

ნოეს, ბოლო დროს, უგუნებობა ყველაფერში ეტყობოდა. სიტყ-  
ვაძუნწიც გახდა, მისი სხივჩამქრალი თვალები სასიკეთოს ვე-  
ლარაფერს ხედავდნენ. ვიოლინოსაც გაუუცხოვდა და შეგობრებ-  
საც უგანა. დედასაც კი აღარ აწუხებდა ზედმეტი მოთხოვნით.  
წინათ, სულმოუთქმელად რომ ელოდებოდა ხოლმე ალას ხელფა-  
სის აღების დღეს, როცა დედა მისთვის საყვარელი ნუგბარებითა  
და საჩუქრებით ანებივრებდა, ახლა ის დღეც სძულდა და ის ფუ-  
ლიც. ყველაფერი სძულდა, რაც დედამისის სიშიშვლესთან იყო  
დაკავშირებული. თითქოს ერთხაშად გაზრდილიყო. საშინალად  
რცხვენოდა იმის გაფიქრების, როცა ის სამხატვრო აკადემიის  
სახელოსნოს კარს მიღმა მოთმინებით უცდის სტუდენტების წინ  
გაშიშვლებულ მენატურე დედას, რომელიც თავშესაქცევად და  
დროის მალე გასაყვანად წითლად ლოყებაღაუღაუებულ ბიჭს ხან  
ფუნთუშას და კარტოფილიან ლვეზელს უტოვებდა, ხან აკადემი-  
ის ბუფეტში ნაყიდ 25 კაპიკიან ხაჭაპურს. მართალია, ამ ყველა-  
ფრისათვის ასეთი პროტესტის გრძნობა არ ჰქონია, მაგრამ სტუ-  
დენტების მიერ ნაჩუქარ ტკბილეულს ხელს მაინც არ აკარებდა.

მუსიკალურ სკოლაში წასასვლელად ფეხები უკან რჩებოდა.  
ჭაბუკობაში ახლადფეხებშედგმული ვაჟის ზედმეტად თავმოყვარე  
ბუნება და იმის ქვეშეცნეული, პანიკური შიში – მის მეგობარ  
გოგონას არაფერი შეეტყო დედამისის საქმიანობის შესახებ,  
ყველაზე მეტად უბურღავდა ტვინს. თათია ხომ მისთვის ჩვეუ-  
ლებრივი მეგობარი არ იყო. თუკი ვინმეს და რაიმეს სიყვარული  
დაკლებოდა მის უიღბლო ბავშვობას, ყველაფერს მის თვალებ-  
ში კითხულობდა. თათიას ძმა წელს მოწყობილიყო სამხატვრო  
აკადემიაში, ვაითუ მისმა ძმამ... და ამის იქით გაფიქრებაც არ  
სურდა. ახლაც ყურებში ესმოდა მისი დამცინავი და ბრაზისაგან  
გაბზარული ხმა: „ტოჟე მნე პაგანინი... ჩემი დის გვერდით არ  
დაგინახო, თორემ მაგ ვიოლინოს თავზე გადაგამტვრევ“ - ო, არა-  
და, ყველა რომ ვიოლინოს დამტვრევით ემუქრებოდა! რომ არა  
ბედად გამოჩენილი გულახმედა, ვინ იცის, რა შარში გახვევდა ამ  
საცოდავ არსებას ეს ვერელი, ვითომდა ყოჩი ბიჭი.

განა რამდენ ხანს ეყოფა გულახმედას მიერ ამორტყმული პანჩური, დასთან რომ არ ჩამიშვას, – ფიქრობდა ნოე და კიდევ უფრო მეტად ეძლეოდა სასოწარკვეთილებას.

– არა, არა! – თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდა მენატურის ვაჟი, წამოხტა და ბოლთის ცემა დაიწყო, – რამე უნდა ვიღონო, ასე არ შეიძლება. ისევ გულახმედა გაახსენდა, მისი მოხერხებულობისა და გამჭრიახობის წყალობით, იქნებ როგორმე დაეღწია თავი ამ საშინელი განსაცდელისთვის.

როგორც კი შეღამდა, ის და გულახმედა, თითქოს დედამიწის შეფხიზლებას ერიდებიანო, ისეთი ფრთხილი ნაბიჯებით მიუყვებოდნენ სამხტვრო აკადემიის აღმართს.

– შეძლებ სხვენში აძრომას, თუ მე მომანდობ ამ საქმეს? – კიდევ ერთჯერ შეახსენა გულახმედამ, თითქოს მეგობრის შნოს და მარიფათს ამოწმებსო.

– შევძლებ, შევძლებ! – წარმოთქვა ნოემ ისე, რომ ეჭვიც არ შეპარვია თავის ნათქვამში. სახანძრო კიბის საფეხურზე შედგა და გულახმედას ანიშნა, მიჰყოლობდა. მისდა უნებურად, ვიდრე სამტრედებდე მივიდოდა, ჭერის ჭაპანზე გაწყობილ კრამიტს წამოჰკრა ფეხი, რომელიც აკადემიის ეზოში ისეთი ზათქითა და ზრიალით ჩამოვარდა, თითქოს კოსმოსიდან გზააბნეული კომეტა ყოფილიყოს.

ერთხანს იყუჩეს მეგობრებმა, რეაქციას დაელოდნენ. რა თქმა უნდა, დარაჯებს არ გამოპარვიათ ეს სახეჭვო ხმა. – ქუხილი წვიმის გარეშე არ იქნებაო, – ჩაულაპარაკა ცალთვალა ილომ ბენედიქტე სუცურაულს. შენობის ცენტრალური კარიდან დაწყებული თუ რამ დასაგმანი იყო, ყველაფერი დაგმანეს. აკადემიაში არალე-გალურად შემოლწევის ყველა შესაძლო ვარიანტი გათვალეს და რაკი კრამიტი ჭერიდან იყო ჩამოვარდნილი, ისევ სხვენი დაგმანეს. ერთხანს ისინიც გაიყუჩნენ, მსხვერპლი თითქოს ნებაზე მიუშვეს, რომ საჭირო დროს, საჭირო სიტუაციაში წამოდგომოდნენ თავზე.

პირველივე წარუმატებლობით ოდნავ დამფრთხალმა და ნირ-წამხდარმა შურისმაძიებლებმა მაინც შეაღწიეს სახელოსნოში, იქ, სადაც სტუდენტები ნოეს დედას შიშვლად ხატავდნენ. ბიჭს ერთი სული ჰქონდა, როდის გადაშლიდა და გააქრობდა სამოსწავლო ტილოებიდან დედის სახეს, მაგრამ უცებ გაქვავდა – რა ამბავია ერთბაშად ამდენი ალა? ოცდაათიოდე შიშველი ფიგურა, დასრულებული და დაუსრულებელი, გაღიმებული და

ნაღვლიანი, ბეჭნიერი და უბედური, სასოწარკვეთილი და იმედიანი, – ყველა მას შეჰყურებდა, თითქოს პატიებას ითხოვდა და საშველად უხმობდა. წამით შეეცოდა დედა. ნეტავ კი შეიძლებოდეს მისი დახმარება! მაშინ ხომ მათ წაშლას და განადგურებას არ მოინდომებდა. რა არ მოსდიოდა თავში ფიქრად: – ჰო, შენკენ ვარ დედა, მესმის, რომ უნდა გაგეზარდე ამ უცხო ქალაქში, ყველასაგან მიტოვებულს, თავი ხომ უნდა გაგვეტანა? მაგრამ ახლა რა ვქნა, როცა მივხვდი, რომ მწარე იყო შენი ლუკმა, – ჩურჩულლულლულით გამოსცემდა ნოე ბეგერებს და მუშტით ინშენდდა ღაწვზე ჩამოგორებულ კურცხალს.

უცებ გამოფხიზლდა, დარაჯების ფრთხილი ნაბიჯების ხმა გაიგონა. გულახმედამ ხელი ჩავლო ერთ ადგილზე გახევებულ ბიჭს და თეჯირის უკან შეათრია. ნოეს გული ისე უფართხალებდა და ისე ერთიანად ცახცახებდა, რომ ძლივს იკავებდა მისი მეგობარი.

გულახმედამ შეანჯლრია ბიჭი, რათა გონზე მოეყვანა, მერე თვალი თვალში გაუყარა და უხმოდ უბრძანა, მოდი, ეხლა მაგის დრო არ არისო.

ნოე თითქოს დაჲყვა მის ნებას, იატაკზე ულონოდ დაეშვა და მიაყურადა, ფეხის ხმა აღარ ისმოდა, ცოტა სული მოითქა.

– სულ მაგ ჩექმების ბრალია ყველაფერი, არქეოლოგიურ გათხრებში ხომ არ იძოვე, ბიჭო. ეგ რომ არა, კრამიტიც არ ჩამოვარდებოდა, – ჩურჩულით უთხრა ნოეს გულახმედამ.

– აბა, რა მექნა? ორივე ფეხსაცმელს ლანჩი აქვს ამძვრალი, რაღაც ხომ უნდა ჩამეცვა. ჩვენს სხვენზე შემთხვევით აღმოვაჩინე ჯარისკაცის ჩექმები და ისინი ჩავიცვი.

– ჩუმად, ჩუმად, მგონი ვიღაც მოდის, – საჩვენებელი თითო ტუჩებთან მიიტანა გულახმედამ და ნოეს ანიშნა, გაჩუმებულიყო.

წამით ჩამოვარდნილი სიჩუმე კარის საკეტის ხმამ დაარღვია. შაშხანიან დარაჯს გასაღებების აცმა ეჭირა ხელში და თავის მეწყვილესთან ერთად გულმოდგინედ ათვალიერებდა იქაურობას.

– თქვენი ნებით გამოდით სამალავიდან! – ყვიროდა ცალთვალა ილო, თან ბენედიქტეს აქეზებდა, ყველა კუთხე-კუნჭული შემოეარა.

– რა გაყვირებს, ჩვენ არ ვიმაღებით, – პირველმა გულახმედამ გამოჰყო თავი სამალავიდან და ილოს დანახვაზე ოდნავ გაეღიმა.

– ეჰ, ბიძაჩემო, ნეტავ შენ ახლა ცალთვალა მეფე იყო, მე კი მოხერხებული მხატვარი. ნადირობის დროს დაგხატავდი და შენს გულსაც მოვიგებდი.

— დახე ერთი, ეს უზრდელი ლაპარაკსაც რომ ბედავს, — ბრაზობდა ილო, მაგრამ როცა გულახმედას გვერდით ნოეც დალანდა თავის ბრუციანი თვალით, მთლად გადაირია.

— ბიჭო, რაც მე შენთვის ცხელი ჩაი მისმევია და ფუნთუშებით გაგმასპინძლებივარ, ასე მიხდი სამაგიეროს? ახლავე რექტორთან დარეკე, ბენედიქტე! თუ საჭირო იქნება, ვირის აბანოშიც მიგაბრძანებთ!

ასეთი უმწეო გულახმედა არ მენახა. იგი ხომ ყოველთვის, ყველაზე რთულ მდგომარეობაშიც კი პოულობდა გამოსავალს, მაგრამ ახლა ერთბაშად გაეცნობიერებინა, რომ ეს ქუჩა არ იყო და არც ქუჩური გარჩევების ადგილი. აქ სხვა სიო ტრიალებდა და სხვა ხალხით იყო გარემოცული, თანაც მისი ზედმეტი აქტიურობით, ალას ისედაც საეჭვო რეპუტაციას კიდევ უფრო მეტად შელახავდა, ვერც ამ საწყალი ბიჭის გულს მალამოდ ექცეოდა ამ მოხუც დარაჯებთან გაბრძოლება. ნეტავ ამ შარს არ გადაყროდნენ და დროულად შეეჩერებინა ნოე. ნანობდა გულახმედა, მაგრამ ურემი უკვე გადაბრუნებული იყო და თითზე კბენანიც დაგვიანებული.

სულ რაღაც 15 წუთიც არ იყო გასული, რომ ვიღაცამ კარი, კი არ გააღო, შემოლენა და ერთიანად აცახცახებული ალა ისეთი ინერციით შემოჰყვა ლამის შემონგრეულ კარებს, რომ თავი ველარ შეიკავა, თავის ჩემოდნიანად წაბორძიკდა და წაიქცა. სახე ბრონეულისფერი გახდომოდა, გაკვირვება, ცნობისმოყვარეობა და ბრაზი ერთმანეთში არეოდა. მისი თვალები უსიტყვოდ თხოვდა და ყველას, მითხარით, რა მოხდაო.

დარაჯებმა არ დააყოვნეს და წვრილად უამბეს ყველაფერი ქალს, თუმცა მათაც არ იცოდნენ „დაუპატიჟებელი სტუმრების“ იქ ყოფნის მიზეზი.

ბიჭები თავჩაქინდრულები იდგნენ. ცალთვალა ილო კი ისევ ბობოქრობდა.

— ბედი შენი, რომ უცხო არა ხარ და ლამის ჩვენს თვალწინ გაიზარდე, თორემ ახლავე მილიციას ჩაგაბარებდი, მაგრამ იცოდეთ, ამაღამ აქედან ფეხს ვერცერთი მოიცვლით, სანამ ხვალ რექტორი არ მოვა. აი, მერე როგორ აჭიკიკვდებით, მაგასაც ვნახავთ.

ალამ ლამის მუხლებზე დაუჩიქა დარაჯებს, ოღონდ ამაღამ გამოუშვით ორივე და ხვალ ჩემი ხელით ჩაგაბარებთო, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო.

ნოეს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, გულახმედაც უგუნებოდ იყო, რადგან არცერთმა არ იცოდა რას უქადდა მათ ხვალინ-დელი დღე...

რექტორი, ჩვეულებისამებრ, ცხრა საათზე მოვიდა. ცალ ხელში განუყრელი ჩანთა ეჭირა, მეორე ხელზე კი იტალიური საწვიმარი ლაპადა ჰქონდა გადაკიდებული. ისედაც ბრგესა და ახოვანს ინ-გლისური შლიაპა კიდევ უფრო მეტ ელეგანტურობას მატებდა.

ნოე და გულახმედა მისალებში იცდიდნენ. რექტორის დანახ-ვაზე ელდანაკრავებივით წამოხტენენ.

— ათ წუთში შემოვიდნენ, — მკაცრი ხმით დაუბარა მდივანს რექტორმა.

ათი წუთი კი არა, თითქოს საუკუნე ჩამდგარიყო მათ შორის. ეს წყეული ალფრედ სირუნოვიც ახლა გაახსენდა, რომელიც ბოლო წვეთი იყო ნოეს მოთმინების ფიალაში. გაზაფხულის მშვენიერი დღე იდგა. სეანსი ჩვეულებრივზე მეტხანს გაგრძელდა. ბიჭს მობეზრდა კორიდორში წალმა-უკულმა სიარული, გადაწყვიტა ეზოში ჩასულიყო. ახლაც კი ზარავს ამ ამბის გახსენება, როცა სახელოსნოს ფანჯარაზე კიბემიდგმული ოცდაათიოდე წლის ნახევრადშეურაცხადი ალფრედა დაინახა. მას ორივე ხელი მოე-ჩრდილა და ლამის ცხვირით მიჭყლეტოდა ფანჯრის მინას. ალბათ შიშველ ქალს პირველად ხედავდა. მაგრამ არა, ნოეს გაახსენდა უბნის ბიჭებში რომ ტრაბახობდა. დედამისს თურმე ბავშვობაში გოგირდის აპანოში, ქალთა საერთო განყოფილებაში დაჰყავდა. მის დანახვაზე როცა ქალები აკივლდებოდნენ, დედამისი მათ დამშვიდებას იწყებდა, ნუ გეშინიათ, ბავშვიაო. ამ დროს ალფრე-და თვალებზე ხელებს ფორმალურად იფარებდა, სამაგიეროდ თითებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანებიდან ზვერავდა ხოლ-მე მობანავე ქალებს. დედაჩემის გარდა ყველა ქალი მახსოვსო, ამბობდა ხოლმე ბიჭებში მოტრაბახე სირუნოვი.

ახლა კი მისი რეგვენი თავი და თვალები ალას ნატიფ სხეულს ზვერავდა და აღტაცებისაგან ყვიროდა, ბიჭო, რა ქალია, რა ქალიო.

როცა ნოემ წარმოიდგინა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლე-ბა ბირუაზე ისევე დაემდერებინა დედამისის სიშიშვლის ამბა-ვი, როგორც იმ მობანავე ქალებისა, ტანში გასცრა და ისე, რომ არც დაფიქრებულა კიბესთან მიიჭრა, რაც ძალი და ღონე ჰქონ-და შეანჯლრია ისედაც მოფანფალებული კიბე და არამკითხე

მჭვრეტელმაც ძირს მოადინა ზღართანი. მაშინ აკადემიის ბიჭებმა იხსნეს ნოე გამწარებული ალფრედას კლანჭებისგან.

ნეტავ რექტორმა თუ იცის ეს ამბავი, — გულმა რეჩები უყო ნოეს, რომელსაც თან რცხვენოდა, თანაც ბრაზი ახრჩობდა, ერთ სურათზეც რომ ვერ იძია შური. „ვენდეტა“ არ შესდგა. ისევ ისე შერცხვენილმა უნდა იაროს ამ ქვეყანაზე, თითოეული ნაცნობის დანახვაზე ბუჩქებს ამოეფაროს, მათი დამცინავი მზერა აიტანოს. ამ ფიქრებში იყო დარაჯმა რომ ანიშნა, შევიდეთო. სხვა რა გზა ჰქონდა, წელათრეული და თავჩაღუნული გაპყვა მოხუცს.

კაბინეტში შესვლისთანავე ნოეს მოეჩვენა, რომ აქ სხვა აურა იყო. აქამდე ხუნდებით შებოჭილი მისი სხეული თითქოს ეშმას აეშვა. გულახმედაც შვებით სუნთქავდა. ამ ყველაფრის მიზეზი კი პატივცემული რექტორი იყო. მისი გარეგნული სიმშვიდე, განონასწორებულობა, მოზომილი სიტყვა-პასუხი, დარბაისელი კაცისათვის შესატყვისი ყველა ნიშან-თვისება, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად დუღდა და გადმოდუღდა, ნებისმიერს აფიქრებინებდა, რომ ამ კაცის მიერ მიზვდილ შხამით ავსილ ფიალასაც უყოყმანოდ დავლევ, თუკი ღირსი ვიქენებიო.

— აკადემიაში მალულად შემოჭრის მიზეზი ამიხსენით, ყმანვილო, — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მიუბრუნდა რექტორი ნოეს და ლამის მერამდენედ დაუსვა ერთი და იგივე შეკითხვა.

ბიჭი ისევ სდუმდა. თავი ჩაექინდრა და თვალებში ვერ უყურებდა რექტორს, რომელსაც, მისდა გასაკვირად, ერთი ტონითაც არ აუწევია ხმისათვის, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ამ კერპი ბიჭისგან მაინც ვერაფერს გაიგებდა, მცირე პაუზის შემდეგ უთხრა:

— თავი ასწიე და თვალებში შემომხედე, ყმანვილო, მე შენი ბაგიდან მაინტერესებდა, თორემ ისედაც კარგად ვიცი დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი. მოგეხსენება, ყველაფერი, რაც დაფარულია, მაინც გაცხადდების.

ამის გაგონებაზე ნოე წამონითლდა, ყელი გაუშრა და რაღაც წაილულულა, თითქოს უნდოდა ეთქვა, თუ ყველაფერი იცით, ამათი თანდასწრებით რაღას მეკითხებითო.

— იქნებ თქვენ მითხრათ, ახალგაზრდავ? — ახლა გულახმედას მიუბრუნდა გიორგი.

— მე, მე უბრალოდ გამოვყევი ნოეს, მეტი არაფერი ვიცი, ბატონი რექტორო, — თავი არ აუწევია, ისე წაილულულა მანაც.

— გასაგებია... — სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული ბატონ გიორგის, რომ უცებ ვიღაცამ გაუფრთხილებლად შემოხსნა კარი.

ახალგაზრდა ერთ-ერთი იმ სტუდენტთაგანი იყო, რომელიც ნოეს  
დედის შიშველ ფიგურას ხატავდა.

— სხვა შემთხვევაში პასუხს გაგებინებდი ამ უტაქტობისათ-  
ვის, მაგრამ ახლა დროულად შემოხვედი და გპატიობი, — მკაცრად  
უთხრა სტუდენტს გიორგიმ. — ალბათ ამ ყმაწვილს კარგად იც-  
ნობთ, ქალბატონ ალას ვაჟია, თუკი შენი კურსელებიც დაგიჭერენ  
მხარს, მინდა ამ გზააბნეულ ბიჭს და მის მეგობარს დანაშაულის  
გამოსწორებაში დაეხმაროთ.

— კი, მაგრამ ჩვენ რა შეგვიძლია? — მხრები აიჩეჩა კაბინეტში  
უბოდიშოდ შემოჭრილმა ახალგაზრდამ.

— რა და, კარგა ხანია, რაც ერთი აზრი მიტრიალებს თავში.  
ჩვენს სარდაფს, რომელიც ასე უფუნქციონ და უყურადღებოდ  
გვაქვს მიგდებული, მინდა ახალი ფუნქცია დავაკისროთ. ჩვენი  
ძალებით გავასუფთაოთ და რესტავრაციის მერე არტკლუბი  
გავხსნათ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისათვის, მე მგონი  
საშური საქმეა. ამით ორ სიკეთეს ჩაიდენთ, თქვენს მეგობრებს  
ექნებათ გასართობი ცენტრი, ხოლო ამ ბიჭებს შრომის ფასს გაა-  
გებინებთ და სწორ გზაზე დააყენებთ.

— უკაცრავად, მაგრამ მე მხატვარი ვარ და არა შრომა-გას-  
წორების კოლონიის უფროსი, თანაც არ ვიცი ჩემი კურსელები  
რას იტყვიან. იდეა კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერში  
დაგეხმარებით.

დარაჯებს გაოცებისაგან ლიმილი სახეზე შეეყინათ, ხოლო  
ნოესა და გულახმედას იმედის ბოლო ნაპერწკალიც ჩაენავლათ.

— ახლა კი ყურადღებით მომისმინე, ყმაწვილო, — თითქმის ბრ-  
ძანების კილოთი მიმართა რექტორმა ურჩ სტუდენტს: — ამბობ  
მხატვარიო, არა? ვინ ვინ და სხვამ თუ არა, როცა ამ კედლებში  
შემოდის, ჩემმა ვაჟმა მაინც უნდა იცოდეს, თუ აქამდე არ გაუგია,  
ეხლა მაინც ჩაიბეჭდოს ტვინში, რომ კაცი, რომელსაც თანამედ-  
როვენი „ლვთაებრივს“ უწოდებდნენ, თვითონ როგორ აფასებდა  
თავის თავს. აბა, კარგად დამიგდე ყური, ჯერჯერობით შეუმდ-  
გარო მხატვარო, როდესაც მიქელანჯელო 77 წლის იყო, ცივად  
გააბრუნა წერილი, რომელზეც მის თანამემამულეს წაეწერა „მო-  
ქანდაკე მიქელანჯელოს“, თან დასძინა, უთხარით მას, რომ თავის  
წერილებს ასე აღარ წააწეროს, რადგან მე მიცნობენ მხოლოდ,  
როგორც მიქელანჯელო ბუონაროტის. მე არასოდეს ვყოფილვარ  
მხატვარი ან მოქანდაკე, იმ გაგებით, რომ საწარმო მქონდა. მარ-

თალია, მე პაპებს ვემსახურებოდი, მაგრამ ამას ძალდატანებით ვაკეთებდიო.

და კიდევ, შენ რომ მოყვასისათვის ხელის განძრევას თაკილობ, აქაოდა მხატვარი ვარო, აი, სწორედ იმ „ღვთაებრივმა“ კაცმა თავისი მაშინდელი მტრის, ბრამანტეს მიერ დაწყებული სამუშაო დაასრულა, – წმინდა პეტრეს ტაძარს გუმბათი დაადგა, სხვათა შორის, უარი თქვა ყველანაირ გასამრჯელოზე თავისი ბოლო, დიდი ქმნილებისათვის. ვინ იცის, რამდენი მტვერი უნდა ყლაბოთ, რამდენჯერ დახატოთ და წაშალოთ, რამდენი ღამი უნდა ყლილობით ამოათეთოროთ, გამწარებულს რამდენჯერ შემოგატყდეთ ვიოლინოს ხემი, უკმაყოფილო მსმენელმა თუ დამთვარიელებელმა რამდენჯერ უნდა გადაშალოს აფიშაზე თქვენი გვარი, წაქცეული რამდენჯერ უნდა წამოდგეთ რომ, ბოლოს და ბოლოს, ხელოვანად შესდგეთ და საზოგადოებამ გინამოთ.

მაგრამ კაცებად შედგომის უპირატესი პატივი არც დიდი შემოქმედის ხელში გაწვრთნილ ფუნჯის ძალას და არც სტრადივარიუსის ვიოლინოზე დაკვრის უფლებას შეუძლიათ მოგანიჭოთ. ეს ყველაზე დიდი ლირსებაა ამქვეყნად – კაცად ყოფნის ღირსება. რაც შეეხება შენს კურსელებს, მათ მე თვითონ მოველაპარაკები. ახლა კი ყველამ დამტოვეთ, მხოლოდ ნოე დარჩეს. – თქვა ემოციებისაგან დაცლილმა რექტორმა და როცა ყველა გავიდა კაბინეტიდან, მივიდა ნოესთან, თვალი თვალში გაუყარა, თითქოს მის სევდიან მზერაში და დარცხვენილ გამოხედვაში წაიკითხა, რომ ბიჭი გულწრფელად ნანობდა ჩადენილს. ნოეც გრძნობდა, რომ ამ გრძნეულმა კაცმა თითქოს მთელი საიდუმლო ამოხაპა მისი სულიდან და ახლა ცოდვა-მადლის სასწორზე წონიდა ყველაფერს. ფიქრი დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ ბეჭებზე ბატონი გიორგის ხელის შეხება იგრძნო. თითქოს მშობლიური სითბო ჩაეღვარა სხეულში. მას ხომ აქამდე არასოდეს ეგრძნო მამის ხელის ძალა და სიმტკიცე.

გიორგი დაიხარა და ყურში რაღაც უჩურჩულა, მერე კარი გაუღო და გაისტუმრა.

ბიჭი გაოგნებული ტოვებდა აკადემიის კედლებს, მიდიოდა და ყურში ძალუმად ჩაესმოდა პატივცემული რექტორის სიტყვები, დედაჩემიც მენატურე იყოო.

\*\*\*

9 აპრილის დღეებია. თბილისში პოლიტიკური მოვლენები დუღს და გადადუღს. ხალხი დამოუკიდებელ საქართველოს ითხოვს. იმართება მიტინგები, რომლებსაც ქართველი დისიდენტები უძლვებიან.

მე მაინც, ჩვეულებისამებრ, მოლბერტთან ვდგავარ და ჯიუტად ფუნჯს არ ვუშვებ ხელიდან. ჩემი სახელოსნო რუსთაველის პროსპექტზეა, მოვლენების ეპიცენტრში. ფანჯრიდან ვადევნებ თვალს, მაგრამ გული მაინც გარეთ მეწევა, დღეში ორ-სამჯერ თუ არ ჩავედი მომიტინგებთან, ისე რა გული გამიძლებს.

იმ დღესაც უკვე კართან ვიდექი და წასასვლელად ვემზადებოდი, რომ უცხო კაცმა დამიკავუნა და მოკრძალებით მკითხა ვინაობა. როცა გაიგო, რომ სწორ მისამართზე იყო მოსული, თავაზიანად გამიღიმა, გამეცნო და შემოსვლის ნებართვა მთხოვა. მე, რა თქმა უნდა, ერთი-ორი ნაბიჯით უკან დავიხიე ისე, როგორც ჩვენი ადათი და წესია, სახელოსნოში შემოვუძეხი სტუმარს და მოკრძალებით ვკითხე მოსვლის მიზეზი.

აღმოჩნდა, რომ ეს სიმპათიური, ორმოციოდე წლის ბატონი, იმ საერთაშორისო მარათონის ხელმძღვანელი იყო, რომელიც თბილისში უნდა გამართულიყო.

— ძალიან კარგი, — მივუგე მე, მაგრამ ვერ გამეგო, როგორ ამეხსნა ჩემი მარათონთან კავშირი.

ბატონმა სტენლიმ, ასე ერქვა მარათონის ხელმძღვანელს, უცებ საქმიანი სახე მიიღო და მითხრა, რომ მოსკოვში „ცედეხაში“ მოწყობილ ჩემს პერსონალურ გამოფენაზე უნახავს ექსპოზიცია და მას შემდეგ მიუღია გადაწყვეტილება, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქში მოწყო მარათონი.

წინადადება წესიერად არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ უცებ ბრბომ კარები შემოგლიჯა, მათგან განსაკუთრებით ხუთი-ოდე კაცი აქტიურობდა. ერთი მათგანი მოლბერტს მივარდა და ამოაყირავა, მეორემ საღებავიანი ფუნჯები დაამტვრია, მესამე ისტერიულად ყვიროდა, რა დროს ხატვააო.

შემეშინდა. არა, ეს ჩვეულებრივი შიშის გრძნობა არ იყო. მე უფრო სხვა რამის მეშინოდა და მტკიოდა. არ მინდოდა მე-ფიქრა, რომ ეს ეგზალტირებული ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ ხელოვნების სიყვარულისთვის ანათემისათვის გადაეცათ ჩემი თავი, ნუთუ ჩემი ქვეყნის ნაწილი იყვნენ, იმ სამშობლოსათვის გულანთებული, გმირი ხალხის ნაწილი. ანკი ღირ-

და მათ მიერ მოტანილი თავისუფლება, თუკი ბარბაროსებად იქცეოდნენ?

ჩემს უცხოელ სტუმარს, რომლის გაცნობაც ხეირიანად ვერც კი მოვასწარი, მივუბრუნდი და მათ მაგივრად ბოდიში მოვუხადე. ნამდვილი საქართველო ამ სარკმლის მიღმაა-მეტქი, ვუთხარი.

ბატონმა სტენლიმ მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა და უსიტყვოდ მანიშნა, ყველაფერი გასაგებიაო.

— ბედი შენი, ეს უცხო ტომის კაცი რომ დაგვხვდა აქ, თორემ კიდევ უფრო სხვანაირად დაგელაპარაკებოდით, — მითხრა ერთმა მელოტმა და თავისიანებისკენ მიბრუნდა. ეტყობა, გააღიზიანა ჩემმა სიტყვებმა.

— მეტი რაღა უნდა გექნათ, თქვე დალოცვილებო, მთელი სახელოსნო თავდაყირა დააყენეთ. რაკი გულზე მჯიდებს არ ვიცემ, იქნებ თქვენზე მეტად შემტკივა სამშობლოზე გული. სხვათაშორის, სურათი, რომელიც თქვენ მოლპერტიდან ჩამოაგდეთ, უფრო დიდი პროტესტია, ვიდრე თქვენი მიტინგები. მე მას „ჩექმებიანი ვირთხები“ ვუწოდე და ჩვენი საერთო მტრის ნამდვილი სახე დავანახე ადამიანებს. ჩემი იარაღი ფუნჯია და არავის ძალუძს, ხელყოს ჩემი უფლება ჩემებურად ბრძოლისა. ახლა კი კეთილი ინტერ და მიბრძანდით.

ბატონი სტენლი მიხვდა, რომ ყალყზე შემდგარ საქართველოს ახლა ნამდვილად არ ეცალა მარათონისათვის, მაგრამ იმით კმაყოფილმა, რომ გამიცნო, მხარზე მეგობრულად მომხვია ხელი და ყურში ჩამჩურჩულა, უახლოეს მომავალში ჩვენ კვლავ შევხვდებთო.

თავაზიანად დავემშვიდობე სტუმარს და მომიტინგებთან ჩავედი. ასეთი საპროტესტო მუხტი ჯერ არსად მენახა. 1956 წლის 9 მარტის ამაზრზენ ფაქტებს თვითმხილველებისაგან ვგებულობდი ხოლმე, რადგან მაშინ პატარა ვიყავი და სასწაულებრივად გადარჩენილი მამაჩემის მხრეზე ვიჯექი, როცა სადამსჯელო ოპერაცია დაიწყო. ბუნდოვნად მახსოვს, შაშხანებიდან გასროლილი ცეცხლისფრად მოელვარე ტყვიები ციცინათელები მეგონა, და კიდევ, მამაჩემის გულისძგერა მახსოვს, ტყავის პალტოს შიგნით ბეღურასავით რომ შემმალა და ასე ცდილობდა ჩემს დაცვას.

ახლა? ახლა კი უარესს მიგრძნობდა გული. მთელი ღამე ლოცვასა და პატრიოტულ შეძახილებში გავატარეთ. შუალამე გადასული იყო, ავისმომასწავებელი ინფორმაცია რომ გავრცელ-

და, პატრიარქის თხოვნას, ეკლესიაში შევსულიყავით და იქ გველოცა, სამწუხაროდ, ყური არავინ უგდო. სიკვდილის ლანდი, აქამდე რომ ჩუმად დაძრნოდა ჩვენს შორის, რეალობად იქცა. როდიონოვის არმიამ ტანკებითა და სასანგრე ნიჩბებით დაიწყო მშვიდობიანი მომიტინგების დარბევა.

მე ინსტიქტურად მხატვრის სახლისკენ გავიქეცი. სანამ შენობას თავს შევაფარებდი, დავინახე გაზონებში წაქცეული, სისხლში ამოთხვრილი ქალი, ტყავის ჩემოდანს მთელი სხეულით რომ გადაფარებოდა. გულმა რეჩი მიყო. ეს ხომ ჩვენი ალას ჩემოდანს ჰგავს. ადგილზე გავშეშდი. ჯალათმა არ იკმარა მისი დასახირება, ალას ქეჩოში წაავლო ხელი, ჩემოდანს ააგლიჯა და სასანგრე ნიჩბით დაჩეხა იქიდან გადმოვარდნილი ვიოლინო. დამსჯელ რაზმს უკვე გადათელილი ჰქონდა მთელი რუსთაველი, სასტიკად ნაცემი და დაჩეხილი ადამიანების და სასწრაფო დახმარების მანქანების გულისწამლები სირენების ხმა ისმოდა მხოლოდ.

ასე ერთმანეთზე მზრუნველი, მოსიყვარულე, ერთ მუშტად შეკრული საქართველო ჯერ არ მენახა. ვისაც როგორ და რანაირად შეეძლო, ისე იცავდა და შველოდა ერთმანეთს.

ალა სულ ერთიანად კანკალებდა და მისტიროდა ვიოლინოს, რომელიც ჯალათმა მის თვალწინ დაამტვრია, თან ისტერიულად ტიროდა.

პიჯაკი გავიძრე და მოვახურე. როგორც შემეძლო, ვაწყნარებდი.

— ალა, შეხედე შენს თავს, რა დროს ვიოლინოა, მთელი სახე და მხარი გაქვს გადაჩეხილი, სისხლით თქრიალით მოგდის.

უცებ გამახსენდა, რომ ჩანთაში დილით ნაყიდი სამხატვრო ტილო მედო, რომელიც ყველაზე ნაკლებად ვარგისი იყო ამ საქმისათვის, მაგრამ რა მექნა, ლამის სისხლის გუბეში იწვა ქალი. მაშინვე დავხიე ტილო და მოვწმინდე სისხლი, ჭრილობაზე კი სუფთა ცხვირსახოცი დავაფინე.

— ახლავე სასწრაფოს მოვიყვან და საავადმყოფოში გადაგიყვანენ, თორემ სისხლისაგან დაიცლები. — ვუთხარი და უახლოესი სასწრაფო დახმარების მანქანისკენ გავეშურე.

დაახლოებით 10 წუთში დავბრუნდი სასწრაფოსთან ერთად. ალას საავადმყოფოს გაგონებაც არ უნდოდა, სახლში ითხოვდა წასკლას. სამედიცინო ბრიგადა გაოცებული შეპყურებდა მას, რომელიც მსახიობს უფრო ჰგავდა, რომელსაც პერფორმანსის დადგმა გადაეწყვიტა. მის ტკივილიან და ნაწამებ სახეზე

არაამქვეყნიური იერი რომ დაჰკრავდა, იმ წუთში რას არ წაიკითხავდით. ტკივილისგან დაკლაკნილი მისი სხეული, ყოველთვის გრაციოზულობის სტატუსს რომ სძენდა, ახლა გათელილი, დაჩეხილი, ჯალათის მიერ შეურაცხყოფილი, თითქოს ბოლო ძალებს იკრებდა. მისი არეული ფსიქიკა თავისებურად აღიქვამდა მოვლენებს, რუსთაველის პროსპექტზე ატეხილი ხმაური მას მოცარტის რექვიემი ეგონა.

— ეს მოცარტია, მოცარტის რექვიემი. აი, ეს კი ბერლიოზის რექვიემი გახლავთ. მას ვიღაცამ სიკვდილის იავნანა უწოდა. ჰოდა, სიკვდილის იავნანაა, სიკვდილის იავნანა... — ბუტბუტებდა ის.

გაოგნებული შევყურებდი ამ საცოდავ ქალს. უნებურად გამახსენდა სახელოსნოში, შიშველ აფროდიტესავით მდგარი მისი გრაცია, ახლა კი რა დღეშია. უცებ, იქვე ახლოს ვიოლინოს ნამსხვრევი აიღო და გულში ჩაიხუტა.

ფრთხილად დავაწვინეთ საკაცეზე. მან ხელი ხელზე მომიჭირა და თითქოს თვალებით მემუდარებოდა, არ დამტოვოო. ექიმის თანხმობის შემდეგ ალას ჩემოდნიანად მეც სასწრაფო დახმარების მანქანაში ავედი, რომელმაც გეზი პირველი საავადმყოფოსკენ აიღო...

ასეთი დილის თბილისი სიზმარშიც კი არ მენახა. მინდოდა თვალებზე ხელი ამეფარებინა, რათა ეს საშინელი სურათი სამუდამოდ არ ჩამრჩენოდა მეხსიერებაში.

გზა თითქოს უსაშველოდ გაგრძელდა. ალა რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა.

ოპერაციამ ერთ საათამდე გასტანა. მე ჩემოდნიანად კორიდორში ვიცდიდი, სანამ ალა პალატაში არ გადაიყვანეს. გორგოლაჭებიანი საწოლი რომ ჩამოატარეს, დავინახე, ალას ეძინა, სახე უკვე დამშვიდებული ჰქონდა.

გადავწყიტე, მის გამოღვიძებამდე ფეხი არ მომეცვალა. ჩამოვჭექი. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, თუ როგორი განადგურებული ვიყავი. მართალია, ჯალათების ნიჩებს გადავურჩი, მაგრამ სამაგიეროდ სული მქონდა აჩეხილი. ბრაზსა და ბოლმას როგორდაც გავუმკლავდებოდი, მაგრამ შეურაცხყოფის გრძნობას ვერაფერს ვუხერხებდი. ამასობაში ექთანი დამადგა თავს.

— ალამ გაიღვიძა? ხომ კარგად არის? — კითხვები დავაყარე ექთანს.

— ალამ გაიღვიძა და თქვენ გკითხულობთ. შებრძანდით, ოღონდეცადეთ, არ გადაღალოთ. — მითხრა მან.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და პალატის კარი შევაღე. ხმაურზე ალა შეიშმუშნა, თვალები გაახილა და პირველი მზე-რა ჩემი ხელებისაკენ გააპარა. როცა ჩემოდანი დაინახა, შვებით ამოისუნთქა. ეტყობა, ლაპარაკი უჭირდა. თვალებით მანიშნა, დაჯექიო და გულწრფელი მადლობა გადამიხადა ლულლულით.

— ალა, თავს ძალა არ დაატანო. ემოციები მოთოვე და სიმშვიდე შეინარჩუნე! — ვაწყნარებდი ქალს, ლამის ბრძანებასავით გამომივიდა ნათქვამი. თვითონ შემრცხვა ჩემი თავის.

— ახლა რომელი საათია? — ძლივს ამოღერდა მან.

— ცხრის ხუთი წუთია, — მივუგე მე.

— 12 საათზე, სულაც საკაცით რომ მიმიყვანონ, ერთ ადგილას უნდა ვიყო.

გაოცებისაგან ჩემი შუბლზე ასული წარბები რომ დაინახა, გადაწყვიტა, მიზეზი გაემზილა.

მართალია, ლაპარაკი ძალიან უჭირდა, მაგრამ როგორდაც მოახერხა და მითხრა:

— რომ არ მივიდე, გულახმედას მოკლავენ ისინი.

ელდა მეცა, რატომ? ვინ ისინი? ათასი კითხვა აირია ერთ-მანეთში.

— გულახმედას საცოლე უკვდება, ლეიკემია სჭირს, გერმანიაში უნდოდა წაეყვანა საოპერაციოდ, მაგრამ საჭირო თანხა არ ჰქონდა. მერე გავიგე, იმედგადაზურულ ბიჭს ბანქო უთამაშია და დიდალი ფული წაუგია. დღეს, 12 საათზე თუ არ მიიტანს თანხას, მოკლავენ. — გაჭირვებით მამცნო ალამ.

— მერედა, შენ რა შეგიძლია? ნამუსზე შეაგდებ თუ შეაშინებ იმ შეიარაღებულ ბანდას ან ამ მდგომარეობაში იქამდე როგორ მიხვალ?

— საქმე იმაშია, რომ გულახმედას პირობა მივეცი, ვიოლინოს მივუტანდი და დავიხსნიდი განსაცდელისაგან. — თქვა ალამ და თვალები ცრემლებით აევსო.

— არ გადამრიო, ადამიანო, ვის რაში სჭირდება ახლა ეს ნამსხვრევებად ქცეული ინსტრუმენტი?! ანდა მაშინ, როცა მთელი იყო, ვინ გაიღებდა მის საფასურად კოლოსალურ თანხას.

— ეჰ, ჩემო ნიჭიერო მხატვარო, ვინ ვინ და შენ მაინც უნდა მიმხვდარიყავი, როცა იმ ნამსხვრევებს კრეფდი, ხელში ნაფოტებადქცეული სტრადივარიუსი გეჭირა. უფრო სწორედ, ნოეს კიდობანის ხისგან დამზადებული ვიოლინოს გაგლეჯილი სხეული.

ახლა კი მართლა დავიბენი, რა სტრადივარიუსი, ან ნოეს კი-

დობანი. გავიფიქრე, ისევ ჰალუცინაციები ხომ არ დაეწყო-მეთქი ამ საბრალოს.

ალა მიხვდა ჩემი დაბნეულობის მიზეზს და შეეცადა აეხსნა:

— ძველი ლეგენდის თანახმად მიიჩნევდნენ, რომ ამნაირ ჯა-დოსნურ ხმებს სწორედ ნოეს კიდობანის ხისგან დამზადებული ვიოლინო გამოსცემდა. ჩემი შვილის სახელიც ამ ლეგენდას უკავშირდება. შენ, ალბათ, გიკვირს და ვერ აგიხსნია, რომ ეს ყველაფერი ნაქირავებ ოთახში მცხოვრები ქალის შიზოიდური ახირებაა, რომელიც თურმე ჩვეულებრივ ნივთებს კი არ დაატარებს ჩემოდნით, არამედ განძადეცეულ, საგვარეულო რელიქვიას, რომელიც მისთვის დიდი ფულის შოვნის საშუალება კი არაა, არამედ უფრო სხვა, დიდი ფასეულობა. არადა, ამ ჩემოდნის გადამკიდე, ვინ იცის, რამდენი დაცინვა და იქედნური გამოხედვა ახსოვთ ამ თვალებს.

გაოცებული შევყურებდი ამ ქალს. მიკვირდა, ამხელა სტრესისა და ტკივილის შემდეგ, როგორ ერთბაშად ამოიდგა ენა, ზებუნებრივი ძალა თუ ალაპარაკებდა. ესეც ბედის ირონია, ნუთუ ამ დღისათვის ინახავდა ამ საგანძურს?!

ერთ წამში კადრებივით გაირბინა ჩემს წინ, თუ როგორ იდგა ნახევრადგაუთბობელ სახელოსნოში ალა და პოზირებდა. ერთხელ, შესვენებისას, მახსოვს, ჩემმა კურსელმა გოგონამ თავისი თბილი მოსასხამი მოახურა. გარეთ, მოსაცდელში ლანჩებამძრვალი ფეხსაცმლით მომლოდინე შვილი ეგულებოდა, ვინ იცის, რამდენჯერ წარმოუდგენია ალას ნოე დიდ სცენაზე, დიდ მუსიკოსად შემდგარი, დიდი წინაპრის მიერ დანატოვარი სტრადივარიუსით ხელში. ეს კი, ალბათ, ყველაზე დიდი კომპენსაცია იქნებოდა ალას დუხჭირი ცხოვრების წილ, იმ შავ-თეთრი დღეების საფასურად, რომელსაც უკვე გაევლო და კიდევ მრავლად ელოდა...

აღარ ვიცოდი, რომელ ერთზე მედარდა: გულგაგლეჯილ, უსამართლოდ დასჯილ ქვეყანაზე, გაუბედურებულ ალაზე, ზვარაკად შესანირ გულახმედაზე, ნოეზე თუ ჩემს ოჯახზე, რომელთა შესახებაც გუშინდელის აქეთ არაფერი ვიცოდი. ჩემი დაუდეგარი უმცროსი ძმა, სულ მუდამ სიურპრიზებით რომ გვაოცებდა, წუხელ, ალბათ, მოვლენების ეპიცენტრში იყო.

ალა გადარჩება, მაგრამ გულახმედას როგორ ვუშველო? ეხლა ეს აზრი მიბურღავდა ტვინს და ყურებში თითქოს განგაშის ზარები ჩამესმოდა.

სანგრძლივი მდუმარების პაუზა ისევ მე დავარღვიე:

— შენს მაგივრად მე რომ წავიდე, მითხარი, ალა, რის გაკეთებას შევძლებ გულახმედასთვის? ან შენ რით უშველი იმ საცოდავ ბიჭს?

— ამ დამტვრეულ ვიოლინოს წავუღებ. ავუხსნი, რაც დამემართა, ისინიც ხომ ამ ბედკრული ქვეყნის შვილები არიან. წუხანდელი ტრაგედია ხომ მათი ტრაგედიაც უნდა იყოს. ვთხოვ, რომ შეღავათი გაგვიწიონ და თანხის მიტანის დრო გადაგვივადონ. იქნებ ასე მაინც დავიხსნა ის საპრალო მათი კლანჭებიდან.

— ჯერ ერთი მათ კარგად იციან ამ ვიოლინოს ფასი და მეორეც, ბოროტებას არც სამშობლო აქვს, არც ეროვნება, არც ასაკი და არც გვარ-სახელი. მათგან შორსაა სინდისი და სიბრალული. მე წავიღებ ამ დამტვრეულ ვიოლინოს, — მტკიცედ ვუთხარი ქალს და საათზე დავიხედე.

— არა, შენ არა! არც გაბედო მაგაზე ფიქრი. ალბათ ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს. რატომ თავიდანვე არ დავუთმე ახალგაზრდებს ვიოლინო. ახლა ორივე მათგანის სიცოცხლე სასწორზეა შეგდებული. ნოეს როგორ ჩავხედო თვალებში. რა ვუთხრა, ჩემი მამა-პაპის ნაანდერძევი რელიქვია ვერ გავიმეტე-მეტე? თუ ჩემი შვილის მომავალზე ზრუნვამ გადასწონა, მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ ამქვეყნად ყველაზე ღირებული მაინც ადამიანის სიცოცხლეა. — მერე მომიბრუნდა და მითხრა, — სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, აქედან შენ გამაპარებ!

სიტყვა ბოლომდე არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ ვიღაცამ კარები შემოაღო და შემოვარდა.

— ნოე, — თითქმის ერთდროულად აღმოგვხვდა ორივეს, — ცოცხალია, ცოცხალი, — შვებით ამოვისუნთქეთ.

ბიჭი მოკრძალებით მომესალმა, მერე დედამისთან მივიდა და, ჭრილობები რომ არ სტკენოდა, ნაზად ჩაეხუტა.

— შვილო, უკვე 12 სრულდება. გულახმედას გადასარჩენად ვიოლინო უნდა წამელო, მაგრამ იგი ფაქტიურად აღარ არსებობს, მარტო ნამტვრევებია.

— ეჰ, დედაჩემო, სამწუხაროდ, გულახმედას ახლა მთელი ვიოლინოც ვერ უშველის.

უეცარმა ელდამ მოგვნუსხა. ალა ერთიანად კანკალებდა, მაგრამ ექიმის დაძახების უფლებას მაინც არ გვაძლევდა.

— აკი 12 საათზეო? — ჰკითხა ნოეს.

— ჰო, მაგრამ წუხელვე დასრულებულა ყველაფერი, ის ხომ მათი მძევალი იყო. როგორც ხმა გამოვიდა, ერთ-ერთ არამზადას

დაუკვეხნია, გადაგდებას გვიპირებდა და აბა, რას ვუზამდითო. თურმე გულახმედას უთხოვია, პირობა შემიცვალეთ, მე იმ გაჭირვებული ხალხისგან ასეთ მსხვერპლშეწირვას ვერ დავუშვებო.

— და იმ თახსირებმაც ქვეყნის გაჭირვებას და არეულობას შეა-მინდეს ხელი, არა?

— ჰო, ნუხელ რუსთაველზე სამართალს და თავისუფლებისად-მი ლტოლვის დაუოკებელ სურვილს აუგეს წესი, მთაწმინდაზე — ერთ გულიან, სიკეთის ქომაგ ბიჭს. — თქვა ნოემ და რომ არ ეღრი-ალა, გარეთ გავაარდა. რომ გავაკითხე, კედლის კუთხეში დასჯი-ლი ბავშვივით იდგა და ქვითინებდა.

მე, ალასგან დაფარულად, ექთანთან მივედი და ვთხოვე, დამამშვიდებელი გაეკეთებინა მისთვის. ისეთი უსუსურები იყვნენ ორივენი, რომ ვერ მივატოვე, სწორედ ახლა სჭირდებო-დათ გვერდში დგომა, არადა, ჩემიანების დარდი ცალკე მკლავდა.

ალას რომ გაეღვიძა, თავისთან გვიხმო და გვთხოვა, ყურადღე-ბით მოგვესმინა.

\*\*\*

— ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ეს ვიოლი-ნო ჩემი სულის ნაწილია, — მერე ნოეს მოუბოდიშა, რომ აქ, ამ ვითარებაში უნდა მოეყოლა მისი წინაპრების სამასწლიანი ის-ტორია, რომელიც ამ საკრავთან იყო დაკავშირებული. — ჩემი მანჯურიელი დიდი ბაბუა ჩინური აბრეშუმით ვაჭრობდა. ერთხ-ელაც, იტალიაში ყოფნის დროს, ქალაქ კრემონაში მოხვედრილა, სტრადივარიუსის მშობლიურ ქალაქში, სადაც 166 კრემონულ ლირად შეუძნია ეს ჯადოსნური საკრავი და გახარებულს სამ-შობლოში წამოულია. მერე კი, დაუწესებია, რომ მისი შვილე-ბიდან ან შვილიშვილებიდან ყველაზე გამორჩეულს და ნიჭიერს გადაეცემოდა იგი. და მართლაც, ასე თაობიდან თაობაზე ესტაფე-ტასავით გადადიოდა ეს ვიოლინო და თითქმის სამი საუკუნის განმა-ვლობაში უფაქიზებდა სულს მის შთამომავლებს. ასე გრძელდე-ბოდა 1904 წლამდე, ვიდრე რუსეთის იმპერიის დამპყრობლურმა, უძლებმა ნებამ სიკვდილის ცელით არ შემუსრა მანჯურიის მიწა.

ჩემს ქართველ ბაბუას, ლევან ციხისთავას, როგორც რუსეთის არმიის ოფიცერს, მანჯურიაში უკრეს თავი. მერე ხშირად უთქ-ვამს, მანჯურიაში რა მინდოდა, როცა ჩემი ეზო-ყურე ოხრად მრ-ჩებოდა.

ერთ მშვენიერ დღესაც ჩემს უცხოელ წინაპრებს რუსები მიჭრიან სახლში და ყველაფერი თავდაყირა დაუყენებიათ, აქაოდა, რუს დეზერტირებს იფარავთო. აკანკალებული მოხუცი თავის ქალიშვილს აფარებია, მე მომკალით, ოღონდ ჩემს შვილს არაფერი დაუშავოთო.

ამ ამბავს, გზად მიმავალი ლევან ციხისთავიც შესწრებია. იგი ცხენოსანთა არმის ჯარისკაცებთან ერთად ნაწილში ბრუნდებოდა. ეს ამბავი რომ დაინახა, ეზოში გამწარებული შეიჭრა ისე, რომ ცხენიდან არც ჩამოქვეითებულა, თავისზე ჩინით უმცროს ოფიცერს მიეჭრა, სამხრები მოქაჩა და უყვირა, — მართალია ეს ომია, მაგრამ მასაც აქვს თავისი დაუწერელი კანონები. შენ ამ ქვეყნის არმიას ებრძვი და არა უდანაშაულო, უმწეო მოხუცებსა და ქალებს, რითაც ბლალავ ჯარისკაცის მუნდირს. ახლავე წაიყვანე შენი ხალხი და აქაურობას მეორედ არ გაეკარო! გახარებული მოხუცი ფეხებში ჩავარდნია ლევანს. ლოყებშეფაკლულ მის ქალიშვილსაც მორცხვად დაუკრავს თავი.

ცხოვრებას ეში და მომხიბლაობა დაეკარგებოდა, მოულოდნელობებით რომ არ ყოფილიყო სავსე.

როგორც ჩანს, ის შეხვედრა პირველი და უკანასკნელი არ ყოფილა.

მანჯურიელებისათვის ოჯახი წმიდათა წმიდაა და მისი შებლალვის უფლებას არავის აძლევენ, თუმც ომი ყოველგვარ ადათს და ტრადიციას თავის ნებაზე გადაწერს და თავისებურად თარგმნის ყველა ფასეულობას. ლევანს იმთავითვე მოუპოვებია მათი სიმპათია და სიყვარული. ის რამდენჯერმე ესტუმრა მათ ოჯახს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღესაც უგზო-უკვლოდ გამქრალა. ჩემი მანჯურიელი დიდი ბაბუა ცინების დიდი დინასტიის წარმომადგენელი ყოფილა, იმ ძლევამოსილი დინასტიისა, რომელიც თითქმის სამი საუკუნე მართავდა ქვეყანას. მთელი თავისი სანათესაო და სანაცნობო ფეხზე დაუყენებია და ტყვედჩავარდნილი ლევანისათვის მიუკვლევია.

1905 წლის ზაფხულის მიწურული ყოფილა. რუსეთის იმპერიის ძლევამოსილი არმია სულს ძლივს ღაფავდა, დასუსტებული ძალებით იაპონიის მორიგ შეტევებს ვეღარ უმკლავდებოდა. ღამდამობით სოფელ-სოფელ დაძრნოდნენ მშიერი ჯარისკაცები და ნაალაფარით ირჩენდნენ თავს.

ტყვეობიდან თავდაღწეულ ლევანს ერთი სული ჰქონია, როდის ნახავდა თავის მშვენიერ მეუღლეს და ახალშობილ ვაჟს, რომლის

არსებობის შესახებ სულ ახლახანს შეეტყო. მაღულად გადაევლო ლობეს, კარი და ფანჯრები ლია იყო. ნაწვიმარზე ფეხსაცმელი გაუსრიალდა და ფეხი იღრძო. ანაზდად ჩვილის ტირილი შემოესმა. კოჭლობით შევიდა სახლში და რას ხედავს, დაჭრილი ბერიკაცი იატატზე გდია და სულს ღაფავს. გონი მოიკრიბა და ცოლსა და შვილს მივარდა. ქალს თვალები ლია დარჩენოდა, სახეზე საშინელი ტანჯვის კვალი ემჩნეოდა. ლევანმა პირველ რიგში აკანკალებული, მტირალი ბავშვი დააწყინარა, მერე შუბლზე ეამბორა მეუღლეს და თვალები დაუხუჭა. თვითონაც ბავშვივით ტიროდა. მოხუცთან ჩაიმუხლა, უნდოდა ეთქვა, გამაგრდიო, მაგრამ მიხვდა, სადაც იყო, კაცი სულს განუტევებდა.

მომაკვდავმა ძალა მოიკრიბა და ლევანს დაუბარა: – ლევან, ორ საგანძურს გაპარებ – შვილიშვილს და სტრადივარიუსის ვიოლინოს, რომელიც ჩვენი საგვარეულო რელიქვიაა. წადი შენს სამშობლოში, ნაიყვანე შენი შვილი და ლირსეულ კაცად აღზარდე, ხოლო რაც შეეხება ვიოლინოს, კარგი იქნება, თუ ჩვენს ტრადიციას გააგრძელებ, ჩემი ძვლები იმქვეყნიდანაც დაგლოცავენ, თუ არა და, როგორც გილირდეს და გჭირდებოდეს, ისე გამოიყენე. – თქვა ეს და დახუჭა თვალები.

ამხელა კაცს თუ რამე წააქცევდა, ვინ წარმოიდგენდა, მაგრამ მაშინ ლევანს უმძიმესი წუთები ედგა, როცა გონს მოვიდა, ნიჩაბი და ძალაყინი მოიძია, მიცვალებულები გააპატიოსნა და როცა კრძალავდა და სველი მიწის ბელტებს აყრიდა, ეგონა, უკუნ ღამეს მარხავდა იმ იმედით, რომ გათენდებოდა და ყველაფერი ისევ ისე იქნებოდა.

დილაუთენია საფლავზე დამხობილი ლევანი ახლადგაღვიძებული პატარის ტირილმა გამოაფხიზლა. სასწრაფოდ შევარდა სახლში. ჩვილი, რომლის სახელის თქმაც ვერ მოასწრეს, გულში ჩაიკრა და უთხრა: – შენ დღეიდან იმედა გერქმევა და მეც იმედიანად დავიწყებ შენთან ერთად ცხოვრებას. მერე ბავშვი დედის საფლავთან მიიყვანა, რათა კიდევ ერთხელ შეეგრძნო დედის სურნელი.

იმ დღესვე, ცალ ხელში ატატებული ბავშვით, მეორეში სტრადივარიუსის ვიოლინოთი და ზურგზე მოკიდებული შაშხანით დაადგა სამშობლოსკენ მიმავალ გზას. მიდიოდა ამ უმისამართო ქუჩებით სადღაც შორს, ძალიან შორს და თან გულში ლოცულობდა, ღმერთო, შინ მშვიდობით დამაბრუნეო. მისი მგზავრობის ამბავი კიდევ ცალკე ისტორიაა.

ალამ ამოიოხრა და ცოტა ხანს შეისვენა. მე და ნოე გასუსულები ვუსმენდით მის მიერ მოყოლილ საოცარ ამბებს. ლამის დაგვავიწყდა, რომ მისთვის ამდენი ლაპარაკი არ შეიძლებოდა. თვითონ გადმოგვხედა ისეთი თვალებით, თითქოს ჩვენს თანხმობას ელოდება. არ ვიცი, ცნობისმოყვარეობამ გვძლია თუ სხვა რამ, მექანიკურად დავუქნიეთ თავი.

— ჰოდა, — გააგრძელა ალამ, — საქართველოში რის ვაი-ვაგლახით ჩამოლწეულმა ლევან და იმედა ციხისთავებმა სტრადივარიუსთან ერთად ახალი, ქართული ცხოვრება დაიწყეს.

ბაბუაჩემი, ლევანი ჭკვიანი და გამრჯე კაცი იყო, იმხელა ზერები გააშენა, რთველს ორ-სამ კვირაზე ადრე ვერ ითავებდნენ. პურის ყანებიც ჰქონდა, საქონელიც ჰყავდა, მაგრამ ცალულელა დადიოდა. იმედას ხანში შესული ბებია ზრდიდა. ხუთი წლის შემდეგ ძლივს დაითანხმეს მეგობრებმა, რომ ახალ ოჯახზე ეფიქრა. მთელ დუნიაზე იშვიათად დადიოდა იმნაირი ქალი, როგორიც თელაველი თამარ ხოდაშნელი იყო.

ასე თუ ისე, ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა მამაჩემს. 20 წლის ასაკში ბაბუამ ის პეტერბურგის კონსერვატორიაში გააგზავნა სასწავლებლად. იმდენად ნიჭიერი იყო, რომ უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

ამასობაში კოლექტივიზაციის საშინელი წლები წამოეწიათ. გაკულაკების შიშით, რაც რამ ებადათ, ყველაფერი კოლექტივს მიუთვალეს. ერთი პერიოდი უხმოობაში ვცხოვრობდითო, მწარედ იხსენებდა თურმე ბებიაჩემი. მერე დედაჩემა ამიხსნა, უხმოობა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ნიშნავსო. ნინ ოცდაჩვიდმეტი წელი გველოდა. მაშინ თვეების ვიქენებოდი. მე რა მახსოვს, მაგრამ დედა მიყვებოდა ხოლმე, მამაჩემი ოპერისა და ბალეტის თეატრში, ევგენი მიქელაძის სიმფონიურ ორკესტრში უკრავდა, პირველი ვიოლინო იყოო... .

ერთხელ, თელავში, დილაუთენია წყალზე მიმავალ ბებიაჩემს ვიღაც უცნობი შეხვედრია და მოკეთესავით გაგულისპასუხებია, ფრთხილად ყოფილიყო. ბებია, ელდანაკრავივით, შუა გზიდან ცარიელი კოკით მობრუნებულა. შინ ცომი ჰქონია მოზელილი, თურმე პურის გამოცხობას აპირებდა. თეთრ ზენარში საგულდაგულოდ შეფუთა ვიოლინო და ვარცლში, ცომის ქვეშ ამოდო. სწორედ ამ დროს ჭიშკარს სამი კაცი მოადგა, რომლებიც ვიოლინოს წასაღებად იყვნენ მისულები. მთელი სახლი გადააბრუნეს, მაგრამ ვიოლინოს ვერსად მიაგნეს. მერე სათონესაც მიადგნენ,

ალბათ თონეში გადამალაო და ბებია აიძულეს, ფიჩხისათვის ცეცხლი წაეკიდებინა. მოკლედ, ეს სამტროდ შემოხეტებული კაცები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მასთან არავითარი ვი-ოლინო არ ინახებოდა.

როგორც იქნა, შვებით ამოისუთქა თამარმა, ინსტრუმენტს ზე-წრები შეხსნა, შეამოწმა, ცომმა ხომ არ დააზიანაო და დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ სად დაემალა ვიოლინო. ბევრი ფიქრის შემდეგ საიმედოდ შეფუთა და ბუხრის საკვამურში ჩაჰკიდა.

ახლადშებინდებულზე სახლში მოსულ ლევანს დილანდელ თავგადასავალს რომ უყვებოდა, სწორედ მაშინ, ყოველგვარი ძახილისა და კავუნის გარეშე, კვლავ მოვიდნენ დაუპატიჟებელი სტუმრები.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ ღამით, ერთსა და იმავე დროს, თელავში ლევან ციხისთავი, თბილისში კი ოპერაში, სპექტაკ-ლზე წასასვლელად გამზადებული მამაჩემი სადარბაზოსთან დააკავეს. რა თქმა უნდა, სტრადივარიუსიც თან გაიყოლეს. იმ დღის მერე არცერთი გვინახავს.

ბებიაჩემი, თურმე, საკუთარ თავს ადანაშაულებდა მომხდარ-ში და სულ მჯიდებს იცემდა გულში, მაგრამ სისტემის დანაშაული მის მომცრო მხრებს როგორ დაიტევდა! თბილისის სახლიც წაგვართვეს. დედა იძულებული იყო, თელავში გადასულიყო საცხოვრებლად. ბაბუაჩემს რუსეთ-იაპონიის ომი გაუხსენეს და დეზერტირობაში დასდეს ბრალი. ხოლო ამ საცოდავი ვიოლინოს არსებობა უცხოეთის კაპიტალისტურ წრეებთან კავშირს მიაწ-ერეს. მამა-შვილი მას შემდეგ აღარავის უნახავს. რა სამართალი უნდა გენახათ იმ ქვეყანაში, სადაც დასაპატიმრებელი ხალხის გეგმები არსებობდა, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ ადამიანს დახვრეტდა. „ტროიკა“ შვიდ-ათ წუთში წყვეტდა ადა-მიანების ბედს.

ამას წინათ მეგობრები მომიყვნენ მოხუცი მეწალის ისტორია, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს. მოხუცმა ფეხსაცმლის მკერ-ავმა, მუშაობისას მახათი გაზეთში ჩაარჭო და უნებურად სტა-ლინის ფოტოს თვალი გაუხვრიტა. ამის შესახებ შინსახვომს იმ მოქალაქემ აცნობა, რომელსაც მკერავი ფეხსაცმელს უკერავდა. მოხუცს სტალინზე ტერორისტული აქტის მომზადება დააბრალეს და დახვრიტეს. ჩვენ კი: ბებიაჩემს, დედას, მამიდას და მე, უსუ-სურ ბავშვს ხალხის მტრის შვილების და ოჯახის წევრების სტა-

ტუსი მოგვენიჭა. იმედი, რომ მამა და ბაბუა დაბრუნდებოდნენ, მაინც გვქონდა.

როგორც დედაჩემის მონათხრობიდან ვიცი, ერთ დღესაც, ნაგვიანევი შემოდგომის წვიმიან ტაროსს რომ შეეფერება, ახალშებინდებულზე, ტალახში ამოგანგლული, თავიდან ფეხებამდე წვიმაში გალუმპული უცხო კაცი მოსულა ჩვენთან, ბებიაჩემი ცალკე გაუხმია და ჩუმად რაღაცას ელაპარაკებოდა. როგორც აღმოჩნდა, ის კაცი ბებიას შორეული ნათესავი ყოფილა და ექსკავატორის მძლოლად უმუშავია. თურმე ის ძალლთაპირები თბილისი—რუსთავის გზატკეცილზე დიდ ტრანშეებს ჭრიდნენ და დახვრეტილ, უდანაშაულო „დამნაშავეებს“ სატვირთო მანქანებით ჰყრიდნენ „საძმო სასაფლაოში“. თურმე იმ კაცს, სანამ მიწას მიაყრიდა, გარდაცვლილებს შორის მამაჩემი ამოუცვნია და როცა მარტო დარჩენილა, რის ვაი-ვაგლახით ამოუთრევია იქიდან. ჯერ ისევ თბილი ჰქონია სხეული საბრალოს. მოუპარავს გვამი და შუალამისას კუკის სასაფლაოზე თავისი მამის გვერდით დაუკრძალავს. თითქოს ხელახლა მოკვდა მამაჩემი. იმ დღის მერე იოტისოდენა ნაპერწკალიც ჩაქრა.

ერთი ამოულმუვლია თამარს, კივილ-ტირილიც კი აკრძალული იყო მაშინ. მერე სულ ხელები უკოცნია იმ მადლიანისათვის, ანი შვილის საფლავი მაინც მეცოდინებათ.

სანამ მამაჩემის უდანაშაულობა არ დამტკიცდა და რეაბილიტირება არ მოხდა, საფლავზეც ქურდულად დადიოდნენ ჩემები.

ხელ-ფეხი გამეყინა. თურმე რამდენი ტკივილი უტარებია ამ საცოდავს! მე კი ერთი, ჩვეულებრივი მენატურე მეგონა განუყრელი ჩემოდნით და ანტურაჟით. ხან ქარაფშუტა მეჩვენებოდა, თუმცა, თვალებში ღრმად თუ ჩახედავდი, მიხვდებოდი, რომ იოლი ცხოვრებით არ იყო ნაცხოვრები.

— დედა, — როგორც იქნა, ხმის ამოლება შეძლო ნოემ, — ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, ეს ვიოლინო როგორლა დაბრუნდა თქვენთან, ციხისოთავებთან?

— ეს კიდევ ცალკე დიდი ტკივილია, შვილო. ჩემი მამიდა, თაია ციხისოთავი, ნამდვილი ფრთაშესხმული ანგელოზი ყოფილა, რომელიც მოგვიანებით გაუჩნდა ბებია თამარს. მაგრამ მისდა სავალალოდ ერთ ცალხელა, შინსახკომელ კაცს შეჰყვარებია. შინსახკომის ხსენებაზე ჩვენს ოჯახში ყველას ელეთ-მელეთი მოხდიოდა, თანაც უნაკლოც რომ ყოფილიყო, ერთ ცოდვაში მაინც ხომ იქნებოდა გარეული, როგორც ბებიაჩემი ამბობდა, მაგრამ

არსებობდა კიდევ ერთი მაგრამ. თაია ხომ „ხალხის მტრების“ შვილი და და იყო. მიუხედავად ამისა, ის კაცი მაინც არ ეშვებოდა.

მამიდაჩემი თურმე წარჩინებული მოსწავლე იყო და სწავლის გაგრძელება სწყუროდა, მაგრამ მისთვის, თავისი სტატუსის გამო, ყველა კარი დახურული იყო. ვერაზე ერთი პატარა ოთახი დაიქირავა, რადგან ნათესავებთან მისვლა აკრძალული ჰქონდა. ერთ დაწყევლილ დღესაც მის კარზე კაკუნი გაისმა. ერთი კი შეუქანდა გული, მაგრამ კარი მაინც გააღო და რას ხედავს, კარებში შინსახომელი გაბო დგას. მაგიდის ირგვლივ, სკამებზე ჩამოსხდნენ. შემცბარი ქალი ერთიანად კანკალებდა.

— თაია, — დაინტერ გაბომ, — რაც დრო გადის, მით უფრო ვხვდები, რომ უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, მაგრამ გულახდილად გეტყვი, ცოლად რომ მოგიყვანო, ყველაფერს დავკარგავ, შეიძლება ციმბირიც უკან დამრჩეს. ინსტიტუტშიც მოგაწყობ, არც სხვა ოჯახს შევქმნი, ოღონდ შენს გვერდით ყოფნის უფლება მომეცი.

თაიას, როგორც მოსალოდნელი იყო, შორს დაუჭერია შეყვარებული კაცის ხევენა-მუდარა. მე სხვა მიყვარს, დანიშნულები ვართ და მალე დავქორწინდებითო, მოუტყუებია, თავიდან რომ მოეშორებინა ეს ძალად მაცხონე კაცი.

— შენ რომ მართლა გიყვარდე, მიხვდებოდი, რომ არც ჩემი ოჯახის ტრადიციები, არც ჩემი პატიოსნება და მრნამსი და არც ჩემი ახლადგარდაცვლილი მამისა და ძმის ხსოვნის პატივისცემა არასოდეს მომცემს იმის უფლებას, რომ ვინმეს ხასა გავხდე, მაგრამ იმდენად გკლავს ჩემი დაუფლების სურვილი, უბრალოდ, ახირებად გექცა ის, შენ რომ სიყვარული გონია.

— არა! შენ თავს ვფიცავარ, ასე არ არის, — წერაატანილივით თრთოდა გაბო და ემუდარებოდა ქალს, რომ მისი გამხდარი ყო, მაგრამ მისგან სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ცალი ხელით რომ ვერ მოერია, იარაღი დაადო შუბლზე. ბრძოლისა-გან დაღლილმა და განადგურებულმა თაიამ სახეში შეაფურთხა მოძალადეს და მეტი არაფერი ახსოვდა, გული წაუვიდა... გონს რომ მოვიდა და თვალები გაახილა, ისევ გაბოს დუშმორეული სახე შეეფეთა. უნდოდა ეყვირა, მაგრამ კაცმა თითო ტუჩთან მიუტანა და ანიშნა, იყუჩეო. საბრალო თაიას ისტერიული ტირილი აუვარდა.

გაბომ ოდნავ შეაღო ფანჯარა და პაპიროსი ამოილო. ერთი-ორი ნაფაზი დაარტყა და ჩააქრო. საფერფლე რომ ვერსად ნახა,

ისევ ვერცხლის პორტსიგარში ჩააგდო ნამწვი. თაია კი უსულო საგანივით ეგდო საწოლზე, ბალიშში თავჩარგული.

გაბომ გადაწყვიტა, წასულიყო. კიდევ ერთხელ მივიდა ქალ-თან, უნდოდა თავზე ხელი გადაესვა, მაგრამ იმხელა ზიზღი იგრძნო, უხმოდ გამობრუნდა და კარისაკენ წავიდა. აქამდე სიყვარულის მათხოვარი გაბო კარის ზღურბლზე ისევ გაბრიელად, შინსახკომის მაღალჩინოსნად იქცა. წამით შემობრუნდა და თაიას გაბზარული ხმით უთხრა, დივანზე თქვენი სტრადივარიუსი დევს და გაუფრთხილდით. მაგრამ თაიასთვის ახლა ყველაფერი სულ-ერთი იყო. როცა ბოლომდე გაიაზრა თავს დატეხილი ამბავი, ჩაიცვა, კარი მაგრად გამოკეტა და... მას შემდეგ ის არავის უნახავს.

ორი დღის შემდეგ მტკვარმა გამორიყა უცნობი ქალის ნაწამები გვამი, მასში თაია შეიცნეს.

\*\*\*

ორმოცი დღე რომ გავიდა, რძალ-დედამთილი თბილისში წასულან თაიას ნივთების წამოსაღებად. ოთახი რომ მიუთვალ-მოუთვალიერებიათ, დივანზე ჩვენი ვიოლინო უნახავთ. თამარს უნდოდა ეთქვა, ჩვენი ოჯახის დამაქცევარიო, მაგრამ ვერ გაიმეტა. ვიოლინო გულში ჩაიხუტა, როგორც მისი მეუღლისა და ვაჟის ხელშენავლები ნივთი, რომელიც მათ აგრერიგად უყვარდათ.

თაიას ბენელით მოცული ამბავი კი სულ ახლახანს გაირკვა. თბილისის მოხუცებულთა თავშესაფარში უპატრონოდ გარდაიცვალა პოლიციის გენერალი გაბრიელ საწოდე. მან სიკვდილის წინ ეს ყველაფერი აღსარებასავით უამბო მომვლელ ქალს, რომელიც ბებია თამარის და და თაიას დეიდა აღმოჩნდა.

— როგორც ვიცი, თქვენ პეტერბურგიდან გადმოსახლდით, ქალბატონო ალა. მაინტერესებს, იქ როგორ მოხვდით? — ახლა ისე მინდოდა ამ საბრალო ქალის ცხოვრების ყველა დეტალი მცოდნოდა, ანგარიშს აღარ ვუწევდი, რომ მისი გადაღლა არ შეიძლება. ექიმებიც გულმოწყალენი აღმოჩნდნენ, ამდენი ხნით რომ გვაჩერებდნენ მასთან.

შევატყვე, ალას თითქოს განსაკუთრებით ემძიმებოდა მისი ცხოვრების ამ პერიოდის გახსენება, სურვილი კი ჰქონდა, ბარემ ბოლომდე გაენდო ჩვენთვის ყველაფერი.

— თელავში რომ საშიში გახდა ჩვენთვის ცხოვრება, მაესტრო, ბებიაჩემმა, რომელიც ქალიან ჭკვიანი ქალი იყო, დედაჩემი იხმო

და უთხრა, რომ სანამ აქ ვითარება გამოსწორდებოდა, დროებით თავის მშობლიურ ქალაქში, პეტერბურგში დაბრუნებულიყო, თუ არადა, მას შორეული აღმოსავლეთის შრომა-გასწორების კოლონიაში გაამწესებდნენ, როგორც მოღალატის ცოლს.

დედას ცრემლები მოერია. ეს წასვლა მამაჩემის ხელმეორედ დაკარგვას ნიშნავდა. ბოლოს დათანხმდა, უფრო ჩემს გამო. ბებიამ მთელი თავისი დანაზოგი ფული და ვიოლინო გადასცა იმ იმედით, რომ მის შვილს გამოადგებოდა, ერთ კვირაში უკვე პეტერბურგში ვიყავით. ფაქტიურად, გამაპარეს ჩემი სამშობლოდან. სულ ვოცნებობდი უკან დაბრუნებაზე, რადგან თბილისი ძალიან მიყვარდა, მე ხომ აქ დავიბადე. დედა ძალიან წესიერი ქალი იყო, არასოდეს არავისში გაუცვლია თავისი ქმრის სიყვარული. სულ საქართველოზე გვიყვებოდა, მიღვივებდა ჩემი ქვეყნის სიყვარულს. ჩვენი ერთადერთი დასაყრდენი, ბებია თამარიც მიიცვალა, დედაც ხშირად ავადმყოფობდა, ამიტომაც ვერ ვახერხებდით დაბრუნებას.

— სხვა რა იყო პეტერბურგში? — მინდოდა ალას სადაგი დღეები გაეხსენებინა.

— რაღა რა იყო: ბლოკადა, სიკვდილის შიში, შიმშილი, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ნოეს დაბადება, ჩემი ნოე. — თქვა და სიყვარულით გადახედა შვილს.

მე ნოეს თვალი ჩავუკარი. ორივეს გაგველიმა.

— დედა რომ გარდაიცვალა, — გააგრძელა ალამ, — გადავწყვიტე თბილისში დავბრუნებულიყავი. ჩემი პატარა ბინა გავყიდე და ერთი ახლობლის მეშვეობით თბილისში შევარჩიო ფართი, რასაც ჩემი თანხა გასწვდა, მაგრამ ფული დავკარგე, ვიღაც ავაზაკებმა მომპარეს. საარსებო საშუალება არ მქონდა. ავდექი და სამხატვრო აკადემიაში დავიწყე მუშაობა. დანარჩენი შენც იცი, მაესტრო. ისე, რა საოცარია ცხოვრება. საბრალო დედაჩემი მეტყოდა ხოლმე, თუ გინდა, რომ გემრიელი სადილი გააკეთო, სიყვარული, ღიმილი და კეთილი აზრები ჩააყოლე შიგო. ახლა რომ ვუკვირდები, ყველა სფეროში ასეა: ხელოვნებასა თუ მწერლობაში, მუსიკასა თუ ცეკვაში, თუნდაც ხელოსნობაში, რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ცნობილია, რომ ანტონიო სტრადივარიუსს შავმა ჭირმა ცოლი და ხუთი შვილი მოუკლა. კაცი განადგურდა, მაგრამ იმ დიდი ჟამიანობის დროსაც ცრემლიანი თვალებითა და გაბზარული გულით მაინც ჰქმნიდა თავის ჯადოსნურ ვიოლინოებს. ალბათ, ჩემს

ვიოლინოსაც ასეთი უჩვეულო ბედი დაჰყვა, უამიანობის დროს შექმნილი, უამიანობისას დაიმტვრა. და კიდევ, თავის დროზე მანჯურიაში დამარცხებული და კუდამოძუებული რუსის ჩექმა რვა ათეული წლის შემდეგ, აქ, საქართველოში, რუსთაველის პროსპექტზე ნამოენია შურისმაძიებლად ჩემი მანჯურიელი წინაპრების საგვარეულო რელიქვიას და თავისი ბინძური ფეხებით გათელა. გული მარტო ერთ რამეზე მწყდება, მე, ცინების დინასტიის შთამომავალმა, სასოებით დანატოვარ რელიქვიას რომ ვერ მოვუფრთხილდი. ახლა კი ერთი სათხოვარი მაქვს, მინდა, ეს ნამსხვრევები მამაჩემის გულზე დაასვენოთ, როგორც მისი სულის მალამო. მის დაწყეტილ სიმებზე ხომ ოდესლაც მისი დედის და შორეული წინაპრების თითები სრიალებდნენ. იქნებ ასე მაინც იგრძნოს მშობლიური ხელის სითბო, მისგან განუცდელი მოფერების დღესასწაული.

ბოლო სიტყვებს რომ ამბობდა, ხმა თითქოს ჩაუწყდა, მერე თვალებით გვანიშნა, ჩემოდანი მიგვეტანა. ერთი ნამსხვრევი ამოიღო, დაუეუჯილი ხელით გულში ჩაიხუტა, ნაზად ეამბორა და დაემშვიდობა ჯადოსნურ სტრადივარიუსს.

ალას თხოვნა პირნათლად შევასრულეთ, ნოე ძალზე დათრგუნული იყო, ამიტომ ხელი არაფერზე მოვაკიდებინე, სახლშიც წავიყვანე.

მეორე დღეს დედას ვთხოვე, ალასთვის საუზმე მოემზადებინა. ერთ საათში საავადმყოფოში ვიყავი. პალატის კარი რომ შევხსენი, ელდა მეცა, ალას საწოლი ცარიელი დამხვდა. ექიმებთან გავიქეცი, მათაც არაფერი იცოდნენ. სად არ ვეძიეთ, მაგრამ ალას კვალს ვერ მივაკვლიეთ. ნოე თელავშიც კი წავიდა. გაჭირვებით მიაგნო ციხისთავების ნანგრევებად ქცეულ სახლ-კარს. უყურებდა ობობას ქსელებში გახვეულ კედლებს, ჩამონგრეულ ჭერს, მორღვეულ ღობეს, ვაზზე ობლად შერჩენილ მტევანს და უჩვეულო გრძნობა იპყრობდა, თითქოს ამ იავარემნილ ადგილზე თავად ველური სიჩუმის დიდებულება თვლემდა.

ნოეს უნდოდა, ოთახები დაეთვალიერებინა, შიშით შევიდა შიგ. ერთი ოთახის კედელთან კარადა შენიშნა, კახელები წალოს რომ ეძახიან. ფრთხილად გამოაღო კარი, მაგრამ შიგნიდან იმდენი მტევრი გადმოჰყვა, თვალში ძლივს გამოიხედა. თაროებზე საბნები და ჩრჩილისგან შეჭმული ფარდაგები ელაგა. მისდა უნებურად ფარდაგის ქვეშ შეაცურა ხელი და ქაღალდში გახვეული ფოტოები იძოვა. ფურცელი გაშალა, ანდერძი აღმოჩნდა. როცა

წაიკითხა, გაოცებისაგან პირი დააღმ. ანდერძის მიხედვით ბებია თამარი მთელ თავის ავლადიდებას ალას უტოვებდა. მერე გაუგზავნელი წერილებიც ნახა. ზოგი ტკივილიანი, ზოგიც მხიარული, შვილიშვილს მის ენაზე რომ ეტიტინებოდა. ყველაზე მძიმე წასაკითხი იმ პერიოდს ეკუთვნოდა, ლენინგრადის ბლოკადა რომ მძინვარებდა. თქვენ რომ რამე მოგივიდეთ, ჩემს თავს არ ვაპატიებო, წერდა. ბოლო წერილი 1945 წლით თარიღდებოდა, იმ დროს აღა 7-8 წლის თუ იქნებოდა.

— საბრალო დედაჩემო, გაქურდულს, უსახლკაროს რამდენჯერ გიტირია, რომ მიუსაფარი და არაფრისმქონე იყავი, მაგრამ ხომ ხედავ, ქვიშის კარიერის გენერალი ყოფილხარ. — ხმამაღლა ფიქრობდა ნოე.

თბილისში დაბრუნებულმა ყველაფერი წვრილად მიამბო. ჩვენ მაინც ვაგრძელებდით ალას ძებნას. ვერელები გულახმედას მკვლელებს აბრალებდნენ მის გაუჩინარებას. ზოგიერთი იძახდა, მგონი გუშინ დავინახე, დაბარგული მიდიოდაო.

ნოე ხანდახან საათობით იჯდა აკადემიის კიბეებზე, იქნებ საიდანმე გამოჩენილიყო დედა. დრო კი უმოწყალოდ გარბოდა.

ერთი კია, ვერის აღმართზე მიმავალს, ქვის ერთ ფილაზე ალას ორივე შიშველი ფეხი, მისივე ნებით შავი საღებავით შემოხაზული, მაგონებდა მის დაუდეგარ თავს და რომ გავუსწორდებოდი, ასე მეგონა, მხარში ამომიდგებოდა და გამომყებოდა.

\*\*\*

გავიდა წლები. მოგონებებში ჩაიძირა და გაფერმკრთალდა აკადემიაში ნადავიდარაბი ახალგაზრდობა. დიდი ოჯახის ტვირთით საზრუნავმოკიდებული ვათენ-ვალამებდი პალიტრასთან. სახვითი ხელოვნების სიყვარულით ზეშთაგონებულს ფუნჯი არასოდეს გამიგდია ხელიდან, ვქმნიდი ახალ-ახალ ტილოებს და ასე დაუსრულებლად ვწერდი და ვშლიდი, ვშლიდი და ვწერდი. სახელოსნო იყო ჩემთვის ბროდვეიც და მონმარტრიც, საპარაც და ჰავაის კუნძულებიც. თუმცა, არც მოგზაურობა მაკლდა გამოფენებთან ერთად. მოუცლელმა და თავგადასავლებით სავსე ცხოვრებამ ჩემი ჭაბუკობისდროინდელი გატაცება, ძველი ნივთებისადმი სიყვარული ვერ გაანელა. როგორც კი თავისუფალ დროს მოვიხელთებდი, მაშინვე გული მშრალი ხიდისკენ მიმიწევდა. ერთხელაც, შემოდგომის მბჟუტავი მზის სხივმიფიცხებულ

გამყიდველთა შორის, ერთი მოხუცი დავლანდე, ძველ ჩარჩოში ჩასმულ ქალის პორტრეტს რომ სთავაზობდა გამცლელ-გამომვლელს. უცებ შევდექი, დავაკვირდი ოციოდე წლის წინ ჩემს მიერ შესრულებულ ალას პორტრეტს, მერე ჩემი ინიციალებისაკენ გავაპარე მზერა და უჩვეულო პარმანიც შედგა. თითქოს ალას ძველი ჩემოდნიდან თავდაღწეული ჯინი ჩვენს შორის გაბოტილიყო და წარსულში მახედებდა. ეტყობა, ისეთი სახე მქონდა, ბერიკაც-მა უმაღ ამოიკითხა ჩემს გამომეტყველებაში, რისი თქმა მსურდა.

— ეჰ, შვილო, ამის პატრონი ამ სურათს რომ ჰყიდდა, ლამის მთელი გული გამოაყოლა თან. რომ არა დიდი გაჭირვება, ამას როგორ გაიმეტებდა. ავტორი, როგორც მოგეხსენებათ, ცნობილი მხატვარია. თუ არ გჯერათ, აგერ კატალოგსაც გაჩვენებთ. კარგა სანია, რაც ეს ნამუშევარი შევიძინე, ახლა მეც გამიჭირდა, თუ მოგწონთ, ფასზე მოვრიგდებით.

უხმოდ ავიღე პორტრეტი, დიდხანს ვატრიალე ხელში, ის ხომ ჩემი ბიოგრაფიის ნაწილი იყო. მოხუცს არ შევვაჭრებივარ, ფული მივუთვალე და ბედნიერმა გავწიე სახლისაკენ, თუმცა, ერთი კითხვა მიბურღავდა ტვინს — სად არიან ნეტავ ახლა ალა, ან თავისი მუსიკოსი ბიჭი...

\*\*\*

ამ ამბიდან დიდი დრო არ იყო გასული, როცა კულტურის სამინისტროდან მაცნობეს, რომ პარიზში მოწყობილ ქართული კულტურის დღეებში უნდა მიმედო მონაწილეობა. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი.

მონმარტრზე, ერთ-ერთ ტაძარში, მოეწყო ქართველ მხატვართა გრანდიოზული გამოფენა. ჩემს ექსპოზიციას მთელი კედელი ეკავა. ახალ ნამუშევრებთან ერთად ძველი ტილოებიც იყო წარმოდგენილი, მათ შორის, ალას პორტრეტიც, რომელიც ერთ დროს თავად ალამ გადაარჩინა განადგურებას. გმადლობ, ალა, სისულეელის ჩადენაში ხელირომ შემიშალე. მას შემდეგ ვინ აღარ დამიხატავს, დიდი აღიარება და სახელიც მომიხვეჭავს, მაგრამ ასეთი გულწრფელი და მეტყველი თვალები იშვიათად თუ მინახავს.

დადგა გამოფენის გახსნის დღეც. ვის არ ნახავდით დარბაზში: ელჩებს, საკონსულოების წარმომადგენლებს, პარიზის ქართულ სათვისტომოს, ქართველ და უცხოელ ხელოვანებს, თვით მონმარ-

ტრის მეფედ წოდებულ პიკასოს, დალისა და მოდილიანის თან-ამედროვე მოხუც რაინდს. ქართულ „მრავალუამიერსა“ და სხვა პოლიფონიურ სიმღერებს პარიზის სიმებიანი ორკესტრი ენაცვ-ლებოდა: მოცარტი, ბახი, ვივალდი, ჩაიკოვსკი...

ალას პორტრეტი ყოველი მხრიდან იკითხებოდა. საითაც უნდა წასულიყავი, ალას მზერა გეგებებოდა. ერთი პირობა მომეჩვენა, თითქოს მისი ბაგები ყურში ჩამჩურჩულებდნენ, იქ, აკადემი-აში, როცა ახალგაზრდა იყავი და ჩემს პორტრეტს ხატავდი, წარმოიდგენდი, ოდესმე მსოფლიო საგამოფენო დარბაზებს თუ დაიპყრობდიო?

ტრანსიდან არც კი ვიყავი გამოსული, რომ უცებ ვიოლინოს ხმაშ შემაფხიზლა და რეალობაში დამაბრუნა. უკან მოვიხედე, ალას პორტრეტთან ახალგაზრდა მევიოლინე იდგა და ქართულ მელოდიას – „სულიკოს“ უკრავდა. სული შემიგუბდა თითქოს. ხან ალას პორტრეტს მივშტერებოდი და ხანაც ახალგაზრდა კაცს ვაკვირდებოდი. კიდევ ერთი შეხვედრა, თანაც სად? პარიზში, ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო. ეს ხომ ის პატარა ბიჭია, დედის მოლოდინში, მოსაცდელში რომ რეპეტიციონბდა პატარა ვიოლი-ნოთი, მუდამ გაბუტული რომ იყო ჩვენზე – დედამისის სიშიშვ-ლის უტყუარ მოწმეებზე. აქ ყველაზე ნაკლებად მოველოდი მას-თან შეხვედრას. ნეტავ თუ „გვაპატია“ ჩვენც და დედამისაც.

ქართული სიმღერა თითქმის მთელმა დარბაზმა აიტაცა და სიკეთის წამით განზავდა უამი უჟამური. „ყოჩაღ, ნოე!“ – ვეუბ-ნები და ვეხვევი კაცობაში ფეხშედგმულ ბიჭს, ჩემი წარსულის ნაწილად რომ ქცეულა. თვალებში ვატყობ კეთილგანწყობას და ვხვდები, რომ აღარ ვძულვარ. ისიც მეხვევა და გულში მიკრავს.

მას შემდეგ ხან თბილისში მხვდება ალა თავისი ჩემოდნით, ხან პარიზში, ხან კიდევ სად. ეს ჩემოდანი თავის პატრონთან ერთად მანამ იმოგზაურებს ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში, ქუჩიდან ქუჩაზე, სანამ მე ვიბოგინებ ამ დუნიაზე, რადგან ის ჩვეულებრივი ჩემოდანი კი არა, თითქოს ჩემი სიჭაბუკის სულის სამალავია, რომელიც თან დამყვება მთელი ცხოვრება.



## სახე და განკუთხებები

### ეს უცდა დავგრძელე შინ, სოსეაში! (ომის ძრონიკები)

რამდენჯერ ვცადე დამეწერა სოხუმში ჩემი დაბრუნების ამ-ბავი. დავიწყებდი და წავშლიდი... დავიწყებდი და წავშლიდი... ალბათ იმიტომ, რომ სული ნამდვილ დაბრუნებას ელოდებოდა. რა კარგი იქნებოდა, კარგი კი არა, ბრწყინვალე, საუკეთესო, არაჩვეულებრივი, სიტყვით გამოუთქმელი... რომ სოხუმში უკვე დაბრუნებულსა და ხელახლა დაფუძნებულს დამეწერა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების თავგადასავალი – ამბავი, რომელსაც ვერსად წაიკითხავ, ვერც ინტერნეტში მოიძიებ, ვერავინ გიამბობს თვითმხილველისა და თვითგანმცდელის გარდა.

სოხუმი 2 ოქტომბერს დავტოვე, როცა რუსულმა ჯარებმა გა-გრა აიღეს და ფრონტის ხაზმა მდინარე გუმისთაზე გადმოინაცვლა. მტრის სამიზნე ქალაქის ახალი რაიონის მრავალსართულიანი სახლები აღმოჩნდა. ძერუინსკის ქუჩა ხომ მდინარის პარალელურად მიემართებოდა, მერე მარცხნივ უხვევდა აგრძას ქუჩა, რომელზეც მე ვცხოვრობდი. 2 ოქტომბერს, ორი პატარა ბავშვით მარტო გამომამგზავრეს თბილისისაკენ. სამი კვირა საგარეჯოში აღმოვჩნდი გარსიაშვილების ოჯახში, რომელმაც მაშინ სამი დევნილი ქალი შეიფარა ოთხი პატარა ბავშვით. მერე თბილისში, ერთი თვის შემდეგ კი რუსთავში დავმკვიდრდი და უკვე ვიცოდი, რომ ომის დასრულებას მე-12 მიკრორაიონის ერთ-ერთი სახლის მე-9 სართულის პატარა ბინაში უნდა დავლოდებოდი. ბინაში გადასვლამდე ჭოლოკავების ოჯახს შევეხიზნეთ და სწორედ ისინი

დაგვეხმარნენ ახალ საცხოვრებელში გადასვლაში. მათი სახლი-დან მოვაწესრიგეთ და საცხოვრებლად გამოსადეგი გავხადეთ ბინა და მერე მათგან წამოლებული ქვეშაგებით, ჭურჭელითა და ყველა აუცილებელი ნივთით ვიცხოვრეთ 1993 წლის აპრილამდე.

დეკემბერი იწურებოდა. მოახლოვდა ახალი წელი. მთელ რუსთავს უჭირდა. არ იშოვებოდა პური, არ მოქმედებდა არცერთი მაღაზია. პურზე რიგში ლამეებს ათენებდნენ. საახალწლოდ ნაძვის ხის ერთი ტოტი ვიშოვეთ, სადღაც გზისპირას ვიღაც მოხუცი ქალისგან ბრჭყვიალა „წვიმები“ და მისალოცი ბარათები ვიყიდეთ, ფერადი ყვავილები და სათამაშო ცხოველების გამოსახულებები ამოვჭერით და ნაძვის ხე მოვრთეთ ჩვენს პატარა ოთახში. ახლოვდებოდა ახალი წელი, ჩამოვიდა ჩემი ძმა, მამუკა, ტანსაცმელი და საკვები ჩამოგვიტანა სოხუმიდან. სულ სამი ჩანთა იყო, მაგრამ დიდი სითბო და სიყვარული ჩამოჰყვა. მანდარინი და ლიმონი ნაცნობებსა და დიასახლისსაც ზღვის სანაპიროზე გაბნეული მზის სხივებივით ვუწილადე. გავჯიუტდი, უნდა დაგვრუნდე-მეთქი, ბოლოს და ბოლოს ახალ წელს ხომ ოჯახში უნდა შევხვედროდი. როგორც ახალ წელს შეხვდები, მთელი წელი ისე იცხოვრებო, ამბობდა ბებია... მეც შინ მიმიწევდა გული და ფოსტაში საქალაქთაშორისო სატელეფონო განყოფილებაში რამდენჯერმე რიგში ვიდექი. მრავალსათიანი ლიდინისა და ცრემლების შემდეგ დეკემბრის ბოლოს ძლივს დავითანხმე ჩემები შინ დაბრუნებაზე.

29 დეკემბერს თბილისის ვაგზლიდან მატარებლით გავემგზავრეთ სოხუმისაკენ მე, ჩემი პატარა გოგონები, მამუკა და მამა. ბაქანი სავსე იყო. მატარებელი უცებ დაიტვირთა ხალხითა და ბარგით. ერთ ადგილზე ალბათ სამი ადამიანი იჯდა, ვაგონებში უწესრიგოდ ეყარა დაბერილი ჩემოდნები ჩანთებით და სხვადასხვა სახის პროდუქტებით გაძეგილი ტომრები. ვაგონებში

დია კუპეები იყო, სამი შეიარაღებული სამხედრო პირი გვაცილებდა, რადგან ხშირი იყო დაყაჩალების შემთხვევები არა მარტო აფხაზეთში, სადაც ომი იყო, არამედ სხვა რეგიონებშიც. მატარებლები ხშირად იძარცვებოდა და უგზო-უკვლოდ იკარგებოდა ტონობით შაქარი, ფქვილი, ბურღულეული... ბენზინი. ირგვლივ ხმაური, ფაციფუცი, გადაძახილები და ზუზუნი აწყდებოდა დათოვლილი თბილისის ვაგზლის მიმდებარე ქუჩებს...

მატარებელი ჩაქჩაქითა და ქოთქოთით დაიძრა. ლამის ყოველ

კილომეტრში, ყოველ ხელის დაქნევაზე ჩერდებოდა. ხრჭიალით დაამუხრუჭებდა ძველი ტაქსიებით და გალიმებული სახეებით ამოცვივდებოდა 5-6 ადამიანი გასაყიდი ტვირთით. ზოგჯერ უაზროდ გაჩერდებოდა და საათობით ველოდით ხან ელექტრო-ენერგიის მიწოდებას, ხან გზის გათავისუფლებას ან მოსალოდნელ საფრთხეს. გულგან ვრილებულები ველოდით როდის-როდის დაიძრებოდა საცოდავი, მოყანყალებული მანქანა. რაც უფრო უახლოვდებოდა აფხაზეთს, მით უფრო ცარიელდებოდა. ენ-გურის ხიდზე ნახევრად ცარიელი მატარებელი გადავიდა, ჩანდა, აფხაზეთში ბევრი არ მიემგზავრებოდა. ორი დღე მიიღია ამ ჩაქ-ჩაქში. მშვიდობიან დროს სოხუმიდან საღამოს 10 საათზე გასული მატარებელი თბილისში დილის 6-7 საათზე ჩადიოდა.

1993 წლის 1 იანვარი ჩვენთვის ოჩამჩირის სადგურში დადგა. მატარებელი ორი საათი იდგა, თითქოს მოწყენილი და დადუმებული. მერე ატყდა სროლა, ფანჯარა ორ ადგილას გახვრიტა და გაბზარა ბრმა ტყვიამ და ვაგონში გამჭოლი ტრაექტორიით გაიწუილა... ხალხი იატაკზე პირქვე ვიწექით. ბავშვებს ზევიდან გადავეფარეთ დიდები. ასე ვიყავით კარგა ხანს, მერე მატარებელი დაიძრა და ამოვისუნთქეთ, თუმცა, განა დაძრულ მატარებელს არ დაეწევა ბოროტი ტყვია?!

1993 წლის 1 იანვარი... დილის 6 საათი... დაწვერეული, ნატყვიარი, ალაგ-ალაგ მინებჩალენილი მწვანე მატარებელი სოხუმის ცენტრალურ ვაგზალში ჩამოდგა. ჩვენ გარდა ათიოდე მგზავრი ჩამოვიდა და უცებ დაიკარგა რიურაჟის ალაგ-ალაგ სითეთრე-გამოკერებულ სიბნელეში. დანარჩენები გზადაგზა შემოეცალნენ მატარებელს. ჩვენ ხუთნი ვიყავით: მე ორი შვილით, ჩემი ძმა და მამა. ცივა, სუსხია, მაგრამ სულში თბილა, რადგან სახლში ვპრუნდები. ახლა ჩემი ქალაქის ომისგან გადათხრილ ქუჩებსა და მოყანყალებულ სახლებს უნდა გავუყვე.

მოწყენილი, ომისგან გატანჯული დამხვდა ჩემი ქალაქი, ჩემი სოხუმი, ჩემი ცხუმი, ჩემი დიოსკურია, ჩემი ოცნების ქალაქი... არ თოვდა, მაგრამ მუხლამდე თოვლი იდო. გამიკვირდა.

ამოდენა თოვლი სოხუმში არასოდეს ყოფილა. ზოგჯერ თუ ჩაგვიკრავდა თვალს „სუბტროპიკული თოვლი“, ისეთი, ნაკვალევს რომ ძლიეს დაიტყობს გულზე... და იმ თოვლიანი ორი-ოდე საათის განმავლობაში ცოცხლდებოდა ქალაქი, ყიუინა და მხიარული კისკისი ისმოდა ქუჩებში... მთელი ქალაქი ფოტოებს

იღებდა, რადგან სოხუმს თოვლი ეღირსა და, სანამ გაიპარებოდა ეს თეთრი იდუმალი სტუმარი, უნდა მოესწროთ მისი ალბეჭდვა ფოტოებზე. ისე გადიოდა ხოლმე წლები, რომ ერთი ფანტელიც კი არ ჩამოვარდებოდა, ან თუ მაინც ჩამოწყდებოდა ფიქქები ზღვაარეკლილ კამკამა ზეცას და თუ თოვლი მზისგან გამობარი მიწის ამბორს მოასწრებდა, თბილი სიო დაახვედრებდა თბილ ხელისგულს და ისიც წვიმის ცრემლებად დაიღვრებოდა.

1993 წლის 1 იანვარი... დილის 6 საათი... დანჯღრეული, ნატყვიარი, ალაგ-ალაგ მინებჩალენილი მწვანე მატარებელი სოხუმის ცენტრალურ ვაგზალში ჩამოდგა... და დავუყევით ახალ რაიონის ამდე, სადაც ჩემი სახლია, რამდენიმე კილომეტრია. ახლა გონებაში ვითვლი და ავტობუსის 9 თუ 10 გაჩერება გამომდის. ნინო მე შევისვი კისერზე, თამუნა, როგორც ცოტათი უფროსი და შედარებით მძიმე – ძმამ და დავუყევით ეშბას ქუჩას. ასფალტი მოყინული იყო, ალბათ წინა ღამის მონათვი თხელ ფენად ედო ყინულს. რამდენჯერმე დავეცი, მაგრამ გაკვალული თოვლის გვერდებზე უმტკივნეულოდ ვგორდებოდით მე და ჩემი შვილი. თავზე დაგვათენდა, მაგრამ ადამიანის ჭაჭანება არსად ჩანდა. გავუხვიერ ძერჟინსკის ქუჩისკენ. აქ გზაჯვარედინია. ერთ დროს ხალხისა და მანქანების ნაკადს ვერ იტევდა იქაურობა. ახლა არავინაა და ჭურვებისგან ათხრილი ასფალტი და დამსხვრეული ავეჯის ნარჩენებილა იქცევს ყურადღებას. მივდივართ, მივდივართ... გავიარეთ ე.წ. „ტაქსომოტორი“. ისიც დანგრეულია. ბავშვობაში, სკოლიდან დაბრუნებისას, ავტობუსი რომ გაუვლიდა ამ დაწესებულებას, ვცდილობდი ვეებერთელა ეზოს შიგნით გეომეტრიული სიზუსტით ჭადრაკულად დალაგებული ყვითელი ტაქსები დამეტვალა. ალბათ 200-ზე ნაკლები არასოდეს იქნებოდა. ახლა მორღვეული ღობის მიღმა ღრიჭობიდან სიცარიელე აცეცებდა თვალებს, ალბათ ჩვენი არსებობა აოცებდა.

გავიარეთ ცნობილი კაფე „ვეტეროკი“... და აი, სახლში ვართ... აგრძას ქუჩის 6ა... მეორე სადარბაზო, მეორე სართული, სითბო, მხიარულება, „კერასინკაზე“ გამომცხვარი პურის სურნელი, დაგმანული ფანჯრებიდან სანთლის შუქმა არ უნდა გააღწიოს! ერთი ოთახი პროდუქტებისა და ფქვილის საწყობად ქცეულა, ალბათ გვეყოფა გაზაფხულამდე... მერე? – მერე დიდი იმედი იმისა, რომ მი დამთავრდება და ძველი ბეჭნიერება დაუბრუნდება ქალაქს.

1993 წლის პირველი იანვარი... დილის 6 საათი... დანჯღ-

რეული, ნატყყიარი, ალაგ-ალაგ მინებჩალენილი მწვანე მა-ტარებელი სოხუმის ცენტრალურ ვაგზალში ჩამოდგა... ვყვები მე და მერე დედა განაგრძობს, რომ ჩვენი სადარბაზოს მე-7 სარ-თულზე მცხოვრები ქალი ბომბმა იმსხვერპლა, გვერდითი სახლი-დან 12 ნლის ბიჭს აფეთქებამ ფეხი მოგლიჯა, მაგრამ გადარჩა, საბავშვო ბალს, სადაც თავად მუშაობდა, ბომბი დაეცა, მეორე ბალი კი ისე აფეთქდა, რომ მის ადგილას ადამიანების სიავითა და გულგრილობით გულგაგლეჯილი დედამიწის მოწყენილი თვალი ორმოდან იმზირება. გარდაცვლილებს დამით ან ბინდი-სას ყოველგვარი ზედმეტი რიტუალის გარეშე კრძალავენ, რად-გან თავშეყრილი ხალხი ხშირად ხდება მტრის სამიზნე, ამიტომ ერიდებიან პროცესიების გამართვას. რამდენჯერმე შეკრებილი საზოგადოება ბომბის მსხვერპლი გამხდარა. ჩვენს სახლსაც ეტყობოდა ბომბის კვალი, პირველი სადარბაზოს მე-7 სართული გამოთხრილია. სამი ქალი დილით ყავას მიირთმევდა ამ ჩამონ-გრეულ ოთახში, რომელსაც ჭერზე ფარად დაზავების მახვეწარ თეთრ დროშასავით შერჩენია. ....და სწორედ იმ დროს მოხვედ-რია სახლს ბომბი, სწორედ იმ ოთახში დაღუბულა სამივე...

ის, ვისაც რეალური ომი არ უნახავს, ალბათ იკითხავს, რო-გორ, ომი იყო, ისროდნენ და რა დროს ყავის სმა იყო, რატომ თავს არ უშველესო. ადამიანი თურმე ყველაფერს ეჩვევა. ეს მისი ბუნე-ბრივი ადაპტაციის უნარია, მაგრამ ყველაზე საშინელი მონობას შეგუებული ადამიანია, დღეს ეს უფრო ხშირია... ომის არმნახა-ვთა ბუზღუნიც მსმენია, რას გამორბოდითო აქეთ, განყდნენ ეს მეგრელებიო, საქართველოს გეოგრაფიის არმცოდნე, გაუნათლე-ბელი ყაყანებდა ბაზარში და არც კი იცოდა, რომ მეგრელი ეგრის-ში მცხოვრები ქართველია, რომ აფხაზეთი სხვა კუთხეთა და სამე-გრელო – სხვა, რომ საქართველოს კუთხეებისადმი ქართველთა მიკუთვნება გვარის მიხედვით არ ხდება, რომ არსებობენ კახელი ხვინგიები, მეგრელი ძიძიგურები და კაკაშვილები, გურული ლო-რიები და კვარაცხელიები... რომ ილია ჭავჭავაძემდეც იცოდ-ნენ პროგრესულმა ქართველებმა, რომ არ არსებობს მხოლოდ ქართველი ადამიანი, რომ ყოველი ქართველი ან იმერელია, ან კახელი, ან მეგრელი, სვანი, ხევსური, მესხი... ჩვენ ერთად ვართ ქართველები და ნებისმიერი კუთხის ამოწყვეტა საქართველოს სიკვდილის ტოლფასია... რას გამორბოდითო? ჩვენ კი არ გამ-ოვრბოდით, ბედისწერა მოგვაქანებდა და არავინ იცოდა, სად,

როგორ და რას მიგვანარცხებდა, სად შეგვაჩერებდა... ძალიან ბევრი აფხაზეთში დაიღუპა, ბევრი აფხაზეთის მიწის ნატვრაში გარდაიცვალა, ბევრს დღესაც უგზო-უკვლოდ დააქანებს ბედის ქარავანი. ამ შემთხვევაში „პრძნად მეტყველებაი ვერცხლი არს, ხოლო დუმილი – ოქროი რჩეული, – ვითარცა სთქვა სოლომონ.“ უმჯობესია დავდუმდეთ და საქმე ვაკეთოთ, რადგან არ ვიცით, ხვალ რას გვიმზადებს არსთაგამრიგე.

1993 წლის პირველი იანვარი... დილის 6 საათი... დანჯლრეული, ნატყვიარი, ალაგ-ალაგ მინებჩალენილი მწვანე მატარებელი სოხუმის ცენტრალურ ვაგზალში ჩამოდგა...

ჩემი მეუღლე მერხეულიდან ველოსიპედით ჩამოვიდა, რადგან მანქანებს მხედრიონელები ართმევდნენ, პოლიციელებსაც კი. შინ ვარ, საღამოა და ნაჩქარევად ვაწყობთ შარშან გადანახულ საახ-ალწლო ნაძვის ხეს, უმოქმედოდ დარჩენილი გაზქურის გვერდით ღუმელში ტკაცუნობს შეშა და იმედივით ღვივის ნაკვერჩხალი. ბებია რაღაც ტყბილს ამზადებს... თან გვიყვება: როცა ადამიანები თავხედდებიან და ქვეყნად უსამართლობა, ომი და სიკვდილია, ბუნებაც ბრაზდება და მკაცრდებაო. ასეთი თოვლი და სუსხი არასოდეს ყოფილაო ზღვისპირეთში. 1911 წელს მოსულა აქ დიდი თოვლი და ეს ყველას უკვირდაო. მე მაშინ დაბადებული არ ვყფილვარ, ჩემი მშობლები არაკად ჰყვებოდნენო. კი, ბატონო, ახლა ომია და დააშავეს ადამიანებმა, ღმერთს შესცოდეს, მაგრამ იმ დროს რა ხდებოდა? ალბათ მაშინაც გამოიჩენდნენ ადამიანები სიავეს. ვინ იცის რა ხდებოდა, ალბათ მაშინაც შესცოდეს ადამის ქეთა უფალს. მე-20 საუკუნის გარიურაუსაც არ აკლდა ომი, ბრძოლა, სისხლისლვრა, შური და ღალატი, მაგრამ არც დასასრულს დააკლდება, როგორც ვხედავთო.

– ახალ წელს როგორც შეხვდები, მთელ წელს ისე გაატარებო, ამბობდნენ ჩვენში. მე, ალბათ, სულ გზაში ვიქნები ეს წელი ხო? – ვხუმრობ მე.

– მაშინ ეს წელი ოჩამჩირეში, მატარებელში უნდა გაატარობავშვებიანად, მოგიწყობთ კუპეს... – ხუმრობს ბებია.

ის სითბო და სიყვარული, ბედნიერების მაშინდელი განცდა, ღლემდე მომყვება.

იმ დღეს არავინ გასულა გარეთ, არცერთი მეზობელი არ მინახავს ფანჯრიდანაც კი. ვის ჰქონდა ახალი წლის ძველებურად აღნიშვნის თავი.

1993 წლის 20 თებერვალი: ერთი კვირაა ახლოს სროლის ხმა არ ყოფილა. შორიდან, გუმისთის გაღმიდან აღწევს ხოლმე ავტომატის შორეული კავანი. სადღაც მთებში „გრადი“ გაიშ-ხუილებს და გრუხუნი მოაწყდება ქალაქს. ხალხისთვის ესეც შვებაა. სროლის ხმას არავინ უფრთხის უკვე.

19 თებერვალს ღამით ატყდა ზანზარი, წუილი, გრუხუნი, რუსულმა მიგებმა გადასერეს ცა და დაიქცა და ჩამოიქცა ის ღამე. მთელი ღამე აბაზანაში დაყრილ ქვეშაგებზე გავატარეთ. ეს ერთადერთი ადგილია, რომელსაც ფანჯარა არ აქვს. სხვა ოთახებს კი ლეიბები აქვთ აფარებული აივანზე გამავალი კა-რების მინებზე, რადგან ტყვია მატყლსა და ბამბაში ვერ გააღ-წევს. თუმცა ეს მეთოდი ასაფეთქებლის ნამსხვრევებისგან ვერ დაიცავს სახლს. დილით აივნის კარები გარედან ნატყვიარე-ბითა და ნამსხვრევების ჭრილობებით იყო სავსე. გადაწყდა, დილითვე უნდა გამოვემგზავრო რუსთავში, იქ პატარა ერთო-თახიანი ბინა მელოდება, რომელიც მე-12 მიკრორაიონის მე-9 სართულს მერცხლის ბუდესავით გამოკერებია. ომის საშინე-ლების ექი აქაც იგრძნობა, აქაც საშიშია შეღამებულზე სიარუ-ლი და აქაც შეიძლება წამოგეწიოს ბრმა ტყვია, თუმცა ალბათო-ბა ბევრად ნაკლებია, ვიდრე სოხუმში.

თითქოს ძაძებში ჩაცმულმა გაიღვიძა სოხუმში. ორიოდე მო-ქალაქის ნაბიჯებმა ძლივს აახმაურა ქალაქი. მამაჩემის მან-ქანით გავემართეთ ცენტრალური სადგურისაკენ. ეშბას ქუჩა, რომელიც მანამადე თავს იწონებდა ორსართულიანი ლამაზი კერძო სახლებით, ნანგრევებად ქცეულა. მიგების ბომბებს გა-დაუსწორებიათ იქაურობა. ვჩეარობთ, მივდივართ, მატარე-ბელს უნდა მივასწროთ. სადგურზე გრუხუნი ისმის, მაგრამ მგ-ზავრები მაინც სხდებიან მატარებელში და მე, ორი შვილითა და ბებიის თანხლებით (რომელიც ჩემი ერთადერთი დამხმარე და იმედია), მოვემგზავრებით თბილისისკენ. გვაცილებს მამა, რომელიც, ალბათ იმავე მატარებელით დაბრუნდება უკან.

მატარებელი კვლავ ორი დღე იყო გზაში. ოჩამჩირეს რომ გავცდით, ისევ ატყდა სროლა და მგზავრები კვლავ იატაკზე ვი-წექით გაჩერებულ მატარებელში, მაგრამ ყველაფერი მალე მი-წყნარდა და, თუ შავი იუმორით ვიტყვი, ომისგან „გამოწრთო-ბილემბა“ შეშინებაც ვერ მოვასწარით. ეს ჩვენთვის, სოხუმში განცდილთან შედარებით, არაფერი იყო.

ენგურის ხიდთან დიდხანს შეყოვნდა მატარებელი. ხმა დაირხა, ენგურის ხიდიდან გზას ქობალიას რაზმები აკონტროლებენ და ყველაფერს ამონებენო. დავიბენით და შეგვეშინდა, თუმცა პანიკაში არავინ ჩავარდნილა. ყოველ ვაგონს ორი შეიარაღებული სამხედრო პირი აცილებდა. გამოაცხადეს, არაფერი მოხდება, შემოვლენ და აქაურობას შეამოწმებენო. ამჯერად, დახურული კუპეები ჰქონდა მატარებელს, რომელიც შედარებით ახალი იყო, ვიდრე წინანდელი. კარზე დაგვიკაკუნეს. გამოჩნდა ოთხი სანდო-მიანი ახალგაზრდა პირი, უფრო სწორედ, ორი შემოვიდა კუპეში, ორი – ღია კარის მიღმა დადგა. კბილებამდე შეიარაღებულიაო, ალბათ ასეთებზე ამბობენ. შემოსულები მოგვესალმნენ, წარ-მოგვიდგნენ თავაზიანად. ბავშვებს მოეფერნენ და გაეთამაშნენ, რაღაც ბრჭყვიალა პატარა ბურთიც აჩუქეს; გვკითხეს, რამე ხო მარ გვჭირდებოდა, ვინმემ ხომ არ შეგვანუხა, ან რამე პრობლე-მა ხომ არ გვქონდა. წყალი ხომ არ გინდათო ბავშვებისთვის ან სხვა რამე, რაც შეგვიძლია, ყველაფერში დაგეხმარებითო. ისე შინაურულად და თბილად გაგვესაუბრნენ, გამიკვირდა კიდეც შეიარაღებული ხალხისგან ასეთი მოაყრობა. აშკარად კახური აქცენტით საუბრობდა ორივე ახალგაზრდა. მამაჩემმა ჰკითხა, სადაურები ხართო. გვითხრეს, რომ საგარეჯოელები იყვნენ და ქობალიას ჯარში მსახურობდნენ. – დავალება გვაქვს, აფხა-ზეთიდან თბილისისაკენ მომავალი მატარებლები შევამოწმოთ და ხალხსაც დავეხმაროთ. ჩვენი მატარებლისთვის ბოლო ორი ვაგონი მოუქსნიათ. ერთი „გრადი“ ჭურვებითა და საბრძოლო იარაღით ყოფილა დატვირთული, მეორე – ხალიჩებითა და ტელ-ევიზორებით. იარაღი თბილისიდან აფხაზეთში უნდა შედიოდეს და ამას ხელს არ ვუშლით, მაგრამ აფხაზეთიდან თბილისისკენ ვის და რატომ უნდა მიჰქონდესო საბრძოლო მასალა.

1993 წლის 14/15 მარტი: რუსთავის ფოსტაში დიდი ხნის ლო-დინის შემდეგ რომელიღაც კაბინაში მიხმეს. 10 წუთის ფული გადავიხადე, იმედია მალე არ გამითიშავენ. მცირე, ნაჩქარევი მოკითხვის შემდეგ შორიდან მესმის ოჯახის წევრების ხმა. ბებია და ჩემი პატარა გოგონები ფოსტის დარბაზში ჩუმად სეირნო-ბენ. ბებია ხან დარბაზში ფილაქანის იატაკის ამოცვენილი ფილების „ღრიჭოზე“ გადაახტუნებს პატარებს, ხან ფანჯრებზე მიაქცევინებს ყურადღებას, ხან ქარით აცახცახებულ ხის ტოტე-ბზე, რომელთაც უკვე ეტყობათ დაბერილი კვირტები. დარბაზი

ხალხით არის სავსე, ყველა სადღაც რეკავს, რაღაცას ბუზღუნებს, ჩივის, წუნუნებს, არცერთი ხალისიანი ხმა, სადღაც კუთხეში თუ დაიჭერ სევდიან ღიმილს, რომელიც შეგახსენებს, რომ ქვეყნად მხოლოდ მუქი ფერები და სევდა როდი არსებობს, იმედიც ჭიატებს სადღაც.

დედას ვუკითხავ გრძელ სიას, რომ მჭირდება რაღაც რაოდენობის ჭიქა, საინი, ჩაიდანი, ქვაბი... ჰო, ფერადი ფანქრები და პლასტილინიც ბავშვებისთვის. ვიცი, ახლა ვერსად იყიდის და არც რუსთავში იშოვება, მაგრამ ჩემი კარადის ქვედა უჯრაში გადანახული მქონდა იქ, სოხუმში. აუცილებლად უნდა გამომიგზავნოს... დედა წერს სიას და მეუბნება, რომ აქ საშინელება ტრიალებს, ქალაქი იბომბება... მტერი გუმისთაზე გადმოვიდა. ცოტა ხნით ადრე თბილისმა კიდევ ერთი შეთანხმება დადო რუსებთან და ჯარის ნაწილების უმეტესობა და ისედაც დანჯლრეული ტანკები, ყოველ 5 კილომეტრში რომ შესაკეთებელი იყო, გაიყვანეს, ხალხსაც ჩამოუარეს და იარაღი ჩამოართვეს. გუმისთაზე გადმოსულ მტერთან სოხუმელები რკინის მილებით, ნალდებითა და ჯოხებით გავიდნენ საომრად. ბევრი დალუპულა, განსაკუთრებით უნივერსიტეტის თანამშრომლებს უმარჯვიათ და საკუთარი სიცოცხლის ფასად შეუჩერებიათ მტერი (გული მწყდება, ეს არნახული გმირობის ერთი ფურცელი არსადაა ალბეჭდილი საქრთველოს ისტორიაში). ცოტა ხანს ვჩუმდები, არ ვიცი, რა ვთქვა... მეშინია, ამდენ ძვირფას ადამიანს, ამდენ სიცოცხლეს, მთელ ქალაქს სიკვდილი ემუქრება. დრო გადის... გესმის, გესმის, გაითიშა? – მეძახის დედა და მართლაც მთავრდება გამოყოფილი დაუსაბამო და უსასრულო დროის სატელეფონო საუბრისთვის ჩემთვის გამოყოფილი მცირე ნაწილი.

მერე? მერე რა მოხდა? – გაგრძელება აუცილებლად იქნება. განა შესაძლებელია ომის ქრონიკების ორიოდე სტრიქონში თავმოყრა. მერე? – მერე არმოსახდენი მაინც მოხდა. მერე? – მერე ველოდები დროს, როცა შევძლებ დავწერო: 20?? წლის პირველი იანვარი... დილის 6 საათი... მატარებელი სოხუმის ცენტრალურ ვაგზალში ჩამოდგა... ან თვითმფრინავი ბაბუშერას აეროპორტში დაჯდა... ან მანქანით მივადექი სახლს, რომელიც ამდენი წელია ერთგულად მელოდა და მწვანე ბალახში ჩემი ბავშვობის ნაფეხურების სურნელს სულის კუნჭულში ინახავდა... მნიშვნელობა არ აქვს, როგორ, მე უნდა დავბრუნდე! მე უნდა დავბრუნდე შინ, სოხუმში!



ქრისტინა თოხიძე

## ს პედაგოგი

### დოკუმენტური პროზა

რაც თავი მახსოვს, სულ იმას ჩაგვძახოდნენ, ომი არ გინახავთ და იმიტომ ხართ ასეთი განებივრებულები და, თქვენი ჭკუით, თავისუფლებიო... თავისუფლები რომ არ ვიყავით და ყოველ-დღიურად პროკრუსტეს სარეცელზე გვჭრიდნენ, ამას კარგად აღვიქვამდით მაშინაც... მაგრამ გვჭრიდნენ სხვისი გეგმისა და ბრძანების მიხედვით, ჩვენივე თვისტომნი... თუმცა, შეიცვალა ახლა რამე ამ 30 წლის მერე?! ისევ გვჭრიან და, ერთმა ეშმამ უწყის, ვის მიერ შექმნილ თარგებზე...

მერე ომი კი არა, ომებიც ვნახეთ და ღალატიც... ქუჩის სხვა-დასხვა მხრიდან ძმების მიერ ერთმანეთისთვის ნასროლი ტყვი-ებიც ვიხილეთ და დანგრეული, განადგურებული რუსთაველის პროსპექტიც, თბილისის გული... 50 წლით გასხვისებული ტყებიცა და დავით აღმაშენებლის გამზირზე თურქულ ყაყანსაც მივაჩვით ყური... განადგურებული საყდრისიც და... ახლა რიონის ხეობის დამდგარი ჯერი... მაგრამ ის აგვისტო მაინც სულ სხვა იყო... იმდენად სხვა, რომ საკუთარი ქართველობა და სხვებზე აღმატებულობა კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა! მაგრამ უსუსურობის გრძნობა კი გაგვიჩინა, უსუსურობის გრძნობა! მხოლოდ არა შიშით სხვისადმი მორჩილების უნარი!

ზუსტად იმ დღეს დედულეთიდან ვბრუნდებოდი თბილის-ში. სამარშრუტოში წინ ვიჯექი და გავიგონე, წიფის გვირაბში მძღოლს რომ შეატყობინეს, გორს ბომბავენ და უკან გამობრუნდიო... სურამთან გავჩერდით ერთ-ერთ სასაუზმესთან... დაზა-

ფრულები ვუყურებდით საინფორმაციო გადაცემის პირდაპირ რეპორტაჟს... უხმოდ, თვალებგაფართოებულები შევყურებდით ტელევიზორის ეკრანს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ აღვიქვამდით სიტუაციის მთელ სიმძიმეს. ომი დაიწყო! და თან როდის?! ოლიმპიადის დროს, როცა ტრადიციულად, უკვე დაწყებული სხვა საომარი მოქმედებებიც კი წყდება ხოლმე! ასეა საერთაშორისო კანონებით!

მძღოლმა, მგზავრებთან მოთათბირების შემდეგ, მაინც გადაწყვიტა თბილისისკენ გზის გაგრძელება. არ ვიცი, მშვიდობით ჩააღწიეს თუ არა დანიშნულების ადგილზე. მე სურამში ჩავედი ჩემს ნათლულთან. ნათლიდედას დამსვენებლები ჰყავდა. გზები რომ ჩაიკეტა (და უკვე ჩაკეტილიც იყო, მე რომ მათ ვეწვიე), სამი დამსვენებელი შეგვრჩა, თითოეული სამ-სამი ბავშვით, ორიც ჩვენი გვყავდა და კიდევ ნათლიდედას დისშვილი. ერთი სიტყვით, 12 ბავშვის, 5 ქალისა და ერთი სტუდენტის მოვლაპატრონობა დაეკისრა ჩემს ნათლიმამას... თან ბავშვებში 4 მონიფული გოგონა გვყავდა...

ბაზარიალარ არსებობდა... სასურსათო მაღაზიებიც დაიკეტა... სამხრეთიდან გორის მიმართულებით წამოსული ბომბდამშენები ჩვენი ეზოს შუაგულში იკვლევდნენ გზას ცაში. ტელევიზორში კი დედაქალაქის ტაშ-ფანდურსა და ჩვენი „გამარჯვებული“ პრეზიდენტის ბაქიბუქს ვუსმენდით, რუსეთი დავამარცხეთო... გულზე ვსკდებოდით, უიარალო, ნახევრადშიშველ ჩვენს პირტიტველა ბიჭებს რომ ვხედავდით, რუსი სნაიპერების ტყვიებს გადარჩენილებს... საზარბაზნე ხორცად რომ არ ქცეულიყვნენ, რცხვენოდათ და თვალებში ვეღარ გვიყურებდნენ... ვერ დაგვიცვეს შიშველი ხელებით... ისევ მოსახლეობამ ივაჟვაცა... დაუყვავეს, დააპურეს, ჭუჭყიანი სამხედრო ტანსაცმლის ნაცვლად ნორმალურ სამოსში გამოაწყვეს, რომ დადევნებულ ოკუპანტებს ჩვენს თვალწინ არ ჩაეცხრილათ... მერე სადღაც მანქანებიც გაახაზირეს და შეძლებისდაგვარად ჩამოარიგეს სახლებში. დასავლელებიც გაიყვანეს გვირაბს იქით და თავისი გზით გაუშვეს.

მარიამობის მარხვის დაწყებისას, უფლის ამარად დარჩენილები, ტაძარში შევიკრიბეთ წირვაზე... მოძღვარი ქადაგებისას საქართველოს უნინდელ ძნელბედობებს გვახსენებდა და ბოლოს დაამატა, საქართველო გაბრწყინდებაო... მერე ქალებისა და ბავშვების კოპორტას შემორჩენილი სამიოდე მამაკაცი დაიტოვა ტაძარში რაღაც საქმეების მოსაგვარებლად. გარეთ რომ

გამოვედით, ცენტრალურ ტრასაზე ტანკები მიდიოდნენ დასავლეთისკენ... ნამდვილად მეგონა, ჩვენები ბრუნდებოდნენ...

კვირაცხოვლის ტაძრის შესასვლელი შლაგბაუმებით იყო გადაკეტილი და უკვე იქ ვაპირებდი გასვლას, წინ ტენტგადახდილი „კოლხოზნიკი“ რომ ჩამიდგა. ჩემს უკან ქალები იდგნენ პატარა გოგო-ბიჭებით.

— Нука расходитеесь, — გვიბრძანეს.

ტაძარს გავხედე... წამებში მივხვდი, თუ უხმოდ არ გავეცლებოდით იქაურობას, ჩვენს წივილ-კივილზე მამაკაცები გამოცვივდებოდნენ და რუსები ჩაცხრილავდნენ ავტომატებით...

— პანიკის გარეშე ჩადით ქვედა კიბეებით! — თავიც კი არ მიმიტრიალებია, ისე ვუთხარი ჩემს უკან მდგომებს. თავად ვიცდიდი, ბავშვები გაეყვანათ...

— А ты кто? чивож стоишь! — ახლა მე მიყვირა, ეტყობა, მეთაურმა.

— Уйдут женшины и дети и я уйду! Без паники! — ვუპასუხე მშვიდად და თვალებში შევხედე.

მივხვდი, მარტო რომ დავრჩი და ფეხაუჩქარებლად მშვიდად გავუყევი გზას. მანქანა ჯერ ისევ იდგა, ალბათ, ტაძარში შესვლას თუ აპირებდნენ და ბოლოს, ვეღარ გაბედეს... რამდენიმე წუთის შემდეგ ძალიან ნელა გამომყვნენ. სახლისკენ მივდიოდი და ვფიქრობდი, რომელიმე მოსახლისთვის ხომ არ დამეკავუნებინა ჭიშკარზე და დროებით შემეფარებინა თავი?.. მაგრამ ეს ოხერი ავტომატის ტყვია კილომეტრნახევარზე აღწევს მიზანს და, რომ ესროლათ?! სხვა რაღად უნდა გამეწირა, თუ მესროდნენ?.. მანქანა ისევ ნელა მომყვებოდა.

უკან, მშრალ ხიდთან, სახლისკენ რომ ჩავუხვიე, მანქანამ მერელა მოუმატა სიჩქარეს და დასავლეთიდან მოქროლილმა ნიავგმა ჩემამდე მოიტანა:

— Ну и бабა!

ნამოვდულდი... „ბაბაც ხარ და, ორით მეტიც! თქვენი ქალები არ გეგონოთ!“ — შემოვწყერი გონებაში. აშკარად გაუკვირდათ, რომ ვერ დაგვაშინეს...

ეზოში შესულს ფერწასული და დაზაფრული ნათლიდედა სხვებისგან მალულად დამელაპარაკავ:

— ოქროული ყველას შევახსნევინე და გადავმალე, შენიც მომეცი! ძალიან გთხოვ, შენი ოთახიდან არ გამოხვიდე, მეორე სართულზე იყავი, თუ რუსები აქაც შემოვლენ, გოგონებს, შიდა

კიბით, ზემოთ ამოვუშვებ და წლის ბავის კიბეებით გადადით მეზობელთან... პირველი ორი დღე ჩემს ოთახში შეკეტილი ტანსაცმლიანი ვთვლემდი, დროდადრო... ყოველ გაფაჩუნებაზე აივნისკენ გავრბოდი და ვამოწმებდი, რა ხდებოდა. პირველი სართულის აივნის გარეთ დადგმულ ტახტზე რიგრიგობით მორიგეობდნენ ნათლიდედა და ნათლიმამა... მერე და მერე უფრო გათამამდა ხალხი... ცოტა ამოძრავდა სურამი... ქუჩებში გამოჩნდნენ ადამიანები... ამბობდნენ, ამ სატანკო ნაწილის უფროსი ჩვენთან, სურამის ბავშთა სახლშია გაზრდილი და იმიტომ აკონტროლებს ასე კარგად თავის ლოთებსო... შედარებით სიმშვიდეს ინტერპრეტაციას უკეთებდნენ... ქართველი კაცის ფანტაზიად ჩავთვალე თავიდან, მაგრამ მერე სარწმუნო წყაროებიდან გავარკვიეთ, რომ ეს სრული სიმართლე იყო... მისივე კლასელმა გვიამბო.

რუსების მეთაური ქართულადაც მშვენივრად საუბრობდა თურმე... სურამის ტყეებიც სწორედ მისი წყალობით გადაურჩა გადაწვას... ის ბრძანებაც მისი ყოფილა ლოთობისა და მარადიორობისათვის ადგილზე დახვრეტით რომ ემუქრებოდა თავისიანებს...

„რუსებზე გამარჯვებული“ ქვეყნის მცხოვრებლები კი ტელ-ევიზორში ვუყურებდით დედაქალაქის ზეიმს და მტრის სამხედროების ბრძანების ყაიდით ვცხოვრობდით...

ოჯახში ჩვენთან შემორჩენილი დამსვენებლების თანხლებით შემოვუსხდებოდით ხოლმე საერთო სუფრას და ვცდილობდით, ბავშვები დაპურებულები გვყოლოდა... შიშიც უნდა აგვერიდებინა მათვის, თუმცა, დროდადრო სარდაფშიც ვიკეტებოდით ხოლმე, ჩვენკენ მომავალი ბომბდამშენების ხმას რომ ვიგებდით შორიდან...

ერთ საღამოს, სუფრასთან რომ ვისხედით, დავინახეთ, ცენტრალურ გზაზე მიმავალი ბეტეერი და ტანკი როგორ მიადგა მეზობლის ჭიშკარს... ბეტეერმა ლულა შეყო აგურით ნაშენი ლამაზი სახლის ჭიშკარში... ჯარისკაცები შეუპატიჟებლად შეღაგდნენ ეზოში.

ადგილზე მილურსმულები ვიყურებოდით მეზობლის სახლისკენ. რით გვეშველა?! ჩვენ სუფრასთან მხოლოდ ერთი მამაკაცი იჯდა, ჩემი ნათლიმამა... დანარჩენები ქალები და ბავშვები... უფროსები დავიძაბეთ... გამორიცხული არ იყო, ჩვენც მოგვდგომოდნენ... ვინ მოგვცემდა გარანტიას?! ჯარისკაცები მალევე

გამობრუნდნენ სურსათ-სანოვაგით ხელდამშვენებულები... ეგნატე ნინოშვილი და გურიის „ეგზეცია“ გამახსენდა...

— მაგათ ავანიოკებინებდი შვილიშვილებს და ფერებფერებით ნაშენებ სახლს დავანგრევინებდი?! მივეცი, რაც მთხოვეს და გავისტუმრე! — უთქვამს იმ ოჯახის უფროსს. სამაგიროდ, ერთი საათის მერე ჩვენთან მოსულმა მოხუცმა კარის მეზობელმა გაჭორა ის კაცი, აქაოდა, მტერს როგორ მისცა სურსათ-სანოვაგეო. ეტყობა, სახეზე დამეწერა, რასაც ვფიქრობდი. შემომხედა და, გაჩუმდა...

— თვითონ დაპატიჟა საკუთარ სუფრასთან თუ? შეუცვივდნენ და წაიღეს! ღმერთმა დაგიფაროთ და, თქვენთანაც რომ მოსულიყვნენ, ყველაფერს გაატანდით! — ვერ მოითმინა ჩემმა ნათლიდედამ.

ტანკისა და ბეტეერის ლულით კი არა, დანის მუქარითაც კარგად გაგფცევნიდნენ, ქალბატონო! — გავიფიქრე, მაგრამ ვერა შევკადრე რა მოხუცებულს.

ჩვენ კი, ჯერ ისევ მეზობელთან რუსების სტუმრობის არდას-რულებულ სურათს ვუყურებდით... სუფრაზე ბუზის გაფრენის სმაც კი ისმოდა... ჩემი ნათლული პირველი მოვიდა აზრზე.

— დედა, აქაც რომ მოვიდნენ?! — იკითხა სასონარკვეთილი სმით.

— მოვლენ და თქვენ წამოგყრით სუფრიდან და მაგათ დავსხამ! შიათ მაგათაც! — უპასუხა დედამ სრულიად მშვიდად.

— მერე, ჩვენ რომ დაგვერიონ?! — არ ცხრებოდა გოგონა.

— ნუ გეშინიათ, აქ არ ვართ დედები?!

— მერე, ნათლიაჩემი?!?

— ნათლიაშენს ერთი თავი აბარია და როგორმე მიხედავს თავს! — გამომიტანა განაჩენი.

დავაპირე, მეც რამე ისეთი მეთქვა, სიტუაცია ოდნავ მაინც რომ განძემუხტა. — უყურე შენ, ჩემთვის როგორ ვერ...

სიტყვა პირზე შემაშრა... ნათლიმამა ადგილიდან წამოხტა, სწრაფად გადაჭრა ეზო და თავდალმართზე დაეშვა. შეგვეშინდა, გულში რა ედო, არავინ იცოდა...

— გადაირიე?! — მივუბრუნდი ნათლიდედას, — საკუთარი უსუ-სურობის შეგრძნებამ, ჩვენი დაცვა არანაირად რომ არ შეუძლია, ლამის ჭკუიდან გადაიყვანოს კაცი და შენ და შენი შვილი კიდევ ცეცხლზე ნავთს უსხამთ?! კაცი ლამის გათავდეს და... — ჩავიქნიე ხელი...

— ტყუილი ვთქვი რამე?! — მიპასუხა მშვიდად და მაგიდის ალ-აგებას შეუდგა.

ბავშვები ისე უხმოდ თამაშობდნენ ეზოში, რომ არ დამენახა, ვიფიქრებდი, დასაძინებლად წავიდნენ-მეთქი. უფროსები თან მაგიდას ვალაგებდით, პროდუქტებსა და მაცივარში დარჩენილ საკვებს ვამოწმებდით და ვახშამზე ვფიქრობდით.

— ლობიო, ფქვილი, კონსერვები და კომპოტები ერთი კვირის სამყოფი კიდევ გვაქვს სარდაფში! მერე ღმერთი მოგვცემს! — გამოგვხედა დიასახლისმა სამზარეულოდან.

ნამდვილად მშურდა ჩემი ნათლიდედის სიმშვიდის...

დალამდა. კომენდანტის საათიც დაიწყო და, ოჯახის უფროსი არ ჩანდა. მობილურზეც არ გვპასუხობდა... შიშს ყველა ვმალავდით. სახლის მეორე სართულის საკუთარი სათვალთვალო პუნქტიდან თვალი იმ გზისკენ მეჭირა, საიდანაც ნათლიმამა უნდა გამოჩენილიყო. გავიდა ორი საათი, სამი... არ ჩანდა... აღმართის ბოლოში, ჩვენი ეზოს ზემოთ რუსებსაც ჰქონდათ სათვალთვალო პუნქტი... ლამის ხედვის აპარატებით გვზვერავდნენ... სროლის უფლებაც ჰქონდათ, რაღა თქმა უნდა... ნათლიდედა აივანზე სცემდა ბოლთას... ის იყო, თავები დავიმშვიდეთ, კაცი ბიძაშვილებთან დარჩა ალბათო, რომ მისი მჭექარე სიმღერის ხმა შემოგვესმა ქუჩის ბოლოდან: „თავს არ მოიკლავს ქართველი, არა!“ სიმღერ-სიმღერით უახლოვდებოდა ეზოს. მეზობლებთან ფანჯრები განათდა...

დღესაც არ მახსოვს, როგორ ჩამოვედი მეორე სართულიდან, კიბით თუ მეხანძრესავით — მილით... ნათლიდედა და მე ერთ-დროულად გავჩნდით ჭიშკართან.

— გაგიუდი, კაცო?! მადლობა ღმერთს, რომ არ გესროლეს!

— კიდევ მე გავგიუდი?! შენ რა დღეში იყავი სადილად?! — ამოაყოლა დაგროვილ ბოლმას ნათლიმამამ.??

სახლში უხმოდ შევედი, ერთმანეთს შევატოვე ცოლ-ქმარი...

არც იმ ლამით მძინებია... ანდა, რა დამაძინებდა?!

ჩვენს თაობას ხომ ომი არ უნახავს... თუმცა, ჩვენი ყოველ-დღიურობა ბრძოლაა გადარჩენისთვის და, რაღა თქმა უნდა, ომია, აბა, რა ჯანდაბაა?



კულტურული განვითარები

## გელი არ გერდებს

რკინიგზის სადგურის დაცარიელებულ დარბაზში აქა-იქ გა-  
ფანტულ სკამებზე ჩაფიქრებული მგზავრები ისხდნენ, ზოგს  
ჩასძინებოდა კიდეც.

— ვარლამ ბატონის გაუმარჯოს! — მიესალმა ახლადშემოსული  
მგზავრი ჩემს წინ სკამზე მჯდომ მოხუცს და გვერდით მიუჯდა.

დამხვდურს სალამზე პასუხი არ გაუცია.

— გძინავს, კაცო? — ჰკითხა მოსულმა ვარლამს და მხარზე ხელი  
მოუთათუნა.

მძინარე შეკრთა და გაიღვიძა.

— რა ხდება, ვარლამ, ხომ არ დაბერდი, ბიჭო?!

— ტარიელ, ეს შენ ხარ? — იკითხა ახლადგამოღვიძებულმა.

— მე ვარ!

— ჴო, ჩამძინებია, აბა!

— ფრთხილად იყავი, ვარლამ, ფრთხილად!

— ვითომ რატომ უნდა ვიყო ფრთხილად, რამე მაქვს მოსაპარი  
და მომპარავენ თუ...

— გაგექცევა! — ყურში ჩასჩურჩულა მოსულმა მოხუცს.

— კარგი ახლა, შენ რომ გგონია, მთლად ისე კი არ არის საქმე...

— საქმე როგორაა არ ვიცი, მაგრამ რაც ის ქალი აგარაკზე  
გადმოსახლდა, შენ რომ დაგკარგე, ეს კი კარგად ვიცი.

— რაღა დროს ჩემი ეგეთებია, კაცი უკვე მერვე ათეულს მოვ-  
ითვლი.

— ხომ გაგიგონია, ვარლამ, სიყვარულმა დრო და ასაკი არ იცი-  
სო, — თქვა ტარიელმა და ეშმაკურად ჩაიღიმა.

— ენას კბილი დააჭირე, ნუ მოსდებ სოფელს ამ ამბავს.

— მე არ მოვდებ, მაგრამ გახსოვდეს, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო. ღამდამობით რომ გამოძრები ხოლმე შენი ჭიშკრიდან და ცუნცულით მიუყვები გზას მარინესაკენ, როგორ გგონია, ვერავინ გხედავს?

— ნუ დამძრახავ, ძმაო, ყველაფერი მარტოობის ბრალია.

— მართალი ხარ, ვარლამ. მარტოობამ ფიქრი იცის და მონატრებაც, ალბათ მოგენატრა შენი ახალგაზრდობა და გული აგიყუნცულდა. ასეა, არა? — თქვა ტარიელმა და ჩაიცინა.

— რატომ დამცინი, ტარიელ? შენც ხომ ჩემი კბილა ხარ და ნუთუ ამდენ ხანს ვერ მიხვდი, რომ ადამიანის გული არასოდეს ბერდება?

საუბარში გართულ მოხუცებს სადგურზე კივილით შემოსულმა მატარებელმა გააწყვეტინა ბაასი. მისი შემოსვლის შემდეგ ვარლამს ფანჯრისათვის აღარ მოუცილებია თვალი. ბაქანს გასცეკროდა, ეტყობოდა, მომსვლელთა შორის ვიღაცას ეძებდა. მატარებელმა დატოვა თუ არა სადგური, მოხუცს მოწყენილობა დაეტყო, ხმას აღარ იღებდა და ტარიელის კითხვებზე ესლა ჰქონდა პასუხად: ჰო და არა.

— რა მოგივიდა, ვარლამ? — ჰკითხა შეცბუნებულმა ტარიელმა მეგობარს.

— არაფერი! — იყო მოკლე პასუხი.

— მაშინ თქვი, შე კაცო, რამე. აქამდე ასე სიტყვაძვირი არ ყოფილხარ.

ვარლამმა მეგობრის კითხვას არ უპასუხა და მოსაცდელი დარბაზის კარს გახედა, საიდანაც მისივე კბილა ილარიონი შემოდიოდა.

— ილარიონ! ილარიონ! — გასძახა ვარლამმა.

— ვაჲ, ვარლამ, აქა ხარ?

— ჰო, მატარებელს მოჰყევი?

— დიახ!

— ის ხომ არ გინახავს მატარებელში?

— კი, შევნიშნე. ეს წუთია გასასვლელში გავიდა. ჯერ არ ექნება სადგურის წინა მოედანი გადაკვეთილი.

— მართლა?! — შესძახა მოხუცმა და ახალგაზრდული სიმკვირცხლით დარბაზიდან გავარდა.

გახარებულ მოხუცს თვალი გავაყოლე.

## ცოდნული დებულების მიზანი

— რა ხდება, შვილო? — მკითხა, ღამის ორ საათზე ჩემს საძინებელში შემოსულმა მამამ.

— არაფერი არ ხდება, უბრალოდ, არ მეტინება და...

— ვითომმ?

— დამიჯერე, მამა, მართლა არაფერი ხდება.

— თუ შენი საიდუმლო მარტო შენ გეხება, შეგიძლია არ გამიმხილო, — მითხვა მამამ, — მერე ჩუმად ქვეშ-ქვეშ ჩაიცინა, ჩემს სახეზე ახლადწამოსულ ღინდლს შეავლო თვალი, კითხვით კი არაფერი უკითხავს, კარისაკენ შეპრუნდა და ის იყო, უნდა გასულიყო, რომ ჩემი ხმა დაეწია.

— მამა!

ის სწრაფად შემობრუნდა ჩემკენ.

— მამა! შენ რომ ფიქრობ, საქმე ისე არ არის, მე წერილს დედასთვის ვწერდი.

— წერილი რა საჭიროა, როცა ასე ხშირად უკავშირდებით ერთმანეთს?!

მამისთვის კითხვაზე არაფერი მიპასუხია, ახლად დაწერილი წერილი ავიღე და უხმოდ გავუწოდე.

— წავიკითხიო?

— რა თქმა უნდა...

— ხმამაღლა?

— როგორც შენ გსურს.

— „დედა! — ხმამაღლა დაიწყო კითხვა მამამ, წამიერად გაჩუმდა და ისევ განაგრძო კითხვა თავიდან. — დედა! ახლა აქ ღამის პირველი საათია, ყველას სძინავს ჩემს გარდა. მეც მეძინა, მაგრამ შენ გნახე სიზმარში და სიხარულისგან გამომეღვიძა. ზუსტად ისეთი იყავი, როგორიც გაგაცილეთ. ისევ ის ტანსაცმელი გეცვა, რომლითაც სამშობლოდან წახვედი.

დედა! შენ კი იყავი ისეთი, როგორიც მე მახსოვხარ, მაგრამ აქ, შენი წასვლის შემდეგ, ყველაფერი შეიცვალა. მე, შენი გაცილებისას მხარზე რომ ყვავდი დასკუპული ჩვენი მეზობლის ლევანას, გავიზარდე, ალბათ, სექტემბერში, სკოლაში მისვლისას, წვერი მექნება გაპარსული. დედა! ჩემს ცხოვრებაში სხვა რამეცაა ახალი, მაგრამ ახლა არ გაგიმხელ, შენი ჩამოსვლისას უნდა გამცნო.

ხომ გახსოვს, ჩვენს ჭიშკართან, შენი წასვლის წინა დღეს, მამამ ბლის ხე რომ დარგო? რა თქმა უნდა, გახსოვს. აბა, რა და-გავიწყებდა, როცა დღე და ღამე აქაურობაზე ფიქრობ. ჰოდა, ის ბლის ხე იმხელა გაიზარდა, რომ ზედ ასვლა გვიჭირს ჩვენუბნელ ბიჭებს. კარგი ჯიშის კი გამოდგა დალოცვილი.

დედა! გუშინ პირველად მოფრინდნენ ჩვენი მერცხლები. მოფრინდნენ და აახმიანეს მთელი უბანი. ჩვენ ძროხასაც შეეძინა ხბო, ძალიან ლამაზია, მაგრამ რად გინდა, ახლოს არ გვიკარებს არავის, სულ დაკუნტრუშობს.

დედა! მერცხლები დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში, შენ როდის დაბრუნდები?!“ – ეს წერილი დედას უნდა გაუგზავნო, შვილო? – მკითხა მამამ.

– არა!

– მაშინ, რატომ დაწერე?

– წერილებს ჩემს ფიქრებს ვანდობ ხოლმე. – ვუთხარი მამას და დედასთან მიწერილი წერილების დასტაზე მივანიშნე.



უძრავი ტექსტი

## აზეთებება გზები

სიტყვები ქვანასროლ ჩიტებივით ფრენდნენ – სწრაფად და მძიმედ, სწრაფად და მძიმედ. ჩიტებისთვის თითქოს ხეებიც გაეკაფათ და უსუსურ ფრთებზე მდუღარე მზე უონავდა... ხელებში სისველე ვიგრძენი...

გაკვეთილი ჩვეულებრივად მთავრდებოდა. საქმეთა მმართველმა ყველა პედაგოგი გააფრთხილა: – გაკვეთილის მერე სამასწავლებლოში მობრძანდით, თათბირია!

თათბირებს თანამშრომელნი მიჩვეულნი იყვნენ, ხშირად იმართებოდა, ისინი ხან ჩატარებულ ღონისძიებას ეხებოდა, ხან – ჩასატარებელს, საორგანიზაციო საკითხებს, სიახლეებს, მიღწევებს (მიღწევები სკოლას ნამდვილად ჰქონდა). დირექტორის ორატორული ნიჭის წყალობით თათბირები დიდხანს გრძელდებოდა.

დირექტორი შუახნის კაცი იყო. გარეგნულად ტიპიური ხელმძღვანელისთვის შეიძლება ვერც კი მიგემსგავსებინათ – სახეზე დაღივით არ ესვა სიმკაცრე, თანამშრომლებს მოზომილად, თავის მძიმედ დაკვრით არ ესალმებოდა, პირიქით, მოკრძალებაც კი იმზირებოდა მისი თავფლისფერი თვალებიდან.

სამაგიეროდ, დირექტორს ერთგული ძალლივით სდევდა სიჯიუტე, საკუთარი პოზიციების სისწორეში მუდამ დარწმუნებული იყო და ყოველგვარ სხვა აზრს მჭრელი მახვილივით ხვდებოდა. თანამშრომლები მალე დარწმუნდნენ, წამოსულ სეტყვას (თუკი ასეთი რამ ოდესმე იქნებოდა!) შესაფერისი ქვა რომ დახდებოდა და ოქროს დუმილს მიეჩივნენ.

ყველა სიახლეს ეჭვით მაცქერალი მეტი ჰყავს, ვიდრე მომხრე და დამფასებელი, დირექტორს კი სიახლეები განსაკუთრებით უყვარდა, სიახლეს ისე აჰყვებოდა, როგორც თევზი წყალს. ეჭვით მაცქერალ თანამშრომლებს მღვრიე წყალშიც აიყოლიებდა და მალე სკოლა ქალაქში კი არა, მთელ ქვეყანაში გახდა ცნობილი. აქ მოხვედრაზეც ბევრი ოცნებობდა. ამსკოლეობა ბევრს ეამაყებოდა.

მართალია, ხელფასი ევროპულ სტანდარტებს ჩამორჩებოდა – პედაგოგების უმეტესობას თვიდან თვემდე თავი ძლივს გაპქონდა, სამაგიროდ, მათი მატარებელი ევროპულ რელსებზე იდგა – ბევრი რამ აითვისეს, ბევრი რამ ახლებურად დაინახეს, გაიაზრეს და ბოლოს და ბოლოს, მარტო ხელფასისთვის ხომ არ შრომობს მასწავლებელი?!

დროის მდინარემ კალაპოტი, მართლაც, ბევრჯერ იცვალა. მასწავლებელი მპრძანებლურად, ხელში ჯოხით აღარ დადიოდა, ბავშვებს მოწინავე მოსაზრებებს თავს არ ახვევდა, აზროვნებას ასწავლიდა. ისინიც გათამამდნენ, უდედოდ დარჩენილი, დამფრთხალი კრავებივით აღარ გამოიყურებოდნენ, თავდაცვაც შეეძლოთ და...

სამასწავლებლოს კარი წამდაუწუმ იღებოდა. ოთახში დალლილი პედაგოგები შემოდიოდნენ. გარედან სიცოცხლით სავსე ბავშვების ხმაური ისმოდა.

სკოლის წინ მდგარ ხის ტოტებზე ქარი შემომჯდარიყო. ქარი მღეროდა თუ ხარხარებდა, დაკეტილი ფანჯრებიდან არ ისმოდა. მხოლოდ ის ჩანდა, რომ ხეს მუხლები უკანკალებდა. ვინ იცის, გახელებული ქარი როდის მოისურვებდა ძირს ჩამოსვლას!

ბავშვის შეურაცხყოფისთვის სკოლა მეოთხე პედაგოგს ათავისუფლებდა სამსახურიდან.

– შეურაცხყოფების ჩამოთვლა აქ უხერხულია... სხვა გამოსავალი არ გვქონდა...

უცებ კოლეგების ხმაშ ტყეში დარჩენილი კაცის ექისავით დაიარა:

– მართლა?!

– როგორ?!

– როდის?!

— ვინ?!

— სხვა გზა რომ იყოს, პირველი ვიბრძოლებდი. — ირხეოდა სინანულნარევი ხმა.

კოლეგებმა ერთმანეთს უმწეოდ გადახედეს. თვალწინ წარმოუდგათ ენერგიული, ენაწყლიანი, თვალებში ცეცხლანთებული პედაგოგი. აბა, გაკვეთილზე რა ხდებოდა, შორიდან ვინ რა იცოდა?!

ბრალდებული მასწავლებლის მოწმენი მხოლოდ პირველკლასელი მონაფეები იყვნენ, თუმცა, პედაგოგს ბრალდებები არ მოასმენინეს, მის გულს გაუფრთხილდნენ...

## ზენო

ის იყო, ნისლი ზმორებით წამოდგა ხევებიდან, რომ ზემოთ ავიხედე — აღმართზე მაღალი, შავებში ჩაცმული ქალი იდგა, კაბა და მანდილი უფრიალებდა. ჩამწყდარი ხმა თავისით მომივიდა:

— ზენო მოდის, ზენო! ბებიაა!

— გვიშველეეთ!

ქორდარეული წინილებით ავკანკალდით. ძლივს ავალწიეთ შინ. ბებიამ არაფერი გვითხრა...

ზენო ახალგაზრდობაში ისეთი ლამაზი ყოფილა, თილისმა შეუბამთ, აქაოდა, თვალი არ ეცესო. ოჯახი რომ შექმნა, შვილები დაზარდა და მეუღლეც იმქვეყნად დააბინავა, სხვანაირი გახდა... ამბობდნენ, ჭკუიდან შეიშალაო. ისე, არავის არაფერს უშავებდა, არც რაიმეს ითხოვდა, არც თავის აზრს ახვევდა სხვებს თავზე ტომარასავით. აქეთ-იქით კი დადიოდა, ბევრს დადიოდა, თითქოს რაღაც დაკარგულს ეძებდა...

დაკვირვებული ვარ — ღრმა თვალებს ღრმა მდინარესავით გაურბიან ადამიანები, ჩაძირვის ეშინიათ, ასეთი თვალები ჰქონდა ზენოს, ხეებს უყურებდა, ჩიტებს, წინ შეხვედრილ ადამიანებს. ჩუმად იყო და თვალებით მეტყველებდა.

ერთ დღეს ჩვენს ჭიშკართან გამოიარა. ეზოში არ შემოსულა. ბებიამ ცხელი პურები გამოუტანა. ზენო იქვე, დიდ ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა მოკრძალებულად. კალთაში შხამიანი სოკოები მოეგროვებინა.

— შხამიანია, ზენო, არ გაწყინოს. — ფრთხილად უთხრა ბებიამ.

ზენომ თხოვნა მორჩილი ბავშვივით შეასრულა. მშვიდად პასუხობდა იქვე შესწრებულ მეზობლებს. მერე ადგა და თავისი გზით წავიდა.

იმ დღიდან ზენოს ნაჯდომ ქვას გვერდს ვუქცევდით, თუ დაგვავიწყდებოდა, ერთმანეთს ვახსენებდით:

— სად ჯდები, სად? მანდ ზენო იჯდა.

მერე წვიმებმა რამდენჯერ გადარეცხეს ზენოს ნაჯდომი ქვა.

ახლა ჭიშკარს რომ გამოვხსნი და იმ ქვას გადავხედავ, ან ზედ დავდგები, გული მიჩერდება...

სვენებ-სვენებით, მოხუცი კაცივით ამოუყვა ახლაც მთებს ნისლი, უკან მივიხედე — ცუგა მომყვებოდა. მერე ჩემი გზა უსიტყუოდ გამოიცნო და წინ გამისწრო...



კარა მჭრელი

## ჭარბი შესახებ

თოვლია. გასაკვირი და უჩვეულო სითეთრეა ამ ადგილისთვის. ძლივს ემჩნევა ნაფეხურები... გრძელი, წყვდიადისფერი კაბის ბოლო ცდილობს, არ დატოვოს ნაკვალევი. სისინებს ქარი და ისიც ცდილობს, შავ თავსაბურავში შეფარებულ სახეს მიეახლოს შორიდან მოლწეული ჭორი... მკერდს ოდნავ შორდება ჯვარი და ქარს აშინებს. დედა პარასკევა კელიამდე მიაცილა სიცივემ და გამობრუნდა...

ღუმელში მიტოვებული შეშა დასჯილი ბავშვივით დადუმდა. მონაზონმა ასანთის დიდი კოლოფი მოძებნა და ერთხანს თავშეკავებული ცრემლი გამოათავისუფლა. ხელის კანკალით გაჰკრა ასანთის ღერი კოლოფის გვერდს და თითქოს ყველა მოგონების დასაწვავად ააგიზგიზა ცეცხლი. კედელთან ვიწრო საწოლი იდგა, ფითქინა, გახამებული მაქმანებიანი თეთრეულით. იქვე, ჩარჩოზე მიმაგრებული მოზაიკური შუშა, სევდით შელენილი, აფორიაქდა და დაიწყო ამბების მოყოლა...

პარასკევა ჯერ კიდევ ოცი წლის გოგონა იყო, როცა გრიგოლ ლეოპარდს შეუყვარდა, მაგრამ ეს ვიღაცისგან გაიგო და თვითონ ბიჭი, სირცხვილისაგან აწითლებული, ყოველთვის გაურბოდა და ხან ერთ სოფელში გადაიკარგებოდა კვირების განმავლობაში და ხან... ღვთის განგებას ვერავინ და ვერასოდეს ამოხსნის უბრალო მოკვდავთაგან, რატომ ვერ შეძლეს ახალგაზრდებმა ერთმანეთთან მიახლებაც კი, დრომ ჩაიტანა იდუმალების ნანგრევებში, ცხოვრებამ, ანდროგენს ატეხილი სხეულივით, ქვეყნის სხვადასხ-

ვა მხარეს მოისროლა ახალგაზრდები. ხელისგანვდენაზე მყოფი ბედნიერება ადგილზე დარჩა და როგორც ხდება ხოლმე, დროის ხრახნისმა ყველაზე არასასურველ კედელზე მიამაგრა. ორივეს ყველაფერი დაენგრა, რაც კი აშენეს, სახლიც, ოჯახიც, თვით სიყვარულიც...

ოცი წლის მერე, ერთმანეთს ხალკიდიკის მიმავალ გზაზე, ბენზინგასამართ სადგურზე შეხვდნენ. პარასკევა თეთრ კოსტიუმში იყო გამოწყობილი, ესტერ ლოუდერის მანდარინისფერი ტუჩ-საცხი ბუტია ბაგეებს ულამაზებდა, თვალები ეგეოსის ზღვისფრად ანათებდა, გული ამოვარდა სამკერდე ქოხიდან და რიგორის ქოხთან ჩამოდგა. იქ ძალიან მუქი ოთახი დახვდა. ქალის ქუსლმოტეხილი ფეხსაცმელი, წაბილწული წვივსაკრავი, ჩამოდგა გული მეორე გულის კართან და არავინ შეუშვა, კაცს გლოვისფერი ზედატანი როლინგის საყელოთი, ისედაც სიცხიან დღეში სულს უხუთავდა. ზღაპრული კაის გმირივით, თვალში სარკის ნატეხი ჩავარდნოდა და გონებას არცვი ახსოვდა, თუ ოდესმე უყვარდა...

ახლა უკვე ქალი და მამაკაცი ერთმანეთში ცვლიდნენ სურნელს და როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ ტელეფონით შეხმიანდებოდნენ ნატკენ და ზურგის ტკივილად ჩასერილ წლებზეც, თითქოს ყველაფერზე, მაგრამ არასოდეს სიყვარულზე.

ერთხელაც, ნაბახუსევზე წამოსროლილმა ფრაზამ: „მე მონასტერში წავალ!“ ცის ზეწარი გახია.

გაჭირდა გათენება. პარასკევა დილას ელოდა, სახლში რომ მიეკითხებინა ახალგაზრდა კაცისთვის. ყურმილს ალარავინ პასუხობდა და მისამართიც არ იცოდა. ისევ დაკარგა... ისევ აეკრძალა ოცნებები! ისევ გაჩერდა კედლის საათი! ერთ წელზე მეტს ველარ გაუძლო და წავიდა წმინდა მამის მონასტერში, ჯერ მორჩილად იდგა. მრევლს რომ გაისტუმრებდნენ, ბერის საფლავთან მიდიოდა და ევედრებოდა, მოეცა ძალა გაძლების, მონატრების დათრგუნვის, გულისთვის აბჯარასხმის... მოთმენითა და დამენით მონაზვნად ალიკვეცა და თავის პატარა კელიაში ართავდა ნისლებმორეულ ფიქრებს. ხატვა დაიწყო. მინაზე ფერები მიასხა და ბიბლიური დავითს სალამურით მუსიკალობდა ყველა ყვავილი, პეპელა, ჭიამაია ქალბატონი, მადამ ღალანია ცისფერი გალ-

იით, სევდიანი ართა, სარკმლიდან გამოქცეული ჩიტები, თეთრი ანგელოზი, მუხლზე ჩამოჩაჩული წინდებით დაზოლილი პეპი მოგზაურობდა უცნაური პალიტრით. ახლაც, მოზაიკურ შუშას ათვალიერებდა. ველურად მოცეკვავე ვარდისფერი ფლამინგოები ცეცხლს აფრქვევდნენ, ღუმელში შეშა ატკაცუნდა, თითქოს წინაღობა დაძლიერს... ცრემლების დამალვას აღარ ცდილობდა, შორიდან ისმოდა: კირიე ლეისონ!.. სკივრიდან თეთრი სამოსი ამოილო, გამხმარი მარწყვის ფესვი და არავისთვის გასაგებად რაღაც თქვა... გარედან თოვლის ხმა ისმოდა, მძიმე ნაბიჯების ხმა, მძიმე, მაგრამ არა უხეში, კარებთან გაწყდა ხმაური. პარასკევა უეცრად შეტრიალდა, ჭრელი შეშა გადმოვარდა და დაილენა... კარზე ფრთხილად დააკაკუნეს... პარასკევას თითებიდან სისხლი წვეთავდა, ტკივილი არ ახსოვდა, შიშისაგან აკანკალდა, კარი დამძიმდა გაღებისას... ზღურბლთან ჩვენი დროის გულივერი იდგა, ძლივს ამოილულლულა: „ჩემი ბრალია!“

ჩიტები გალიდან გაფრინდნენ, ცეცხლი გაველურებით ისროდა ნაპერნ კლებს... გლოვისფერი სილუეტი ვედრებად გაქვავდა. სიზმარი გაიქცა!

## მზე ჩამოვარდა

ჰო... აქრალაც უცნაური ხდება, მაგრამ არა, ვერამოსახსნელი... სადღაც შორეული სიბნელის ღრმა, დამაბრმავებელი წიაღიდან გამოვარდნილი ველური სისასტიკე აწყდება კაცობრიობის ყველაზე მშვიდ და ნათელ მონაპოვარს, რწმენის კედელს და უშნობრახუნით ცდილობს წმინდა კარიბჭის დალენვას.

მზე ჩამოვარდა თითქოს და გაშავფერდა რომიც, ვატიკანიც, მილანიც... ესპანეთს სულის ჩუქურთმები შემოატეხა და ადამიანები ტოვებენ ერთმანეთს, იხოცებიან უპატრონო მოხუცები...

ინგლისელებმა ნისლებს შეჩვეული ცხოვრება შეიფერეს, დედოფალი ელისაბედი ბუკინგემის სასახლეს გაარიდეს და საკუ-

თარი თავის იმედად დარჩნენ... საფრანგეთს ნოტრ-დამის ცეცხლმოკიდებული ჭრილობა აეწვა და ცრემლად იქცა უთვალავი ვერგადარჩენილი სიცოცხლის გამო...

ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენილი ამერიკა წარმოუდგენლად მედგრად დგას ისევ და ცდილობს, სიბნელეს გადაურჩეს...

და ერთ პანაზინა ქვეყანაში, სადაც მზისა და მთვარის ალერში გახვეულა ყოველი მოკვდავი, ტაძრის ჩუქურთმას ჩაჰელია ღმრთისწილი ფიქრი და ფიფქისფერი მტრედი, სულინმინდის უსასრულო გაგრძელება ენივთება ლოცვას ქართულს...

აქ სხვანაირად უყვართ, ახლა ყველა ერთად მუხლმოკეცილა და მოდრეკილა საუკუნეთა უწინარეს არჩეული ქრისტე ღმერთის წინაშე.

აქ ლოცულობენ დედამიწის, ადამიანების, ბუნების და ბოლოს, საკუთარი თავის გადასარჩენად...

უფალს ამბად წაუღებს თეთრი მტრედი, რომ ამ პატარა საქართველოში სიძულვილი არ უსწავლიათ, რომ სიკეთის ჯაჭვი შემოავლეს სარტყლად ქვეყანას და უერთმანეთოდ სიცოცხლე არავის უნდა!

გარინდულა ოქროსფერი ტაძარი და ტკბილი გალობა სერავს ფირუზისფერ ცის თაღს...

ვადიდოთ უფალი!

განვუფინოთ გული ჩვენი მაცხოვარს და შევავედროთ ჩვენივე ხელით გაბზარული სული...

ღმერთი სიყვარული არს! სიკეთე და უბრალოება... მომეცით ხელი, არ გამიშვათ, ერთად დავუხვდეთ უფალს!

გადავრჩებით!

სურვილი, შესაძლოა, ყველაზე გამჭვირვალე ქსოვილს მიანდო და გაჩუნდე... უამრავ სიტყვას ვამბობთ და ყველაზე ძვირფასს იშვიათად... სამყარომ იგმარა იდუმალება და ცდილობს, საუკუნევისი სილამაზეები გაცხადდეს. ჩვენ უფრო ვრთულდებით და ვიღლებით.

უამრავ დღეს ვიგონებ, ვხატავ და ვეფერები, არ ვიცი, სადამდე?! არ მესმის სიტყვა ძველით და ახლით... ახალი წელია, საჭირო და საიმედო, ვიცი, რომ შარშანდელივით არაფერი არაა, ვეღარციენება. რაც არ მინდა, დავტოვე. ეს არ მაშინებს ახალი ფიქრე-

ბი მაქვს, მიზნებიც, შედეგებიც განსხვავებული იქნება. მოსათ-მენად და დასათმენად ვეღარ ვიმეტებ ჩემს თავს. მთის წვერზე თეთრი და მყუდრო კედელია, ვერგამხელილი სიტყვა მივაპარე, იქ მარტო არ დავბრუნდები!

თაფლის სურნელად დაიღვრება ათონის საკმეველი, ოქროს-ფერი ლითონი მორკალავს გონებას...

თეთრ შიფონზე ვარდისფერი ყვავილები ხავერდით ამოიქარგება და გობელენივით გაუცხოვდება... მომაწოდეთ ჩემი თაიგული!

\*\*\*

ვერ ვიტყვი, რომ ყოველდღიურად უკეთესი ვხდები, მაგრამ ვიცი, მუდმივად ვსხვანაირდები, რაღაცით მეტი ვარ გუშინ-დელ დღეზე და ბევრად მეტი – გუშინნინდელზე... ყველაფერი უეცრად იცვლება, ვზომავ ჩემი ფიქრისა და მოლოდინის მანძილს და უკვე იმხელაა, ვშიშობ, არ ვინანო და ვჩუმდები. არ ვიცი, რა ჰქეია ამას, მაგრამ მუდმივად ვგულგრილობ, თუ სადმე ხელოვნური წინაღობა დამხვდა. მარტივად ვთვლი, რომ ალბათ ასეა საჭირო. მიძნელდება სულანაიარევ ადამიანებთან მიახლება, უბრალოდ, არ მიშვებენ ახლოს და მორჩა! ყველას ხომ არ ექნება უოფრეის არისტოკრატიზმი და მიზანსწრაფვა?! ვერც მე ვიქნები ვიღაცის ანუელიკა, ერთი მარტივი მიზეზის გამო – საუკუნეა რიცხვით 21-ე და ფეხდაფეხ მოგვდევს დიდი უარი! ბრძოლას არ ვთვლი საჭიროდ! ჯერ არავის გაუმარჯვია ბედის-წერასთან ბრძოლაში! უბრალოდ, უფლება მაქვს დავიღალო და აღარაფერი მინდოდეს! არ მომწონს სიმარტოვე, არც ხმაამოულებელი დარდი! ვგრძნობ, ვიწყებ მოგზაურობას... ვიცი, რომ არავინ გამომყვება, მაგრამ მეტი თავგადასავალი იქნება, სიცოცხლეს დავეწაფები და ვერცხლისფერ ფოთლებს უკვე ახლად დავაწერ სურვილს... ვერ დავბრუნდები!

\*\*\*

ბავშვობიდან, როცა ზღაპრებს ვკითხულობდი, ძალიან მიყვარდა მებადურები და სიკეთით გამორჩეული ოქროს თევზები. სულ მეშინოდა ცუდი ცოლების, რომლებიც, სიხარბით გამორჩეულები, ცხოვრების დამანგრეველ სურვილებს აბარებდნენ მეთევზეებს. პატარას და ვერაფრით განსაკუთრებულს, მტანჯავდა ფიქრი იმაზე, რომ შესაძლოა, ოქროსფარფლებიანი, მცურავი სილამაზე, გადაკარგულიყო და ვერ შევხვედროდი... ახლაც მჯერა, რომ ოცნებები სრულდება, თუ სიკეთით და სიყვარულით აავსებ შენს წილ სამყაროს! ვერაფერი სილამაზეა ძვირფასი სამკაულები იმ ადამიანებზე, ვისთვისაც ბრჭყვიალა თვლებით განისაზღვრება ლამის ყოვლისშემძლეობა!.. კალმახი მომწონს, თითქოს მორიდებულობის წინწკლები რომ ამშვენებს. ერთ დროს, ჯადოსნური თევზი მეგონა... მე ჩემი ჩუმი მოლოდინის ტბები მაქვს, ფსკერამდე სავსე ოქროს თევზებით და იქ ვერავინ მოვა კეთილი ადამიანის გარდა! ჩემი სურვილების ჩურჩულმინეულ სახეს და ზღვის ნაპირეთში ვაცილებ გასაგრილებლად... კალათში თეთრი ვარდები პატარძლობენ და არაფერი აღარ ახსოვთ – არც ვერცხლისფერი ცრემლები და არც მარტობის კავალერის სიზმრისფერი მოლოდინი... სულ რამდენიმე წუთი და ჯადოსნური, ფარფლებიანი კეთილი თევზი ნაპირს მოაღწევს! სიჩუმე!..



სოფო ბოგვაძე

## ზედამხრივი სიყვარულის (ეძღვნება ელენს, ემილის და ევას)

შებინდებულიყო. ბუხარში აგიზგიზებულ ცეცხლს ოთახი მთლიანად გაეთბო. გარეთ კი ზამთარი იდგა. ქარს მძივებად აეკინძა თოვლის ფანტელები და წინ და უკან დაატარებდა, თითქოს უნდოდა, ყველასათვის ეჩვენებინა, თუ რამდენად ლამაზი სამკაული ჰქონდა.

სოფელში სიმყუდროვეს დაესადგურებინა. მხოლოდ აქა-იქ გაიგონებდით პატარების მხიარულ შეძახილებს.

ერთ პატარა სახლში, მხრებზე თმებჩამოყრილი, საღამურებში გამოწყობილი გოგონები დედის ზღაპარს ელოდნენ, ზღაპარს, რომელიც ყოველთვის ტკბილ ძილს ჰპირდებოდა.

იყო და არა იყო რა... ერთ ლამაზ სახლში სამი ულამაზესი გოგონა: ელენი, ემილი და ევანგელინა დედიკო თინუსსა და მამიკო დადუსთან ერთად ცხოვრობდნენ. ეს პატარა სიყვარულის ანგელოზები ბებოს და ბაბუს ხშირად სტუმრობდნენ. ბებო ჩაისთან მისაყოლებელ მურაბებს უმზადებდა, ბაბუ კი ათასგვარ ამბებს უყვებოდა სიყვარულსა და სიკეთეზე. იზრდებოდნენ გოგონები მზისტოლა სიყვარულში და ამიტომაც, განუმეორებელ სილამაზესთან ერთად, უსაზღვრო სიკეთეს აფრქვევდნენ ირგვლივ. ერთი სურვილი ჰქონდათ, ძალიან უნდოდათ ჯადოსნური ზარდახშა, რომელიც სურვილებს აუსრულებდა.

ეს ამბავი ფერია სარსალამ შეიტყო და ღამით, როდესაც გოგონებს ტკბილი ძილით ეძინათ, ჯადოსნური ზარდახშა საწოლთან დაუტოვა. გამოლვიძებულ გოგონებს დიდხანს არ უფიქრიათ, გადაწყვიტეს, ამ ჯადოსნური ზარდახშის საშუალებით ბევრ ადამიანს დახმარებოდნენ.

— დედაა, სინამდვილეში მართლა არსებობს ჯადოსნური ზარდახშა? — იკითხა ევანგელინამ.

— არსებობს, და ის თქვენშია! თქვენი გული თქვენი ჯადოსნური ზარდახშაა!

— ეს ხომ სასწაულია! — წამოიძახეს გოგონებმა.

— თქვენ ხართ ყველაზე დიდი სასწაულები! — ჩაეხუტა დედა გოგონებს.

სიკეთის ანგელოზებს ტკბილად ჩაეძინათ... გარეთ კი ისევ ზამთარი იყო...

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა...



ქართველი

## გელისცენა

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ერთი მოხუცი კაცი ცხოვრობდა, სახელად ემირი, რომელსაც, ამ ბოლო დროს, რატომლაც, ისე ძალიან მონატრებოდა თავისი ახალგაზრდობისდროინდელი მეგობარი გოგონა, რომ სულ იმის დარდში იყო, რატომ ის არ შევირთე ცოლადო! ბოლოს და ბოლოს, რომ ვეღარ დააღწია თავი ამ ოცნებას, გადაწყვიტა, რომ პარალელურ სამყაროში გადასულიყო, ეგებ, იქ მაინც შევხვდე ძველ სიყვარულსო. მოიძია შესაბამისი ლიტერატურა, გაეცნო თანამედროვე მიღწევებსაც ამ სფეროში და მიადგა თავის ბიძაშვილ დურუს, რომელსაც წიგნების კითხვაც უყვარდა, შესანიშნავი მძღოლიც იყო და კარგად გამართული მანქანაც ჰყავდა.

...საჭირო დროს, საჭირო ადგილას მისული ბიძაშვილები ერთ-მანეთს გამოემშვიდობნენ. დურუმ, ჩვეულებისამებრ, მანქანის შემოწმებას მიჰყო ხელი, რათა უკან უხიფათოდ დაბრუნებულიყო, ემირი კი საჭირო წუთებს დაელოდა და ზუსტად მონიშნულ ადგილას შეერია სივრცეს...

პარალელური სამყარო რაღაცით ჰგავდა კიდეც და არც ჰგავდა აქაურს. მდინარის პირას ყვავილოვან მდელოზე წამომჯდარი ემირი სასიმოვნო მოლოდინში იყო, როცა მხარზე ფაფუკი და ნაზი შეხება იგრძნო. გული სიამით აუჩქროლდა, ქალის ხელს ხელით მოეფერა და მისკენ ნელ-ნელა ააპარა თვალი, მაგრამ... რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა მანანოს ნაცვლად თავისი ნამდვილი მეუღლე წამოსდგომოდა თავს.

— არ მელოდი? — ღიმილით იკითხა მან.

— შენ აქ საიდან გაჩნდი? — შეკითხვაზე შეკითხვითვე უბასუხა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ემირმა.

— ბიბლიოთეკაში მივდიოდი რაღაც საჭირო წიგნზე; შესვენების დაწყებამდე მინდოდა მიმესწრო და ამიტომ ტაქსში ჩავჯექი. ჩემმა მძღოლმა, შემთხვევით, წინ მიმავალ თქვენს მანქანას მოჰკრა თვალი, რაღაც გაახსენდა და იყვირა: — ემ მანქანის პატრონს, დურუს, სასწრაფოდ რაღაც უნდა ვუთხრა და მერე თუ გინდა, სულ უფასოდ მიგიყვან იმ შენს ბილბიოთეკაში. მეც დავთანხმდი, აბა, რა მექნა. ჰოდა, როცა დურუს მანქანიდან გადმოსული დაგინახე, ვიფიქრე, ნეტავ სად ჯანდაბაში მიდის მეთქი და მოგყევი უკან, აი, ასე აღმოვჩნდი აქ. ახლა შენ მითხარი, რას აკეთებ აქ და რას ელოდები?

— არაფერს! უბრალოდ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბედისწერა ნამდვილად არსებობს და ვფიქრობ, ღმერთი რასაც აძლევს ადამიანს, იმას უნდა დასჯერდეს! — თქვა ღიმილით კაცმა, რომელიც ახლადა მისვდა, რა ძვირასი იყო ეს ადამიანი მისთვის და როგორ გაუჭირდებოდა უმისოდ. ჰოდა, მოჰკვია ხელი მეუღლეს და ასე ჩახუტებულები დაბრუნდენ უკან.

მორალი გვასწავლის: ადამიანი ხშირად არ აფასებს იმას, რაც აქვს, იმას ეტანება და ის ჰგონია უკეთესი, რაც არა აქვს და ეს არჩევანი ხშირად ძვირი უჯდება!

ჭირი იქა, ლხინი აქა.

## კლების რჯახი

ჩემო პატარა მეგობრებო, მგლები რომ ოჯახის ერთგულებით გამოირჩევიან, ეს ალბათ უკვე იცით, ჰოდა, ამიტომ, ჩვენი ზღაპარიც ასე იწყება:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი არაჩვეულებრივად მოსიყვარულე რუხი მგლების ოჯახი: მამა მგელი, დედა მგელი და ორი პატარა ბუნჩულა მგლის ლეკვი, რომლებმაც სულ ორიოდ დღეა, რაც რძის სმას დაანებეს თავი, მშობლების მონადირებული ხორცით იკვებებოდნენ და ცხოვრობდნენ მხიარულად და ბედნიერად, მაგრამ, რატომლაც, ერთ ბედნავსიან დღეს, მამა მგელი ისეთი დასახი-ჩრებული და დასისხლიანებული დაბრუნდა ნადირობიდან, რომ ალბათ კარგა ხანს ვერ გამოკეთდებოდა.

გაუჭირდა მარტო დედა მგელს ოჯახის გამოკვება, თითქმის დღე და ლამ ნადირობდა, რის გამოც გადაიღალა, თანდათან დასუსტდა და ნანადირევმაც თანდათან იკლო. ერთხელაც დედა მგელმა იმდენად მცირე ნადავლი მოიტანა, რომ მამა მგელსა და ორ პატარა მოზარდ ლეკვს რას ეყოფოდა, ამიტომ, შიმშილისა და ავამყოფობისაგან განაწამებმა მამა მგელმა ლეკვებს თათი გაჰკრა, განზე გაჰყარა და თვითონ დაუწყო საჭმელს ჭამა.

მშიერმა ლეკვებმა თავები ასწიეს და საცოდავად დაიწყეს მოთქმა-ყმული: ვაუ-უუ, ვა-უუ, ვა-იი, ვა-იი!

მამა მგელი უეცრად შეჩერდა, გამოერკვა, მიხვდა, რაც ჩაიდინა, მშიერ ლეკვებს შეხედა, ამდენ საცოდაობას ვეღარ გაუძლო, ძლივს, ფორთხვა-ფორთხვით გამოვიდა ბუნაგიდან, კლდის ნაპრალთან მიხოხდა, ერთი საზარლად დაიყმუვლა: ვა-უუ, ვა-უუ! და ხრამში გადაეშვა.

...და აქ მოხდა სასწაული, რომელსაც არც მამა მგელი ელოდა და, ალბათ, არც მისი ლეკვები: ხრამის ბოლომი, ზედ ფლატეზე, პატარა ხვიარა მცენარეები, ჭინჭარი და სხვა ბალახ-ბულახი ისე აბურდულიყო ერთმანეთში, რომ მასზე დაცემული მამა მგელი დაგორდა, ბალახ-ბულახი და ჭინჭარი აითრია, აიყოლია, შიგ გაეხვია და ასე შეფუთულ-შეგორგლილი დაეცა ხრამის ძირას და გონება დაპკარგა.

მგელს ჭინჭრისა და სხვა ბალახ-ბულახისაგან ჭრილობები ისე ეწვოდა, რომ ტკივილი მთელ ტანზე ცეცხლივით ედებოდა და დროდადრო აფხიზლებდა, რის გამოც, ხანგამოშვებით გონზე-დაც მოდიოდა, თუმცა გონება მალევე ებინდებოდა და ძალაგა-მოცლილი ძილს მინებდებოდა ხოლმე.

ერთ მშვენიერ დღესაც, ალბათ ბალახ-ბულახის სამკურნალო ძალამ თუ იმოქმედა, შხაბუნა წვიმამაც დასცხო და ეს ჩვენი მამა მგელი, სრულიად გამოჯანმრთელებული გამოძვრა თავისი „გორგალიდან“ და ირგვლივთი მოათვალიერა: წინ ლამაზი, მშვენიერი და სანადიროდაც შესაფერისი ბუნება გადაეშალა. მგელმაც არ დააყოვნა, ჯერ პატარა მღრღნელებზე წაინადირა, მერე კი, როცა ცოტათი სული მოითქვა და მოღონიერდა, მოზრდილ ცხოველებსაც შეუტია და ერთ მშვენიერ დღეს, კარგა მსუქანი თხა მოიგდო ზურგზე და თავისი მშიერი ლეკვებისაკენ გააქანა.

შეგონება: – სადაც სიყვარულისთვის თავგანწირვაა, იქ ხიფათიც კი სიკეთით შეიცვლება!



## მონიკა სიყმაშვილი

### გვახსოვსართ ზეპილითა და მონაზრებით... მარადისობაში გადასულ თანამოქალავებს

გვახსოვხართ, არც არასოდეს დაგვვიწყებიხართ, ან როგორ უნდა დაგვვიწყებოდით, თქვენ ხომ თქვენი გულისა და სულის ამოძახილით ეხმიანებოდით სამყაროს, ყველა მოვლენას, სამშობლოს წინსვლას შეჰქაროდით და მის სიყვარულს საოცრად გულწრფელი ლექსებითა და მოთხრობებით გამოხატავდით...

თქვენი ხსენება (და არა გახსენება!) კი აქედან და ასე უნდა დავიწყო. არა, მხოლოდ გახსენებთ კი არა, გესაუბრებით, თქვენს სულს ვესაუბრები... ჩვენი თაობის თანამოკალმენი, ისევე, როგორც წებისმიერი მკვიდრი რუსთავ-ქალაქისა, ვამაყობდით რუსთავითა და ჩვენი რუსთაველობით. დიახაც, გვქონდა საამაყო: რუსთავი – მშენებელთა, მეტალურგთა, ქიმიკოსთა ქალაქი, ჩვენს თვალწინ შენდებოდა და ძლიერდებოდა და მის შენებაში ჩვენი შრომითი წვლილიც იყო... საამაყო ისიც იყო, რომ აღმშენებლობასთან ერთად აქ, ისტორიულ ქალაქში, აღორძინდა ლიტერატული ცხოვრებაც და თქვენ იყავით რუსთავული მწერლობის მესაძირკვლენი.

მახსოვს, რუსთავში დამკვიდრებულს, როცა მეტალურგიული ქარხანა დავათვალიერე, ქართული ფოლადის გამოდნობას დავესწარი, ჩემმა ახლობელმა ერთი ახალგაზრდა კაცი დამანახვა და მითხრა, ეგ კაცი მუშა-პოეტია, ალექსანდრე ერქომაიშვილი, თბოელექტროცენტრალი საზეიმოდ რომ გაიხსნა, ტრიბუნასთან მივიდა და საკუთარი ლექსით გამოხატა თავისი და ყველა იქ

მყოფის სიხარული, „აგუგუნდა ქარხნის გულიო“. მას მერე რამდენი ლექსის მოყვარული გაგვახარე შენი ლექსებით, ალექსანდრე!

„მზე მარტენში შეუგდიათო“... ეს შენი ლექსის სტრიქონია, ილო ლომიძე!

მაშინდელ საქარხნო და საქალაქო გაზეთებში – „მეტალურგ-სა“ და „სოციალისტურ რუსთავში“, ასევე, „რუსთავის ჩირალდნებში“, სისტემატურად იპტდებოდა რუსთავში მცხოვრები პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებები, რომელთა ავტორები იყავით თქვენ: მაყვალა უორუოლიანი, პავლე ხახაშვილი, ბოგუნ სურგულაძე, ვალერიან მესხი, ელგუჯა სულთანიშვილი, უშანგი მენაფიორე, ოლია მაისურაძე, ნიკო ეგეტაშვილი, ნიკო ჭიბაშვილი...

შენი ლექსები თვითონ შენ, ავტორს გგავდა, დიკი რიმნისთავ-ელს. რამდენი ლექსების წიგნი აჩუქე მკითხველს, კიდევ რამდენ ჭეშმარიტ სიხარულს გვპირდებოდი...

მერე და მერე, რუსთაველ მწერალთა ცალკეული შეხვედრები საფუძვლად დაედო მწერალთა ორგანიზაციის შექმნას, რომელ-საც სათავე დაუდეთ თქვენ, ცნობილმა პროფესიონალმა მწერ-ლებმა, სილოვან ახვლედიანმა, კარპე მუმლაძემ, ოთარ ღვამ-ბერიამ, ვინც დიდი ამაგი გასწიეთ რუსთაველი შემოქმედების დასაოსტატებლად. თქვენ ამაყობდით მწერლობაში თქვენ მიერ დაკვალიანებული უკვე ცნობილი პოეტებით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: დავით მჭედლური, თინათინ კვირიკაძე, ნოდარ ხვედელიძე, დორა გრატიაშვილი, ვისი ლექსებიც ზეპირად იცოდა მკითხველმა...

ამქვეყნიდან წასვლა, რასაც არსახსენებელი სახელი – სიკვდი-ლი ჰქვია, ყოველთვის უდროოა, მით უმტეს, შემოქმედი ადამი-ანებისათვის. უდროო იყო შენგან ჩვენი, თქვენი თანამოკალმეებისა და თქვენი ნიჭის თაყვანისმცემლების მიტოვება, სულით და ხორცით მშვენიერო ქალბატონო ანა იმედიძე, შენი მშვენიერი, სიცოცხლის, ადამიანების სიყვარულით გამთბარი ლექსები შენს სახელთან, შენს პიროვნულ თვისებებთან ერთად, მარად ცოცხ-ლობენ...

კაცი – უგანათლებულესი, უკეთილშობილესი, ცხოვრების სიმწარენაგემი და მაინც გაუტეხელი სულის, თვითონ მხნე და სხვების, მრავალთ გამამხნევებელი, ერთგულად მსარშიმდგომი,

მდიდარი სულიერი სამყაროს რაინდი, სიკეთის უშურველად გამცემი, ყველას მოძღვარი, ძმა და მეგობარი, ეს შენ იყავი, გიგლა (გიორგი) ჭავჭანიძე და ასეთი დარჩი ჩვენს ხსოვნაში!

შენზე ამბობდნენ, კაცი კი არა, ლექსიაო, ალექსანდრე ჯახუა. შენ შენი პოეტური სიმაღლიდან, არც გაგხარებია და არც გწყენია შენზე, დიახაც, სიყვარულითა და პატივისცემით ნათქვამი. მაინც შეასწორე, ასე უკეთესიაო: კაცი—ლექსი, ჰო, ლექსებით აზროვნებდი, ლექსებით ცოცხლობდი, ლექსებით უმასპინძლდებოდი ყველას... ამქვეყნიდან კი ისე წახვედი, შენმა ახლობლებმაც კი, ყველამ როდი იცოდა, რომ დიდი პოეტი, დიდი მოლექსე იყავი...

შენი სახელი ქუხდა, როგორც საკუთარი პოეტური ხმის პოეტის, შენი ლექსები, მკითხველში გავრცელებული, ლამის ყოველ ნაბიჯზე გხვდებოდა. რუსთავი ამაყობდა შენით, ყველას გვიყვარდი და გვეამაყებოდი, იური ჯინჭარაძე. მაგრამ ისე გამოესალმე ამ წუთისოფელს, შენს წიგნს ვერ ვეღირსეთ, რითაც ორმაგი დაუყუჩებელი ტკივილი დაგვიტოვე...

იპოლიტე შავლოხაშვილო, როგორ შეგვადრო, სად გაგონილა გარდაცვლილი პოეტისთვის თანამოკალმეთა და თაყვანისმცემელთა საყვედლური, მაგრამ რა ვქნა, როგორ გამოვხატო ის ტკივილი, რომელმაც შენი სიკვდილით გული გაგვიგლიჯა და ამ სოფლისადმი პასუხგაუცემელი მწარე კითხვები გაგვიჩინა. შენ არავისგან არა გესწავლებოდა რა. როგორც მოლექსემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებულმა სტუდენტმა, მწერალთა წრეში უკვე აღიარებულმა პოეტმა, დედაქალაქი და უნივერსიტეტი მიატოვე და რუსთავში დასახლდი, მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობა ირჩიო. შენი ლექსები ქვეყნდებოდა ადგილობრივ, ასევე პრესტიულ რესპუბლიკურ უურნალებში, გაზეთებში... როგორი ლექსებით აპურებდი მკითხველს, თვითონ ლექსი იყავი — ყველაფერ ქართულის მოსიყვარულე, ქომაგი, ახალგაზრდა პოეტების მრჩეველი და გზამკვალავი... ამაყიც — არავის აწუხებდი შენი ლექსების წიგნის გამოცემისათვის თხოვნით, როცა ისეთი ლექსები მექნება, თვითონ რომ შემეხვეწებიან, მაშინ მივუტან ჩემს ლექსებს დასაბეჭდადაო, ამბობდი. არავინ შეგეხვენა! როგორც ხდება ხოლმე! ეგ კი არა, რამდენმა, შემდეგში ცნობილმა პოეტმა, დაიმშვენა თავისი ლექსები შენი რითმებით და, როგორც პოეტი, საკმაოდ მაღლაც აფრინდა... შენ კი, 34

წლის ასაკში. უწიგნო მუშა-პოეტის სახელით გამოეთხოვე სიცოცხლეს, რომელიც ძლიერ, ძლიერ გიყვარდა!

როლანდ ბერიძე – ლექსებს წერდი, მერე როგორ ლექსებს, თუმცა არ აქვეყნებდი... მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა ვიცოდით... უშენლექსებოდაც პოეტი იყავი, მომთხოვნი და პრინციპული იყავი საკუთარი და სხვების შემოქმედებისადმი. ლიტერატურისმცოდნე, პირუთვნელი, მკაფრი შემფასებელი იყავი არა მარტო ჩვენი სამწერლო ორგანიზაციის წევრების ნაკალმევის მიმართ, არამედ, თვით ცნობილის, კლასიკოსი მწერლებისა და მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართაც. შენეული შეფასება მავანი მწერლის ლექსის, რომანის – იყო ბეჭედდასმული განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, ამიტომაც შენს სახელს სიტყვა გარდაცვლილი არ მიესადაგება და როგორ დაგვაკლდი, როგორ გვაკლიხარ!

ულმობელმა ავადმყოფობამ დაგრია ხელი და სიცოცხლე მოგისწრაფა, ასლან კორძაია. ბევრი ვერ დაიკვეხნიდა შენისთანა მოქართულეობით. ქართული ლექსის, ქართული ენის მახვში და მეციხოვნე იყავი. მშვენიერი ლექსების ავტორმა, ამასთან თავმდაბალმა და გადაჭარბებულად მოკრძალებულმა, ერთადერთი ლექსების წიგნის გამოცემა მოასწარი – „ვარჯი კაცი“ და თვითონ იყავი ვარჯი კაცი!

დურმიშხან კუპატაძე – რამდენი ახალბედა მოლექსე დაგიკვალიანებია კვალიფიციური რჩევა-დარიგებითა და მხარშიდგომით... მაინც როგორი, ვისთვის უცნაური, ჩვენი, შენი თანამოკალმეებისათვის კი კარგად საცნაური იყო შენი სიცოცხლის ბოლო დღეები, წუთები. არავის გაგვკვირვებია, როცა შენს საძინებელში მარტოს, ხელში კალმითა და ქალალდის ფურცლებით გარდაცვლილი გნახეს... ლექსი ხომ შენი სიცოცხლე იყო და აკი ლექსის წერით გამოეთხოვე წუთისოფელს...

გივი ჭუმბურიძე – შუა ქართლიდან, შენი მამაპაპეულიდან იძულებით ლტოლვილს ისე ვერ მოგეფერეთ, როგორც შენ იმსახურებდი. სხეულზე ნატყვიარი ჭრილობებისა და ქართული ტკივილებით დამძიმებულს მოგესწრაფა სიცოცხლე, ან რამდენ ხანს და როგორ გაუძლებდი იმ ტკივილსა და სიმძიმილს, როცა ჩვენი ქვეყნის ისტორიული მტრისაგან წაქეზებული და მხარდაჭერილი ხიზანი საკუთარი სახლის ეზოში თავს დაგესხა და ავტომატით მძიმედ დაგჭრა. როგორი იმედი გვქონდა, რომ სიმართლე

გაიმარჯვებდა. ყველას ღირსეულად მიეზღვებოდა... ჩვენ კი, პანდემიის გამო, ვერ გამოგეთხოვეთ, უკანასკნელ გზაზე ვერ გა- გაცილეთ...

სიკვდილი ყოველთვის უდროო და ულმობელია, მაგრამ შენ მაინც როგორ დაგვწყვიტე გული ყველას, შენი ნიჭის თაყვანისძ- ცემლებს, თანამოკლამებსა და მეგობრებს, ვანო ცინცაძე. რო- გორ ამშვენებდი ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ქალაქს შენი იუმორით. როგორ გვაკლიხარ და როგორ დაგვაკლდები კვლავაც, მომავ- ალში.

მერაბ ბადრიშვილი, შენი ლექსები და საისტორიო-სამეცნიე- რო ნაშრომები ერთს კი არა, ბევრი კაცის ბიოგრაფიას ეყოფო- და. საქართველოს, ქართველი ერის ისტორიის სიყვარული გაწ- ერინებდა ისეთ პატრიოტულ ლექსებს, შენი ყოველი ლექსი შენი მეობის, შენი ქართველვაცობის გამოხატულება იყო... როგორ გინდოდა, მაგრამ ვერცერთი პოეტური კრებულის და ვერცერთი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება არ გეღირსა ბედუკულმარ- თი ცხოვრებით გამწარებულს. შენი უილბლობით გამოწვეული ტკივილი თითოეული შენი მეგობრის ტკივილი იყო, მაგრამ, რო- გორც ხდება ხოლმე და, როგორც არ უნდა ხდებოდეს ხოლმე, ვე- რაფერი გიშველეთ და მოუნელებელი ტკივილი დაგვრჩა...

დანანებით და მონატრებით სახსენებლებო, თქვენთან საუ- ბრისას რამდენჯერმე ვახსენე სიტყვა – „ტკივილი“. ეს სიტყვა საგანგებოდ არ მიძებნია, არც არავისგან მისესხნია, თავისით მოვიდა, აბა, სხვაგვარად როგორ და რანაირად იქნებოდა!

თქვენთან საუბრისას კიდევ ერთი ტკივილი თანმდევს და, გა- დაუჭარბებლად გითხრათ, მსჯვალავს. თქვენ რომ გახსენებთ, ისიც მახსენდება, როგორ უყვარდათ ადამიანებს ლიტერატუ- რა, ლექსი, ლექსის შემქმნელები. ეწყობოდა ლიტერატურული სალამოები, მწერალთა ახალი წიგნების საჯარო განხილვები, შეხვედრები ქარხნებში, მშენებლობებზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში. დედაქალაქის მწერლებს ვმასპინძლობდით: გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, იოსებ გრიშაშვილს, იოსებ ნონეშვილს, გურამ ფანჯივიძეს, გამოდიოდა ალმანახი „რუსთავის ჩირალდნები“.

ახლა ინდური და თურქული კინოპროდუქციის (არ ვამბობ, ფილმები-მეთქი!) ყურებით კმაყოფილი ადამიანები წიგნს, მხატ- ვრულ ლიტერატურას შემოსწყონენ. წიგნის მაღაზიაც, სადაც

# — მკაფევალი სმიტონი —

წიგნის შეძენის მსურველთა რიგები რომ იდგა, აღარ არსებობს. აღარც წიგნის, ლექსის, რომანისა თუ მოთხოვობის დამწერი აინტერესებთ...

ეს ყველაფერი ერთად მახსოვს და მენატრება. განა მარტო მე, მადლობა უფალს, ბევრს... ბევრს...

## მეითეველის სამჯავრო ჩვენი „რუსთაველები“

წიგნს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, გნებავთ, ადამიანს, აქვს თავისი ბედი და ბიოგრაფია, ისტორიაც. წიგნსაც ელიან... ისიც იბადება და იწყებს თავის სიცოცხლეს, მიღის მკითხველთან, მისი საკუთრება ხდება. მასაც, ადამიანივით, ჰყავს შემფასებელი და დამფასებელი, მომწონებელი, ან არმომწონებელი, ანუ დამწუნებელი. ზოგს მოსწონს, ზოგს – არა, რაც მკითხველის გემოვნებაზე, მის წიგნიერებაზე უფრო მეტად მეტყველებს, ვიდრე წიგნის ავ-კარგზე. არცთუ იშვიათად, მკითხველი გულგრილია... მაგრამ არავისთვის საიდუმლო არაა, რომ სწორედ ის წიგნია საინტერესო, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ბევრ კითხვასაც აჩენს. მკითხველი ზერელედ არ გადაიკითხავს, არ გადაფურცლავს ისე, მოლა ნასრედინის ერთი პერსონაჟივით... სულაც, ბოლომდე წაუკითხავად, ჩაუთვალიერებლად მაინც არ გადადებს გვერდზე. ასე ხდება წიგნი ჩვენი ყოველდღიურობის სულიერი თანაზიარი (ეს, რა თქმა უნდა, უკეთეს შემთხვევაში!) და მეგობარი (ეს კი, რა თქმა უნდა, საუკეთესო შემთხვევაში!).

რუსთაველი მკითხველიც, წიგნის მოსიყვარულე და არა უბრალოდ მოყვარული, ელოდა რუსთაველ მწერალთა მორიგ მხატვრულ-ლიტერატურულ კრებულს. ის დღეც დადგა. 2019 წლის დეკემბერში, ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერით, კრებული „რუსთაველები“ გამოვიდა და კიდევაც გავრცელდა. ეს რუსთაველ მწერალთა ბოლო წლებში გამოცემული მხეხუთე კრებულია ორი „ჩვენ, რუსთაველების“, „ვარ რუსთაველის“, „ქვემოქართლელი გულდებულების“ შემდეგ.

ნებისმიერი წიგნი, კრებული, შვილივითა... ის იშვა, დაიბადა, საზოგადოებაში გავიდა, მივიდა მკითხველთან, მასთან,

ვისთვისაც ის დაიწერა. მას უკვე აქვს თავისი ასაკი, ბიოგრაფია. ბუნებრივია, მათ, ვინც წიგნი მოამზადეს, აქვთ სურვილი, იცოდნენ, როგორ მიიღო მკითხველმა მათი ნაშრომ-ნაღვანი...

მანმადე კი, მკითხველმა უსათუოდ უნდა იცოდეს წიგნის შექმნის ისტორია, როგორ, რა პირობებში მზადდებოდა და ისიც, ვისაც წიგნის მომზადება დაევალა, გაამართლეს თუ არა და თუ გაამართლეს, როგორ და რამდენად გაამართლეს ნდობა...

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ „რუსთაველები“ მომზადდა ექსტრემალურ ვითარებაში, სულ რაღაც თვენახევარში. მომზადდა ორი თანამშრომლის მიერ. ფაქტობრივად, ორი ადამიანი – ამ სტრიქონების ავტორი და პოეტი შორენა მამალაშვილი ვიყავით კრებულის რედაქტორებიც, რედკოლეგის წევრებიც, კორექტორებიც. ამასთან, კრებული მომზადდა უპირობო პირობებში, როცა მწერალთა სახლის უქონლობის გამო, საჭირო ფართს მოკლებულებს, არ გვქონდა სანიგნე მასალაზე და ავტორებთან მუშაობისათვის აუცილებლად საჭირო საშუალება, რაც, ყველაფერი ერთად აღებული, წიგნების საგამომცემლო პრაქტიკაში, არც მეტი, არც ნაკლები, „ჩე“, ან კურიოზია...

და მაინც, კრებული „რუსთაველები“ სახეზეა. რა გვაქვს სათქმელი მის შესახებ პირველ რიგში თვითონ მათ, ვინც მისი მომზადება ვივალდებულეთ და გავძედეთ? როგორია ჩვენი აზრით ჩვენეული „რუსთაველები“?

ფინანსური სახსრების გათვალისწინებით, „რუსთაველები“ მცირე მოცულობის და ფორმატის კრებულია, სულ 244 გვერდს მოიცავს. მასში წარმოდგენილია 44 ავტორი, ყველა – რუსთაველი შემოქმედი. კრებულს აქვს პოეზიის, პროზის, თარგმანის, ლიტერატურული წერილების, მეცნიერების განყოფილებები, რომელთაგან თითოეული ცალკე განხილვისა და შეფასების ღირსია.

რაოდენობრივად და თვისობრივად კარგად წარმოდგენილია პოეზიის განყოფილება. ლექსის მცოდნეთა და მოსიყვარულეთ სიამოვნებას ანიჭებს მარინე ცხვედიაშვილის, ლალი მჭედლიძის, ჯემალ კუხალაშვილის, მადონა დვალის, ბესივ ზაალიშვილის, მურად ჭოლოვავას, ლია ბეჟანიშვილის, ნანა ყალიჩავას, თამარ ჯაჭვაძის, ამირან ჯანჯლავას შემოქმედების გაცნობა, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს დასარწმუნებელში, რომ ლექსი ლექსია და

# — მკაფევრალი სმენუმ —

მას ვერაფერს აკლებს ის, პროვინციაში იწერება თუ მეტროპოლიაში...

მისაბაძად ეროვნულს, თავისთავადსა და ინტელექტუალურ ლექსებს გვთავაზობს პიროვნულად მოკრძალებული ავტორი შორენა მამალაშვილი.

თარგმანის განყოფილება წარმოდგენილია ცნობილი პოეტების, ია სულაბერიძის რუსული და მალხაზ კვინიკაძის ფრანგული პოეზიის ნიმუშების მშვენიერი თარგმანებით.

რიცხობრივად შედარებით მოკრძალებულად გვესახება მხატვრული პროზის განყოფილება. მაგრამ, რაოდენობა ამ შემთხვევაში ვერ ახდენს გავლენას ხარისხზე. მკითხველის ყურადღებას იმსახურებს ცნობილი უურნალისტის, პუბლიცისტისა და მწერლის, გივი ჯახუას ნოველა „სიყვარულს რას გაუგებ“.

როგორც ამ კრებულში, ისე საერთოდ, მკითხველს საინტერესო იგავებსა და ზღაპრებს სთავაზობს ემზარ გოგოლაძე. ავტორი ამ უანრში საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებულია.

„ვერეს მერეს“, „ჭინკების“, „ზღვის კენჭების“ ავტორი, გიგა ვეფხვაძე, მწერლობაში საკუთარი გზანაპოვნი შემოქმედია. აქვს თავისი სათქმელი და მკვეთრად გამოხატული სტილი...

ინტერესით იკითხება გია ომანაძის, ციალა გორდეზიანის მოთხოვნები.

მწერლობაში, პოეტურ პროზაში პირველ, მაგრამ სამომავლოდ საიმედო ნაბიჯებს დგამს სოფო ბოცვაძე.

თუ კრებულის ფურცლის, საწერ-კალამისა და წერილის ავტორობა თავის მოსაწონებლად გამოყენებაში არ ჩამოვლება, მოხარული ვარ, რომ მკითხველმა გულთბილად მიიღო ჩემი ეპისტოლარული უანრის ნაკალმევი – „მარტოხელა შინაბერას წერილები დედას“.

„რუსთაველებისთვის“ სიახლეა ლიტერატურული წერილების განყოფილება, სადაც გამოქვეყნებულია უურნალისტისა და პროზაიკოსის ლია მარტაშვილის წერილი – „მეორე მეს“ შესაცნობად, რომელშიც განხილულია მარინე ცხვედიაშვილის ლექსები.

მეცნიერების განყოფილებას და, საერთოდ, მთლიანად კრებულს ამშვენებს პოეტისა და მკვლევარის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან სოხაძის ნარკვევი „კავკასიური ზოდიაქოს განსახლების პრინციპები“.

როგორც მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი კრებულის რედაქტორსა და ერთ-ერთ ავტორს, „რუსთაველების“ ერთ-ერთ

მთავარ ღირსებად მიმაჩნია ის, რომ მის მოსამზადებლად განკუთვნილ (თუ არ ვიტყვით – მოსჯილ!) საოცრად მოკლე დროშიც, შევძელით აღმოგვეჩინა, წარმოგვეჩინა და ფართო მკითხველისათვის გაგვეცნო ცხრა ახალი ავტორი, რომელთა შემოქმედება ჭეშმარიტად მისაღები და გასაზიარებელია და ამ კრებულშიც საერთო დადებით ამინდს ქმნის...

და კიდევ, რაც ყველაზე მთავარი და მთავარზე მთავარია: „რუსთაველები“, ისევე, როგორც წინა კრებულები, არის სერიოზული განაცხადი იმის შესახებ, რომ რუსთაველ მწერალთა შემოქმედება, მათი ნაღვანი, არის თანამედროვე ქართული მწერლობის მოკრძალებული, მაგრამ საინტერესო და, ამდენად, აღსანიშნავად ღირებული შენაკადი, რომელიც, შეძლებისდაგვარად, აგრძელებს მრავალსაუკუნოვანი, მდიდრული ქართული მწერლობის ტრადიციებს, სულიერებას, სულის ინჟინერიას ემსახურება, მაგრამ რატომდაც და როგორდაც მაინც ჩრდილშია და სამომავლოდ მეტ ყურადღებას, მზრუნველობასა და მხარდაჭერას საჭიროებს.

ასევე თავისუფლად შემიძლია განვაცხადო: ამ კრებულში გამოქვეყნებული ლექსების, პროზაული ნაწარმოებების ავტორები დედაქალაქელები რომ იყვნენ, თვითონ ისინიც და მათი ნაკალმევიც უფრო დანახული, უფრო დაფასებული და უფრო აღიარებული იქნებოდნენ, მაგრამ... მაგრამ ის, რომ, ისინი არადედაქალაქელები, რუსთაველები არიან და მხოლოდ საკუთარი წარმატებების მოპოვებისათვის მოწოდებული და მოწადინებული ადამიანებით არიან გარემოცულნი...

ამას რომ ვაცხადებ, როდი ვჩივი, არა... დიახაც, მინდა, გამგებ-მა გაიგოს... გაიგოს, ეწყინოს და კიდევაც ეტკინოს და...

კიდევ რაზე შეიძლება მივაპყროთ მკითხველისა და განმსჯელის ყურადღება? გულსატკენია, რომ ისევ და ისევ მწირი დაფინანსების გამო, რუსთაველ მწერალთა წინა კრებულებისაგან განსხვავებით, „რუსთაველები“ თხელყდიანია. ამ გულისტკენას კი რამდენადმე ანელებს ის, რომ ასეთი ყდაც ბევრს ეუბნება მკითხველს – მასზე, ორივე მხარეს, გამოსახულია რუსთავის ისტორიული ციხე. ამ ფოტოს მოწოდებისათვის მაღლობა რუსთავის ისტორიის მუზეუმის დირექტორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ნაზი პაჭიკაშვილს.

# — მკაფევალი სმენუსი —

ისევ და ისევ ფინანსური მდგომარეობის გამო, კრებულს არ ჰყავს მხატვარი და ეს ფუნქცია და, საერთოდ, დიზაინი, შეითავსა ტექნიკურმა რედაქტორმა ირაკლი კორძახიამ.

გულსატკენია, რომ დროის სიმცირის გამო, ჩვენ ძირითადად შემოვიფარგლეთ შემოსული მასალებით.... რუსთავში კი ბევრი საინტერესო შემოქმედია, რომლებიც ამჯერად კრებულის გარეთ დარჩნენ. არ გვაქვს პუბლიცისტიკის, იუმორის განყოფილებები.

ამ კრებულმაც თავი ვერ დააღწია ბოლო წლების ქართულ მხატვრულ გამოცემებში დამკვიდრებულ მავნე სენს – კრიტიკის უქონლობას. მარტო მაამებლური, მაქებარ-მადიდებელი წერილები მწერლობას სასიკეთოდ ვერ წაადგება. სასიცოცხლოდ აუცილებელია ჯანსაღი, ობიექტური და არა შურით ან სხვა რამ ქვენა გრძნობით ნაკარნახევი კრიტიკა. და რავი კრიტიკასა და მის უქონლობაზე ვჩივი, ლოგიკურია, თვითკრიტიკასაც მოვუხმო. ცოდვა გამხელილი სჯობსო და, ვაღიარებ, რომ, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, მეც რაღაც-რაღაცებს ანგარიში გავუწიე და ჩემი სურვილის წინააღმდეგ, რედაქტორისათვის აუცილებელი პრინციპულობის გვერდის ავლით, დამთმობლობა გამოვიჩინე, „რუსთაველებში“ ადგილი დავუთმე რამდენიმე ავტორს (რასაც, საბენზიეროდ, კრებულის საერთო ლირსებებზე არ უმოქმედია!) იმ იმედით, რომ ის ავტორები სწორად გაიგებენ და შეაფასებენ ამ დათმობას, გაიაზრებენ გასააზრებელს და სამომავლოდ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საკუთარ კალამსა და ნაკალმევს... და კიდევ, კრიტიკას თუ გადავეჩვიეთ, განხილვებს, საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარებას მაინც რა უდგას წინ? ხელს ვინ, ან რა უშლის? პრესაში თუ არა, პრეზენტაციაზე მაინც... პირადად მე გული მწყდება, რომ ჩემი, საპრეზენტაციო კრებულის რედაქტორის გულწრფელი და პრინციპული თხოვნა, „რუსთაველების“ პრეზენტაცია ყოფილიყო არამარტო საზეიმო, არამედ – მკითხველის სამსჯავრო, მსჯელობის, ობიექტური კრიტიკის, საქმიანი წინადადებების შემოთავაზების ადგილი, დარჩა თხოვნად... ალბათ, ძველი ინერციით...

ეს ყველაფერი ჩემგან, „რუსთაველები“-ს რედაქტორისგან დანახული, ნაგრძნობი, გააზრებული და გულში ვერდატეული სათქმელ-ნათქვამია და, საინტერესოა, რას იტყვის თვითონ მკითხველი, როგორია მისი მსჯავრი?



ՀԱՅՐԱՋՎԱՀՆ

## ՃՈՂՈ ՋԵԼԱՅ ՏԱԿԱԲՈՅՎԵԼՌԱԽԻ...

ար ճավմալազ, ჩեմდա սածեգնոյերու, ամ პշտելուզացուուս սատապոր  
րոյստազելեծիսատաւուս սալուան զարցադ քնոծուլու յալծագոննա,  
ուշուն ցողցի մաշալու մեջալուսանմա քեդացոցմա, մուսնազլետա  
մրացալու տառօծու լուրսեցուլումա ալթիշրգելումա, ամ նեմտեզեցանու հեմ-  
մա ըշեսպուցենքմա մարույա Շարույամ մուզարնասեա դա արա ցամունու-  
լագ, արամեց և ըրուլուա ծոյնեծրուցագ, րուցա յրտ-յրտ կոտեզածի  
ձասլուսաս ալնուննա: ուրու րա, գրերուգորուլու սոմոր ասետո  
աֆամունեծիսատաւուս արացոյերս նոմնաչազ, չումշեր ծեգուանանանցուլու մու-  
ճամ սայարտազելուննաօ, դա րակո ծագուն չումշերս լցումլ դասազուտ  
շոյցարս յալծագոննո մարույա, եռլու ամ շոյանասկնելս մուսնա, րոմ  
սակաւտար մեյծնու ար ցամուրհեցա չումի, սնորուց մարույաստան ին-  
գրերուցու դազունցի մասալու ծագուն չումշեր ծեգուանանանցուլուց.

**— Ռուգու ճագ ցամունու յրտմանունու զարցա ենու նուն նասլու-  
լու հիշենու տանամեմամշուլու?**

— ոռ, յս ուսկորու յրտմանունու ճագ ունցու. 1992 նունու, մյ-5  
սկոլանու գորույէտորու լուսու ցեցեմ մուսնա յամարտեցու-  
ճա սանցուրու լուսու մուսնա յամարտեցու, մատ մուսնա, հեմու ունուցուագուու-  
թու յրտ-յրտու ասետո լուսու մուսնա յամարտեցու մուսնա յամարտեցու:  
յրտ-յրտու ասետո լուսու մուսնա յամարտեցու մուսնա յամարտեցու:  
յուլունու յալծագոննո, մանցու մուսնա յամարտեցու լուսու մուսնա յամարտեցու:  
մեյծնենու, յս հեմու մուսնա, յումշերու նունու, յունդա ցահույշուու.  
յալծագոննո լուսու բալասեց յումու դեգա ալմունդա, նունու ցա-  
մոմցա ուսե, րոմ ճագագու մուսնա յամարտեցու ալարացուրու յուտէզամն, ճագացու մուսնա  
ծա ճա նա յամու. ուն սալամուսազ մյ ուս արա, հեմու ուժանու յուցու նունու

# ჩვენი თანამდებობები

წავაკითხე წიგნში შესული ავტორის ყველა ლექსი. ძალიან მოგვეწონა, მეორე დღეს, სკოლაშიც, მოსწავლე-მასწავლებლებთან ამ ლექსების წაკითხვამ იგივე რეზონანსი რომ გამოიწვია, ამ ფრაზის პირდაპირი მნიშვნელობით, ჯიმის ძებნა დავიწყეთ წიგნში მოთავსებული ფოტოებით. სამ-სამი მოსწავლე ქალაქის მიკრორაიონებში და ბინებში ექებდა ლექსების ავტორს და ერთ დღესაც, ბოლოს და ბოლოს, მე-12 მიკრორაიონში ვიპოვეთ მისი სახლი. აღარ დაგვიხანებია, მოვუწყვეთ პოეტს შეხვედრა სკოლაში და ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ მისი პოეზიიდან ის პირვენება იკითხებოდა, რომელსაც ჩვენი დროის ნიჭიერ შემოქმედად აღიარებდნენ და მისით იამაყებდნენ.

ასეც მოხდა, მოვლენებსა და ფაქტებს თანმიმდევრობით არ გავყვები, ვიცი, თქვენ როგორც დაწერთ მასზე, უბრალოდ, იმას კი გეტყვით, თუ რას აკეთებს გერმანიაში წლობით მყოფი ჩვენი თანამემამულე ჯერ მარტო ჩვენი სკოლისათვის.

2010 წელს მისი ინიციატივით რუსთავის მე-5 საჯარო სკოლაში დაარსდა ჯიმშერ ბედიანაშვილის სახელობის ლიტერატურული სალონი და დაწესდა ლიტერატურული პრემია.

ამ პრემიით შემოქმედებითი ნიჭიერებისათვის სხვადასხვა დროს დაჯილდოვდა ამ სკოლის **42** მოსწავლე და **28** მასწავლებელი.

2011 წლიდან დაფუძნდა ნორჩ შემოქმედთა საქალაქო კონკურსი (ლექსები, ჩანახატები) სახელწოდებით – „სული ლექსით გვიდგას“. დღემდე ამ კონკურსში **38** მოსწავლეა დაჯილდოებული.

„სული ლექსით გვიდგას“ ღონისძიებამ **2017-18** წლებში ფორმატი შეიცვალა და ჩატარდა ხატვის კონკურსი, სადაც ფულადი პრემიით დაჯილდოვდა **8** მოსწავლე, ხოლო ფასიანი საჩუქრებით **21** მოსწავლე.

ეს ყველაფერი, ბატონ ჯიმის ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით. სხვადასხვა დროს ბატონ ჯიმშერ ბედიანაშვილის პრემიით დაჯილდოვდნენ: ღვაწლმოსილი პედაგოგები: – ანგელინა ცინაძე და აზა ბუაძე. რუსთავის მე-5 საჯარო სკოლის მრავალშვილიანი დედები – ფულადი პრემიით და სიგელებით. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის ისტორიაში პირველად, სამეცნიერო კონფერენციაზე გამარჯვებული **4** პედაგოგი დაჯილდოვდა სიგელით და ფულადი პრემიით, ერთი თვის წინ

ბატონ ჯიმშერ ბედიანაშვილის ფულადი პრემია და სიგელი გა-  
დაეცა რუსთავის განათლების სისტემის წარჩინებულ, ღვანწლ-  
მოსილ მუშავს, ამჟამად დუშეთში მცხოვრებ პენსიონერ პედა-  
გოგს ვენერა გრიგალაშვილს...

— ქალბატონი მარიკა, ისლა დამრჩენია, უღრმესი მადლობა  
გადაგიხადოთ ერთი რიგითი ქართველის წილ იმ გულისხმიერებ-  
ისა და ყურადღებისათვის, რომელსაც თქვენ, შორს, ემიგრაციაში  
მყოფი ქართველი თანამემამულის მიმართ იჩენთ და არამხოლოდ  
თქვენ, თქვენი სკოლის იურისტთან, ქალბატონ ნინო ჩახვაშვილ-  
თან ერთად ბევრ რამეს აკეთებთ ბატონ ჯიმის დაფასებისათვის,  
მისი სახელისა და პოეზიის პოპულარიზაციისათვის. რად ლირს  
მარტო ის ფაქტი, რომ ასე აქტიურად მუშაობს ლიტერატურუ-  
ლი სალონი, ეწყობა კონკურსები, მუდმივად მეგზურობთ მის  
წიგნებს საქართველოში, მასპინძლობთ საქართველოში ჩამოსულ  
მის შვილებს, თავად მასაც და ოჯახის წევრივით ახლობლად მი-  
გაჩინიათ. აქვე, ჯანსაღი ამბიციით დავსძენ, რომ სწორედ თქვენი  
უშუალო კონტაქტით შედგა ჩემი, ქალბატონ თეა ასანაშვილის  
და ბატონ ჯიმის ერთ-ერთი შემოქმედებითი ურთიერთობა, რაც  
მისი ლექსების მორიგი კრებულის — „დამიხატე საქართველოს“  
რედაქტორობაში გამოიხატა. ამ ფაქტმა, ცხადია, უდიდესი სი-  
ამაყის განცდასთან ერთად, მე და ჩემს კოლეგას თეას, პოეტმა  
მშვენიერი პოეზიდან გამონაშუქი მრავლისმთქმელი სინათლე  
და სითბო გვაჩუქა სულიერების კიდევ ერთ ახალ საფეხურზე  
ასასვლელად. აქვე ვეტყვი მკითხველს, რომ 2000 ცალი ტირა-  
ჟით გამოსული ჯიმშერ ბედიანაშვილის ეს ახალი კრებული,  
რომელიც თურქეთში, ქალაქ სტამბულში დაიბეჭდა, სწორედ  
იმისი ნიმუშია, თუ როგორ უნდა იბეჭდებოდეს წიგნი მაღალ-  
პოლიგრაფიულ დონეზე ყველაზე გემოვნებიანი მკითხველის  
ყურადღების მისაქცევად. იგულისხმება წიგნის ვიზუალური მხ-  
არე, მისი შინაარსი ხომ, თავისთავად.

\* \* \*

დაე, ეს მეგობრობა თქვენი სიცოცხლის მანძილზე გაგყოლო-  
დეთ... გეთანხმებით, ჯიმი რეალურად ფიქრებით მუდმივად  
საქართველოშია და ძალიან ბევრ რამეს აკეთებს სამშობლოსათ-  
ვის, ალბათ იმაზე მეტს, ვიდრე აქ ყოფნისას გააკეთებდა. ლექსებ-  
ის ბოლო კრებულის პათოსი ათასგვარი პოეტური ფერადოვნე-

ბით, როგორც ყველა სხვა მისი შვიდი წიგნისა, სამშობლოს სიყვარულია, სულ სხვადასხვა ასპექტში გაშლილი. კერძოდ, მონატრებული, ომგამოვლილი, ემიგრირებული, იმიგრირებული საქართველო, ისტორია და დღევანდელობა სამშობლოსი, სხვა მრავალი და ეს ყველაფერი ერთდღოულად პოეტის წრფელი გულითა და მაღალპოეტური ნიჭიერებით გადატანილი უმშვენიერეს პოეტურ სტრიქონებში. ამ მაღალგემოვნებიანი პოეტის მხატვრული ტროპებიდან მკითხველისაკენ ერთდღოულად მიემართება, დიახ, არაფერი მეშლება, სწორედაც რომ საოცარი ენერგიით მიემართება ქართული სული, სამყაროს (ისევ საქართველოს) მართალი აღქმა, თანამემამულეთა უმასშტაბო სიყვარული და მონატრების ღრმა ლირიული განცდები, მიემართებიან თანამემამულენი სხვადასხვა ინდივიდუალური სიძნელეებით, სიმაღლეებითა და საფიქრალით. ამ წიგნებიდან პოეტი გულს უშლის მკითხველს და სწორედ ამ გულის წაკითხვას სთავაზობს. მის პოეზიაში აშკარად გულისა და გულისყურის გასაგონად ისმის შავი ზღვის ტალღებისა და მთიდან დაშვებული მდინარეების ხმაური. შეიგრძნობა მშობლიური სოფლის სურნელი და ისმის ქართული ეზოების ყიჟინა:

შენი სიშორე ძილშიც მაბოდებს,  
ამ სიზმრის ბოლოც არადა არ ჩანს.

ეჰ, რას ვუდგევარ? დროა, გავრბოდე  
იქ, სადაც ცელქი ბავშვობა დარჩა.

იქ არის ჩემი ფუძე, კერია,  
ბებიას სახლი და ძველი თონე.

აქ კი, ოცნებაც გამომელია,  
ეჰ, რას ვუდგევარ გავიქცე, თორემ,  
ვეღარ ვუყურებ ნაცნობ ფასადებს,  
მოვწყდი ფესვებს და დასაყრდენს ვეძებ.

სახლში, რომელშიც მე გავიზარდე,  
დღეს სულ სხვაგვარად ღებავენ კედლებს.

შენი სიშორე ძილშიც მაბოდებს,  
ამ სიზმრის ბოლოც არა და არ ჩანს.

ეჰ, რას ვუდგევარ?! დროა გავრბოდე  
იქ, სადაც ცელქი ბავშვობა დარჩა!

მოკლედ, ეს პოეტური მრავალფეროვნებით სავსე კრებული უდიდესი სიამაყისა და თავმოწონების გარდა. კიდევ ერთხელ და საზგასმით აჩენს ავტორის ტკივილს ჩვენ გვერდით არყოფნისას.

ჯ. ბედიანაშვილი: მე ყოველდღიური კონტაქტი მაქვს საქართველოსთან, ჩემებთან, ქართველ მწერლებთან და პოეტებთან, მუდამ ვეხმაურები ქალბატონ მაყვალა გონაშვილს... ისინი ჩემს გვერდით არიან და მე მათ გვერდით ვარ. არ ღირს სათქმელად, მაგრამ მოკრძალებით მაინც დავსძნ, ძალიან ბევრჯერ გამოვუწყდე გერმანიდან ხელი ჩემს შეჭირვებულ თანამემამულეებს. არც აქ ვაკლებ ყურადღებას, როდესაც ჩამოდიან...

**— ბატონო ჯიმი, დედათქვენი პოეზიის მთავარი თემაა, რას იტყვით მასზე?**

— გერმანიაში წასვლიდან რამდენიმე წელი, ვერ გავძელი უმისოდ და დედაჩემი აქ წამოვიყვანე, 13 წელი ჩვენს გვერდით იყო, რაც უდიდეს ბედინიერებას მანიჭებდა. მას საქართველო სიგიურემდე ენატრებოდა და დადგა ის დღეც, როდესაც მოქალაქეობა მიიღო და საქართველოში გამოსამგზავრებელი ვიზაც. მოხდა საბედისნერო რამ და იმ ღამეს მეტისმეტი სიხარულისაგან დედას გული გაუჩერდა. დედა? ეს მთელი სამყარო იყო და არის ჩემთვის...

გული პირველი გრძნობით სავსეა  
და მე ხმამაღლა ამის თქმას ვტედავ:  
ყველა წმინდანში შენი სახეა,  
ჩემო ძვირფასო, ლამაზო დედა!

**— ისე რომ, დედათქვენი ბიოგრაფიის მოწმე და მონაწილეა...**

— დიახ, 1993-94 წლებში, დასაჭრად რომ დამდევდნენ, რისთვის, თავადაც არ ვიცი, ერთგვარად კალაპოტიდან ამოვვარდი, დედა გვერდში დამიდგა, ჩემი პოეტური კრებულით თავს იწონებდა და მე-5 საჯარო სკოლაში შეხვედრა მომინებულეს. იმ სკოლიდან მიღებული დიდი ადამიანური სითბოთი დაიწყო ჩემი შემდგომი პოეტური და პიროვნული ახალი ცხოვრება, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდი ყველა მე-5 სკოლელ პედაგოგს.

მალე ემიგრაციაში წავედი ოჯახით, 25 წლის მანძილზე არა-სოდეს გამინებულებისა კავშირი რუსთავთან და მე-5 სკოლასთან.

**— როგორ ახერხებთ, თქვენ არაჩვეულებრივი ოჯახი გაქვთ, გყავთ მშვენიერი ქართველი მეულლე, ორი უნიჭიერესი შვილი,**

# — ჩვენი თანამემამკე

ქალიშვილი – მხატვარი, ვაჟი – გერმანიაში უკვე აღიარებული მსახიობი. ბატონო ჯიმი, როგორ შეინარჩუნეთ არაქართულ გარემოში, უცხო მოსახლეობაში ოჯახის ფენომენი?

— ჰო, ეს მართლა საინტერესოა, ჩვენ აქ ნამდვილად გვაქვს ტრადიციული ქართული ოჯახი ყველანაირი ქართული ღირებულებით და ღირსებით. რაც შეეხება გავლენას, გადაუჭარბებლად გეტყვით, ბევრი მეზობელი და მეგობარი გერმანელის ოჯახი ჩვენს ყაიდაზე მოექცა, ჩვენგან იღებენ კულტურას, ჩვეულებებს, საჭმლის მომზადების ტექნიკულოგიას...

— თქვენს პოეზიაში ხშირად ახსენებთ ხილვებს, სიზმრებს, მაგალითად:

კვლავაც არ ვიცი, ვინ ვარ, ან როდის  
დავიბადე, თუ დავიბადები,  
მე მივერვი უსაზღვრო ლოდინს,  
სიზმრის და ცხადის ზღვარზე ვსახლდები...

**გჯერათ კოსმიური კავშირების?**

— კი, ერთ მაგალითს გეტყვით... აფხაზეთის ომში ყოფნისას, სიკვდილის პირისპირ მდგარს, ძილში ხშირად მეცხადებოდა მშვიდობის მტრედი... მე სასწაულებრივად გადავურჩი დაღუპვას...

— **რა არის თქვენთვის ასაკი? სადაცაა, სამოცის გახდებით...**

— განვლილი წლებიდან ყველას თავისი სილამაზე აქვს, დიდი განცდების მიუხედავად, ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ საქართველოს მიწა ტყე-მინდვრებიანად სხვას არ დარჩეს და როგორც ერთ ქართულ ლექსშია. ტყე შევუნახოთ შვილებსა..., მაგრამ სულ მეფიქრება, ვაითუ...

— **როგორ ფიქრობთ, ქართულ საქმეებს საქართველოში უფრო გააკეთებდით, თუ მანდ აკეთებთ?**

— ალბათ, აქედან უფრო მეტს ვაკეთებ და ვეხმარები ჩემს თანამემამულებს.

— **როგორ დაახსიათებდით საკუთარ თავს 3-4 სიტყვით?**

— გულწრფელი, განინასწორებული, ბავშვივით ალალი და არასოდეს ვიხევ უკან.

— **სიყვარული თქვენი პოეზიის ამაღლებული და განუშორებელი თემაა, პროზაულად რას გვეტყვით ამ თემაზე?**

— ეს გრძნობა სიკვდილამდე განუშორებელია და მეორე, სიყვარულს სწავლა უნდა, უნდა ვისწავლოთ სიყვარული და მას

# ჩვის თანამემამკე —

მუდმივად უნდა ველოდებოდეთ, ვუფრთხილდებოდეთ.

— თქვენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პოეტთან და მწერალთან მეგობრობთ, ვინ, რამ და როდის აგაღელვათ ყველაზე მეტად?

— გეტყვით. შარშან, ათენში გამართული კონკურსის მონაწილეს, ძალიან ცნობილმა ეართველმა პოეტმა, კარგა ხანია ინგლისში რომ ცხოვრობს, სახელად შანდრა, ლექსი მომიძლვნა. ავლელდი, ქალი ქალია, ისიც ძალიან ლამაზი, მაგრამ თავს არ მივეცი უფლება, მისთვის, როგორც ქალისთვის, ისე შემეხედა.

— როგორ გესმით გამოთქმა — ქართველი რაინდი?

— ხევისბერი გოჩას სიბრძნიდან და ილია ჭავჭავაძის მიმტევე-ბლობიდან. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ყველა შემთხვევაში, უბირველეს ყოვლისა.

— რის დაწერას აპირებთ უახლოეს პერიოდში?

— მე, აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომის მონაწილემ, ბევრი რამ ვიცი და ბევრი კადრიც მაქვს გადაღებული, როგორც უურნალისტს. უკვე ვმუშაობ წიგნზე, რომლის მასალები ბევრ რამეს ახლებურად მოჰყენს ნათელს და ახლებურად დაანახვებს მკითხველს ომისდროინდელ ფაქტებსა და მოვლენებს. ამ წიგნს პირობითად სახელწოდებად ექნება: „გზა — არაფრისკენ“.

— საქართველოს მომავალი, თქვენი გათვლით?

— ერთად დგომა და მეტისმეტი გონიერება, სხვანაირად მტერი მოგვერევა...

— რისი გეშინიათ?

— ათასი ჯურის ხალხი ჭილ-ყვავივით შესევია საქართველოს.

— ახლა რას საქმიანობთ?

— ვწერ, უამრავ ქართულ ღონისძიებას ვუწევ ორგანიზებას, ვესწრები სათვისტომოს შეკრებებს, ვხვდები სტუმრებს და ვმასპინძლობ, უამრავი საქმე მაქვს და ჩემი ფინანსური შემოსავლების 25%-ს ისევ თანამემამულეებს ვუგზავნი, ვუნაწილებ საქართველოში.

\* \* \*

ჯიმშერ ბედიანაშვილი, როგორც პროფესიონალი უურნალისტი, საქართველოს და გერმანიის უურნალისტთა ფედერაციების წევრი, ძლიერი, მართალი და ოპერატიული კალმოსანი — ეს სხვა და საკმაოდ დიდი თემაა. მოკლედ ერთს ვიტყვი, მან, ჯერ

# ჩვენი თანამემამკე

კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, თავის პიროვნულ და პროფესიულ მოვალეობად ძმათამკვლელ ოში წასვლა იმ მიზნით გადაწყვიტა, რომ გონიერი მედიატორის როლი შეესრულებინა. სამწუხაროდ, არ გამოუვიდა. ის თვეობით იყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში ბრძოლის წინა ხაზზე ტელეოპერატორის ვიდეოკამერით და სიკვდილს უყურებდა თვალებში. მძიმედ დაჭრილი სამხედრო ჰოსპიტალშიც მოხვდა და უდიდესი ტანჯვა-განსაცდელის უამს ისევ ჯიუტად იღებდა კალამს ხელში და ლექსებს წერდა სამშობლოსა და თავისი ერის ტკივილიან რეალობაზე.

ღია კარები...

შავი აჩრდილი

და განწირული კივილი ჩემი...

და ნაბიჯების ხმაური ფრთხილი

და გაუონილი კედელში ცრემლი...

ღია კარები

და ჩუმი ოხვრა,

ღამის გულიდან ამონთხეული...

ღია კარები...

და შემოხოხდა

მთვარე

დარდისგან გამოლეული...

ეს, ჰოსპიტალში...

და საერთოდ, ბატონი ჯიმისთვის ლექსის წერა, მართლაც საოცარი და ბედნიერი თავგადასავალია. წუთებია და წლები, ლექსები არ აძლევენ მოსვენებას პოეტს და ისიც არა და ვერ ას-ვენებს დროს. ის წერს იმიტომ, რომ სულისმიერი ტკივილები ოდნავ მაინც დაიყუჩოს, წერს იმიტომ, რომ თვითნაბად ნიჭიერებას, ლექსად რომ იბადება, განურჩევლად დროისა, კალამი შეაშველოს, წერს იმიტომ, რომ არაფერი დაავიწყდეს წარსული-დან, თავისი მშვენიერი მშობლიური სოფლით დაწყებული და დამთავრებული იმ გზებით, სამშობლოს რომ განაშორა. წერს და იმას ევედრება უფალს, რომ

ღმერთო, მე შენგან არაფერს ვითხოვ,

ოლონდ სამშობლო გადმირჩინე.

წერს დაუსრულებლად, წერს ისეთ თემებზე და იმგვარად, რომ მკითხველს მართლაც აოცებს პოეტური ნიჭიერების სიღ-რმე-სიდარბასისლით და როგორც ყოველთვის, თითებზე ითვ-ლის სარითმე მარცვლებსა და ხმოვნებს. იწერება კიდევ „ლექსი“ ლექსზე, რაც მის პოეზიაში ჩემი აზრით, მეტისმეტად საინტერე-სო მიგნებაა მკითხველთან ფიქრის გასაზიარებლად.

ჭრაქის სხივები ცქმუტავენ ჭერში,

შუქი სიბნელეს მხოლოდ აყვითლებს.

ისევ კალამი მიჭირავს ხელში

და ისევ ვეძებ ფიქრებში რითმებს,

აი, დაიწყო გადათვლა ცერამ,

მეხუთე ხმოვანს მოკეცავს „ნეკი“,

თითებმა უხმოდ დაიწყეს ცეკვა

და მერე თავად მოვიდა ლექსი.

თემატური მრავალფეროვნება და პოეტური გულწრფელობა პოტენციურ მაღალმხატვრულ აზროვნებასთან და ლიტერატუ-რულ გემოვნებასთან შერწყმული, სამყაროს უსასრულობაში ჩვეულებრივსა და არაჩვეულებრივში საკუთარი ხედვის, აზ-როვნების, ათვლისა და მიგნების შესაშური უნარი, ორიგი-ნალურობა, მიბაძვაზე კატეგორიულად უარის თქმა, მხოლოდ საკუთარი თავის ძება — და ეს გზა იმიტომ, რომ იცის, თავისი მოწოდების ადგილი, სიმაღლე, ხმა და რაც მთავარია, იცის, სად და როგორ თქვას პოეტური სათქმელი, მკითხველის გულთან მისასვლელად რომ ღირდეს. იცის ცხოვრების გრძელ, რთულ და საინტერესო გზაგავლილმა კაცმა, რომ დღეს პოეტობა ად-ვილიცა და რთულიც, ადვილი მათვის, ვისაც ლექსის წერა ტაშის დაკვრისათვის და ჯილდოსთვის სჭირდება, რთულია კი მათვის, ვინც იმგვარად იცხოვრა, რომ არ დაწეროს, არ შეუ-ძლია, მისთვის დაუწერლობა სასჯელი იქნება. ღრმა სულიერი განცდები ლექსებში პოეტს იმ მიზნით გადააქვს, რომ ადამიანებს სიყვარული ასწავლოს, ანუგეშოს და იმედებით აღავსოს.

მიჰქრის, მიფრინავს ცხოვრება ჩემი,

ქარი კლდეებზე დაიმტვრევს თავ-პირს,

ვით სტიქიასთან შებმული გემი,

მეც მივადგები დაღლილი ნაპირს...

ვიცი, მივყავარ გზას არაფრისკენ.

# ჩვენი თანამემამკე

ვიცი, ჩაქრება სულში ხანძარი,  
წვიმა ჩამოშლის გაცრეცილ ფრესკებს  
და დაინგრევა ყველა ტაძარი.

.....  
დაე, წალეკონ დღები წვიმებმა...  
ვიცი, ცხოვრება ძალზე რთულია,  
თუ დავბერდები, არ მენყინება,  
ჩემთვის სიბერეც სიყვარულია!“.

ისლა დამრჩენია, კიდევ ერთხელ ვუთხრა ბატონ ჯიმის, რომ  
მისი პოეტური ნაწერებით აღფრთოვანებული ვარ და ეს საუურ-  
ნალე მასალაც მოკრძალებული მადლობა და შეფასებაა თქვენი  
და თქვენი პოეზიის.

სურვილით კი, საკუთარ თავს რომ უსურვებთ, იმაზე უკეთე-  
სად რა შეიძლება გისურვოთ.

იქ არის ჩემი ფუძე და კერა,  
ბებოს სახლი და ძველი თონე,  
აქ კი, ოცნებაც გამომელია,  
ეჱ, რას ვუდგევარ, გავიქცე, თორემ...  
— ბატონო ჯიმშერ, საქართველოში თქვენ ჩვენი დროის  
ალიარებული პოეტი ბრძანდებით!  
გელით...



(კონკრეტული)

## ანზორ ერქომაშვილი

ქართული ფოლკლორის სიამაყე,  
ქართული ხალხური სიმღერების საშომარულოგლო  
ტრადიციების ღირსეული გამგებელებალი

საქართველოს თანამედროვე ფოლკლორისტთა სახელოვან პლეადაში განსაკუთრებული ადგილი დაიმსახურა მსოფლიოში აღიარებულმა ჩვენმა თანამემამულემ – ანზორ ერქომაშვილმა, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო ფოლკლორისტიკაში, ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ზოგად-საკაცობრიო და უნიკალური მნიშვნელობის აღიარებაში, რაც იუნესკომ დაადასტურა 2001 წელს, როცა აღიარა ქართული მრავალხმიანი სიმღერა მსოფლიო არამატერიალური კულტურის ძეგლად. ცხოვრებისა და შემოქმედების დიდი, საინტერესო და მშეფოთვარე გზა განვლო ანზორ ერქომაშვილმა ერის სამსახურში, რადგან მის თვალწინ ყოველთვის იდგა სახელოვანი სასიმღერო ტრადიციების დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი – არტემ ერქომაშვილი, რომელმაც სიცოცხლეშივე სწორად დააკვალიანა შვილიშვილი, აზიარა ქართულ-ხალხურ სიმღერებს, გურული ფოლკლორის რიტმოინტონაციებს და უანდერძა ამ სახელოვანი ტრადიციების ღირსეულად გაგრძელება.

ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის დროს დაიწყო ანზორმა გურული საგალობლებისა და ხალხური სიმღერების გადატანა ნოტებზე, დააარსა ამ სიმღერების შემსწავლელი ვრკალური

ანსამბლი „გორდელა“, შემდგომ გამოსცა „გურული ხალხური სიმღერების“ კრებული (1980).

1968 წელს მან დააარსა ვოკალური ანსამბლი „რუსთავი“ და გახდა მისი სამხატვრო ხელმძღვანელი. ანსამბლმა მრავალ ქვეყანაში გასტროლებით კიდევ უფრო მეტი თაყვანისმცემელი შესძინა ქართულ-ხალხურ სიმღერას.

ეს სახელოვანი კოლექტივი ნახევარ საუკუნეზე მეტია, საკონცერტო ფოლკლორული მიმდინარეობების სათავეშია. თავისი არსებობის მანძილზე ანსამბლ „რუსთავს“ გამართული აქვს 5000-ზე მეტი კონცერტი, გასტროლებზე იმყოფებოდა 80-მდე ქვეყანაში. ჩვენს ქვეყანაში მას მიღებული აქვს უამრავი ჯილდო: ზ.ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1980), საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის წოდება (1984), ალბერტ შვაიცერის სახელობის საერთაშორისო პრემია (1986).

უნდა აღინიშნოს ანსამბლ „რუსთავის“ პირველი შემადგენლობა: ჰამლეტ გონაშვილი, სალივერ ვადაჭკვორია, ლადო წივწივაძე, ომარ კელაპტრიშვილი, ანზორ ტულუში, გაიოზ არაბიშვილი, ჯუმბერ ყოლბაია.

ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად ანზორ ერქომაიშვილმა გააკეთა ჩანაწერები და შექმნა ქართული ხალხური სიმღერების ანთოლოგია, რომელშიც შევიდა 400 სიმღერის ჩანაწერი დისკებზე (2013), შემდეგ გამოიცა 380 ქართული ხალხური სიმღერის ჩანაწერი (2015).

სადღეისოდ ანსამბლ „რუსთავს“ ჩაწერილი აქვს 900-ზე მეტი სიმღერა და საეკლესიო საგალობელი, რომლებიც გამოცემულია როგორც ფირფიტების, ისე კომპაქტური დისკების სახით.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერების კოლექციები ინახებოდა მუზეუმების საცავებში. ანზორ ერქომაიშვილმა ამ კოლექციათა უმრავლესობა მოიძია, საქართველოში ჩამოიტანა და „კატალოგი და ასი ქართული ხალხური სიმღერა“ დისკების სახით გამოსცა (2008).

ფასდაუდებელი ამაგი დასდო ანზორ ერქომაიშვილმა ძველი ქართველი მომღერლების ავთენტური ხმების აღდგენას, რომლებსაც მიაკვლია მსოფლიოს არქივებში. მივიწყებული

წარსულიდან გამოიხმო და გააცოცხლა თანამედროვე ხმის ჩამნერი ტექნიკის საშუალებით, მათი ხმები გამოსცა ფირფიტებისა და კომპაქტური დისკების სახით. ამ გზით ქართველ ხალხს დაუბრუნდა უდიდესი მომღერლების, ლოტბარების და სხვა გამოჩენილი პიროვნებების სახელები. მან ისინი ანსამბლ „რუსთავის“ რეპერტუარში დაამკვიდრა.

ანზორ ერქომაიშვილს გამოცემული აქვს აგრეთვე საინტერესო წიგნები: „ბაბუა“ (1980), „შავი შაშვი ჩიოდა“ (1988), „გზები, ადამიანები, სიმღერები“ (2011). ამ უკანასკნელ წიგნს თან ერთვის დისკი სათაურით: „ხმა უცნაური“ (ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი მომღერლების ჩანაწერები).

ქართული კულტურის ისტორიისათვის ძვირფასი შენაძენია ინგლისურ ენაზე გამოცემული სამტომეული – „საქართველოს ისტორია, კულტურა, ეთნოგრაფია“ (2020), რომლის პრეზენტაცია შედგა 2019 წლის 29 დეკემბერს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. მზადაა გამოსაცემად ამ სამტომეულის ქართული ვარიანტი.

**2020** წლის აგვისტოში ანზორ ერქომაიშვილს აღუნიშნეს დაბადებიან 80 წლისთავი მშობლიურ კუთხეში, გურიაში.

საზეიმო ვითარებაში ანზორ ერქომაიშვილს გადაეცა „ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი“.

**2021** წლის 31 მარტს ანზორ ერქომაიშვილი გარდაიცვალა.

უკანასკნელ გზაზე გააცილა იგი ქართველმა ხალხმა საეკლესიო საგალობლებით და მისთვის საყვარელი ქართული ხალხური სიმღერების ჰანგებით. დაიკრძალა თბილისში, მთაწმინდაზე, გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთონში.

გურიაში შეიქმნა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და გაიხსნა მემორიალური დაფა.

**2020** წლის 20 იანვარს თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საზეიმოდ გაიხსნა ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის კაბინეტი, სადაც თავმოყრილია წლების მანძილზე მის მიერ მოძიებული ძველი, ავთენტური ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერები (ფირფიტები, დისკები), წიგნები.

1972-75 წლებში ანზორ ერქომაიშვილი იყო რუსთავის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი, მე ვსწავლობდი ვოკალურ განყოფილებაზე, ვიყავი მისი სტუდენტი, მასწავლიდა დირიჟორობას.

მუსიკალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგაც ის ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩემს პედაგოგიურ და კვლევით მუშაობას, ინტერესდებოდა ჩემი სადისერტაციო ნაშრომით – „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა“. შემდგომში ეს მასალები მონოგრაფიად ვაქციე. მისი რეკომენდაციით, საქართველოს კულტურის სამინისტრომ დააფინანსა ამ სამეცნიერო ნაშრომის გამოცემა.

დავასრულე მუშაობა მონოგრაფიაზე იოზეფ რატილზე – გამოჩენილ ჩეხ საოპერო მომღერალზე, ქართული მუსიკალური კულტურის დიდ მოამაგეზე, რომლის გამოცემასაც საკუთარი სახსრებით კისრულობდა ანზორ ერქომაიშვილი. სამწუხაროდ, არ დასცალდა.



ქამი ქოძი

## საზო მივექანებით?!

„ერის გათახსირება იძილან იცხვაბა,  
როცა იგი თავის ისტორიას ივიწყება.“  
ილია

ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი – აწინდელს, კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში“. – ასე გვმოძლვრავდა დიდი ილია. ასე ცხოვ-რობდნენ ჩვენი მამა-პაპანი...

დღეს კი, 21-ე საუკუნეში, აწმყოთი უკმაყოფილოთ, წარსული გაგვხდომია სანატრელად. ის დრო გვირჩევნია, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა“. გვქონდა საამაყო ისტორიული წარსული, მდიდარი კულტურა, გვყავდა ლიტერატურისა და ხელოვნების გამორჩეული მოღვაწები, მეცნიერები, სპორტსმენები... დღეს კი ვინ ვართ?! გათითოვაცებული, ღირსებადაკარგული ერი. მავანნი გვმოძლვრავენ, რომ მიღწევები გვაქვს ეკონომიკაში, განათლებისა და კულტურის სფეროში, მაგრამ რეალობას ხომ ვერ გავექცევით?!

სალაპარაკო მართლა ბევრია, მაგრამ საქმე ისაა, რა გამოვა აქედან. წერილი მარტო „გულის ფხანას“ კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ მას გარკვეული მიზანი უნდა ამოძრავებდეს. თუმცა, ეს იყო ადრე, როცა კაციც ფასობდა და მისი სიტყვაც. ამის დაუნახაობას თუ ვერ ახერხებ, მაშინ ისლა დაგრჩენია, კალამი და ფურცელი აიღო ხელში და შენი გულისტკივილი სტრიქონებს მიანდო.

ამჯერად კულტურის სფერო ავირჩიე თემად. როცა ერს უჭირდა, ჩვენ ლექსით, სიმღერითა და ცეკვით ვიწონებდით თავს.

დღეს კი თანდათან დავივიწყეთ ჩვენი საამაყო ისტორია, ტრადიციები. უმეტესობას ალარ უნდა წიგნი, კინო, თეატრი. უყურადღებოდაა დარჩენილი მწერალი, მეცნიერი, მხატვარი, კომპოზიტორი, მსახიობი. კარგა ხანია საქართველოში კულტურის დეგრადირება ხდება. ეკონომიკური გაჭირვება ერთია, სულიერება კი – მეორე. ვფიქრობ, მეორე უარესია პირველზე.

„ლიტერატურა ხალხისათვის სიკეთეში გადამყვანი ხიდია და ფონი! როგორც კეკლუცისათვის სარკე, ისე ხალხისათვის ლიტერატურაა საჭირო, რომ შიგ ჩაიხედოს და თავისი სახე მისის ღირსებითა და ნაკლოვანებებით დაინახოს“. – წერდა აკაკი.

ჩემი თაობა წიგნზე გაიზარდა, წიგნით გაიგო ავისა და კარგის გარჩევა, ხელოვნების ნაწარმოებების შეფასება. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ფუნქციონირებდა წიგნის მაღაზიები, რჩეული მწერლების წიგნების ქვითრები ეხლაც შენახული მაქვს, მაგრამ სადაც? მოუთმენლად ველოდებოდით ფოსტალინოს, რომ გამოწერილი ჟურნალ-გაზიერები მიგვეღო. გაზიერები დღესაც იყიდება, მაგრამ მოსახლეობა მათ უსახსრობის გამო ვერ ყიდულობს.

ქალაქში არსებული 16 საქალაქო ბიბლიოთეკიდან დღეს მხოლოდ ხუთი ფუნქციონირებს (მათ გარდა ყოველ საწარმოს პქონდა საკუთარი, ტექნიკური ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა). ასეთი რა უინი აუტყდათ შენობების გაყიდვის, გაუგებარია. განა ჩვენთვის სულერთია, იქ ბიბლიოთეკა იქნება, პოკერ-კლუბი ოუ ტოტალიზატორი?!

სადაც გაიხედავ, ყველგან აფთიაქი, მაღაზია და ბანკია გახსნილი. ადრე მხატვრებს პქონდათ შესანიშნავი საგამოფენო დარბაზი მესხიშვილის ქუჩაზე, სადაც დღეს მაღაზია „ფენიქსია“ განთავსებული. მხატვრები ექსპოზიციებს ბიბლიოთეკაში ან მუზეუმში ატარებენ. ასევეა მწერალთა სახლიც, ერთ დროს იქ იკრიბებოდნენ მწერლები, მსახიობები, მხატვრები და საერთოდ, შემოქმედი ადამიანები. აქ ეწყობოდა შეხვედრები ქალაქის მოწინავე ადამიანებთან, წიგნის წარდგინებები, იუბილეები... ეს იყო ქალაქის ინტელიგენციის სულიერი კერა, რომელიც შემდგომში ლიტერატურულ თეატრს შეუერთეს, ფაქტიურად გააუქმეს. დღეს იქ სავაჭრო ობიექტები და აფთიაქია გახსნილი.

ქალაქში არსებული შვიდი კინოთეატრიდან დღეს არცერთი არ ფუნქციონირებს. იმედი გვქონდა, რომ კინოთეატრი „რუსთაველი“ მაინც იარსებებდა, მაგრამ ის უკვე სამი წელია, რაც „საქართველოს ბანკმა“ იყიდა. ორი კინოთეატრი საერთოდ

მიწასთან გაასწორეს. დავრჩით ამ ინტრიგებით სავსე, უზნეო ტელესერიალებისა და არაფრისმომცემი შოუების ამარა.

რაც შეეხება ლიტერატურულ თეატრს, რომელიც ცნობილი ქართველი მსახიობის კოტე მახარაძისა და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ჩვენი თეატრის უნიჭირესი მსახიობის, ნათელა მუხულიშვილის უშუალო ძალისხმევით დაარსდა, წლების განმავლობაში აქ პატარებისთვის და მოზარდებისთვის არაერთი მაღალმხატვრული ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია განხორციელდა. წარმოდგენები აგებული იყო ქართველ მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამდენად, ის საპროგრამო და აუცილებელი იყო ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. ისიც გააუქმეს, მის ადგილას ჯერ ლუდის ბარი გახსნეს, მერე კი საერთოდ დაანგრიეს.

თეატრის თემას შევეხე და მინდა აქაც აკავის დავესესხო: „თეატრი ხელოვნების ტაძარია, სამოძღვრო ამბიონი და არა უბრალო გასართობი, საგუნდრუკო რამ. სცენა ეროვნული სარკეა, რომელიც უშიშრად და უტყუარად უნდა გვისახავდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს.“ დამეთანხმებით, თუ ბავშვმა პატარაობიდან არ შეიყვარა თეატრი, ის ვერასოდეს ვერ გახდება ამა თუ იმ წარმოდგენის შემფასებელი. რუსთაველ პატარებს ჰქონდათ არაჩვეულებრივი თოჯინების თეატრი. აქ იდგმებოდა სპექტაკლები მოზარდებისათვისაც. რატომღაც ის დრამატულ თეატრს მიუერთეს, რითაც დიდი სიამოვნება მოაკლეს, როგორც პატარებს, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობასაც.

რაც შეეხება ჩვენი ქალაქის დრამატულ თეატრს, სამწუხაროდ, პანდემიის გამო, აქაც შეფერხებულია მუშაობა. მსახიობებს ენატრებათ სცენაზე თამაში. არადა, ადრე იყო წარმატებული გასტროლები საქართველოს ქალაქებში, მოსკოვში, უნგრეთში, საბერძნეთში...

განა იმის ღირსია საუკუნეებგამოვლილი, მდიდარი კულტურის მქონე ქართველი ერი, რომ მხოლოდ წარსულის მოგონებებით იცხოვროს? ყველაფრის თავი და თავი ხომ ჩვენშია. მავანი გვმოძღვრავენ – საქართველო კვლავ გაბრნყინდება, ჩვენ ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართო. ღმერთმა ისმინოს ეს ნათქვამი, მაგრამ არაფერი გვეშველება, თუ ჩვენ მხოლოდ ღღევანდელი ღღით ვიცხოვრებთ და მომავლისკენ არ გავიხედავთ. და თუ დროზე არ მივხედეთ კულტურას, სამშობლოც ხელიდან გამოგვეცლება.



გორგა (ჯა) მანაძე

## დოკუმენტური პერსონა გუსარში შეიჩინა წერილებიდან...

ეს წერილები დაწერილია 2001-2011 წლებში, გარემოებათა გამო მაშინ ისინი ვერ გასაჯაროვდნენ და ავტორმა მოგიზგიზე ბუხარში შესაყრელად გაიმეტა.

მკითხველს დღეს ვთავაზობთ ამონარიდებს გამოუქვეყნებელი, ბუხარში შეყრილი წერილებიდან, რომლებიც ცეცხლს გადაურჩა...

\* \* \*

ისე, როგორც შეუძლებელია „კაცის კაცი“ შედგეს ჭეშმარიტ კაცად, ასევე შეუძლებელია, ქვეყანა შედგეს სრულყოფილ სახელმწიფოდ, რომელიც ეძებს (და ეს ასეც უნდა იყოს) პარტნიორ ქვეყნებს და პოულობს „პატრონს!“

\* \* \*

ერების გენეტიკურ კოდს, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, განსაზღვრავს სამი ფენომენი: რელიგია, ყოფა-ცხოვრების წესი და მათზე დაფუძნებულ-განვითარებული კულტურა, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

ერის არსებობაში ამ სამი პირობიდან ერთ-ერთის ამოგლეჯაც კი იწვევს ერის გადაგვარებასა და კვდომას.

ეს ბრწყინვალედ იციან ჩვენთვის ავისმოსურნებმა.

ვერ გაგვიაზრებია ჩვენ, ქართველებს!

\* \* \*

მეგობრობა სამ „ვეშაპზე“: – სიყვარულზე, ერთგულებაზე და მიმტევებლობაზე დგას. ერთ-ერთის უარყოფას მეგობრების ნაცვლად „ვიგოდნიკობასთან“ მივყავართ, რაც „კაცმაცუნების“ ცხოვრების წესია!

კაცობასა და კაცმაცუნობას შორის უზარმაზარი ზღვარია, მანძილი კი უაღრესად მცირე.

სწორედ ამ მცირე მანძილის არსებობის გამო, მავანთ და მავანთ არ უჭირთ მისი გადალახვა.

\* \* \*

როდესაც მეუფე ათანასეს – უაღრესად განსწავლულ და პატრიოტ ღვთისმსახურს მოკრძალებით ვთხოვე, გამოეთქვა აზრი კომპიუტერის შესახებ, მისი პასუხი იყო: „ოოოო, ეშმაკი-სეულია, შვილო გიორგი, ეშმაკისეული! თუ გინდა, ბალლ ერი და ბერი შააზიზლო და საკუთარი დედ-მამა აგინებინო, წიგნის მაგივრად სწორედ ეგ ჯოჯოხეთი მანქანა უნდა უყიდო!“

\* \* \*

ძნელად (რთული) წარმოსადგენია, რა სიმაღლეებს მიაღწევ-და დედამიწისეული ცივილიზაცია, რომ არ ჰყავდეს მთავარი და მრისხანე მტერი – ცივილიზაცია!

\* \* \*

მცირეოდენი სიცრუე და სიყალბეც კი საკმარისია უდიდესი რწმენის დასათრგუნად!

\* \* \*

როდესაც უსმენ მის უწმიდესობას, კითხულობ საშობაო თუ სააღდგომო ეპისტოლეს, რწმენაში ოდნავადაც კი შესულ უბრალო მოკვდავს გიჩნდება სურვილი ხელახლა დაბადებისა, რათა არ დაუშვა ის ცოდვანი და სისულელეები, რაც განვლილი ცხოვრების გზაზე ნებსით თუ უნებლიერ დაგიშვია.

\* \* \*

გეგმაზომიერად, წარმატებით მიმდინარეობს მომავალი თაობის გამოთაყვანების პროცესი. ცოდნის, ანალიზის, სიბრძნის წყარო – წიგნი (წიგნსაც გააჩნია) მიზანმიმართულად ჩაანაცვლა

„ჯოჯოხეთის მანქანამ“ – კომპიუტერმა, რომელმაც ისე დააპატა-  
რავა მსოფლიო, რომ მისი მართვა ერთ გვარდაუსახლებელ კოლ-  
მეურნეობის თავმჯდომარესაც კი შეუძლია!

არ გახსენდებათ ლეგენდარული „პინკ ფლოიდი“-ს გენიალური  
კლიპი – „კედელი?!“

\* \* \*

ნურავინ იფიქრებს, რომ კომპიუტერის – კომუნიკაციის ინ-  
ფორმაციის მიღება-გადაცემის, დამუშავების და პრაქტიკაში  
გამოყენების ამ უბადლო საშუალების წინააღმდეგი ვარ.

მე წინააღმდეგი ვარ იმ აღვირახსნილობის, შეურაცხმყოფელი  
ტექსტების, ბოლმისა და ღვარძლისა, რაც უხვად იფრქვევა ამ  
სივრცეში და ემსახურება ერის გამოთაყვანების, უზნეობისა და  
უვიცობის პროპაგანდას.

\* \* \*

კაცის ცხოვრება ერთი მრავალფეროვანი, უზარმაზარი წიგ-  
ნია, რომლის კითხვისას უსიამოვნო, მძიმე გვერდებს ვერაფრით  
ვერ გამოტოვებ.

\* \* \*

ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერის გადარჩენა-განვითარები-  
სთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სულიერი და კულტურული  
მემკვიდრეობის შენარჩუნება-განმტკიცებას, რასაც გააფთრე-  
ბით ებრძვის ლიბერასტ – „გრანტიჭამიათა“ მთელი არმია.

მხოლოდ ღირსეულ, ეროვნულ ხელისუფლებას შეუძლია მათი  
ალაგმვა და ფუნდამენტურ ღირებულებებზე დაყრდნობით წარ-  
მატებული ქვეყნის მშენებლობა.

\* \* \*

ძალა, რომელიც ხალხის თვალში დასავლეთის დისკრედიტა-  
ციას ეწევა, რეალურად, ეს არის სწორედ დასავლეთისგან დაფი-  
ნანსებული ვითომ „მედასავლეთე“ ყბედი მუტანტების ნაზავი,  
რომელთა მხრიდან „ადამიანთა უფლებების მხარდაჭერის ეგიდ-  
ით განხორციელებული ლ.გ.ბ.ტ. და სხვა ჭრელჭრულების მიმართ  
გამოხატული თანადგომა და მათი „საქმეთა საგმიროთა“ აგიტა-  
ცია კატეგორიულად არ თავსდება ქართულ და ზოგად კავკასი-  
ურ მენტალიტეტში.

მისასალმებელია სწრაფვა ჭეშმარიტად ღირსეული და ფასეული ევროპისაკენ. მაგრამ ასევე აუცილებელია ევროპის მოწვევა საქართველოში, რათა უფრო ღრმად გავაცნოთ ჩვენი ღირსებები და ფასეულობები.

\* \* \*

ქართული წმინდა სამოციქულო ეკლესია და მისი ღირსეული ღვთისმსახური – ესაა დუღაბი ჩვენი სულიერების, კულტურის და სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. ამიტომაც სასტიკად ებრძოდნენ საუკუნეების მანძილზე ქართულ ეკლესიას ყველა ჯურის მომხდური და ავაზაკები. ანადგურებდნენ ეკლესია-მონასტრებს, ამსხვრევდნენ ზარებს, ჯვრებს, ბილწავდნენ წმინ-და ხატებს, უმოწყალოდ ხოცავდნენ ბერ-მონაზვებს.

დღეს ამ „მისიას“ დემოკრატიის სახელით წარმატებით ახორ-ციელებენ რენეგატები და ჩიპიანი მუტანტები, ხოლო მახვილი შეცვალა ანტიქართულმა იდეოლოგიამ და მწვანე ბანკნოტებმა.

მართლმადიდებლობის გადარჩენა-განმტკიცება მართლმა-დიდებელთა ერთიანობაშია...

\* \* \*

ღმერთისგან ქართველებისთვის ნაბოძებ წალკოტში, საქართ-ველოში, უნიკალური კლიმატის და ბარაქიანი მიწა-ნიადაგის გარდა, არსებობს უზარმაზარი სიმდიდრის მტკნარი (სასმელი) წყლის აურაცხელი მარაგი.

ცივილიზაციის შემდგომი განვითარების პერსპექტივაზე მო-მუშავე სწავლულთა პროგნოზით, ადვილი შესაძლებელია უახ-ლოეს ათწლეულებში სასმელი წყლის ფასი გაუტოლდეს ნავთობ-პროდუქტების ფასს!

სახელმწიფოს (მთავრობის) პატრიოტული ვალია, დააფინან-სოს და შექმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა ბიუჯეტიდან და არა მოწვეული ინვესტორების ჯიბიდან, რათა შემდგომში რე-ალიზებული პროდუქტებიდან მიღებული მოგებით და სიკეთით ისარგებლოს საქართველოში მცხოვრებმა ყველა ადამიანმა და არა ერთეულმა ფულის ტომრებმა.

\* \* \*

წარმატებულია სახელმწიფო, სადაც იერარქიის ყველა საფეხურზე კადრების შერჩევა-განთავსება დაფუძნებულია „4პ“-ს პრინციპზე. ესენია: ა) პატრიოტიზმი, ბ) პროფესიონალიზმი, გ) პრინციპულობა, დ) პასუხისმგებლობა.

\* \* \*

ულტრა-თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, რამაც მნიშვნელოვნად „დააპატარავა“ სამყარო, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს გონივრულ მართვას.

გონივრული მართვა გონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელი არის. გონიერ ხელისუფლებას კი მხოლოდ გონიერი ხალხი ირჩევს.

\* \* \*

დრომ გვიჩვენა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის ხშირად მკაცრ მოთხოვნებამდე დასული ე.ნ. „რჩევები“ და „რეკომენდაციები“ სხვა არაფერია, თუ არა განვითარებად ქვეყნებზე პოლიტიკური ზემოქმედების, გნებავთ, ზეწოლის მძლავრი ფინანსური ინსტრუმენტი.

\* \* \*

თუ გაეროს შესაბამისი სამსახურების ანალიზს დავუჯერებთ (და სხვა გზა ალბათ არა გვაქეს) 2050 წლისათვის საქართველოში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით.

დემოგრაფიულ პრობლემებზე და საშიშ პერსპექტივაზე ჯერ კიდევ 70-80-იან წლებში მრავალი სტატია გამოაქვეყნა პერიოდულ პრესაში ცხონებულმა გურამ ფანჯიკიძემ. ამის შესახებ წერდნენ ერთს სხვა განსწავლული და პატრიოტი ადამიანებიც. ვფიქრობ, არა მარტო რიგითი ქართველის, არამედ ნებისმიერი ჩინოვნიკის, გნებავთ მინისტრის, სამუშაო დღე უნდა იწყებოდეს პროფ. ანზორ თოთაძის ისტორიულ-ანალიტიკური ნაშრომების და წიგნების გადაკითხვით მაინც, რათა თავიანთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ყოველ წუთს ახსოვდეთ ის დღი პასუხისმგებლობა, რაც აკისრიათ ერთს გადარჩენა-განვითარების თანამედროვე ურთულეს ეტაპზე.

\* \* \*

პოლიტიკური ქრთამით ანგაუირებული ე.წ. „ექსპერტები“ ხშირად გვმოძლვრავენ, რომ საქართველო ღარიბია წიაღისეული სიმდიდრეებით და ეკონომიკის განვითარებისთვის მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. ვეკითხები ამ ე.წ. ექსპერტებს:

— რა იციან მათ საქართველოში არსებული ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, სტრონციუმის და სხვა მარაგების შესახებ და ვინ განკარგავს მათ მოპოვება—დამუშავება—რეალიზაციის უფლებას?

— იციან თუ არა იმის შესახებ, რომ რაჭაში ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ აღმოჩენილ იქნა და არსებობს უნიკალური ნედლეულის — დარიშხანის საბადოები?

— სმენიათ თუ არა რამე ასევე უნიკალური ქართული თიხების შესახებ, მათ შორის გურიაში (ასკანა) არსებული ბენტონინის კარიერების შესახებ, რომლის პროდუქციაც თითქმის შეუცვლელია მეტალურგიულ-მანქანათმშენებლობის წარმოებაში?

— იციან კი ამ ე.წ. ექსპერტებმა, რომ ჩვენი სტრატეგიული (?) პარტნიორის აშშ-ს ერთ-ერთი ცნობილი ფირმის მონაცემებით საქართველოს წიაღში არსებული ბუნებრივი აირის მარაგით მრავალი წლის განმავლობაში შეიძლება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის უზრუნველყოფა? და ა.შ. რომ აღარაფერი ვთქვათ ქვანახშირის, მარგანეცის საბადოებზე და მართლაც „თხევადი ოქროს“ — მიწისქვეშა მტკნარი წყლის უზარმაზარ მარაგებზე!

\* \* \*

თვითნასწავლს, მაგრამ მრავალმხრივ განათლებულ სტალინს (და ამას აღიარებდნენ მისი თანამედროვენი, მსოფლიო დონის მეცნიერები და პოლიტიკოსები) შესანიშნავად ესმოდა, რომ ათასობით კილომეტრიდან შესაბამისი ნედლეულის მიწოდების ხარჯზე მომუშავე მეტალურგიული კომბინატი დაბალრენტაბელური და ნაკლებმომგებიანი იქნებოდა, მაგრამ მას, როგორც ქართველ კაცს, ასევე ბრწყინვალედ ესმოდა, რომ სწორედ „ამიერკავკასიის (რუსთავის) მეტალურგიული კომბინატის“ მშენებლობა-განვითარება იყო ერთადერთი ეფექტური და მოკლე გზა თითქმის შვიდი საუკუნის წინათ, 1265 წელს, ჩინგის ხანის შვილიშვილის, „ოქროს ურდოს“ ყაენის, ბერქას მიერ პირისა-გან მიწისა აღგვილი ბოსტან-ქალაქის, როგორც აღმოსავლეთ

საქართველოს კარიბჭის და ციტადელის აღსაფენად, სიცოცხლის დასაბრუნებლად. ყველაზე დიდი ცოდვის – უმაღურობის აპოთეოზია, როდესაც კაცობრიობის ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსის, მხედართმთავრის, დიპლომატის და სახელმწიფო მოღვაწის სახელობის ხე და ბუჩქიც კი არ არსებობს (რომ არაფერი ვთქვათ ქუჩის დასახელებაზე) მის მიერ აღორძინებულ ქალაქში!

არც იმის დავიწყება გვეპატიება, რომ პირადად სტალინის განკარგულების საფუძველზე, ხუთი ათასზე მეტი ჭაბუკი და ახალგაზრდა სისხლიმღვრელ ომში კი არა, ურალის და დასავლეთ ციმბირის ქარხნებში იქნენ განვეულნი ლეგენდარული წინაპრების – ხალიბების პროფესიის ასათვისებლად და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებად დაუბრუნდნენ მშობლიურ საქართველოს!

ხალხმა მათ „ოცდაექვსიანელები“ შეარქვა და ისინიც სიამაყუით ატარებდნენ ამ სახელს!

\* \* \*

ჩემში საოცარ ტკივილს იწვევს ლეონიძის ქუჩაზე გავლა-გამოვლა. აქ ხომ თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ, 1988 წლის ნესტიან და ცივ შემოდგომას თითქმის თვენახევრის განმავლობაში საკუთარ მანქანაში მომიწია ცხოვრება, როდესაც რუსთავის 6 მიკრორაიონში მშენებარე სხვადასხვა ობიექტების ფუნდამენტებიდან და კომუნიკაციების მაგისტრალებიდან ამოღებული ათეულ ათასობით კუბურმეტრის მიწის გატანას ბორჯომის, ხაშურის, საგარეჯოს სანერგე მეურნეობებიდან ჩამოტანილი 2500-ზე მეტი მარადმწვანე ნარგავების დარგვას და პარკის კეთილმოწყობას ვხელმძღვანელობდი.

მავანთა გაუმაძლარმა მადამ წალეკა პარკში გახარებული ასობით ძირი ნაძვი და ფიჭვი, აუზები, მინიატურული ხიდებით, მცირე არქიტექტურული ფორმები, წყალმომარაგების და დეკორაციული განათების სისტემები.

მამშვიდებს მხოლოდ ის, რომ უგემოვნო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებში დასაქმებულებს მიეცათ საშუალება, გამოკვებონ ბავშვები და ოჯახის წევრები.

\* \* \*

ნიკოლო მაკიაველი ბრძანებს: „როდესაც სამშობლოს ინტერესებს ეხებით, თავი შეიკავეთ იმაზე მსჯელობისგან – სამართლიანია ეს გადაწყვეტილება თუ უსამართლო, ლმობიერი თუ სასტიკი, საქებარი თუ საძრახისი. ანგარიშს ნუ გაუწევთ ამა თუ იმ თვალსაზრისს და მივიღოთ ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობს სამშობლოს არსებობას და თავისუფლების შენარჩუნებას“.

საინტერესოა, ასეულობით „პარლამენტწყალდალეული“ დეპუტატებიდან რამდენი ათეული, თუნდაც ერთეული დეპუტატი მოიძებნება, რომლებმაც გაითვალისწინეს დიდი მაკიაველის ეს საპროგრამო რჩევა-დარიგება სამშობლოს ბეჭ-იღბალის განმსაზღვრელი გადაწყვეტილების მიღების დროს?

\* \* \*

ათასნაირი უცხოური „ფონდების“ მიერ უხვად დაფინანსებული რელიგიური სექტების უმრავლესობა, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები (იგივე „სექტები“) წარმოადგენენ მაღალ დონეზე ორგანიზებულ „მთავარ დამრტყმელ იდეოლოგიურ ძალას ჯერ კიდევ არსებული საზოგადოების, ხალხის „პრიხვატიზაციის“ და სულიერი განადგურების ანტიეროვნულ საქმეში.

\* \* \*

ორ ათეულ წელზე მეტია, ქართველობა შინაური თუ გარეული მტრების გასახარად ურთიერქიშპობის და განადგურების კუპრში ვიხარშებით.

ამ ქვეყნის დამლუპველი ორომტრიალის ძირითად მამოძრავებელ და „მთავარ შემოქმედ“ ძალას კი, პოლიტიკურ პარტიებად წოდებული კლანური გაერთიანებების უმრავლესობა წარმოადგენს უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ დაფინანსებულ ე.წ. „არასამთავრობო“ სექტებთან ერთად.

თავის მხრივ ამ კონგლომერატის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს ვერგამხდარი ევროპელი, ვერგამხდარი ამერიკელი და ქართველობადავარგული მუტანტების კრებული, რომელიც დიდად სამწუხაროდ. ჯერ კიდევ ბოგინობს ქალაქებსა და სოფლად, სრულიად საქართველოში.

ამ „შემთხვევითობების“ ამოცნობა არც თუ ისე რთულია. საკმარისია საუბარში ახსენო „პატრიოტი“, „დედა ენა“, „სამშობ-

ლო“ და მსგავსი, ქართველი კაცისთვის ღვთაებრივი სიტყვები, რომ თვალებდაჭყეტილები, ირონიული ღიმილით შემოგხედავენ და შეიძლება არარობით დამძიმებული მხრებიც აიჩეჩონ. მაგრამ თუ შენს ლექსიკაში მოიპოვება სიტყვა „ფართი“, „ტრენინგი“, ანდა „მონიტორინგი“ და მსგავსი რაღაც რაღაცები (თუნდაც სულ ათიოდე), ჩათვალე, რომ შანსი „პრადვინუტთა“, „სასტავში“ მოხვედრისა, ჯერ კიდევ არ დაგიკარგავს.

\* \* \*

პრეზიდენტის სასახლის არქიტექტორის ბატონ გიგა ბათიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს სახლის შიდა რეკონსტრუქცია, მასში დედაქალაქის მუზეუმების, გალერეების, წიგნთ და განძთსაცავების, ქართული ეროვნული რენვის ნიმუშების და ა.შ. განთავსების მიზნით, რათა ე.წ. „ერთი ფანჯრის“ პრინციპით გახდეს შესაძლებელი უცხოელ სტუმრებისთვის, ტურისტებისთვის, ყველა დაინტერესებული პირისთვის საქართველოს მრავალსაუკუნოვანი, უმდიდრესი ისტორიის, კულტურის, ხელოვნების ნათლად წარმოჩენა, აღქმა-გაცნობიერება.

ამასთან ერთად, სასახლე უნდა გახდეს ერთ-ერთი უმთავრესი კერა მომავალი თაობების ეროვნულ ფესვებზე აღზრდის საშვილიშვილო საქმეში და ამისთვის აუცილებელია, მომსახურებერსონალი დაკომპლექტდეს ნიჭიერი, ინტელექტუალური, პატრიოტი ადამიანებით.

სასურველია ასეთ სასახლეს ენოდოს „ქართული სახლი“.



ქართული სისტემა

## დაზიანება კვირის და ქართული კულტურის გადაწყვეტილების შემოძღვანელობის მიზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მომავალი დღეს

თანამედროვე ქართულში კვირის დღეთა სახელები ე.წ. „ებრაული შაბათის სისტემით“ გვაქვს წარმოდგენილი (ორ-შაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი), რომელიც ჩვენში ქრის ტიანობის შემოღებასთან ერთად მკვიდრდებოდა „ბიბლიის“ თარგმანთა მეშვეობით და საბო-ლოოდ გაბატონდა VII ს-ში. მან გამოდევნა საკუთრივ ქართული კვირის დღეთა სისტემა, რაც დღესაც ცოცხალია მეგრულ-ჭანურსა და სვანურში (თუთაშხა, თახაშხა... ბჟაშხა) და მნათობ-ლვთაებათა შვიდეულს ეყრდნობოდა. \*

კვირადღის სახელი სამეცნიერო ლიტერატურაში ბერძნულ ნასესხობად ითვლება (ი. ჯავახიშვილი 1979:114). უძველეს ქართულ ტექსტებში მის ნაცვლად გამოიყენებოდა ერთ-შაბათი, რაც ასევე „შაბათის სისტემის“ გამოძახილია. ანუ დღეები ითვლებოდა შაბათიდან.

სულხან-საბას მიხედვით კი, კვირა მზის დღე// მზირა დღეა (საბა II: 651), ზუსტად ამ სახითაა ის წარმოდგენილი ქართველურ ენებშიც:

მეგრული	ლაზური	სვანური
ბჟაშხა//ქაშხა//ქეშხა (გ.ელიავა 1997(ბ):265)	ბჟაჩხა//ბჯაჩხა (ი. თანდილავა 1964:140)	მიშლადეღ//მიშლადაღ (სვანური ლექსიკონი:571)

\* მზე, მთვარე და 5 ძირითადი მნათობი ვარსკვლავი. თითოეული ვარსკვლავი ღვთაებას წარმოადგენდა და კვირის ერთ რომელიმე დღეს მფარველობდა.

სადაც ხა, დღა და ლადელ ზუსტი ფონეტიკური შესატყვისობებია ქართული სიტყვისა დღე.

საბას მიხედვით, მზის დღე//მზირა დღე// კვირიაკე// საუფლო მსაზღვრელ-საზღვრულის სახითაა წარმოდგენილი (ი. ჯავახიშვილი 1979:164), ზუსტად ამ წყობითა გვაქვს ისინი მეგრულში, ჭანურსა და სვანურშიც, რაც იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ ტერმინის საერთოქართული მნიშვნელობა ყოფილა \* მზის დღე, მოვკიანებით კი სინტაგმა გამარტივდა:

\* მზის დღე-> მზისა->მზირა.

ეს ბოლო ფორმა სულხან-საბასა აქვს დადასტურებული, ჭანური კი მუორა//ბჟორა (ი. ჯავახიშვილი 1950:165) ალოფონებს გვიჩვენებს. ცნობილია, რომ მზე<-> დღე ჩვეულებრივი მოვლენაა არათუ ქართულ-ქართველურ (ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი: 140), არამედ მთის კავკასიურ ენებშიც, კერძოდ, ხუნძურში გვაქვს ბაყო-მზე და ყო-დღე (არნ. ჩიქობავა 1955:46).

ვფიქრობთ, მზის დღე და მზირა კვირის ამ დღეს მისი მფარველი ღვთაების სახელის ტაბუირების (აკრძალვის) მიზნით დააპრეცვეს მას შემდეგ, რაც ამ მნათობს მზე უწოდეს. უფრო მოგვიანებით კი, ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ხელახალი ტაბუირებით (ხალხის მესხიერებიდან მისი საბოლოოდ ამოშლის მიზნით) ახალი სახელით მოიხსენიეს, უკვე მივიწყებული სახელდება კი ბერძნულს დაუკავშირეს: კვირიაკე// კვირა. ეს კლერიკალური წრეების სურვილი იყო, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმართობას ვერასოდეს დაამარცხებდნენ. ეს გზა მსოფლიოს ყველა რელიგიაში გაიარა...

ჩვენ მივიჩნევთ, რომ კვირა სულაც არ არის ბერძნული ტერმინი (სულ ორი სიტყვაა ამ ენაში ამ ფუძის კვირიაკე და კირილებისონ) და იგი მომდინარეობს წარმართული ღვთაების სახელიდან: კვირია//კვირეე//კვირაე//კვირა (ქართული ხალხური პოეზია I: 65), კვირე//კვირეა//კვირა (ჭინ-ჭარაული 1967:27), რომლის სარიტუალო პურს კვერი ეწოდება და ოჯახის მფარველია, მას ეკუთ-ვნის სახლის ის ნაწილი, რასაც კერა//კერია ჰქვია. და ისევე შემოგვინახა ამ დღემ კვირის დღის სახელმდები ღვთაების სახელი, როგორც სხვა დანარჩენი დღეების მფარველი ღვთაებისა.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ეს ღვთაება კვირია//კვირა

დღემდე ცოცხალია. მას კარგად იცნობენ ეთნოგრაფები, თუმცა, სულხან-საბასა და ნ. ჩუბინაშვილთან ის ფიქსირებული არაა. და ის ფაქტი, რომ საუკუნეებს მიღმა გამოაღწია და გაუძლო ქრისტიანობის ჩვიდმეტ- საუკუნიოვან შემოტევას, მის სიძლიერესა და უზენაესობაზე მეტყველებს.

კვირია გახლავთ „ფშავ-ხევსურული წარმართული ღვთაება, ხმელეთის მზრუნველი, მოურავი (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა:287); ეთნოგრაფიული, კუთხური (ფშავ-ხევსურული), რომელიც ხმელეთის მზრუნველად (მოურავად) მიაჩნიათ (ქართული ენის განმარტებითი ლექსი კონი IV:1182); კვირა (კვირია, კვირაე, კვირე) არის უზენაესის ნების შემსრულებელი (ქართული ხალხური პოეზია I:65); იგი ძლიერ ღვთაებად ითვლება, მისი კულტი უფრო ფშავ-ხევსურეთსა და სვანეთში შემორჩა... წარმართულ სვანურ სიმღერაში ისმის მხოლოდ ცალკეული სიტყვები: “კვირიაო, ეი-ვოი, ჰე!“ გადმოცემით, ძველი სარწმუნოებრივი სიმღერაა. ახალი წლის კვირა- ძალზე - წინა ორშაბათს მამაკაცთა გუნდი დადის კარდაკარ, ჰიმნს გალობს, უმღერის კვირიას, ახსენებს მიცვალებულებს და „ელია ლირდეს (ელია სიცოცხლის)“ მისამღერით გადადის სხვა სახლში. ეს მიმართვა „სიცოცხლე“ უთუოდ გულისხმობს, რომ კვირიამ მიცვალებულებს უნდა შეუნდოს, ცოცხლებს კი დღეგრძელობა მიანიჭოს.\* კვირა-დღესთან და ორშაბათთან (მთვარის დღსთან) ერთად ისიც უდავოდ სინათლის ღვთაებაა, იმედი. ჰიმნი ლილესა და რიპოს სახეს- ხვაობაა. სიტყვის მნიშვნელობას ხსნიან ხევსური მთქმელები და ჩამნერნი: ღმერთის მოადგი-ლე ანგელოზი (ქხდ VI:341), მორიგე ღმერთის თანაშემწე; იახსარის მონათესავე, საკულტო ადგილი სოფ. ატაბე (მითოლოგიერი ლექსიკონი:250)“.

ამ მონაცემებით, კვირია ქართული და ქართველური წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ძლიერი ღვთაებაა - უზენაესი ტრიადის წევრი (შვილი)(ბარდაველიძე 1957:86). მან პატრიარქატის ეპოქაში დაჩრდილა საკუთარი დედა - მზე-ქალი -აღმოსავლეთ საქართველოს უზენაესი ტრიადის მეორე წევრი და კოლხური ტრიადის უზენასი ღვთაება (ინაძე 1995:73) შეითვისა რა მისი ფუნქციების უდიდესი ნაწილი. სწორედ კვირია// კვირა// კვირაე//

\* ის თავისი თვისებებით ერთდროულად ცოცხალთა და მიცვალებულთა მფარველად და ქრისტე-პანტოკრატორის ფუნქციების აღმსრულებლად გვევლინება.

კვირეე არის თვალისჩინის წამრთევი, რითაც ბარბალეს ფუნქციების მატარებლად გვევლინება.

მან მზე-ქალს მხოლოდ ამინდის გამგებლის ფუნქცია დაუტოვა და ეს უკანასკნელიც (ტაროსი) არ შეუძლია განაგოს უზენასი ღვთაების - მორიგეს გარეშე (ბარდაველიძე 1957:54). სვანეთში ჯერ კიდევ შემორჩენილია ამ კულტის გარკვეული ნიშნები, თუმცა, ლილეს ტექსტივით მისი მნიშვნელობაც გაბუნდოვნებული და უცნობია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სულ მცირე 17 საუკუნის მანძილზე (ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დღიდან) ხდებოდა და ხდება ამ ღვთაების ნამდვილი ბუნების მიჩქმალვა. ეს ტრადიციული გზა გაიარა ყველა დიდმა და მცირე ერმა ახალი რელიგიის დასამკვიდრებლად, რადგან ბრძოლა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის არასოდეს დასრულდებოდა ამ უკანასკნელის გამარჯვებულით, თუ ძველ კულტებს მათი დეანიშნულება და შინაარსი არ გამოეცლებოდა და ერის მეხსიერებიდან არ ამოიშლებოდა.

სვანური კვირია//კვდრმავა//კვრაე გვაფიქრებინებს, რომ მისგან მომდინარეობს ვარიანტული ფორმა კვირა, რადგან ნახევარხმოვნის დაკარგვა უფრო ადვილია, ვიდრე სრულისა, თუმცა რედუქციის დროს ეს უკანასკნელიც ქრება. ხევსურული მასალების მიხედვით კი, ის ხმოვნები, რომლებიც რედუქციას განიცდიან (ა, ე) სიტყვის ბოლოს იკვეცებიან და კვირაე -> კვირა. კვირია კი სვანურში საღვთო სიმღერაა (იგი თუშ-ფშავ-ხევსურეთში დღესდღეობით ფიქსირებული არაა). ამ სიმღერის მიხედვით, კვირია//კვირა ზეციურ ღვთაებათა რიგს განეკუთვნება. ეს საგალობელი კი ყველა დღესასწაულზე სრულდებოდა-ადრეკილაი, ბარბლაში, მურყყამობა... და თვით დაფასებული და მრავალშვილიანი სვანი მამაკაცის დაკრძალვაზეც (ბარდაველიძე 1939:11; მამალაძე 1972:198).

სვანეთში, ეცერში ასრულებენ „კვირიოლასაც“, რომელიც ხშირი წვიმების დროს გამოი-ყენება. ამ სიმღერით სამჯერ შემოუვლიდნენ ეკლესიას და თან შესაწირავსაც მიართმევდნენ. მათ სჯეროდათ, რომ ამის შემდეგ აუცილებლად გამოიდარებდა (მამალაძე 1972:198). ეს ტრადიცია კვირიას ამინდის გამგებლის ფუნქციასაც მიაწერს და ამით ჩვენი „თანადროული“ ელია-ს ფუნქციის აღმსრულებელია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას ლაზარესა და ვობი-ს როლი მოურგია, ამინდის ღვთაებადაც ქცეუ-

ლა და ტრიადაში დედისათვის სულ ჩამოურ- თმევია ფუნქციები (იქვე:199).

საინტერესოა ასლან ლიპარტელიანის მონაცემები კვირია// კვირა// კვირაე// კვირეე- ს ბუნების გასაგებად: „1. კვირია-სვანური საეკლესიო გალობა. ამჟამად თითქმის არავინ იცის მისი არსი. მდ. ივრის ორივე ნაპირზე დიდი რაოდენობითაა პატარა ეკლესიაები ე.წ. კვირი- ები, როგორც ზოგ მათგანს ადგილობრივები უწოდებენ.\* 2. კვირიაშ -წყევლა. რაიმე ცუდ საქმეს შეაფურთხებენ და იტყვიან: “ფუი, კვირიაშე ხაარ!“-კვირიამ დაგლახვროს! კვირია ღმერთის სახელი უნდა ყოფილიყო “(ასლ. ლიპარტელი-ანი 1982: 162-163).

წყევლის ფორმულაში მისი მოხსენიება ნიშნავს უზენაესმა ღვთაებამ დალახვროსო („დალახვროს ეშმაკმა!“ ეს გამოთქმაცა). უზენაესი ღვთაებისაგან ლახვრისა და მეხის ტეხა კი ჩვეულებრივი მოვლენაა ქართული წარმართული აზროვნებისათვის.

„მთიანეთსა და ერწო-თიანეთში აიგივებენ კვირიას სალოცავსა და კვირაცხოვლის ხატს. ერწო-თიანეთში კვირაცხოველს უწოდებენ აქ მხარის ძველი მცხოვრები კახები, ხოლო კვირიას გვიან ჩამოსახლებული მთიელები, ფშაველები და ხევსურები“ (ბედოშვილი 1989:120). მოხევეებშიც კვირიას სალოცავს კვირაცხოველი ჰქვია. „დღეობა კვირაცხოვლობა, კვირიაობა ანუ კვირისჯვრობა უმთავრესი დღესასწაულია კვირიასი“ (ჭინჭარაული 1967:383).

ამ საკულტო ერთნავიან (თუმცა, აქა-იქ დიდი ტაძრებიც გვაქვს) ნაგებობებთან ქართლ-კახეთში უამრავი ტოპონიმია ფიქსირებული: კვირაცხოვლისგორი, კვირაცხოვლისერი, კვირაცხოვლის კლდე და სხვა (სახლთუხუციშვილი 1976:336).

„უკვე გასული საუკუნის ბოლოსთვის ზოგან(იმერეთი, რაჭა) ამ ეკლესიების ნანგრევებიც კი აღარ იყო, მაგრამ მათ ადგილსამყოფელზე, საკვირაოზე წმინდა მუხის ხეებთან აღდგომის სწორზე კიდევ იმართებოდა ახალკვირაობა ანუ კვირაცხოვლობა “(მამალაძე 1972:198).

იმერეთმა და რაჭამ ის მუხის კულტთანაც დააკავშირა და ახალკვირიაობის დღესას- წაულით კვირია ქრისტე-უფალს

\* ძირითადად ერთნავიანი უძველესი მცირე ბაზილიკები (ერთნავიანი უგუმბათოები).

გაუთანაბრა, ხოლო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთამ აღდგომისა და ამაღლების კვირიას დღეობებად გამოცხადებით, საბოლოოდ აღიარა ეს იგივეობა... გამოდის, გვაქვს: უზენაესი უფალი-> ძე (შვილი). მოგვიანებით კი ეს ძე კვირია <-> იქსო.

თავის მხრივ, ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ წინარექრისტიანული საქართველო თავისი კულტურულ-რელიგიური მსოფლგაგებით მზად იყო მესიისა და ახალი რელიგიის მისაღებად, რადგან ის მის წიაღშივე იყო შექმნილ-მომწიფებული. ამაზე ზრუნავდა ქართველ ქურუმთა კასტა, რომლის ენაც დღემდე შემონახულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში(სვან მახვშთა და ხევისბერ-სულისმკადრეთა ენა).

ჩვენ მიგვაჩინია, რომ დროის ერთეული კვირა (მთელი კვირა და მისი ერთი დღეც) სულაც არა ბერძნული ნასესხობა და საკუთრივ საერთოქართული უზენაესი ტრიადის მესამე წევრის სახელია გადატანილი კვირის დღედაცა და შვიდეულის აღმნიშვნელადაც. ეს რომ მართლაც ასეა, ჯ. ონიანის სადისერტაციო ნაშრომიდან-აც ჩანს კარგად. კვირია//კვირა სოლარულ ღვთაებათა (მზის) წრეს განეკუთვნება და მამრი ღვთაებაა. მის სახელზე ადრესაგაზაფხულო დღესასწაულების მთელი ციკლი იმართებოდა(ონიანი 1979:38). სოლარული ღვთაება კი ქართულში მდედრობითია, „მზე დედა ჩემიო“-დღესაც მღერის მეგრელი (ქხპ X:105). ამიტომ დადგა საკითხი, შესაძლოა თუ არა მზის სქესის შეცვლა და მსგავსი რამ თუ ახასიათებს რელიგიათა ისტორიას?

მსოფლიოს ყველა ხალხის ისტორიაში მზე და მზის ღვთაება ერთ-ერთი უზენაესია და თან ერთადერთი, მაგრამ მას მრავალი ჰიპოსტრასი აქვს. სწორედ ეს ჰიპოსტრასები იწვევენ მზის ღვთაებათა განსხვავებულობას, რაც გამოწვეულია თითოეული ერის საცხოვრისის მდე ბარეობით, მეურნეობის განვითარების ხარისხითა და კულტურული დონით. ხათურში (პროტოხეთურში), „გვაქვს მზე ცისა, მიწისა, წყლისა და სხვადასხვა ლოკალური საკულტო ცენტრისა. ეპითეტთა დიდი ჯგუფი გვიჩვენებს მზის ღვთაებას მის რომელიმე კონკრეტულ ფუნქციაში – მათი ნაწილი მზეს ქალღმერთად წარმოადგენს: დედა, ქალბატონი, დედოფალი... თუმცა, გვეცდება მზის მამრი ღვთაების ეპითეტებიც: მამა, ბატონი, მეფე, მწყემსი. იაზილქაის რელიეფის ღვთაებათა პროცესიაშიც მამრი მზის ღვთაებაა ლუვიური წარწერით „მზის ღვთაება ცისა“ (ტატიშვილი 2001:124). ეგვიპტურში კი სამი მზე

გვაქვს: ხეპერ (დილის მზე), რაე (დღის მზე) და ატუმი (ჩამავალი მზე) და სამივე მამრია (მითოლოგიური ლექსიკონი:88). როგორც ფიქრობენ, მზის სამმაგი ბუნება უნდა ყოფილიყო ამ სამმაგი მზის არსებობის საფუძველი (ქვრივიშვილი 2001:330). ამ სამ მზეს „ვეფხისტყაოსანიც“ იცნობს:

„შენმა მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი,

შენმა მზემან, ვერვის მიჰვდეს, მო-ცა-ვიდნენ სამნი მზენი“-  
ვტ. 1312.

ვ. ნოზაძის ინტერპრეტაციის მიხედვით, ეს ადგილი ქრისტიანული სამების ჰიპოსტასად არის განხილული (ვ. ნოზაძე 1957:208). ოვით ქრისტიანული სამების სამი ჰიპოსტასი კი წარმართული ტრადიციების ინტერპრეტაცია გახლავთ.

შუმერულში მზის ღვთაება მამრობითია შამაში (შარაშენიძე 1980:89). ბერძნულ მითოლო- გიაში მზის მოძრაობასა და ქმედებას განსაზღვრავს ჰელიოსი, ხოლო ის ღვთაება, რომელიც ცხადდება მზის სხივების მოქმედებაში-აპოლონი- ცხოვრობს მზის იმ სხივებში, რომლებიც მიწიერ ელემენტებში იღვრებიან (ქვრივიშვილი 2001:42). ორწევრიანი სისტემები გვაქვს.

თუშ-ფშავ-ხევსურული უზენაესი ტრიადა მორიგე (მარიგე) - მზე ქალი-კვირია ღვთის-შვილთა მთელი არმიის წარმართველები არიან. კოლხურში ამ ტრიადის სათავეში მზის ქალ ღვთაება იდგა, აღმოსავლურ ქართული სამყარო კი მას მეორე წევრად (ამინდის ღვთაება) იცნობს. თანაც მზე-ქალი (//მინდვრის დედოფალი//მინდვრის ჯვარი) უზენაესი ღვთაების მორიგეს გარეშე ვერ განაგებდა ტაროსს (ბარდაველიძე 1957:105). მოგვიანებით მის ნაცვლად ფოლკლორში სრულიად სხვა და თან მამრი ღვთაება ჩნდება, რომელიც ელია წინასწარმეტყველონ არის გაიგივებული (ქხ ქ:108). ანუ მოხდა მდედრი ღვთაების მამრით ჩანაცვლება, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა პატრიარქატის ეპოქისთვის.

მზეს, როგორც ღვთაებას ქართველურ ენებში სხვადასხვა „სახელით“ ხეხდავთ. ეს მისი ზედწოდებები უნდა იყოს, რადგან დღესაც მოქმედებს ტაბუს (აკრძალვის) მექანიზმი. აკრძალული იყო ღვთაების პირდაპირი სახელით მოხსენიება და ყველა ტომი თავის ზედმეტსა- ხელს -თიკუნს არგებდა. სვანურში ის არის: დალი-ლილე-ბარბოლი (სვან. ლექ. 1984:18; ჩიქოვანი 1959:105); სალიტერატურო ქართულისა და აღმოსავლეთ მთიანეთის მასალებით: მზე-ქალი (ბარბარე//ქალ-ბაბარი)-ნანა (დიდი დედა) (ბარდაველიძე 1974:14). ეს ის სახელე ბია, რაც ჩვენმა

ფოლკლორმა დღევანდლამდე მოიტანა. სვანურში ეგვიპრურის მსგავსად სამწევრა სისტემა გვაქვს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ბერძნული (სინამდვილეში, შუმერული, რადგან ბერძნულ-რომაული ღვთაებების სისტემა წარმომავლობით წინა და მცირეაზიაურია). პრაქტართულის მასალა მზის სქესის თვალ-საზრისით პროტოხეთურის იდენტურია- ორივეგან მზე მდედრი და უზენაესი ღვთაებაა (კოლხური მასალა). ხათურში (პროტოხეთურში) მზე იწვევს ღვთაებათა სამსჯავროს, რომელსაც „ხათის ქვეყნის ათასი ღვთაება ესწრება“ (ტატიშვილი 2001:74). შუმერულ-აქადური ტრადიციით კი, მზე მამრი ღვთაებაა (შარაშენიძე 1980:89). ქართულმა ფოლკლორმა ეს საფეხურიც დააფიქსირა „მზეჭაბუკის“ სახით (კვირია და სავარაუდოდ, ამირანი). მზის მამრობითი სქესის არსებად გააზრება თვით პროტოხეთურშიც იყო შესაძლებელი ამ ღვთაებათა ცალკე მდედრობითი და ცალკე მამრობითი სახით არსებობის გამო (ტატიშვილი 2001:124). სწორედ ამან მისცა საშუალება - ქურუმთა კასტას, მზის ღვთაება მამრად ექცია. შუმერულ-აქადური ტრადიციაც სწორედ ამ საფეხურს ადასტურებს. ქართულმა ფოლკლორმაც ამირანისა (ქალღმერთ დალის-დილის მზის შვილი) და კვირიას (მზე-ქალისა და მორიგეს შვილი) ეს მომენტი წარმოაჩინა.

სტატიაში ერთდროულადაა მოძიებული პარალელები პროტოხეთურ და შუმერულ სამყაროსთან, რაც შეუძლებელია, რადგან ის, რაც პროტოხეთურია (ინდოევროპული) შეუძლებელია შუმერული (აღმოსავლური) იყოს და, პირიქით. ახალი კვლევებით კი აღმოჩნდა, რომ ახალხეთურში ხათურ ღვთაებათა უძველეს სახელებს შუმერული სახელწოდებები ჩანაც-ვლა, რიტუალის აღწერილობა და სტრუქტურა ხათურია, ხოლო ღვთაების სახელი - შუმერულ-აქადური. პროფესურმა ი. ტატიშვილმა არინას მზის ქალღმერთის ჰიმნის მაგალითზე გაარკვია: „თუ როგორ ახერხებდნენ ხეთები შუამდინარიული ცივილიზაციის ელემენტების გადმოღებას, ადაპტაცია-ტრანსფორმაციას, მათ გამოყენებას საჭიროებისამებრ და მისადა-გებას საკუთარი აზროვნების წესისთვის“ (ტატიშვილი 2001:173).

ასეთი ჩანაცვლებები კი შემთხვევითი არ იყო. უნდა არსებულიყო ე.წ. ქურუმთა ენა, რომერულიც ეგვიპრურ იეროგლიფურ დამწერლობაში ჩიტების ენადაა ცნობილი (ქურდაძე 2000:104), რადგან იეროგლიფებად ჩიტებია გამოყენებული. მისი მეშვეობით ქურუმთა კასტა (მედიუმი ღმერთებსა და ადამიანებს შორის,

უფრო კი ღმერთების ენასა და ადამიანთა ენას შორის) ქმნიდა პროფესიულ ტერმინოლოგიას(გამყრელიძე... 1984:625), რომელიც მხოლოდ მისთვის უნდა ყოფილიყო გასაგები და მისაღები. ამავე დროს ეს იყო დროსა და სივრცესთან დაკავშირებული ლექსიკური მასალა და იგი კონე ენა (ლინგვა წარმატება-საერთო ენა) უნდა ყოფილიყო არა მარტო წინა და მცირე აზიისთვის, არამედ ეგვიპტისთვისაც. მოსალოდ- ნელია, თავის დროზე წინა და მცირე აზიისთვის ეს კონე ენა ხათური იყო, მერე შუმერულ-აქადური და ბოლოს არამეული. ამ უკანასკნელის საქართველოში გამოყენების ფაქტი სერაფიტას ბილინგვაში დასტურდება (წერეთელი 1942:5). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის რეგიონთა კულტურულ თუ სავაჭრო ურთიერთობათა გზებ ზე ქართველური ტომები ცხოვრობდნენ და „გარკვეული წვლილიც შექვენდათ“ საერთო კულტურის ფორმირების საქმეში, ღვთაების არა თუ სქესის შეცვლა ამ თარგებზე, არამედ ზოგჯერ შუმერული სახელწოდებებით ამ ღვთაებათა სახელების ჩანაცვლებაც (რისი არაერთი მაგალითიც გვაქვს თვითონ ბერძნულში) და ე. წ. ქურუმთა ლექსიკონში საერთო სიტყვების გაჩენა, ჩვეულებრივი მოვლენაა.

და მაინც რატომ უნდა იყოს მზის მამრი ღვთაება კვირია//კვირა//კვირა კვირა-დღის მფარველი და მისი მოსახელე?

„ფშავ-ხევსურნი ხმელთა მოურავს კვირიას ეძახიან და ეს კვირია არის სიმართლისა და შვილიერების ღმერთი...კვირია მზის ღმერთია“(ნოზაძე 1957:101). შემდეგ მოიშველია რა ხევსურული ლოცვის ფორმულა:“დიდება ღმერთსა, დღეს დღესინდელსა, მზესა და მზის მყოლთა ანგელოზთა“, დაასკვნა, რომ „აქ მზე პირდაპირ იხსენიება როგორც ღმერთი და ის- იც მთავარი, რადგან მას ანგელოზები ჰყავს“(იქვე:103). სამეცნიერო ლიტერატურაში კი ისიც ცნობილია, რომ „დღეც“ ამ ლოცვაში „მზეს“ ნიშნავს, იმიტომ რომ „დღე“ მზის უძველესი სახე

ლია(ჯავახიშვილი... 1937:84). ამავე დროს კვირია „ხმელთა მოურავია“ და საინტერესო პარა- ლელი გვაქვს ისევ ხათურ სამყაროსთან:“ხეთებთან მზის კავშირს მიწასთან საფუძვლად უდევს წარმოდგენა მზეზე, რომელიც ჩაესვენება ჰორიზონტზე, რათა შემოიაროს მიწისქვეშა სამყარო და კვლავ ამობრნენდეს ცაზე... ლურსმნულ ტექსტებში ,მზე ცისა“და „მზე მიწი- სა“ ქმნიან ერთ სახეს - კოსმიურ მზეს, რომლის სამყოფელიც მთელ სამყაროს მოიცავს. ხეთე- ბის თქმით, ეს არის „ღმერთების მზეც“,

# მუნიკიპალიტეტი

განმასახიერებელი კავშირი ცასა და მიწისქვეშეთს შორის, უზენაესი გამგებელი ყველა ღვთაებისა და ყველა სულდგმულისა დედამიწაზე, ერთი დერთი წყარო სინთლისა ზეცით და დედამიწით შემოსაზღვრულ სივრცეში“ (ტატიშვილი 2001:173).

თავისი ფუნქციით კვირია „ხმელთა მოურავი“ ღვთისშვილთა (დარგობლივი ღვთაებების) საქმეების მომწესრიგებელ-მომრიგებელი და ადამის მოდგმის ქომაგი „მზე მიწისა“ და „მზე ცისაა“, რომელიც შუამავალია მორიგესთან და ამავე დროს „ღვთისშვილთა მზეც“ (ლმერ- თების მზე) არის. მხოლოდ მას შეუძლია მუდმივი მოგზაურობა ცასა და დედამიწას შორის. სწორედ „ხმელთა მოურავობა“ აძლევს მას ამ საშუალებას და, შემორჩენილ ანდრეზთა მიხედვით, ისიც ღირსეულად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ღვთაება კვირია რომ ნამდვილად მზეა, პ. აბაშიძემ გამოიკვლია, დაიმოწმა რა ხალხური სიტყვიერების მრავალი მასალა (მათ შორის ვაჟა ფშაველას წერილიც): „კვირიას სადიდებ- ლად, არის დადებული კვირა დღე უქმადო“-დაასკვნა. (აბაშიძე 1970:2).

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ერთი სვანური საგალობელი კვირიას პირდაპირ უწოდებს მზეს და ხათურში არსებული ყველა პიპოსტასით მოიხსენიებს:

„ცის მონაწილე ხარ, კვირია! / მიწის მონაწილე ხარ, კვირია! / მზევ ცისა, კვირია! ბერო წყლისა, კვირია!“ ...

„მზევ ცისა, კვირია! / მიწავ წყლია, კვირია!

პოი, კვირია! / მზევ კვირია!“ (ონიანი 1979:67).

ეს „ღმეთების მზე“//“მზე ცისა“//“მზე მიწისა“//“ხმელთა მოურავი“ საბოლოო ჯამში მაინც ქართველურ ენათა მზის ბჟა// უა//ჯა (მეგრ.-ჭან.) და მიშ//მიუ//მგჟ (სვან.) ერთ-ერთი სახელდებაა კვირა//კვირია. ეს ის ღვთაებაა, რომლის რიტუალურ პურს კვერი ჰქვია (ბარდაველი- ძე 1957:47). მისი კულტმსახურები უნდა ყოფილიყვნენ ბერძენ მეცნიერთა მიერ კორიბან ტებად(კვირობანტებად) წოდებული. ისინი ხომ კოლხური კვირების ავტორებად თუ თანა ავტორებად მოიაზრებიან, რადგან კვირია მწიგნობარი ღვთაებაცაა.

გამოდის, კვირია განაგებს ადამიანთა თვალსაწიერით შემოსაზღვრულ ქართველურ სამყა- როს. ეს სამყარო კი მის საპატიოვემულოდ კვირის დღეებს საკუთარ ღვთაებათა უზენაეს შვიდეულს უკავშირებდა და კვირიას, როგორც უზენაესი ტრიადის წევრს, საუფლო დღეთაგან კვირა (კვირის დღე) ერგო წილად.

რის მიხედვითაც კვირა, როგორც კვირის დღე ბერძნული ნასესხობა სულაც არ არის!

ბერძნული ენა საერთოდ არ იცნობს კვირია//კვირაე //კვირა სახელდების ღვთაებას და ამდენად, ე.წ. კვირიაკე (მთელი კვირის აღმიშვნელი) და კირილებისონ (უფალო, შეგვიწყალენ!) თეოფონ-ული ტერმინები მხოლოდ ნასესხობები შეიძლება იყოს ამ ენაში. არადა, თვით სულხან-საბაც კი მათ ქართულში ბერძნულ ნასესხობად მიიჩნევდა და ამ მოსაზრებას საუკუნეების ტრადიცია ჰქონდა ქართულ სინამდვილესა და მთელ კულტურულ მსოფლიოში. კვირიას „სახელობის“ ტერმინთა გაჩენა ბერძნულში ქურუმთა ენის ზეგავლენის შედეგად შეიძლება ავხსნათ, როცა წინა და მცირეაზიაში მოსულმა ბერძნულმა ტომებმა აითვისეს ადგილობრივი კულტურა. ამის დასტურია ისიც, რომ ბერძნული ენის მეშვეობით შეუძლებელია ამ სიტყვების ჰემატრიული მნიშვნელობის დადგენა. სამაგიეროდ, ქართული ითვლის მის ჰემატრიას. ბ-ნი ალეკო ცინცაძე წერს:

„კ -11 ვ-6 ო-10 რ-19 ა-1; 11+6+10+19+1=47 ეს მზის მიერ გავლილი რკალია;

კვი-რაე - კვი-რეა; რაე=რეა - 25 - მზე; კვი-რე=კვი-რა; რე=რა (ეგვიპტური მზე), თანაც „კვი“ მარცვლის ჰემატრია 27-ია, თვეში მთვარის დღეთა რაოდენობა. კვირა ლექსიკურ ერთობლიობაში მზე და მთვარე ერთდროულად ჩანს“. მეცნიერი ასევე ითვლის კვირიას რიტუალური პურის კვერის ჰემატრიასაც: „კ-11 ვ-6 ე-5 რ-19 -ი; 11+6+5+19=41 . ეს სვანური მიუ-მზის ჰემატრიადა... რადგან კვირია// კვირე//კვირა შვილი ღვთაებაა, ქრისტიანობაში იესოც შვილია, ხოლო სახელი კვირე პირდაპირ მის ჰემატრიას იძლევა: კ-11 ვ-6 ო-10 რ-19 ე-5 =51... (ა. ცინცაძე 2013:152-153). რაც შეეხება კვირიას ჰემატრიას ის 57 ტოლია და მარიამ ღვთისმშობლის ჰემატრიადა... აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ სიტყვა კვირა თუ ნასესხებია, მაშინ იბერიულიდან ბერძნულში... ქართველური ერთიანი მსოფლმხედველობრივ-რელიგიური სამყარო, მისი კულტურულ-ტრადიციული, ლექსიკურ-ჰემატ-რიული ფესვებით ცალსახად მიგვანიშნებს ქრისტიანობის იბერიულ პრველისტორიაზე. თუკი კვირია-კვირა-კვირე წარმართობისდროინდელ ქართულ სამყაროს განაგებდა, ახალი წელთაღრიცხვიდან ქრისტიანობაში, მის ლექსიკაში გარდაისაცხა და ისევ განაგებს მას (ა. ცინცაძე 2013:156).

# მუნიკიპალიტეტი

სამეცნიერო ლიტერატურაში საუკუნეებია გაბატონებულია მოსაზრება, რომ კვირის დღეთა ე.წ. შაათის სისტემა ებრაული წარმომავლობისაა(ბიბლიიდან მომდინარეობს). ვან-დერ ვან-დენი თავის ნაშრომში „ასტრონომიის დაბადება“ ეყრდნობა რა შუმეროლოგთა მონაცე-მებს, წერს: „შუმერულ-აქადური მთვარის კალენდრით ყოველი წელიწადი ნისანუ-ს თვით იწყებოდა, როცა პირველი რიცხვებიდანვე მდ. ტიგროსი წყლით ივსებოდა და და სასოფლო-სამეურნეო წელიც იწყებოდა“ (ვან-დერ ვარდენი 1991:74). შემდეგ ჩამოთვლილი აქვს თვეთა სახელები და მე-11 თვეს იანვარ-თებერვლის რკალს რომ მოიცავდა შაბათუ ჰებრია(იქვე:74). შუმერ-აქადურში კი თვეთა სახელები თეოფორულია (ყოველი თვე რომელიმე ღვთაები-სადმია მიძღვნილი და მის სახელს ატარებს) და მათი მაწარმაოებელია -უ სუფიქსი. მე-11 თვის სახელმდებელი კი შაბათ ღვთაება გამოდის. ე. ბიკერმანს კი ებრაული კალენდრის სესხება სუმერულ-აქადურიდან პირდაპირა აქვს მითითებული: „ ეს კალენდარი იუდევე- ლებმა ჩვ.წ- აღმდე 587 წ. მიიღეს“(ბიკერმანი 1975:17)...

ანუ კალენდარიცა და შაბათ-ღვთაებაც მათ ნასესხები აქვთ. იმ ქვეყანაში კი, საიდანაც ებრაელები „გამოვიდნენ“ (ბაბილონში), კალენდრისა და საკალენდრო ტერმინოლოგიის განმსაზღვრელები ქურუმ-ასტრონომები იყვნენ და ამდენად ამ ღვთაებისა და თვით შაბათის სისტემის წარმომავლობაც ქურუმთა ენით უნდა განისაზღვროს. ერთი სიტყვით, გამოთქმა ებრაული შაბათის სისტემა ისეთივე ნონსენსია, როგორც არაბული ციფრები, რადგან არაბებმა ეს ციფრები ინდოეთიდან წამოიღეს და მათი მეშვეობით გაეცნო მათ ევროპა.

საბოლოო ჯამში მივიღეთ, რომ ის, რაც ქართულში „სხვათა ენათა“ (საბა) წარმომავლობის სიტყვებად (ნასესხობად) ითვლებოდა, ან საკუთრივ ქართულია და ან ქურუმთა ენიდან მომ- დინარეობს. ეს საკითხი კი დღის წესრიგში კიდევ ერთხელ აყენებს ქართულ-ქართველური ენების როლს მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციათა კულტურის ფორმირების საკითხებში. ეს უკანასკნელი კი არც თუ ახალი ჩვენ მიერ მოგონილი თეზისია და იგი ნიკო მარის ნოსტრატიული თეორიის ახლებური გამოძახილია. და შემდგომი კვლევებიც სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს.



თბილისი

## გაირონის ლიტერატურული მუნიციპალიტეტი

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან,“ – წერდა ნიკო ლორთქიფანიძე. ბედის ირონიაა, რომ, მართლაც, უკვდავების ღირს ადამიანებს ივიზყებს საზოგადოება, დიდებულ ადამიანებს მათი თანამედროვე ეპოქა არ აფასებს, მაგრამ ზოგს გვიან, მაგრამ მაინც გაიხსნებენ. სწორედ ასეთი ბედი ერგო მოსე ქარჩავას.

საზოგადოებამ ბაირონი, შექსპირი, სვიფტი და არაერთი ცნობილი ინგლისელი შემოქმედი სწორედ მოსე ქარჩავას თარგმანებით გაიცნო. არავინ დაიშურებს საქებარ სიტყვებს მთარგმნელის ოსტატობაზე, მაგრამ ვინ არის მოსე ქარჩავა, არავინ იცის. მაინც ვინ არის ეს დაულალავი მთარგმნელი და სიტყვის ოსტატი?

დიდი გულმოდგინებით ვეძებეთ ინფორმაცია მოსე ქარჩავას შესახებ. მეოცე საუკუნის მანძილზე არავინ დაინტერესებულა ამ ნიჭიერი შემოქმედითა და მთარგმნელით, მხოლოდ 2009 წელს, ვარლამ როდონაიას მიერ ქუთაისში გამოცემულ წიგნში „ფესვები“ ოთხი გვერდი დაეთმო მას, როგორც ლიტერატურულ მოღვაწეს ჩხოროწყუს რაიონიდან. „ჭოლელი „მაჩაბელი“ – ასე ასათაურებს ვ. როდონაია მოსე ქარჩავასადმი მიძღვნილ სტატიას. იგი შემოქმედს უწოდებს სახელოვან თანამემამულეს, მწერალს, უურნალისტსა და მთარგმნელს და მიიჩნევს, რომ „დროის ძალიან მცირე მონაკვეთში ქართულ ლიტერატურას მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. დიდი ერუდიცია, ფასდაუდებელი ნიჭი, ფუტკარივით შრომა, სიჩუმე და უანგარობა – აი, რა იყო მისი ცხოვრების თანამგზავრი. ჩვენს მთარგმნელობით ლიტერატუ-

რას ყოველთვის დაამშვენებს შექსპირის, ბაირონის, შოუს, უიტ-მენის, უაილდის, სვიფტის, ლონდონის, დრაიზერის, ბერნსისა და სხვათა ნაწარმოებები, რომლებიც თარგმნა ბატონშა მოსებ. სწავლულთა და სპეციალისტთა აზრით, ივანე მაჩაბლის შემდეგ, მოსე ქარჩავა იყო პირველი მთარგმნელი, რომელსაც ყველაზე უკეთ შეეძლო ინგლისური მწერლობის მარგალიტების თარგმნა“, – წერს სტატიის ავტორი და ამ ორიოდე გვერდში ეტევა მთელი ინფორმაცია.

ვერც ოჯახის ნევრებსა და შთამომავლებს მივაკვლიეთ. მოსე ქარჩავაზე ინფორმაციის შესაგროვებლად დავუკავშირდით ქ. ჩხოროწყუს მუზეუმს, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა რამე მნიშვნელოვანი. მხოლოდ „ნიანგის“ ერთი ნომერი მოგვაწოდეს. 1985 წელს ჩხოროწყუელებს მოსე ქარჩავას გარდაცვალებიდან 20 წლისთავი აღუნიშნავთ, მაგრამ ისტორიას მხოლოდ მწირი ინფორმაცია შემორჩენია.

გულმოდგინე ძიებამ მაინც ამოატივტივა შემოქმედის ბიო-გრაფიული ეპიზოდები. მ. ქარჩავა დაბადებულა 1914 წელს. 1935 წელს ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იყო მასწავლებელი. ის 1937 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური ენის სპეციალობაზე, რომელიც, ომის გამო, 1948 წელს დაამთავრა. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, მ. ქარჩავას ცხოვრებისეული ბილიკების ძიებით დავადგინეთ, რომ 1943 წლის მარტში დაუმთავრებია თელავის სამხედრო სასწავლებელი და ომის წინა ხაზზე გაუმწესებიათ. 1943 წლის მაისში ქარჩისთვის გაჩაღებულ ბრძოლებში ტყვედ ჩავარდნილა. მერე რუმინეთში, ტყვეთა ბანაკიდან გაქცეულს, ფრონტის ხაზი გადაუკვეთავს და კვლავ მებრძოლთა რიგებში აღმოჩენილა; საქართველოში 1946 წელს დაბრუნებულა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

1948-1952 წლებში მ. ქარჩავა მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე, მერე საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში, 1958 წლიდან იყო უურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივანი და სარედაქციო კოლეგიის წევრი, წერდა „ქარაშოტის“ ფსევდონიმით; იყო თავმდაბალი და კეთილშობილი, დიდი სულიერი კულტურისა და მხატვრული გემოვნების ლიტერატორი, ყარგი მოქართულე, ბრწყინვალედ ფლობდა ინგლისურ ენას. ამას ადასტურებს მისი წიგნი „ინგლისურ-ქართული ანდაზები და ხატოვანი თქმები“ და მხატვრული თარგმანები: უილიამ

შექსპირის „ტიმონ ათენელი“, ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“, ოსკარ უაილდის „თავდადებული მეგობარი“, ჯორჯ ბაირონის „სარდანაპალი“ და ლირიკული ლექსები, ჯეკ ლონდონის მოთხრობები, ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“, ერნესტ ჰემინგუეის „ორმოცდაათი ათასი“ და „უძლეველი“, დრაიზერის „ფინანსისტი“, უიტმენის ლექსები, მენდელსონის „მარკ ტვენის ცხოვრება“, მასვე ეკუთვნის წერილები საზღვარგარეთის პროგრესულ მწერლობაზე, ბოლოს იგი მუშაობდა დრაიზერის „გენი-ოსის“ თარგმანზე და ისტორიკოს ვ. მაჭავარიანთან ერთად წერ-და კინოსცენარს ბესიკის ცხოვრებაზე.

მოსე ქარჩავას სიკეთესა და ნამდვილ ქართულ რაინდულ თვისებებზე მეტყველებს ნიანგელთა მცირე, თუმცა სითბოთი და სიყვარულით აღსავსე მოგონებები. „რედაქციაში შემოსულ ყველა მთხოვნელს მ. ქარჩავა ახლობელივით იღებდა, ეხმარებოდა, ამხენვებდა, შუამდგომლობდა ზემდგომ ინსტანციებში, უანგაროდ დაჰყვებოდა სხვადასხვა უწყებებში და ცდილობდა, მორალური და მატერიალური დახმარება გაეწია!..“

ალალმართლობით, გულგახსნილობით, სიკეთით, ხალისით, უბრალოებით, ყურადღებით მოსე, პირველი გაცნობისთავანვე, თავის გარშემო იკრებდა ახალ-ახალ თაყვანისმცემლებს. ამიტომ იხუმრა „ნიანგის“ მაშინდელმა მთავარმა რედაქტორმა... ნოდ-არ დუმბაძემ: „მოსე რომ რედაქციაში ამოდის მე-5 სართულზე, ჩვენთვის ადრევეა ცნობილი, პირველი სართულიდანვე კოცნის ხმა ისმისო“. „დროთა დინება ვერ გააცივებს იმ სიყვარულს, რაც მან დატოვა ახლობლებსა და მეგობრებს შორის. ნათელი სიცო-ცხლე აროდეს ქრება.“ – ასე მთავრდება მისი ერთ-ერთი ნეკ-როლოგი.

1965 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა ბაირონის ლირიკის თარგმანები, აქ წარმოდგენილი 29 ლექსიდან 7 მოსე ქარჩავას უთარგმნია. როცა ეს ლამაზი წიგნი გამომცემლობა „ნაკადულის“, „ნაპირებს“ გამოსცდა, მისი სულისხამდგმელი უკვე ცოცხალი აღარ იყო. წიგნის გამოცემის ნებართვას ხომ 1965 წლის 5 აპრილს მოეწერა ხელი, ამავე წლის ოქტომბერში კი მოსე ქარჩავას ყველა ჩანაფიქრი განუხორციელებელი ოცნებების სიაში ჩაეწერა. „ჯორჯ გორდონ ბაირონი, ლირიკა“ – ეს არის წიგნი, რომლითაც ქართველმა საზოგადოებამ გენიოსი ინგლისელი პოეტის არაერთი შედევრი გაიცნო. მთარგმნელებს შორის, გარდა მოსე ქარჩავასი, არიან სხვებიც, მაგრამ განსაკუთრებული ხიბლი და ქართული ლექსის სურნელი სწორედ ქარჩავასეულ თარგმანებს ახლავს.

ბაირონის ლირიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ თემას. რომანტიკოსი შემოქმედი, რომლისთვისაც მიუღებელი იყო გარესამყარო, განსაკუთრებით თანამედროვე ინგლისის არისტოკრატიულ წრეებში გამეფებული პირფერობა და უსამართლობა, მძაფრი მხატვრული სიტყვით ებრძოდა მონინალმდეგებს. ამიტომაც არაერთხელ აღმოჩენილა უსამართლო გაკიცხვისა და ცილისნამების ობიექტი. პოეტის იმედგაცრუებამ და უკმაყოფილებამ გამოძახილი პოეზიაშიც ჰქოვა. სწორედ ასეთ თემაზეა დაწერილი ბაირონის ბეჩერისადმი მიძღვნილი ლექსი.

ნეტარი ჯონ ტომას ბეჩერი (1770-1848წ.წ.) იყო ინგლისელი სასულიერო პირი, სოციალური რეფორმატორი და საუთველმინსტერის გენერალური ვიკარი 1818-1840 წლებში. ბიჩერი ბაირონს დამეგობრებია, როცა პოეტი კემბრიჯის უნივერსიტეტიდან არდადეგების დროს რჩებოდა საუთველში. ბეჩერი მეტად ავტორიტეტული პიროვნება იყო და მისი შეხედულებები პოეტის-თვის მნიშვნელოვანი იყო, ეს ჩანს მისადმი მიძღვნილ ლექსში.

ძვირფასო ბიჩერ, ჭკვიანურად მარიგებ, მირჩევ,

ხალხს გაერიე – განდეგილად განზე ნუ დგახარ,

მაგრამ მე მაინც მარტომბის სიყვარულს ვირჩევ,

რად მივეტმასნო, ვისიც ისეც შემზარავს ნახვა.

მ. ქარჩავა აკვირდება ორიგინალის „მელოდიას“ და სწორადაც განსაზღვრავს, რომ ბაირონი უმთავრეს აქცენტს სტრიქონის დასაწყისზე აკეთებს. ეს არის მიმართვა, ემოციური გამოძახილი, რომელიც განსაკუთრებული ტონალობით გამოირჩევა. შესაბამისად თარგმანშიც სტრიქონის დასაწყისი, პირველი ტერფია ინტონაციურად გამოყოფილი, ყოველი სტრიქონი იყოფა 3 ტერფად, რაც პოეზიაში იშვიათობაა პირველი ტერფის შემდეგ არის ძლიერი ცეზურა, რომელიც მიმართვასა და ავტორის ემოციურ „წამოძახილს“ გამოხატავს, მეორე ცეზურა კი სუსტია, თუმცა სტროფს მელოდიურობას უნარჩუნებს და აიძულებს შინაგანად დაემორჩილოს პოეტურ კანონზომიერებას. მთარგმნელსაც სამტერფიანი სტრიქონები აურჩევია და ზუსტად იმეორებს ორიგინალის ცეზურის სახეებსაც. შიგადაშიგ ბაირონი ცვლის სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობას ისე, რომ ლექსის რიტმსა და მელოდიურობას არ აზიანებს:

რომ ფოქსივით და ჩათამივით ვიცოცხლო, მოვკვდე,

გადავიტანდი ყოველნაირ ხიფათს და ურვას,

თვით სიკვდილითაც უკვდავების სფეროში მოხვდნენ,

შარავანდედად იმათ საფლავს დიდება ხურავს.

საინტერესოა ბაირონის მიერ ორი ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსის მოხსენიება. პოეტი წერს, რომ მას სურს იცხოვროს, როგორც ფოქსმა და მოკვდეს, როგორც ჩათამი, თუმცა მთარგმნელი ამბობს, რომ ავტორს სიცოცხლეცა და სიკვდილიც მათნაირი უნდა. ორივე პოლიტიკოსის ცხოვრების გზის გაცნობა გვარწმუნებს, რატომ ხიბლავდა ბაირონს ფოქსის ცხოვრების გზა და ჩათამის აღსასრული.

როგორც ბაირონის „მესაიდუმლე“ თანამედროვენი გადმოგვცემენ, ლედი მასტერს ბაირონი ეძახდა მერი ჩევორსს, თავის განუმეორებელ სიყვარულს. ლექსი სწორედ მას ეძღვნება და სატრფიალო-სამიჯნურო შინაარსისაა. მასში, ქალისადმი სიყვარულის გარდა, აშკარად იგრძნობა პატრიოტული განწყობა და დაუმორჩილებელი სული, რაც ლექსს შინაარსობრივად ძალიან საინტერესოს ხდის. ლექსის თითოეულ სტროფში 6 სტრიქონია. ასეთ ლექსებს საქართველოში მუსტაზადებს ეძახდნენ. როგორც ა. სილაგაძე განმარტავს, ქართული მუსტაზადები, „სხვადასხვა სიგრძის სტროფებისგან აგებული ფორმები, ემთხვევა აღმოსავლურ პოეზიაში გავრცელებულ მუსამატის ფორმებს“. ის ძალიან მოსწონდათ ქართველ რომანტიკოსებს.

ქარჩავას თარგმანის სტილი ეხმიანება მსგავსი განწყობით შექმნილ ალ. ჭავჭავაძის ლექსს – „მე იგივე ვარ მარად და მარად...“ ეს ჩანს თარგმანის მუსიკალობასა და სალექსო წყობაში. მთრგმელმა ისტატურად ამოიცნო ორი დიდი რომანტიკოსის ერთნაირი განწყობა. მათს სულიერი მდგომარეობაში სატრფოს ხატება და სამშობლო ერთმანეთშია გადახლართული. ბაირონი აცხადებს:

კვლავაც რომ ვიყო, რაც ვიყავ წინათ,  
კვლავაც რომ მქონდეს მის გულში ბინა,  
კვლავაც რომ შევძლო, მას ვანდო თავი,  
ვინც მაგრძნობინა კარგი და ავი,  
არ ვეძიებდი სხვა მხარეს, რადგან  
ვერ შევიყვარებ სხვას, ერთის გარდა.

პოეტი საკუთარ თავს „მარტო შთენილ ფრინველს“ (არქაიზმი) ადარებს და ბარათაშვილისეული მარტოობის განცდა იპყრობს: „ხალხის ბრბოშიაც მარტო ვარ...“ ეს ფრაზა იწვევს გალაკტიონის ცნობილი ფრაზის ალუზიას: „ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავერდები“. ავტორის მარტოობის განცდა კულმინაციას აღწევს. მგოსანს უკანასკნელი ბოგანოც კი მასზე ბედნიერად მიაჩნია. ის რჩება არა მარტო სატრფოსა და სამშობლოს, არამედ მეგობრის გარეშეც.

პოეტი პესიმიზმში ვარდება, იგი თავს მარტოდ გრძნობს და გული სწყდება, რომ „მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“ (ნაწყვეტი 6. ბარათაშვილის წერილიდან), თარგმანში მაინც იგრძნობა ბაირონის საბრძოლო განწყობა, რომელიც აშკარაა ორიგინალში:

გადაიყოლოს სხვა იქებ დარღმა

ვაგლაახ, მე კი რას დამაკლებს დარტყმა.

ლექსი „ინეზას“ რომანტიკულ მოტივზეა დაწერილი, აღსავსეა სევდითა და განცდებით. ავტორი მიმართავს ლამაზ ქალს, რომელიც მას თითქოს ნიშნისმოგებით უყურებს. „ნუ მოგგვრის ლიმილს ჩემი მოწყენა, ვერ შეგაგებებ პასუხად ლიმილს...“ – ეუბნება ქალს პოეტი. ჩანს, მანდილოსანი მგოსნის სევდიან განწყობას არ თანაუგრძნობს. ლექსში იგრძნობა მსუბუქი წყენა. აშკარაა, რომ ავტორი ქალისგან ემპათიას ელოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მიუხედავად გულდაწყვეტისა, ის მაინც ლმობიერად უყურებს ქალს და ეუბნება: „... და ლმერთმა ნუ ქნას, აცრემლდე შენაც და ჩემებრ თავი ჩაქინდრო შენაც.“ მთარგმნელი საინტერესო მეტაფორებით იწყებს სატრაფოსთან დიალოგს: „ნუ მეკითხები დარდი რად მნისლავს, რად ვკლავ ჭაბუკურ სიხარულს ბოლმით...“ მისთვის სიყვარული მძიმე ლოდია, რომლის ქვემ „მოლლილს“ არ სურს გაქცევა. ამას ვერც სიყვარული აიძულებს და ვერც სიძულვილი და არც დამცირების შიში. რომანტიკული გრძნობებით აღსავსე პოეტი ამბობს:

მე მბუგავს სევდა, რომელიც ჩნდება

ყოვლისგან, რასაც ვისმენ და ვხედავ,

არ მგვრის სიამე თავად მშვენება

და შენი მზერაც არ მიქრობს სევდას.

შედარების იშვიათი სახის გამოსახერნად მთარგმნელი ქმნის საინტერესო ქართულ ვარიანტს:

ვით ლეგენდარულ ებრაელს თურმე

აყიალებდა ბედი წყეული,

საიქიოსაც ეჭვით შევყურებ,

ქვეყნად სიამეს არაჩვეული.

ლექსის ორიგინალი ცხრასტროფიანია, სტრიქონები ათმარცვლიანია და ამშვენებს ზუსტი ჯვარედინი რითმა. იგრძნობა მძაფრი ემოცია და ამაღლებული სიყვარული.

აქ ისევ თავს იჩენს ბაირონისეული დაეჭვება. პოეტისთვის იმდენად მიუღებელია გარშემო არსებული სინამდვილე, ეჭვება, რომ საიქიოშიც კი შესაძლებელია სიამის, სიმშვიდისა და ბედ-

ნიერების პოვნა. პოეტურ სტრიქონებში კვლავ ჩნდება ავტედითი დემონი, რომელიც ბარათაშვილის შავ ყორანს გვაგონებს. პოეტმა იცის, რომ მას ის ვერ გაექცევა, როგორც საკუთარ თავს, რადგან ის თავისი შავბნელი ფიქრია, დარდი და ნაღველია, რომელიც ფეხდაფეხ დასდევს და სამსალას ასმევს.

ამრიგად, მოსე ქარჩავა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მთარგმნელია, მისი ცხოვრება და შემოქმედება სერიოზულ კვლევას მოითხოვს. გულდასაწყვეტია, რომ ამ ადამიანის ლვანლი სათანადოდ არ არის დაფასებული და წარმოდგენილი ნაშრომი პირველი მცდელობაა, საზოგადოებამ გაიცნოს მისი შემოქმედებითი გზა. მხატვრული თარგმანი – ეს არის რთული გზა მთარგმნელობიდან თანააავტორობამდე... ეს ძალიან კარგად გამოჩნდა მ. ქარჩავას თარგმანების კითხვისას.

„მოსე ქარჩავას თარგმანები წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მე-20 საუკუნის თარგმანები აშკარად განიცდიან რუსული ლიტერატურული ტრადიციების გავლენას. ხშირად ინგლისური ნაწარმოებები რუსული ვარიანტებიდან ითარგმნება. ბატონმა მოსემ კი კვლავ ააღორძინა ძველი ქართული თარგმანმცოდნეობის საუკეთესო ტრადიციები და მეოცე საუკუნის გადასახედიდან საინტერესო მთარგმნელობით ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. ინგლისური კულტურისა და ლიტერატურის მშვენიერებას აზიარა ქართველი მკითხველი. თარგმანისადმი პროფესიული მიდგომაც მე-20 საუკუნის ნიშანდობლივი ფაქტორია. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მთარგმნელთა ძირითადი პრინციპი ის გახდა, რომ ქართულ ლიტერატურაში უნდა აღკვეთილიყო თარგმანის თარგმანი,“ – წერს პროფესორი ნ. უბილავა-ანდრონიკაშვილი.

მოსე ქარჩავა იყო ის პირველი ქართველი შემოქმედი, რომელმაც სწორედ ორიგინალებიდან თარგმნა ინგლისური ნაწარმოებები და ქართველ მკითხველს ინგლისური ლიტერატურული სამყარო შეაგრძნობინა.

მ. ქარჩავას თარგმანებმა ცხადყო, რომ მთარგმნელი ბაირონის ლირიკას ქართველი რომანტიკოსების გადასახედიდან აღიქვამს. მათ ქვეტექსტში სწორედ ქართველი რომანტიკოსების ლექსების უღერადობა ისმის. მოსე ქარჩავა ქართული ლიტერატურის ჩუმი და უანგარო მუშაკი, შესანიშნავი მთარგმნელი და უურნალისტი, ფუტკარივით მშრომელი კაცური კაცი... სერიოზულ მონოგრაფიას იმსახურებს... იმედია, ქართული მწერლობა შეძლებს ამ ჩანაფიქრის განხორციელებას.

---

h376n lndpm

2ndc25v

# ნოტები უკანის

## შემოქმედება ცისარჩევულს ფარების მიღვა...

ვიბადებით, ვიზრდებით, მივაღწევთ მწვერვალებს, ზოგისთვის გორაკიც საკმარისია. კიდევ ვიზრდებით, გვიყალიბდება აზროვნება, ხასიათი, შეხედულებები.

ვძერდებით, ვჭკნებით, ბოლოს კი ვკვდებით. მიწამ შეგვემნა და მიწადვე ვიქცევით. რაღაც ციკლია, ისეთია, გარდაუვალი, უცნაური, ცხოვრებისეული ციკლია და ცხოვრება, ანუ სიცოცხლე ჩვენი, ყველასი, ამით შედგება. ცხოვრება ლამაზია.

— ღმერთო, სიკვდილიც ლამაზია? ანდა, ცხოვრება ყველასთვის ლამაზი როდია, ანდა, მწვერვალს რომ მივაღწევთ, იქიდან დაცემა ლამაზია?

— ჩემო შვილო, ყველაფერი ლამაზია, თუ შენ ის გელამაზება. შენი, სხვების, ხალხის ცხოვრება, ყველასი ერთნაირად ლამაზია. ზოგისთვის უფრო კაშკაშა ეს ცხოვრება, აი, ისეთი კაშკაშა, როგორიც მზე? ისეთი მზე, რომ არ ელოდები, მაგრამ უეცრად ამოკაშკაშდება ცაზე... დიდი, ვეძერთელა მზე...

— ზუსტად. კაშკაშა, როგორც მზე და ფერადი, როგორც ცისარტყელა. ახლის ძიებაში მყოფი ადამიანისთვის მრავალფეროვანი, ყოფით და კმაყოფილებულთათვის — ერთფეროვანი. ესაა ცხოვრება.

— ცხოვრების ზუსტი ახსნა როგორია? გაჩნდა სამყარო, მერე ადამიანი გაჩნდა, ბოლოს ადამიანი სამყაროს მოერგო და დაიწყო ცხოვრება უჩვეულო ციკლით, ბედნიერებით, უბედურებით. დიდი, ბრიალა თვალები კი განსჯიან, ერთფეროვანია თუ მრავალფეროვანი ეს ცხოვრება. სულ ესაა?

— ცხოვრება გამოცდა. გაჩნდა სამყარო და თუ ამ სამყაროს ადამიანი მოერგო, ეს ნიშნავს, რომ გამოცდის ერთი საკითხი სწორად შეასრულა. ყოველი სწორად შესრულებული საკითხის შემდეგ გამოცდა სრულდება, ცხოვრება სრულდება და გარდაიცვლება ადამიანი.

— ერთფეროვანია ყველაფერი, სევდიანია, მოსაწყენი და ხანმოკლე! თუ ვთვლი, რომ ყველაფერი სწორად შევასრულე? თუ ჩემი გამოცდა არ გაიწელა დიდხანს და ადრე დავასრულე?

— სულსწრაფობა, ჩემო შვილო, დაგდუბავს! ერთფეროვანი კი არა, ზედმეტად მრავალფეროვანია ყველაფერი. თავს აჯერებ, რომ არაფერია საინტერესო. მე შევქმენი სამყარო, მოგეცი ძალა იმისა, რომ ამაყობდე, გიხაროდეს, გწყინდეს. ყველა გრძნობას ვუყრი თავს შენში, ადამიანში და მაინც ამბობ, რომ ერთფეროვანია ცხოვრება. კონკრეტულად რა ფერია ახლა შენი ცხოვრება, ჩემო შვილო?

— შავი. შავზე უფრო შავი. იმაზე უფრო შავი, ვიდრე უღრანი ტყე შუალამისას. ამ ტყეს მთვარე ანათებს. მე კი არავინ მყავს, ვინც მზისა და მთვარის ფუნქციას შეითავსებს.

— ცისარტყელა თუ გინახავს, ფერადია ცისარტყელა. ყველა გრძნობის ამსახველი რამ შევქმენი. იმედია ცისარტყელა. წვიმის მერე მოსული იმედი. აი, გრძნობები... წითელი ძალაუფლების და ვნების სიმბოლოა. ყვითელი — სითბოს. მწვანე სიცოცხლეა, ევოლუცია, ბუნება. ლურჯი ჰარმონიულობას და სტაბილურობას აღნიშნავს. იასამნისფერი რაღაც ახლის სიმბოლოა, შერწყმული ფერია, აი, შავი...

— შავი ცისარტყელაზე არ არის.

— იმიტომ არ არის, რომ შავი სიბნელეა. ცისარტყელა ანათებს, იმედს გვაძლევს. შენშიც უნდა გაღვივდეს ეს იმედი, რომ ფეხზე წამოდგომას შეძლებ, შეძლებ, იპოვო საკუთარი თავი, გჯეროდეს შენი და იყო ჩიტივით თავისუფალი. თავისუფლება სულს ყველაზე მეტად სწყურია.

...

ვიპოვი, შენც იპოვი, ყველა ვიპოვით. რაღაც კარგი მოვა, იმაზე უფრო კარგი, ვიდრე გვიოცნებია. მაღლობელი ვარ ღმერთის, რადგან შექმნა საყარო უჩვეულო ციკლით, შეგვქმნა ადამიანები და მოგვცა უფლება არსებობის, თავისუფლების! მე მაქვს უფლება არსებობის, ყველას აქვს უფლება არსებობის! ყველას შეგვიძლია ვუყუროთ ცხოვრებას ცისარტყელას ფერებში. ყველაფერი მოგვარებადია, რაც ცისარტყელას ფერების მიღმა ხდება. გჯეროდეს!

მე მჯერა...

# ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

## ԱՐԺԵՎԱԿԱՆ ԴՐԱՄ

### ՖԼԵՇ ՑՈՂՑՈՂ

474 Ըլուս 16 օյթոմներուա. Սահամո. Աքենս մովագեղազեծ. յե-շասա ցուրդիազմո Շեզգուար დա յարուոտ մովերո օմ պոթուակեն, սահաց դեֆուալո Ֆյացս դագիզեզեծուալո զարսէյն პոթուաե՛մ. դալամե-ծամդե սինդա մովասերո, տորում տերուլից եօնք ասեցեն մեցուեռնեցի.

մովեցոտ, այոմնեծուալո պենուան վեգեծո დա ցուլցակետյու-լո ալապացուս զարու սամչեր մագրաց զածրաենցեծ, տան վազուրո, վազուրո ցաշիբերեծուաց. րոցորու օյնա, ցումացմա ցամոմեցու დա ցակարուզեծուալմա հիմո Շետալուրուա դաոնցո. մե արց վագու, արց վագելու დա ոյութելու Շեզուակե, քեֆուալուս նաեւա մոնդա-մետյո. մուգուց սարո մոտերա, մագրամ օյսեց დա օյսեց դաշունցեծու դա եմամալլա ցոտեռուազ.

Սաւագ զարս մոլմա ծերուս սոլուցու Շեզնուն. րոցորու հանս, եմաշուրու ցամոցցեցա. նելո նածոյատ մոմուաելուազ დա վոնաո-ծա մուտեա. մե პորճապոր վուտեարո, րոմ Շորուցու մոմացուան վոյսազո համուսուալո დա դեֆուալ Շումանուուս նաեւա մեսուրճա, րոմելուց վարսէյն პոթուաե՛մ յիւսուցու սոյցարուալուս ցամո Ֆյացա դագիզեզեծուալո.

ծերմա զարուսացս ստեռօա, Շեզուազո. րամդենու նշութու հիրալդ-նու ցանատեծուալ պոթու յրու-յրու սենակմո վուսեցոտ დա դածալ եմածո վասանանուազոտ. րալապնասորաց մամշուացեծու մուս սաեց դա ցամուեցա. հիմսազու ալթուութեծուալո ար օյու, տուտյուս նանամեծու դեֆուալո այ, պորուսուազո, պոթու պատահու պու դա ծեղ սենակ-մու ար պուուուու ցամուցուու.

## დღე გეორგი

თავზე დაგვათენდა. უკვე 474 წლის 17 ოქტომბერია. ახლადა შევნიშნე, რომ აქ, წარსულში, შემოდგომა უფრო ცივია, ალბათ, გლობალური დათბობის გამო, ჩვენი ოქტომბერი გაცილებით რბილი და თბილია, ვიდრე ეს სუსხიანი ღვინობისთვე. სუსხი მართლაც ძალიან იკინება, მაგრამ ახლა მისთვის ვის სცალია, ისეთი ცეცხლივით საუბარია გაჩაღებული. იაკობ ხუცესს ვუთხარი, რომ დანახვისთანავე შევიცანი, ის ხომ ერთადერთი იყო, ვინც არ უშინდებოდა პიტიახშე და ყოველთვის ახერხებდა დედოფლის მონახულებასა და თანადგომას ციხეში. მას არ აკვირვებდა ჩემი წარმომავლობა მომავლიდან, უბრალოდ, შორსგან-ჭვრეტილ კითხვებს მისვამდა და მისმენდა ძალზე მშვიდად. მე ვთხოვდი, დამხმარებოდა, შემეცვალა წარსული, ანუ რეალობა. ვუხსნიდი, რომ შორეულ მომავალში, ანუ ჩვენს დროში უკვე აღარავის აქვს უფლება, იძალადოს, რომ ყველა ადამიანი გაჩენის დღიდან სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებითაა და-ჯილდოებული.

იაკობ ხუცესი დიდხანს აუღელლვებლად მისმენდა, თუმცა, ამ ბოლო სიტყვებმა მაინც გააკვირვა და ჩამეძია. მე ხელებს ვშლიდი და ვსაუბრობდი ქალებზე, რომლებიც ჩვენს ეპოქაში ცხოვრობენ და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად არიან ჩაბმულნი. ამაზე იაკობმა მიპასუხა, ჩვენი ზეპურნი დედანიც თავდადებით იღვწიან ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვისო.

— მაგრამ ძალადობა? ძალადობის ფაქტები ხომ არის ამ დროში?

— და თქვენს დროში ასეთი რამ აღარ ხდება?

— არა! — აღფრთოვანებით მივუგე მე და იმ წუთას ჩემი დრო ისე მეამაყებოდა, როგორც სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეს.

— კეთილი, კეთილი! — ჩაილაპარაკა ჩემი პასუხით ნაამებმა იაკობმა, — ჩანს, მომავალი უფრო შემწყნარებელი და კეთილია. შენი სახელი მითხარი, ჭაბუკო!

## დღე მესამე

— გიორგი! გიორგი! ადექი, სკოლაში გაგვიანდება!

— სად?.. რომელ სკოლაში?.. აქ რა მინდა?..

მალე სამარშრუტო ტაქსში ვიჯექი და 474 წლიდან 2018-ში გადმოსულს აქაც 17 ოქტომბერი დამხვდა, დედოფალ შუშანიკის ხსენების დღე, როგორ ქართულის მასწავლებელმა გვითხრა წინა კვირას. ემოციებით ვარ დატვირთული. დასამშვიდებლად ტელე-ფონში ვიჩხრიკები და სიახლეებს ვნახულობ, სოციალურ ქსელში ერთ უცნაურ წერილს ვხედავ და კითხვას ვიწყებ.

პალესტინელ ქალზეა, რომელიც აზრის თავისუფლების გამო რამდენიმე წელია სასჯელს იხდის. მას ბრალი ედება ქრისტეს სიყვარულში. დაახლოებით ასეთია შინაარსი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე გავიგე. სოციალურ ქსელში მისი გულშემატკივრები ადამიანებს მოუწოდებენ, შეაგროვონ მილიონი ხელმოწერა... ევროპის ქვეყნები კი თავშესაფარს ჰპირდებიან... გაკვირვებას ვერ ვმალავ... მე ხომ 1544 წლის წინანდელ ადამიანს სულ ნახვარი საათის წინ ვუმტკიცებდი, რომ ჩვენს დროში ძალადობის მსხვერპლი ქალები არ არსებობდნენ?!

... და მე შემრცხვა საკუთარი სიცრუის...

## ნორ გამოცემა

### კვები და ლეგული მაღლი

დილით ადრე გამეღვიძა. დაფეხებული წამოვვარდი, თვალები მოვიფშვნიტე და საათს შევხედე. ერთი ხუთი წუთი კიდევ ვიქები-მეთქი, გავიფიქრე, თავი ბალიშში ჩავრგე და ფიქრებში წავედი. წვიმდა. სევდიანი განწყობა დამეუფლა. ასეთი ამინდი მთრგუნავს, განსაკუთრებით შემდგომაზე, რადგან ამ დროს წვიმას ხეებიდან გაყვითლებული ფოთლები მოჰყვება, რომელებიც უსულოდ ეცემიან მიწაზე. არ მიყვარს შემოდგომა, წელიწადის ამ დროს მელანქოლიური განწყობა მიპყრობს... ჩემი გონიერა ხეებს დედებად წარმოიდგენს ხოლმე, ფოთლებს – შვილებად, ქარს კი – ულმობელ ბოროტებად, რომელიც ხეებს იმდენს აუქროლ— ამოუქროლებს, სანამ შვილებს არ გასტაცებს. ხუთი წუთი ამ ფიქრებში გავიდა. ზანგრად წამოვდექი, სკოლაში წასასვლელად მოვემზადე და ჩქარი ნაბიჯით გავუყევი გზას.

ქუჩაში გავედი თუ არა, მანქანამ სწრაფად ჩამიარა და ტალა-ახიანი წყლით გამწუნა. სახლში მობრუნება გადავწყვიტე, თუმცა, არ ვიცი რატომ, გადავიფიქრე და გზა განვაგრძე, იქვე, ჩემს სახლთან რომ იყო, იმ სკვერს ჩავუარე. დავინახე, სველ სკამზე მოხუცი იჯდა, სიცივისაგან მოკუნტული ერთიანად კანკალებდა. არც დავფიქრებულვარ, მაშინვე მასთან მივირბინე და ვკითხე, რამე ხომ არ უჭირდა, მაგრამ არაფერი მიპასუხა. ხელი მოვკიდე, წამოვაყენე, ხელმკლავი გამოვდე და შინ წამოვიყვანე. თბილი საბანი შემოვახვიე, ბებომ ცხელი ჩაი მოუმზადა. ცოტა ხანში სიცივისგან გალურჯებული ტუჩები შეუვარდისფრდა, გათოშილი ხელები გაუთბა, გაგვილიმა და ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა.

გვიამბო, რომ ყოველ დილით ადრე დგებოდა და სანამ ქალაქის ქუჩები ხალხით გაივსებოდა, მანამდე სეირნობდა. იმ დილით თავს კარგად არ გრძნობდა, თან ცუდი ამინდი იყო, ციოდა, მაგრამ გასეირნებაზე უარი მაინც არ თქვა. სეირნობისას ცუდად გახდა, ცოტა ხნით გონება დაკარგა, დაავიზუდა, ვინ იყო და სად მიდიოდა. რამდენიმე გამვლელს დახმარება სთხოვა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაცია. ამოიხსრა და მითხრა, რომ სიბერე ცუდი რამ იყო. პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ქალალდის წაგლე-

ჯზე დაწერილი ტელეფონის ნომერი ამოაძვრინა, გამომიწოდა და მთხოვა, შვილისთვის დამერეკა, რომელიც, ალბათ, უკვე ძალიან დელავდა მამის დაგვიანების გამო.

დაახლოებით ორმოცდაათი წლის სიმპათიური შეშინებული მამაკაცი რამდენიმე წუთში ჩემი კარის ზღურბლთან გაჩნდა, მე და ბებოს მოგვიბოდიშა, მამის დახმარებისათვის დიდი მადლობა გადაგვიხადა, გაგვილიმა, მოხუცი წაიყვანა და წავიდა.

გავიდა ხანი. ზაფხულის არდადეგების ბოლო დღე იყო და სეირნობას შევყევი. სახლში მოსულს ბებია ავად დამხვდა. მაშინვე საავადმყოფოში წავიყვანე. ექიმმა სასწრაფო ოპერაცია დაუნიშნა, მაგრამ მანამდე თანხის გადახდა მოითხოვა. მე ოპერაციის საფასური არ მქონდა, უფრო სწორად, ფული საერთოდ არ მქონდა. მე და ბებიას ხომ ერთმანეთის მეტი არავინ გვყავდა, ჩვენ ხომ ძლივს გაგვქონდა თავი, ხანდახან საჭმელიც კი გვენატრებოდა, მაგრამ ერთმანეთი გვყავდა, ერთმანეთი გვიყვარდა... თუმცა, ერთმანეთის სიყვარული ავადმყოფ ბებიას ვერ უშველიდა.

სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, ხმამაღლა ავტირდი, არ ვიცოდი, რა მექნა. იმ ღამეს პალატაში ბებიას გვერდით ჩახუტებულს მეძინა. ანგელოზი დამესიზმრა, რომელმაც მითხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

დილით პალატაში ექითანი შემოვიდა, რომელმაც გვახარა, რომ ერთ-ერთი ექიმი ბებიას ოპერაციას უანგაროდ გაუკეთებდა და მალე ჩემი ბებია კარგად გახდებოდა.

მართლაც, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მისუსტებულ მოხუცს ვეალერსებოდი, როდესაც პალატაში თეთრხალათიანი ექიმი შემოვიდა და ნაცნობი ღიმილით გაგვიღიმა. მივხვდი, ვინც იყო ის ქველმოქმედი ექიმი, რომელმაც ბებიას ოპერაცია უანგაროდ გაუკეთა და სიცოცხლე აჩუქა. ეს ის მამაკაცი იყო, რომელიც რამდენიმე თვის წინ ჩემი სახლის კარის ზღურბლთან შეშინებული იდგა და მამის მოვლისათვის მადლობას გვიხდიდა.

ამ დღემ დამარწმუნა, რომ რაღაც უხილავი, ჯადოსნური, ყველაზე დიდი და ძლიერი ძალა – სიკეთე მართავს სამყაროს, სიკეთე, რომელიც არასოდეს იკარგება. მხოლოდ ის იხსნის დედამიწას და ყველამ ცოტ-ცოტა სიკეთე რომ ვაკეთოთ, ქვეყანაზე უბედურება აღარ იარსებებს.

# სახელმწიფო სამსახური

## გენერალური ზღვაპირობითი მინისტრი

ტკბილი ბავშვობის დასასრული ახლოვდება, ჩემში კი დიდი ქაოსი ისადგურებს, უამრავი კითხვა მიტრიალებს თავში, ფიქრები მიტაცებს და ცრემლიანი თვალებით ვიხსენებ წარსულს.

ჯერ ერთი ფირის ლენტას მივშტერებივარ, შემდეგ მეორეს. ვხედავ მოფარფატე მხიარულ და ბედნიერ გოგონას, რომელიც ბავშვობით ტკბება და ზღაპარში თამაშით არ იღლება.

ახლა კი ბავშვობის დასასრული ახლოვდება და ის აზრი, რომ ზღაპარი უნდა დავტოვო, მაშინებს, დიახ, მაშინებს და მაფიქრებს, თანაც როგორ! მიჩნდება კითხვები: როგორ ვითამაშე ტკბილ ზღაპარში ჩემი როლი, ან როგორ შევასრულებ ცხოვრების ახალ ეტაპზე – „ერთ დიდ რომანში“ ახალ როლს.

მაგრამ ერთი, რაშიც დარწმუნებული ვარ, არის ის, რომ ბავშვობის დასასრულს ყველა გარბის ზღაპრიდან, რათა რეალური თვალით დაინახოს ის, რასაც ვარდისფერი სათვალეებით ზღაპარში კითხულობდა.

დიახ, გავრბივარ ზღაპრიდან და „ერთ დიდ რომანში“ გადავდივარ, სადაც ყველაფერი უფრო რეალური, სასტიკი, მოულოდნელი და ძალიან საინტერესოა.

ეს არის ხანგრძლივი, რთული, მაგრამ თავგადასავლებით აღსავსე გზა. აქ საკუთარი ადგილის მოპოვებისთვის ბრძოლა დამჭირდება. ეს კი არც ისე ადვილია. მაგრამ თუ ჩემში ყოველი საქმის კეთებისას გავაღვიძებ ბავშვს, რომელიც არ იღლებოდა დასახული მიზნის მიღწევისთვის ბრძოლაში, ასევე არ დაიღლება ცხოვრების დიდ გზაზე და მიაღწევს ყველაფერს, რაზეც ბავშვობაში უფიქრია და უოცნებია.

დიახ, მე ამას შევძლებ, მე დავიმკვიდრებ ჩემს ადგილს ამ უკიდეგანო სამყაროში.

## გარეობრივი კულტურული მუზეუმი

პროფესორი უორდანია დაიღუპა 1962 წლის 20 აგვისტოს  
რიო დე-უანეიროში, თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად,  
როდესაც თავისი მაშველი რომელი  
უბილეთო მგზავრ გოგონას დაუთმო.

### მაშველი რომელი

გარეთ მწველი სიცივეა.

ქუჩის ბზარებში წყალი ჩაგუბებულა, როგორც იმედი გუბდება  
ხოლმე ადამიანის სულში გაჩენილ ნაპრალებში და სიცარიელეს  
წვეთობით ავსებს. ცას რუხი ნაცრისფერი დაჰკრავს, ღრუბლებს  
კი ვერცხლისფერი ბინდი გადაჰკვრია. გარეთ საშინელი ამინ-  
დია, მაგრამ ჩემსავით ბედნიერი ადამიანი დედამიწის ზურგზე  
მეორე არ მოიძებნება. თითქოს უკვე ჩამესმის ყურში ჩემი შვილის  
სიცილის ხმა, რომელიც კარიდან გამორბის, რათა თავის მოხუც  
მამას შეეგებოს. იმასაც კი ვგრძნობ, როგორ მეღვრება მთელს  
სხეულში სითბო. დღეს საქართველოში ვპრუნდები, საამო გრ-  
ძნობა მეუფლება, ჩემი გულის პულსაციას ვუგდებ ყურს და, არ  
ვიცი, შეიძლება მეჩვენება, მაგრამ გულის ფერებს შორის, შუ-  
ალედებში, თითქოს მკაფიოდ მესმის, როგორ იმეორებს უცხო ხმა  
ჩურჩულით ერთადერთ სიტყვას: „ბრუნდები, ბრუნდები...“ შემ-  
დეგ კი სიტყვები ნესტის სუნით გაუღენთილ ოთახში იფანტება  
და უჩინარდება.

ჩემოდანს ვიღებ და კიბებზე ვეშვები. ორიოდე წამით მეჩვენ-  
ება, რომ ჩემს თავს შორიდან ვუყურებ. ვუყურებ, როგორ ჩავდი-  
ვარ კიბებზე, ფეხის ხმაც შორიდან მესმის და ჩემს სახეზე გა-  
მოსახული გამომეტყველებაც მეუცხოება. შალის პალტო მაცვია,  
შარვალი, გარეცხილი და გაუთოებული, თავზე – ქუდი, ცხვირზე  
– სათვალე, ხელში – გაცრეცილი ჩემოდანი.

არ მახსოვს, როგორ გავდივარ ქუჩაში, როგორ ვაჩერებ ტაქსს  
და როგორ ვჯდები... ძველი მოგონებები მიტივტივდება თავში.  
ბრაზილიაში წამოსვლამდე მთელი დღე ჩემს ვაჟიშვილთან გავა-  
ტარე. კირილეს კუნაპეტივით შავი თმები აქვს, რომელიც ლაპა-

რაკისას ყოველთვის შუბლზე ეყრება ხოლმე, თუმცა ის ყოველ ჯერზე ჯიუტად იწევს დაუმორჩილებელ თმებს ყურებს უკან.

კირილე იატაზზე ფეხებმორთხმული ზის და თავჩაქინდრული სათამაშო მანქანებს აქეთ-იქით დაატარებს. უეცრად თავს მაღლა სწევს და თვალებში მიამიტად მიყურებს.

— ცურვა თუ იცი? თვითმფრინავი რომ წყალში ჩავარდეს, რა გეშველება, ხომ დაიღუპები? — მეკითხება კირილე და თვალებზე ჩამოყრილ თმას მოუხერხებლად იწევს ყურს უკან.

ვიცინი და თმებს ვუბურდავ.

— თვითმფრინავი არ ჩამოვარდება. ყველაფერი კარგად იქნება.

კირილეც იცინის და ისევ თავს ღუნავს, ხელებში სათამაშოებს ატრიალებს.

მანქანა ამუხრუჭებს. მოგონებები იფანტება. ტაქსისტს ხურდას ვუწვდი და მანქანიდან გადმოვდივარ. ქუჩები სველია. ფეხებს თითქოს თავისით მივყავარ აეროპორტისკენ და თვითმფრინავშიც გაუცნობიერებლად ვჯდები.

\*\*\*

თვითმფრინავში თითქოს რაღაც უბედურების სუნი იგრძნობა. ცუდი წინათგრძნობა მეუფლება, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ, ჩემს ადგილს ვიყავებ და უსაფრთხოების ქამარს ვიკრავ. თავს უკან ვწევ და სავარძლის ზურგს ვადებ, თვალებს ვხუჭავ და ჰაერს ღრმად ვისუნთქავ. ვერც კი ვხვდები, როგორ მართმევს ძილი თავს.

ხალხის ხმაური მაღვიძებს. სულ ორი წამით მეძინა. თვალებს ვახელ. სრული პანიკაა. ხალხის გახშირებული სუნთქვა ერთ-მანეთში ირევა, ოფლი სახეზე სდით, რომელსაც მაისურის სახელოებით იწმენდენ.

გული ბაგაძუგს მიწყებს, წინ წამოწევა მინდა, მაგრამ ფეხები მეკვეთება, ასე მგონია, სხეულიდან მთელი ენერგია გამომაცალეს. ჩემს გვერდზე მჯდომს ვუყურებ. ახალგაზრდაა, წითელი პერანგი აცვია, ქერა თმები შუბლსა და კისერზე მიჰკვრია, ხელებით სკამის სახელურებს ისე ძლიერადაა ჩაფრენილი, რომ თითის წვერები გადასთეთრებია. სახეზე ფერი არ ადევს. მისკენ ვიწევი და არ მესმის, მაგრამ ვგრძნობ, როგორ სცდება ჩემს ბაგეებს შემდეგი სიტყვები:

— რა ხდება?

არ ვიცი, ამ ხმებში როგორ გაიგონა ჩემი ნათქვამი, მაგრამ წითელპერანგიანი ბიჭი ჩემგენ ტრიალდება, ტუჩებს ნერვიულად ილოკაცია და მპასუხობა:

— პილოტმა გამოაცხადა, პრობლემა გვაქვსო. — წითელპერანგიანი ნერნყვის ყლაპავს და აგრძელებს, — მაგრამ ხომალდი ბილიკის დარჩენილ ნაწილზე ვერ გაჩერდება... უხერხულად იშმუშნება — ამიტომ, მგონი... მარჯვნივ ვუხვევთ.

ირგვლივ დაძაბულობა იგრძნობა, მგზავრებს სუნთქვა შეკრული აქვთ, ჰგონიათ, რაც უფრო ნაკლებს ისუნთქავენ, მით უფრო ექნებათ გადარჩენის შანსი.

ვგრძნობ, როგორ მეკუმშება ფილტვები, სუნთქვა მიჭირს, გულ-მკერდი მიოფლიანდება. თვითმფრინავი აეროპორტის საფრენ ბილიკს კვეთს და ოკეანეში ეშვება. ყურები მიგუბდება, ფილტვები თითქოს წყლით მევსება, ფეხები მწყდება. ერთი წამით, შემიძლია დავიფიცო, რომ დრო და სივრცე ჩერდება. ხალხის შეძახილები ჰაერში იყინება და წყდება. წამით აღარც გრავიტაცია არსებობს, აღარც დრო და არც განზომილება. ხალხი სუნთქვას წყვეტს, სამყარო — არსებობას. პილოტის ოთახიდან ბრძანებები ისმის:

— გთხოვთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე!

ხალხი მაშველ რგოლებს ეცა. გონს მოვედი და მეც სწრაფად შევუერთდი ხალხის ტალღას. უცნაურია, მაგრამ სხეულში სიმშვიდის გრძნობა ჩამეღვარა. თვალწინ კირილე მიდგება, მაგრამ თავს უფლებას ვერ მივცემ, მასზე ფიქრით გონება გამეფანტოს. გული მეკუმშება. გადავრჩები და კვლავ ვნახავ კირილეს. კირილეს აუცილებლად ვნახავ.

მაშველ რგოლს ხელს ვავლებ და თვითმფრინავის სალონიდან გასასვლელად ვემზადები, როდესაც მოგუდული ხმით ტირილი მესმის. ყურები ჯერ კიდევ დაგუბებული მაქვს და მგონია მეჩვენება. ვაყურადებ. ტირილი უფრო მკაფიოდ მესმის. უკან ვტრიალდები, მუჯლუგუნებით ვიკვლევ გზას. სული მეხუთება.

— სად ხარ?! — თვალებით იმ ადამიანს ვეძებ, ვისგანაც ტირილის ხმა მოდის. ბავშვის ხმა აქვს. თვალები მიბნელდება, გამოსახულებები ერთმანეთში იდლაბნება. უკანა სავარძელზე შავ ლაქას ვხედავ. იქით მივიწევ. გოგონა მთელი ძალით ჩაჰვარენია სავარძელს, კუნაპეტივით შავი თმები აქვს. ექვსი წლის თუ იქნება. მხარზე ხელს ვადებ. ძალას ვიკრებ, რომ პირი გავაღო და სიტყვები წარმოვთქვა:

— აქ რას აკეთებ? მაშველი რგოლი აიღე და საავარიო გასასვლელიდან გავიდეთ, მოდი, ხელი ჩამკიდე...

— მაშველი რგოლი არ მაქვს. — ლამაზი ნაკვთები აქვს, პატარა, ლამაზი ცხვირი და სწორი ნიკაპი. პერანგზე კესანე აქვს ჩაბნეული. თვალებიც ამ ყვავილებისფრად უელავს. როგორც კი თავს ძირს ხრის, თმები შუბლზე ეშლება და მხრებზე ეფინება.

თვალწინ კირილე მიდგება. ის მანქანებით თამაშობს და თვალებში ჯიუტად მიყურებს, მერე იცინის და თმები თვალებზე ეფხატება. ყურებში შისი ხმაც კი ჩამესმის. მისი დაბალი, გაბზარული ხმა მეკითხება: „ცურვა თუ იცი? თვითმფრინავი რომ წყალში ჩავარდეს, რა გეშველება, ხომ დაიღუპები?“

გოგონას ჩემს სამაშველო რგოლს ვუწვდი: — აი, ჩემი აიღე!

გოგონას თვალებში გაოცება უკრთის. ამ დროს კიდევ უფრო ლამაზი მეჩვენება.

— კი, მაგრამ თქვენ ცურვა იცით?

ირგვლივ ვიხედები. ხალხი გასასვლელისკენ მიიჩქარის. ზოგი მაშველი რგოლის იმედზეა, ზოგმაც ცურვა იცის. ნაპირთან ახლოს ვართ. ვინც ცურვა იცის, ნაპირამდე მაღე მიაღწევს, ვინც არ იცის, მათთვის მაშველები მოვლენ. მაგრამ თუ თვითმფრინავში დავრჩით, დავიხრიობით.

— ვიცი, აიღე რგოლი. სხვებს გაყევი. სწრაფად. მე უკან გამოგყვები. იცოდე, უკან არ მოიხედო.

გოგონა ერთხანს თვალებში მიყურებს, შემდეგ რგოლს მართმევს და საავარიო გასავლელისკენ სხვებს მიჰყვება. მთელი სამყარო თავზე გვექცევა, მაგრამ გოგონა მაინც ახერხებს მოხდენილად და კოხტად სიარულს.

მთელი სხეული მეწვის. ფეხები მერთმევა. ცურვა არ ვიცი. იმ სავარძელზე ვეშვები მოწყვეტით, სადაც მანამადე გოგონა იჯდა. თვითმფრინავი თანდათან ცარიელდება. სიჩუმე ისადგურებს.

ამ სიჩუმეში, რამდენიმე წამით ვახერხებ, დავივიწყო ყველაფერი, რაც ხდება. თვალებს ვხუჭავ. ყურებში ოკეანის ტალღების ტყლაშუნი ჩამესმის. წამით ოკეანეც ქრება, თვითმფრინავიც და ჩემი სხეულიც. უსაზღვრო თეთრი ცარიელი სივრცე. სივრცე, რომელსაც ჰორიზონტი არ აქვს და სივრცე, რომელსაც კედლები არ აქვს. მაგრამ სივრცე უეცრად ოთხივე მხრიდან კედლებით ისაზღვრება და დაპატარავებას იწყებს. პატარავდება, ვიწროვდება და მეშინა, რომ მეც შიგნით მომიყოლებს

და გამსრესს. მაგრამ კედლები ჩემშია და დაპატარავებას აგრძელებს. გეგონება, უხილავი ვიყო, არ ვარსებობდე. უსაზღვრო თეთრი სივრცე იქამდე პატარავდება, სანამ თვითმფრინავის კედლებს შუა არ ექცევა.

თვალებს ვახელ. მთელი ცხოვრება ექიმობაში გავატარე. მთელი ცხოვრება ქალთა და ბავშვთა კეთილდღეობას მივუძღვენი, მაგრამ ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ მათ ჩემს სიკვდილსაც მივუძღვნიდი... არა, არა!..

მაშველები მოვლენ, მოასწრებენ. მე კი კირილეს კვლავ ძველებურად ავუჩეჩავ ხოლმე თმებს, ის კი გაბრაზდება და თავისი პატარა ხელებით მათ გასწორებას შეეცდება.

თვითმფრინავი თანდათან წყლით ივსება. კოჭები მისველდება.

წარმომიდგება, როგორ ვსეირნობ პარკში. მზე აცხუნებს, ხეები ოდნავ ირხევიან.

წყალი მუხლებამდე მწვდება.

ბავშვები პარკში დარბიან. დედები მათ ეძახიან, მაგრამ შვილების მიამიტი სიცილი ჰაერს აპობს და მათ ხმას ახშობს.

თეძომდე.

აი, ერთი წყვილი მოსეირნობს. გოგო ბიჭს მხარზე თავს აყრდნობს, ბიჭი ხელს ხვევს და ერთმანეთს თვალებში უცქერენ.

იდაყვებამდე.

ძალლი თავის პატრონს მისდევს. პატრონი ჯოხს იღებს და შორს აგდებს. ძალლი ყურებს ცქვეტს, ჯოხს თვალებმოუშორებლივ უყურებს. ჯოხის მიწაზე დავარდნისთანავე ძალლი მიწას სწყდება და ჯოხისკენ მიექანება.

მკერდამდე.

ახალგაზრდა ბიჭი თავის მოხუც მამას ასეირნებს. მოხუცს ხელში ნაყინი უჭირავს და პატარა ბავშვივით იცინის.

კისრამდე.

და-ძმა ხელვავგამოდებული მოსეირნობს და თავის ბავშვობას ღიმილით იხსენებს...

წყლის მარილიან გემოს ვგრძნობ პირში. ფილტვები წყლით მევსება. გული მეკუმშება. ყურები მიგუბდება. თვალები მეწვის. ვცდილობ ვისუნთქო, მაგრამ უანგბადის მაგივრად ყელში წყალი ჩამდის. ისეთი შეგრძნება მაქვს, სადაცაა ფილტვები გამისკდება, ათას ნაწილად დამეფლითება და ჩემს ნაწილებს ოკეანე წაიღებს. „პარკი. პარკზე იფიქრე. პარკში სეირნობ. პარკი. პარკი. პარკი.“

„ბავშვები დარბიან. წყვილი სეირნობს. ძალლი ჯოხს მისდევს. მოხუცი ნაყინს ჭამს. და-ძმა ხელკავგამოდებული სეირნობს. კიდევ ვინ?! კიდევ ვინ არის პარკში?! ყურადღება მოვიკრიბე. აი, ვიღაც მარტო მოსეირნობს. მისი ფიგურა ბუნდოვანია, მაგრამ თანდათან იკვეთება და გამოსახულებას იღებს. გოგონა. პარკში გოგონაა. მაღალი, ტანწერწეტა. თვრამეტიოდე წლის იქნება. პატარა, ლამაზი ცხვირი და სწორი ნიკაპი აქვს. თვალებიც ცის-ფრად უელავს. დახვეწილად და მოხდენილად მოაბიჯებს, ცალ სელში წიგნები უჭირავს, მეორეში – კონსპექტები. ეს გოგონა სადღაც ნანახი მყავს. მაშინ უფრო პატარა იყო. ახლა ნაკვთები უფრო დახვეწილი აქვს და გაზრდილია.“

ფილტვები მეკუმშება, გულ-მკერდის არეში აუტანელ ტკივილს ვგრძნობ. „გოგონა. გოგონა და პარკი. გოგონაზე იფიქრე.“ უე-ცრად მახსენდება. სავარძელს ჩაფრენილი გოგონა. პერანგში კე-სანე აქვს ჩაბნეული. „მაშველი რგოლი არ მაქვს“: – ჩამესმის მისი ხმა.

ჩემს სხეულს წყალი იტაცებს. თვალები მეხუჭება. ვერ ვხვდები, როდის მეღიმება ტუჩის კუთხეში.

მცხუნვარე დღეა. მზე ანათებს, ხეები ნაზად ირწევიან. პარკში ვსეირნობ. არა, მე არ ვსეირნობ. ის სეირნობს... გოგონა, ცის-ფერი თვალებითა და წიგნებით ხელში...

## ლეკცია ۲

### კარლი

ქორწინების მე-10 წლისთავზე 9 წლის ჯერემის მშობლებმა ბავშვი ბებიამისს მიანდეს. დედა წამში მოწესრიგდა, სახლიდან გასვლამდე შვილს შუბლზე აკოცა და გააფრთხილა:

— ბებო არ გააბრაზო და თუ კარლი ზარს დარეკავს, გამოგე-ლაპარაკება, ხმა არ გასცე!

კარლი უბრალო ლოთი გახლდათ, რომელიც კორპუსის სა-დარბაზოს აფარებდა თავს. ცხოვრებაში ტკივილისა და იმედ-გაცრუების მეტი არაფერი ენახა, არასდროს მოესმინა ადამიან-თაგან ტკბილი სიტყვა და არც მილერები და მათი სამეზობლო გახლდნენ ხელგაშლილნი ამ მხრივ: ეზიზლებოდათ მისი გამუ-რული სახისა და ტალახში ამოვლებული ძონების ცქერა, ხშირ-ად რამდენიმე „ლამაზ“ სიტყვასაც ესროდნენ ხოლმე წვიმისგან დასველებულსა და გათოშილს. თავი კარგ ხალხად მოჰკონდათ, მაგრამ როცა მზე ღრუბლებს ამოეფარებოდა და კარლის ერ-თადერთი სამოსი ცივი ქარის ჩახუტება გახლდათ, არ უჭირდათ მისი დასერილი გულის დანაკუნძება. ერთადერთი, ვინც მას ადა-მიანად მიიჩნევდა, ჯერემი გახლდათ. რამდენჯერაც დედასთან ერთად მარკეტიდან შინისაკენ მიმავალ გზაზე კარლს შეავლებ-და თვალს, მშობელს ხელიდან უსხლტებოდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტხანს ესაუბრა მუდამ მდუმარე მათხოვართან.

ჯერემის მამა ბიზნესმენი გახლდათ. ოჯახს სიმდიდრე არ აკ-ლდა და შესაძლოა სწორედ ამან მიიზიდა ერთ-ერთი არამზადის ხარბი თვალი. დიდხანს აკვირდებოდა მილერების ოოჯახს და როგორც კი დედ-მამა გაისტუმრა, სიხარულისა და სიამოვნები-საგან ისე გაიღიმა, იფიქრებდით, ცოტაც და სახე ორად გაეყო-ფაო. ხელი ჯიბის ჟანგიან დანას სტაცა და აღგზნებული მიადგა კარს, რომლის უკანაც სიმდიდრით სავსე მომავალს ხედავდა. მცირე წვალების შემდეგ სახლშიც შეაღწია. შესვლისთანავე შენიშნა ოთახის კუთხეში მოთამაშე ჯერემი, გიჟივით ეცა, ხელში

აიტაცა და იარაღის ბასრი პირი მიაბჯინა ყელზე. ბავშვის განწირულ კივილზე შემოვარდნილ ბებიას კი მალევე მიეცა დავალება – ოქროულით გაევსო დაკუჭული ჩანთა. გაშმაგებულ ავაზაკს იდილია რაღაც გაუთვალისწინებელმა დაურღვია. უცნობი ხელი მხრებში სწვდა, შემოაბრუნა და საოცრად მძლავრი დარტყმით დააკარგვინა გონება. ლრმა ამოსუნთქვის შემდეგ ბავშვს ნაზად მოუთათუნა ხელი გაფითრებულ ლოყებზე და გული გაუთბო მისი სიყვარულითა და აღტაცებით სავსე შეძახილის გაგონებამ:

— კარლ!

---

## სარჩევი

### პოეზია

#### მურად ჭოლოკავა

საქართველოში	5
აპრილი ჩემი მარადიული ტკივილი	6
ფიქრი ლამაზ სიკვდილზე	7
ბედისწერაო მუხთალო	8
გულთეთრა მერცხლებს	9
დარღდდალეული	10
ჰანგი – ქართული! სიტყვა – ქართული!	11
ერთი სხივი ვარ...	11
არსად წავსულვარ	12

#### მარინე ცხვალიაშვილი

ახლა მარტია	13
*** აპრილმაც კარი გაიჯახუნა	14
სისხლის მაგია	15
კორიდა	17

#### გესიკ ზაალიშვილი

უკანასკნელი სიტყვა	18
*** ისევ ხომ ცერად იმზირებით	19
*** ამიჯანყდა ჩემი სული	20
*** ამქვეყნად ფუჭად არ დავალ	20
*** ამდენი ლოცვა და ვეძრება სად იკარგება?	21
ამოთქმულსიტყვასასოებრივი	22

#### გიგა ვეზევაძე

ჩემი იმერეთი	23
ბალადა დიდგორზე	25

---

## **მარინა იმაიშვილი**

ჩემთვის რომ ეთქვათ	27
შენ	29
როდესაც მიუყვები აღმართს	30
დრო	31
...და სცივათ ლექსებს	32
არადა, ცხოვრობ	33
პატარა დედამიწა	34
რეჟისორი	34

## **შორენა გამალაშვილი**

*** აერთხელ შობილი ორჯერ არ კვდება	35
კოლხური ლამე	36
ჩემიდან ცამდე ანუ შენამდე...	36
*** დიდი ხანია	37
*** თითქოს დახუჭა მთვარემ თვალები	37
თოვს...	38
წმინდაო მარიამ...	38

## **ნანა ყალიხავა**

სარ ჩემი სისხლის მიმოქცევა	39
მადლობა მუზას	40
თეთრი ჩუქურთმა	40
წავალ...	41
წყალს ვუამბობ	42
წყალი ამოვსვი	42
ლექსად ვაქციე	43
დამიძახე!	43
როგორ გავძლებდი	44
პოეტი	45

---

## **მაია რაზმაძე**

სინაზის სიმფონია	46
ვერ გაპატიებ!	47
კოცნის სხივებს დავწნავ	47
ახლა ისევ გეძებ	48
გაზაფხულს ვერ გადავიმტერებთ	48
მაპატიეთ, ხეებო!	49
სიყვარულის გამხელა	50

## **ზაზა სუმაშვილი**

*** სოფელს მთვარისკენ გაუწვდია სველი თათები	51
სამი მეოთევზე	52
ლეგენდა	53
ფოთლები პეშვებით	54
*** ნახე, უკვე მოჩანს	54

## **დარეჯან ალაძაშვილი-უსენაშვილი**

გული და ტვინი	55
მეტი არაფერი მინდა	56
...რომელიც არ ჩანს	56
*** ანკი ვინ იცის, მწარე გამოცდას	57
ვიდრე ქარები...	57
მხოლოდ შენ იცი, მამაო ჩენო!	58
განწყობის პოეტი	59

## **მაღონა დვალი**

გასაუბრება, სოხუმში დარჩენილ ჩემს	
დაუსრულებელ ნახატებთან	60
ღამე – ლექსებად გადათარგმნილი	62
*** ვიხატავდი ცის ამფორას	63

---

<b>ელი მარხაშვილი</b>	
სიცოცხლე ღირს .....	64
ისე ვიცხოვროთ .....	65
უკანასკნელ ფოთოლზე .....	66
ამაყად ვივლი .....	67
არ გვეგების .....	68
<b>ამირან პანჯლავა</b>	
ჭილაძის მოტივებიდან .....	69
*** დროდადრო ქალაქი .....	70
*** თვალების ცაზე ჩანს ია... .....	71
*** კარიდან გავალ, მაგრამ იმ კარებს .....	71
ჩემს შვილს – ნიას .....	72
<b>ბაჩო ზაქაიძე</b>	
მამის განცდილი... .....	73
შენი საპედო .....	74
თარიღები .....	75
*** აბუზული ვარ, როგორც ნიბლია .....	76
ლედი .....	77
<b>გურამ ლაცაბიძე</b>	
პასეანსი .....	78
თაფლისფერთვალება .....	79
ოთოს ხსოვნას .....	79
*** თავისუფლება, გავცქერი ზეცას – .....	80
მორიგი ლექსი №-ს .....	81
<b>დონარი აღვიშვილი</b>	
მე – მესხი .....	82
*** არ მიძებნია ოქრო და ვერცხლი .....	83
*** წლები მირბიან .....	83
*** წლებმა გაირბინეს, როგორც წუთებმა .....	83
დაბრუნდით ქართველებო! .....	84

---

<b>მალეაზ პვინიპაპე</b>	
ავტოპორტრეტი .....	85
...და ბოლო კითხვა .....	86
იქნებ შენ გახსოვს... .....	87
*** ჩემს თვალთა მზერას .....	87
<b>ლალი მჯდლიპე</b>	
კალთაში იმედი მივაძინე .....	88
ჩემი წვიმა .....	89
სიკვდილმა ჩამოიარა .....	89
მამა გაბრიელს .....	90
ზოგი ისევ ღმერთს ირჩევს, ზოგიც კიდევ – ბარაბას .....	90
*** შენი სულის პარალელზე ვდგავარ .....	91
*** სახსოვრად გამომყვა სიზმრიდან ალერსად .....	91
<b>ლამზირა შეყილაპე</b>	
ჟამთა სრბოლაში .....	92
<b>ნორა მორბედაპე</b>	
მერამდენე .....	94
დრო იყო... .....	95
<b>ეთერ ჭელიპე</b>	
სიზმარ ვნახე... .....	96
*** სიკვდილო, მოხეტიალევ .....	97
*** ჩემი მუზის თეთრო ყლორტო .....	97
<b>ლია ოსიაშვილი-გელიპიპე</b>	
ჟიული შარტავას .....	98
სიზმარი .....	99

---

<b>ევა ხუნდარია</b>	
მოვიწყენ, ვიცი... . . . .	100
დედა . . . . .	101
ლურჯი სიზმარი . . . . .	101
ყველა წამის დათარიღება... . . . .	102
<b>ეპა ქვრივიშვილი</b>	
*** ეჰ, მგონი ისევ დავაგვიანე . . . . .	103
*** მარშებითა და ზარ-ზეიმით ვერ შეჰქმნით ახალს . . .	104
<b>თამარ ლომიძე</b>	
ერთხელ მოდის... . . . .	105
გვირილა . . . . .	106
უიმედობა . . . . .	106
<b>პლესანდრე (დათო) სოხაპე</b>	
თეთრი გვირილები . . . . .	107
იცის... . . . . .	109
<b>მაგდა გომილაშვილი</b>	
მე ვარ მზატვარი . . . . .	110
ორქიდეა . . . . .	111
არა მარგია არად! . . . . .	111
ეს გაუმარჯოს სიცოცხლის ფეთქვას . . . . .	112
<b>ლია პეტანიშვილი</b>	
მძინარა . . . . .	113
მარი . . . . .	113
ნინა . . . . .	114
ფისო და ელენე . . . . .	114
*** – გამარჯობა, სად მიძვრები . . . . .	114

---

დედა ენა	115
მუნჯები	115
ზარმაცი	115
ყოჩალი მურა	115
მირიანი	116
საყვედური	116
ეშმაკი ინდაური	116
<b>ია სულაპერიძე</b>	
<b>სერგეი ესენინი</b>	
*** დაბადებიდან ყოველ სულიერს	117
<b>სერგეი ესენინი</b>	
*** რა მოხდა, თუკი სულ სხვამ დაგლია	118
<b>ალექსანდრე ბლოკი</b>	
*** თუ გახსოვს მშფოთვარე ქალაქი	119
<b>მარიამ ცვეტაევა</b>	
მომწონს	120
<b>ანა ახმატოვა</b>	
*** არ მოგვიწევს, ერთი ჭიქით დავლიოთ	121
<b>იან კუპალა</b>	
ნუ ეძებ	122
მურათპან მუნგანი	123
სენურ სენეზი	123
<b>ალექსანდრე პუშკინი</b>	
*** მე თქვენ მიყვარდით... ტრფიალით იგი	124
ანა კერნისადმი	125
<b>ანა ახმატოვა</b>	
*** შენ ხარ მარად უცნობი და იდუმალი	126
*** გათანგულმა შენი მზერის სიხარბით	126

---

<b>ნათია შევარდენიძე</b>	
<b>ალექსანდრე პუშკინი</b>	
*** არა, არა, ვერ გავბედავ და ვერც შევძლებ, ვიცი . . . . .	127
<b>ს. გოროდეცკი</b>	
წერილი ფრონტიდან . . . . .	128
<b>ს. ესენინი</b>	
*** დამაგვიანდა, ან იქნება ადრეა ჯერაც . . . . .	129
<b>პროზა, პუზლიცისტური ცერილები, მაცნიერება</b>	
<b>გ030 ჯახუა</b>	
ჟამი მსხვრევისა . . . . .	131
ქალი ჯუჯა ნაძვის ჩეროში . . . . .	142
<b>თინათინ სიყავავილი</b>	
თეთრი იასამანი . . . . .	146
<b>ლია გარტავილი</b>	
დაღმაფრენა . . . . .	157
<b>ჯემალ კუხალავილი</b>	
მენატურე ქალის ალსარება . . . . .	169
<b>ლელა ახალაია-პვარაცხელია</b>	
მე უნდა დავბრუნდე შინ, სოხუმში! (ომის ქრონიკები) . .	205
<b>ქეთევან სოხაძე</b>	
ის აგვისტო . . . . .	214
<b>ვახტანგ გოგოლეაძე</b>	
გული არ ბერდება . . . . .	220
წერილები დედისათვის . . . . .	222

---

<b>შორენა ჟილიაძე</b>	
აფეთქება მზეზე .....	224
ზენო .....	226
<b>ლალი გვალიშვილი</b>	
ჭრელი შუშა .....	228
მზე ჩამოვარდა .....	230
<b>სოფო გოცვაძე</b>	
ზღაპარი სიყვარულისა .....	234
<b>ემზარ გოგოლიძე</b>	
ბედისწერა .....	236
მგლების ოჯახი .....	237
<b>თინათინ სიყავაშილი</b>	
გვასსოვხართ ტკივილითა და მონატრებით... .....	239
მკითხველის სამსჯავრო .....	244
<b>ლია გართაშვილი</b>	
ჯიმი მუდამ საქართველოშია... .....	249
<b>ციური გერიძე</b>	
ანზორ ერქომაიშვილი .....	259
<b>ალექარი ლომიძე</b>	
საით მივექანებით?! .....	263
<b>გიორგი (გია) ომანაძე</b>	
დოკუმენტური პროზა ბუხარში შეყრილი წერილებიდან... .....	266

---

<b>ქათევან სოსაძე</b>	
ღვთაება კვირია და ქართული კულტურა .....	275
<b>თამარ კვარაცხელია</b>	
ბაირონის ლირიკის მოსე ქარჩავასეული თარგმანი .....	287
<b>ჩვენი საიმედო მომავალი</b>	
<b>ნატალი ჭვანია</b>	
ცხოვრება ცისარტყელას ფერების მიღმა....	295
<b>გიორგი ნატროშვილი</b>	
მოგზაურობა დროში .....	297
<b>ნინი გაპრიშიძე</b>	
ქვაზე დადებული მადლი .....	300
<b>ანანო სიყმაშვილი</b>	
გაქცევა ზღაპრიდან .....	302
<b>ბარბარე გიორგობიანი</b>	
მაშველი რგოლი .....	303
<b>დავით შოთაძე</b>	
კარლი .....	309

